

თავი კვ

სიტყუად ესე: „და ვითარცა აღვიდა იგი ნავსა, მისდევდეს მას მონაფენი მისნი. და აჰა ესერა აღძრვად იყო დიდი ზღუასა შინა, ვიდრე დაფარვადმდე ნავისა ლელვათაგან. ხოლო თავადსა ეძინა“ (8,23-24).

ლუკა თანანარჰვდების თქუმად ჟამისა მის, ამისთვის ესრეთ ინყო სიტყუად: „და იყო ერთსა შინა დღესა, და თავადი შევიდა ნავად, და მონაფენი მისნი მის თანა“.¹ ეგრეთვე მარკოზ იქმს. ხოლო მათე შემდგომითი შემდგომად ჟამსა მას გუაუწყებს, რამეთუ არად სავმარ იყო ყოველთა მიერ ნულილადისა საქმისა და ჟამისა და სიტყუსა შეუცვალელებლად აღწერა.

ხოლო ამათ სიტყუათა წარმოვიტყვ სიტყუსა მისთვის, რომელი დანყებასავე ვთქუ, ვითარმედ: რომელიცა რამე ჩანს განყოფილად თქუმული მახარებელთა მიერ, თითოეული თვისა ადგილსა, ვითარცა ღმერთმან ძალი მომცეს, განვჰმარტოთ; რაფთა საცნაურ იქმნას ყოველთა მიერ, ვითარმედ არა არს მათ შორის ცილობად, არცა განწვალეობად, და უფროდსად სათანადოთა მათ და მალალთა საქმეთა შინა, რომელთა შინა ფრიადსა ერთობასა აჩუენებენ.

წარავლინა უკუე ერთი იგი და მონაფენი წარიყვანნა თვს თანა, რაფთა იხილონ მათ ყოფადი იგი სასწაული. რამეთუ ვითარცა მოძღუარი კეთილი, ორკერძოვე ასწავებდა მათ, რაფთა უშიშ იყვნენ განსაცდელთა შინა და მდაბალ პატივისა შინა. ამისთვისცა, რაფთა არა აღზუავნენ, რომელ ერთი იგი წარგზავნა და იგინი წარიყვანნა, შეუნდო ლელვათა მათ აღდგომად, რაფთა დამდაბლდენ, და კუალად, რაფთა განისწავლნენ მოთმინებად განსაცდელთა. რამეთუ პირველქმნილიცა სასწაულინი დიდ იყვნეს, გარნა ამას გამოცდილებადცა აქუნდა არამცირედი და ძუელისა მის სასწაულისა მიმსგავსებული იყო. ამისთვის მონაფენი ხოლო წარიყვანნა, რამეთუ სადა სასწაულისა ჯერ-არნ ჩუენებად, ერსა მასცა შეუნდვის მუნ ყოფად, ხოლო სადა განსაცდელთა და შრომათა საქმე არნ, მოლუანენი იგი სოფლისანი მარტოდ წარმოადგინნის, რაფთა მოასწავებდეს ყოფადსა მას. ამისთვის იტყვს მახარებელი:

სახარებად: „და აჰა ესერა აღძრვად იყო დიდი ზღუასა მას ზედა, ვიდრე დაფარვადმდე ნავისა ლელვათაგან. ხოლო თავადსა ეძინა. და მოუწდეს მას მონაფენი, აღადგინეს უფალი და ეტყოდეს: უფალო, მიწნენ ჩუენ, რამეთუ წარვწყმდებით! და თავადმან ჰრქუა მათ: რაფთა შეშინდით, მცირედმორწმუნენო? მაშინ აღდგა, შეჰრისხნა ქართა მათ და ზღუასა, და იქმნა მეყსეულად დაყუდება დიდ“ (8,24-26).

¹ ლუკ. 8,22.

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვითარცა ვთქუ, გამოცდისა მათისათჳს მიეშუებოდა აღ-
 ძრვად ღელვათა და სახე იყო მონვენადთა მათ მათ ზედა განსაცდელთა,
 რამეთუ ამისაცა შემდგომად მრავალგზის შეუნდო უძნელესთა განსაც-
 დელთა შთავრდომად და სულგრძელ ექმნა, ვითარცა პავლე იტყჳს, ვითარ-
 მედ: „გარდარეულად უფროჲს ძალისა დაგვმძიმდა, ვიდრე წარწირვამდე
 ჩუენდა ცხორებისაცა. არამედ თვით თავით თჳსით განწინებაჲ იგი სიკუდი-
 ლისაჲ მოგუელო, რაჲთა არა ვესვიდეთ თავთა თჳსთა, არამედ ღმერთსა,
 რომელმან-იგი აღადგინნის მკუდარნი, რომელმან ესე ვითარისა სიკუდი-
 ლისაგან მიჴსნა ჩუენ“.¹ და სხუანი მრავალნი ძნელოვანნი შეემთხვნეს,
 ვიდრელა ძვრ-ძვრითა სიკუდილითა მოსწყდეს. და მის ყოვლისა წინაჲთვე
 მომასწავებელი იყო ღელვაჲ იგი. ამისთჳსცა, ჰრქუეს რაჲ: „უფალო, მიჴ-
 სნენ ჩუენ“, პირველად მათ შეჰრისხნა და მერმე ზლუასა მას, რამეთუ
 შეშფოთებაჲ იგიცა მათი უმჯობესისა მათისათჳს იქმნა, რაჲთა აქუნდეს
 ამისა შემდგომადცა ჴსენებაჲ საკვრველებისაჲ მის. და ამისთჳსცა მიიძი-
 ნა, რაჲთა ადგილ-სცეს შიშსა მოსლვად მათ ზედა, რამეთუ უკუეთუმცა
 ელჳა, არამცა ესრეთ შეშინებულ იყვნეს, არცამცა ვედრებულ. ამისთჳს
 მიიძინა, რაჲთა ადგილ-სცეს შიშსა მოსლვად მათ ზედა. რამეთუ ვინაჲთგან
 ყოველთა ზედა იხილნეს ქველისმოქმედებანი მისნი, ხოლო მათ ზედა არა
 ქმნულ იყო სასწაული, რამეთუ არცა მკელობელ იყვნეს, არცა ბრმა, არცა
 სხვთა რაჲთმე უძლურებითა შეჰყრობილ, და ჯერ-იყო, რაჲთა თავთა ზედა
 თჳსთაცა იხილესმცა ქველისმოქმედებაჲ მისი. ამისთჳს შეუნდო მონვენად
 ზამთრისა მის, რაჲთა შეშინდენ და მერმე განთავისუფლებითა მით მათ
 ღელვათაგან გულისჴმა-ყონ ძალი ქველისმოქმედებისა მისისაჲ, და იყოს
 იგი მარადის ჴსენებულ გულთა შინა მათთა; რამეთუ სხუაებრ გულისჴმა-
 ჰყოფს და აჴსოვს კაცსა თავსა ზედა თჳსსა ქმნილი და სხუაებრ – სხუათა
 თანა ხილული. ამისთჳს არა ქმნა ესე წინაშე სხვსა მის ერისა, რაჲთა არა
 მცირედმორწმუნეობისა ბრალი დაედვას მათ. არამედ მარტოდ წარიყვან-
 ნა მონაფენი და ესრეთ განაქარვა შიში მათი, რაჴამს შეჰრისხნა მათ და
 ჰრქუა: „რაჲსა შეშინდით, მცირედმორწმუნენო?“ და ესრეთ პირველ გა-
 რეშეთა მათ ღელვათასა გულისა მათისა ღელვაჲ დააყუდა, რაჲთა ასწაოს,
 ვითარმედ შიშსა არა განსაცდელთა მონვენად იქმს, არამედ გონებისა უძ-
 ლურებაჲ. და მერმელა უბრძანა ღელვათა მათ და ზლუასა, და იქმნა მყუდ-
 როებაჲ დიდი.

ხოლო უკუეთუ ვინ იტყოდის, ვითარმედ მისლვაჲ იგი უფლისა და გან-
 ღვძებაჲ არა შიშისა სასწაული იყო, არცა მცირედმორწმუნეობისაჲ, ესრეთ
 ვიტყჳ, ვითარმედ: ესე მებრ საქმე სასწაული იყო, ვითარმედ არა უწყოდეს
 ჯერეთ ძალი მისი ჯერისაებრ; რამეთუ ესე უწყოდეს, ვითარმედ ძალ-
 უც აღდგომად და შერისხვაჲ ზღვსაჲ მის, ხოლო ესე არღა იცოდეს, თუ მძინა-

¹ 2 კორ. 1,8-10.

რესაცა ძალ-უც ამისა ქმნად. და რად საკვრველ არს, უკუეთუ მაშინ ჯერეთ ვერ ღირსად გულისწმა-ჰყოფდეს საიდუმლოსა მას, ვინაფთჳან შემდგომად ესოდენტა სასნაულთაცა სრული იგი გულისწმის-ყოფად ვერვე აქუნდა, ვიდრემდის მოვიდა მათ ზედა სული წმიდად და სრული იგი გულისწმის-ყოფად მისცა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „ხოლო კაცთა მათ უკვრდა და იტყოდეს: რაბამ ვინ არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუადცა ერჩიან მას?“ (8,27).

თ ა რ გ მ ა ნ ი : გულისსიტყუათა მათთჳს კაცობრივისა უძლურებისათა თქუა ესრეთ, ვითარმედ კაცთა მათ ემხილა თჳსისა მის ბუნებისა უძლურებად და დაუკვრდა, ვითარმედ: „რაბამ ვინ არს ესე?“ რამეთუ ხედვიდეს მას ხილვითა კაცსა, და რომელ-იგი დაიძინებდა და ნავად აღვიდოდა, ესე ყოველი კაცობრივისა ბუნებისად იყო; ხოლო შერისხვად იგი ქართად და ზღვსად და ესრეთ შიშით მორჩილებად მათი ღმრთეებასა მისსა ნამებდეს. ამისთჳს განცკბრებულ იყვნეს და იტყოდეს: „რაბამ ვინ არს ესე?“ რამეთუ მოსეცა ქმნა სასნაული ზღუასა მას ზედა, არამედ ამისი ესე უაღრესობად შეუმსგავსებელ არს, რამეთუ იგი, ვითარცა მონად, იქმოდა სასნაულსა მას, ხოლო ესე – ვითარცა მეუფე და უფალი; არა განრთხმითა კუერთხისადთა, ვითარ-იგი მან ყო, არცა განჰყრობითა ჴელთაფთა ჴეცად და ვედრებითა, არამედ ვითარცა მეუფემან უბრძანის რად მონასა და ვითარცა დამბადებელმან – დაბადებულსა, ესრეთ უბრძანა და დააყუდა ბრძანებითა თჳსითა, და მეყსეულად ყოველი აღძრვად მისი დადუმნა, და არცა თუ კუალი ღელვისად იპოებოდა, ვითარცა იტყვს მახარებელი, ვითარმედ: „იქმნა მეყსეულად დაყუდება დიდ“. და ვითარცა წინაფსნარმეტყუელმან თქუა მამისათჳს, ესე ან ძემან ქმნა შეუცვალეებლად. რამეთუ რასა იტყვს წინაფსნარმეტყუელი მამისათჳს? – „თქუა, და აღდგა ქარი ნიაფქარისად, და ამალდეს ღელვანი მისნი“;¹ და მერმე იტყვს: „გარდააქცინა ნიაფქარნი მათნი ნიაფად“.² ეგრეთვე აქა მიშუებითა მისითა აღძრნეს ღელვანი იგი. კუალად ბრძანა, და „იქმნა მეყსეულად დაყუდება დიდ“. ამისთჳსცა უკვრდა მათ და იტყოდეს: „რაბამ ვინ არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუად ერჩიან მას?“

ხოლო ან ჩუენცა, მორწმუნენო, გულისწმა-ვყოთ, ვითარ-ესე დღითი-დღე ვიღელვებით და ვიგუემებით ნიაფქართა მათგან ცოდვისათა და ღელვისაგან ვნებათაფსა; და ნავნი სულთა ჩუენთანი დაიფარვიან ღელვათაგან, რამეთუ არსვე ნოდებულ მრავალთაგან სოფელი ესე ზღუად და შფოთნი იგი და აღძრვანი მისნი ღელვად. ან უკუე შეუფრდეთ უფალსა და ვლალატ-ყოთ ცრემლით და სულ-თქუმით: უფალო, მიწსნენ ჩუენ, რამეთუ წარვწყმდებით! ამას ჴმასა კაცად-კაცადი დაუცხრომელად სიღრმეთაგან

¹ ფსალმ. 106,25. ² შდრ. ფსალმ. 106,29.

გულისა თვისისათა ჳმობდინ უფლისა მიმართ, რადთა ისმინოს სახიერმან მან და მონყალემან და შეჳრისხნეს ქართა მათ ბრძოლისა ეშმაკთაჲსა და ზღუასა მას სოფლისასა, ჩუენ ზედა აღძრულსა, და იქმნას ნამის-ყოფითა მისითა დაყუდება დიდ. რამეთუ გჳხილნეს თუ მჳურვალედ და მოუნყინებელად მლაღადებელნი ჳმასა მას ვედრებისასა: „უფალო, მიჳსნენ ჩუენ, რამეთუ ნარენყმდებით“, არა მიმიშუას დანთქმად ლელვითა მით ცოდვისაჲთა. ხოლო მაშინ ესევეითართა რად სასნაულითა განაკჳრვნა და განამტკიცნა გულნი მონაფეთანი, გან-რად-ვიდეს ზღჳსაგან, კუალად უდიდებულესი საკჳრველებად აღესრულებოდა, ვითარცა იტყჳს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „და ვითარცა მოვიდა იგი მიერ კერძო სოფელსა მას გერგესეველთასა, შეემთხვნეს მას ორნი ეშმაკეულნი, რომელნი გამოვიდოდეს საფლავებისაგან, ფრიად ბოროტნი, ვითარმედ ვერვის ჳელ-ენიფა ნარსლვად მიერ გზით. და მათ ლაღატ-ყვეს და იტყოდეს: რად ძეს ჩუენი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისაო? რამეთუ მოხუედ აქა უნინარეს ჟამისა ტანჯვად ჩუენდა. იყო შორს მათგან კოლტი ღორთად მძოვარი. ხოლო ეშმაკნი იგი ევედრებოდეს და ეტყოდეს: უკუეთუ განგუასხამ ჩუენ, მიბრძანე ჩუენ მისლვად კოლტსა იმას ღორთასა. და ჳრქუა მათ: მივედით! ხოლო იგინი განვიდეს კაცთა მათგან და მიჳმართეს კოლტსა მას ღორთასა. და მიჳმართა კოლტმან მან ღორთამან კბოდესა მას ზღჳსასა, და მოსწყდეს იგინი ნყალთა მათ შინა. ხოლო მწყემსნი იგი ივლტოდეს და ნარვიდეს ქალაქად და უთხრეს ყოველივე იგი ეშმაკეულთა მათთჳს. მაშინ ყოველი იგი ქალაქი გამოვიდა შემთხუევად იესუსა. და იხილეს იგი და ევედრებოდეს, რადთა ნარვიდეს საზღვართა მათთაგან“ (8,28-34).

თ ა რ გ მ ა ნ ი : კაცნი ჳერეთ უმეცარლა იყვნეს და კაცად სახელ-სდებდეს მას, ხოლო ეშმაკნი იგუემებოდეს რად გამოჩინებითა მისითა და იცნეს უმეტესად, დაღაცათუ სრულიად ვერ დაიდასტურეს, არამედ ტანჯვისა მისგან, რომელ შეემთხუეოდა, სცნობდეს და ღმრთად აღიარებდეს მას, რადთა რომელთა ვერ ესმა უსიტყუელი იგი ქადაგებაჲ ზღჳსაჲ, რომელი მყის შიშითა მით და მყუდროებითა თჳსითა ღმრთეებისა მისისა ჳელმნიფებასა ლაღადებდა, მათ ესმეს ან ჳმამალლად ლაღადებდა ეშმაკთაჲ მათ, ვითარმედ: „რად ძეს ჩუენი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისაო? რამეთუ მოხუედ აქა უნინარეს ჟამისა ტანჯვად ჩუენდა“.

პირველად გამოაცხადეს მტერობაჲ და განდგომილებაჲ თჳსი, რადთა არა იჳუეულ იყოს სიტყუაჲ მათი, რამეთუ ძლიერად იტანჯებოდეს და დაინუებოდეს ხილვითა მისითა. ვინადთგან ვერვის ჳელ-ენიფებოდა მიახლებად მათდა და მოყვანებად ქრისტესა, ამისთჳს თავადი მივიდა მათ კერძოთა, და იხილეს რად იგი, ვერღარა თავს-იდებდეს მისმიერსა მას ტანჯვასა.

და მათე იტყჳს, ვითარმედ ჳრქუეს მას: „მოხუედ აქა უნინარეს ჟამისა ტანჯვად ჩუენდა“; ხოლო ლუკა ამასცა შესძინებს, ვითარმედ: „ევედ-

რებოდეს მას, რადთა არა უბრძანოს უფსკრულთა შთასლვად¹, რამეთუ ჰგონებდეს, თუ ანვე მოაწევს მათ ზედა სატანჯველსა, და ძრნოდეს, ნუ-უკუე მიეცემიან საგუემელად. ხოლო რომელ-იგი ლუკა და მარკოზ ერთსა გვთხრობენ ეშმაკეულსა მას, და მათე ორთა იტყვს, არცა ესე სიტყუად არს ურთიერთას წინააღმდეგომი. რამეთუ უკუეთუმცა იგინი იტყოდეს, თუ ერთი ხოლო იყო და სხუად არა იყო, იპოვნესმცა წინააღმდეგომ მათესა; ხოლო ვინათგან ესევითარი არარად არს, არამედ იგინი ერთისა მის ეშმაკეულისა განკურნებასა ოდენ იტყვან, ხოლო ესე ორთასავე წარმოიტყვს, არა ურთიერთას ცილობად არს ესე, არამედ ერთისა მის საქმისა თითოსახედ თხრობად. რამეთუ ეშმაკეულნი იგი, სიტყვსაებრ მათესა, ორნი იყვნეს, ხოლო ერთი მათგანი სასტიკი რადმე იყო და მძვნვარე და სიფიცხისა მის მისისათვს და სასტიკებისა მას ოდენ ავსენებენ ლუკაეთნი. ამისთვისცა წარმოიტყვს სიბორგილესა მისსა ლუკა, ვითარმედ: „მრავლით ჟამითგან სამოსელი არა შეემოსა და სახლსა შინა არა იყოფებოდა, არამედ საფლავებსა. და შებორკილიან იგი ჯაჭვთა და საკრველითა, და განხეთქნის საკრველნი და იდევენბინ უდაბნოთა“.² ხოლო მარკოზ ამასცა შესძინებს, ვითარმედ: „მთათა გარე იქცევიან და ლალადებნ და დაიკოდნ თავსა თვსსა ლოდითა“.³ ან უკუე ორთა მათ მახარებელთა ერთისა მისთვის ფიცხელისა მის და სასტიკისა ყვეს თხრობად თვის და მეორისად მის დაიდუმეს, ხოლო მათე ორთათვსვე თქუა. ესე უკუე, ვითარცა ვთქუ, არა ცილობად არს, არცა წინააღმდეგომად.

იხილეთ უკუე ეშმაკათა მათ ძრნოლაფცა და ურცხვნობედა, „მოხუედიო უწინარეს ჟამისა ტანჯვად ჩუენდა“. ამას ვერ იტყოდეს, თუ არა ღირს ტანჯვისა არიან, არამედ ევედრებოდეს არა მიცემად იგინი სატანჯველთა პირველ ჟამისა. რამეთუ ვინათგან პოვნა იგინი უფალმან ესევითართა მათ უღმერთობათა შინა, ვითარ დაბადებულთა მისთა ესრეთ უწყალოდ სტანჯვიდეს და ძკრ-ძკრად ჰგუემდეს, ჰგონებდეს, ვითარმედ გარდარეულისა მისთვის უკეთურებისა მათისა ანვე მისცნეს იგინი სატანჯველსა, პირველ განწესებულისა მის ჟამისა ტანჯვისა მათისაჲსა. ამისთვის ევედრებიან, რადთა არა ტანჯნეს იგინი პირველ მის ჟამისა, და რომელთა საკრველნი რკინისანი ვერ იმჭირვიდეს, მოვლენ მის წინაშე კრულნი კრულებითა ბრძანებისა მისისაჲთა; და რომელნი უდაბნოთა რბიოდეს, მოვიდეს ველად წინაშე მისა; რომელნი სხუათა აყენებდეს სლვად გზასა მას, იხილეს მაყენებელი მათი და შეძრწუნდეს და, ვითარცა მონანი განდგომილნი, წარმოდგეს შეძრწუნებულნი და დაღონებულნი.

ხოლო რადსათვს საფლავებსა შინა იქცეოდეს? რამეთუ ყოვლისავე ბოროტისა განმრავლებად კაცთა შორის მოსწრაფე იყვნეს. ამისთვის ამასცა იქმოდეს, რადთა წვალებად იგი განჰფინონ სოფელსა შინა, რომელსა იტ-

¹ ლუკ. 8,31.

² ლუკ. 8,27,29.

³ მარკ. 5,5.

ყვან დაბრმობილნი იგი მათითა მით საცთურითა, ვითარმედ სულნი მკუ-
 დართანი ეშმაკთა შეერთვიან, რომელ-ესე ნუ იყოფინ მოსლვადცა ვისსამე
 გონებასა. არამედ უღმრთონი იგი იტყვან ეშმაკთა მაგიერ, ვითარმედ: რად
 სთქუა, ოდეს იხილნე მრავალნი გრძნეულნი, ვითარ ყრმათა დაჰკლვენ,
 რადთა სული იგი აქუნდეს თანაშემნედ გრძნებისა თვისისა? ხოლო მე ვეტყვ
 ცნობამიღებულთა მათ: ვინაჲ საცნაურ არს ესე? მითხარლა! რამეთუ ამას,
 ვთქუათ, თუ იტყვან მრავალნი, ვითარმედ: გრძნეულნი დაჰკლვენ ყრმათა,
 ხოლო ესე, თუ სულნი იგი დაკლულთანი მათ თანა არიან, ვინაჲ საცნაურ-
 გეყო, მაუნყეთ მე! ეშმაკნი იტყვანო, თუ: მე მის ვისიმე სული ვარი. ეჰა
 სიტყუად სავსე ფრიადითა სიცოფითა! ჰ გონებაჲ იგი ცთომილი, რომელი
 ამას შეინყნარებს! უგუნურო და სანყალობელო, რომელი ჭეშმარიტებაჲ
 იხილე ეშმაკთა თანა, რომელ მათი სიტყუად სარწმუნოდ შეგირაცხიეს? არა
 უწყია, ვითარმედ რაოდენსაცა ესე ვითარსა იტყვან ეშმაკნი, საუცრად კაც-
 თა იტყვან? რადთა რომელთაცა ჰრწმენეს მათი, გონებაცთომილ იქმნენ.
 უკუეთუ არა, ვინმცა უმეცარ იყო საქმესა ამას, ვითარმედ შეუძლებელ
 არს სულისა კაცობრივისა ეშმაკთა თანა შერთვად? არცა ჯელ-ენიფების
 კაცსა მას გრძნებისა მოქმედსა შეცვალებად სულისა სხუად არსებად. რად
 ვიტყვ სულსა? არცა თუ ჯორცთა ძალ-უც შეცვალებად, რადთამცა ყვნა
 ჯორცნი კაცობრივნი კარაულისა ანუ ზროხისა, ანუ სხვსა რადსმე პირუტ-
 ყვსა. დაღაცათუ უცნებით რადმე ესე ვითარი აჩუენოს, ყოველივე სიცრუე
 არს და უცნება. ან უკუეთუ ჯორცთა ამათ ხილულთა ვერ ჯელ-ენიფების
 შეცვალებად, სული იგი უხილავი ვითარ ძალ-უც შეცვალებად? ნუ იყო-
 ფინ უშჯულოდ ესე სიტყუად, ნუ იყოფინ! ესე სიტყუანი ზღაპარნი არიან
 დედაბერებრნი და სამღერელნი ყრმათა უგუნუროთანი; რამეთუ სული გან-
 რად-ვიდეს ჯორცთაგან, არლარა ჯელ-ენიფების აქა ყოფად სოფელსა შინა.
 რამეთუ „სულნი მართალთანი ჯელთა შინა ღმრთისათა არიან“,¹ ეგრეთვე
 ჩჩკლთაცა ყრმათა ნათელღებულთანი, რამეთუ იგინიცა უცოდველ არიან.
 ხოლო ცოდვილთა სულნი, გან-რად-ვიდენ ჯორცთაგან, მეყსეულად წარიყ-
 ვანებიან ამიერ სოფლით, ვითარცა საცნაურ არს ლაზარესგან და მდიდ-
 რისა მის.

და კუალად სხუასა ადგილსა იტყვს უფალი: „უგუნურო, ამას ღამესა
 მიგიღონ სული შენი შენგან“.² საცნაურ არს უკუე და სარწმუნო, ვითარ-
 მედ სული გან-რად-ვიდეს ჯორცთაგან, არლარა ჯელ-ენიფების სოფელსა
 ამას შინა ქცევად, არამედ წარიყვანებენ მას, რომელთაცა მიიღონ. ამის-
 თვსცა სტეფანე იტყოდა: „უფალო იესუ ქრისტე, შეივედრე სული ჩემი!“³
 და პავლე იტყოდა: „მსურის განსლვად ამიერ და ქრისტეს თანა ყოფად“;⁴
 და მამადმთავრისა მისთვს წერილ არს, „მოკუდა სიბერთა კეთილითაო და
 შეეძინა მამათა თვსთა“;⁵ ესე იგი არს, ვითარმედ მათ თანავე წარვიდა სული

¹ სიბრძ. სოლ. 3,1.

² ლუკ. 12,20.

³ საქმე 7,59.

⁴ ფილიპ. 1,23.

⁵ დაბ. 25,8.

მისი. ეგრეთვე უკუე არცა ცოდვილთა სულნი იქცევიანლა აქა შემდგომად ჯორცთაგან განსლვისა. და ისმინე, ვითარ მდიდარი იგი ამის ჯერისათჳს ევედრებოდა, რადამცა მივიდა და აუწყა ძმათა თჳსთა, და არავე ჴელ-ენიფა მას. ხოლო ჴელ-თუმცა-ენიფებოდა, მო-მცა-სრულ იყო და ეუწყა მუნ ყოფადი იგი.

ამის ყოვლისაგან საცნაურ არს, ვითარმედ შემდგომად ამიერ განსლვისა სულნი წარიყვანებიან უხილავსა მას სოფელსა, თითოეული შემსგავსებულსა თჳსთა საქმეთასა, გინა თუ განსასუენებელსა, გინა თუ საჭირვებელსა; და არღარა უფალ არიან აქა მოსლვად, არამედ მოელიან საშინელსა მას დღესა განკითხვისასა.

და კუალად ამასცა გამოეძიებენ ვინმე, ვითარმედ: რადსათჳს ისმინა უფალმან თხოად იგი ეშმაკთად და უბრძანა კოლტსა მას ღორთასა შესლვად? არამედ გულისჴმა-ყავნ მეტყუელმან მან, ვითარმედ არა თუ მათისა სიტყვსათჳს უბრძანა ესე უფალმან, არამედ ამასცა შინა განგებულეზასა აღასრულებდა: ერთად, რადთა ასწაოს განთავისუფლებულთა მათ ეშმაკთაგან, თუ ვითარისა ბოროტისაგან იჴსნნა იგინი; მეორედ, რადთა ცნან ყოველთა, ვითარმედ არცა თუ ღორთა ჰკადრებენ, უკუეთუ ღმერთმან არა მიუშუას; მესამედ, რადთა გულისჴმა-გყოთ, ვითარმედ უკუეთუმცა განსაცდელსა მასვე შინა უკუეთუმცა არა ილუნიდა კაცთა მათ განგებულეზად ღმრთისად, ფრიად უძკრესიმცა შეემთხვა ღორთასა, რამეთუ ესე ყოველთა მიერ საცნაურ არს, ვითარმედ კაცთა მიმართ არს უმეტეს სიძულილი და მტერობად ეშმაკთად, ვიდრელა პირუტყუთა. ან უკუე რომელთა არა ჰრიდეს ყოვლადვე კოლტსა მას ღორთასა, არამედ ყოველნივე შთაამთენეს მეყსა შინა, არამცა უფრომსად კაცთა მათ ზედა ქმნეს ესე ვითარი, უკუეთუმცა განგებულეზად ღმრთისად არა აღკრ-ასხმიდა მათ? ამისთჳს საცნაურ არს, ვითარმედ არა არს კაცი, რომელსა ზედამცა არა აჩუენებდა ღმერთი წყალობასა თჳსსა და მოლუანებასა, რომელთამე ზედა – დიდად და რომელთამე ზედა – უმცირესად, ვითარცა იცინ კაცად-კაცადისა ღირსებად და უმჯობესი. გარნა ყოველთა ზედა არს განგებულეზად მისი და ილუნის ყოველთაცა ზოგად და კაცად-კაცადსაცა თითოეულად, ვითარცა ჰრქუა მონაფეთა: „ხოლო თქუენნი თმანიცა თავისანი აღრაცხილ არიან“.¹ ამათ ესე ვითართა მიზეზთათჳს უბრძანა მისლვად კოლტსა მას ღორთასა, რადთა მკკდრთაცა მის სოფლებისათა ისწაონ სახელი მისი, რამეთუ სადა-იგი დიდ არნ სახელი მისი, არა მრავალი აჩუენის სასწაული, ხოლო რომელნი არა მეცნიერ მისა იყვნიან, განჰფინის ბრწყინვალეზად იგი სასწაულთად, რადთა მოიყვანნეს იგინი ღმრთისმეცნიერებად. ხოლო მკკდრნი მის ქალაქისანი ვითარ სრულიად წარწყმედილნი იყვნეს და უგულისჴმონი, საქმე მათი საცნაურ-ჰყოფს, რამეთუ თანაედვა თაყუანის-ცემად უფლისად

¹ მათ. 10,30.

და განკვრევბა დიდებულსა მას სასწაულსა ზედა, ხოლო იგინი ევედრებოდესო, რადთა წარვიდეს საზღვართაგან მათთა.

ხოლო რადსათჳს შთააშთვნეს ღორნი იგი ეშმაკთა? რამეთუ მარადის მოსწრაფე არიან, სადაცა მიეცეს ჴელმწიფებად, შენუხებად კაცთა, და ყოველთავე წარწყმედასა ზედა მოხარულ არიან, ვითარცა-იგი იობის საცხოვართა უყო ეშმაკმან, მიილო რად ღმრთისაგან მიშუებად გამოსაცდელად მართლისა მის, და რადთა სირცხვლი მიექცეს თავსა ეშმაკისასა. ეგრეთვე აქაცა, პოეს რად მიშუებად, განიხარეს წარწყმედასა მას ზედა ღორთასა. გარნა ეგრეთცა თჳსი იგი უკეთურებად და უძლურებად გამოაჩინეს, ვითარმედ არცა თუ ღორთა ზედა ძალ-უც თჳნიერ მიშუებისა ღმრთისა.

ხოლო ძალსა ამის საქმისასა უკუეთუ სულიერისაცა კერძო ვის ენებოს გულისჴმის-ყოფად, არარად არს დამაყენებელ. რამეთუ ცხადი ძალი ამათ სიტყუათად ესე არს, რომელ ვთქუ; ხოლო ჯერ-არს უწყებად, ვითარმედ რომელნიცა კაცნი არიან ღორთა მიმსგავსებულ, ადვილად შეინწყნარებენ ეშმაკისა ბრძოლათა; და ვიდრემდის წესსა შინა და გონებასა კაცობრივსა ეგნენ, მძლე ექმნებიან ეშმაკთა, ხოლო ღორთა თუ მიემსგავსნენ, მაშინ არა თუ ოდენ ეშმაკეულ იქმნებიან, არამედ ზღუასაცა შთაიშთვებიან. და ამის სიტყუსა ჭეშმარიტებად, უკუეთუ ინებოს კაცად-კაცადმან, გულისჴმა-ყოს.

ხოლო ძლიერებასა მას თანა მეუფისასა იხილე სიმშჳდეცა და სულგრძელებად მისი, რამეთუ ესევითარსა მას ქველისმოქმედებასა ზედა იტყოდეს რად მკვდრნი იგი მის ქუეყანისანი წარსლვად საზღვართა მათთაგან, არა წინააღუდგა, არამედ წარვიდა და განეშორა მათ, რომელთა-იგი თავნი თჳსნი უღირსად გამოაჩინნეს. ხოლო დაუტევენა მათ მასწავლელად განთავისუფლებულნი იგი ეშმაკთაგან და მწყემსნი იგი ღორთანი, რადთა მიუთხრობდენ, რად-იგი თუალითა იხილეს, და ამხილებდენ უგულისჴმოებასა მათსა, რამეთუ ყოვლით კერძო იქადაგებოდა საკვრველი იგი დიდებული.

სწავლად კჳ

ვითარმედ კაცი უფლებული ცოდვათაგან არარადთა განყოფილ არს ეშმაკეულისაგან

ხოლო ანცა იხილვების ესევითარი მრავალი, რამეთუ არიან ანცა ეშმაკეულნი მსგავსნი მათსა, რომელნი-იგი საფლავებსა შინა მკვდრ იყვნეს, და ამათსაცა სიბორგილესა ვერარად წინააღუდგების: არცა სწავლად, არცა სიტყუანი წერილთანი, არცა სიმრავლე ერისად, არცა შიში ღმრთისად, არცა სირცხვლი კაცთად, არცა საკრველნი ბუნებისანი, არცა სხუად რად ესევითარი. გულისჴმა-ყავთლა: კაცი სიძვისმოყუარე და ტრფიალებული

ჯორჯიელთა ვნებათა არარაფთა განყოფილ არს ეშმაკეულთაგან, არამედ შიშუელი მიმოვალს; დაღაცათუ ხილულითა ამით სამოსლითა მოსილ არს, არამედ სულიერისა მის სამოსლისაგან შიშუელ არს; არა იყოფების სახლსა შინა, არამედ საფლავებსა, რამეთუ სულმყარლობა იგი ბილწე-ბათაჲ, რომელთა ეძიებს, უძკრეს სულმყარობისა მის სამარეთაჲსა არს; არა დაიკოდს თავსა თვსსა ლოდითა, არამედ ბილწებითა ცოდვათაჲთა, რომელ-იგი უძკრეს არს ყოვლისავე ლოდისა. ვინ უძლოს ესევეთარისა მის შეკრვად? ვინ დააცხრვოს უშუერებისა მისგან და სიბორგილისა, რომელი არაოდეს არს გონებასა თვსსა, არამედ საფლავებსა შინა იყოფების? განხეთქს საკრველთა მათ კრძალულებისათა და მათათა შინა იქცევის, უდაბნოთა საღმრთოჲსა წესისაგან. ჭემმარიტად, უკუეთუ არა უფალმან მოხედნეს მას ზედა და განიოტნეს მის შორის დამკვდრებულნი იგი ეშმაკნი, ძნელ არს კურნებაჲ მისი.

ეგრეთვე კუალად ვეცხლისმოყუარე და ანგაჰრი არა ყოვლისავე ეშმაკეულისა უძკრეს არსა? რომლითა ვინ საკრველითა შეკრას იგი? რამეთუ მასცა განუგდიეს შიში ღმრთისაჲ და სირცხვლი კაცთაჲ, არა იწსენებს ჭირსა მას ჯოჯოხეთისასა, არა სწადის სასუფეველისათვს ცათაჲსა, არა ჰრცხუენის რჩულთა მათგან ბუნებისათა, არამედ ყოველთავე საკრველთა ამით განიყრის და, ვითარცა ეშმაკეული, მიმოეკუეთების, უფროსად უძკრესცა მისსა არს, რამეთუ ეშმაკეული იგი დაღაცათუ კაცთაგან უკურნებელ იყო, არამედ ბრძანებასა მას მეუფისასა ძრწოლით დაემორჩილა, ხოლო ესე არცა მას ჰმორჩილობს. აჰა ესერა ესმის მარადლე ბრძანებაჲ მისი, ვითარ იტყვს, ვითარმედ: „ვერ ჴელ-გენიფების მონებად ღმრთისა და მამონაჲსა“¹, და გეჴენისა შიშსა წინაუყოფს და საუკუნეთა მათ სატანჯველთა გულისწმა-უყოფს, და ვეცხლისმოყუარებისაგან ძლეული იგი არა შეიგონებს. ამისთვს ვთქუ, თუ უძკრეს ეშმაკეულისა არს ესევეთარი იგი. და მე ჯერმიჩნს მრავალთა ეშმაკეულთა თანა ყოფად, ვიდრელა ერთისა თანა ესევეთარისა. და საცნაურ არს, ვითარმედ არა ვსცთები ამას სიტყუასა ზედა, რამეთუ ვეცხლისმოყუარენი ყოველთავე კაცთა მავნებელ არიან: აზნაურთა ისწრაფიან მონა-ყოფად, ობოლთა დაჴქენჯნიან, ქურივთა სტყუენვენ, გლახაკთა სძარცუვენ, მრავალნი სახლნი დაარღვენს, მრავალნი ქალაქნი შეაშფოთნეს. ხოლო ეშმაკეული თავსა ხოლო თვსსა ავენებს და უფროსად ყოველთა მიერ წყალობისა ღირს არს, რამეთუ იძულებით შეემთხუევის ყოველივე იგი განსაცდელი და არა ნეფსით, ვითარცა მათ.

რომელთამცა ეშმაკეულთა ქმნეს ესევეთარი ბოროტი, ვითარ ქმნა იუდა გარდარეული იგი ურჩულოებაჲ? და ყოველნივე, რომელნიცა მობაძავ მისსა არიან, მრავლითა ბოროტითა აღავსებენ სოფელთა და ქალაქთა. არიან მათ ზედაცა საკრველნი: შიში იგი მთავართაჲ, წესნი იგი რჩული-

¹ მათ. 6,24.

სანი, ბრალობანი კაცთანი, სწავლანი წერილთანი; არამედ ყოველსა მას, უკუეთუ შეუძლონ, განჭებეთქენ და მიმოეკუეთებინან, ვითარცა განცოფებულნი. ამისთვისცა რომელი ამის ვნებისაგან სრულიად უფლებულ იყოს, ვერარას ვჰპოვებ მისისა სიბორგილისა სახესა. გარნა ვამსგავსებ კაცსა ვისმე ეშმაკისა მსგავსსა, რომლისა ხილვად იყომცა შავ და უშუერ, ცეცხლი სცკვინ თუალთა, და კუამლი საჭუმილისად გამოვალნ საყნოსელთაგან, ორნივე ველნი მისნი ვეშაპნი იყვნიან გესლიანნი, და პირსა შინა მისსა კბილთა წილ მახვლნი აღლესულნი განწყობილ იყვნიან, ხოლო ენისა წილ წყაროდ გესლისა მაკუდინებელისა აღმოეცენებინ; ხილვად პირისა მისისა არნ, ვითარცა ხილვად ძაღლისა და მგლისად შეერთებული; მუცელი მისი, ვითარცა საჭუმილი ცეცხლისა, განმლეველ არნ ყოველისავე, და ფერწნი მისნი აღისა მსგავსად მსწრაფლ შემწუველ; ჳმად მისი არა ჳმად არნ კაცისად, არამედ სასტიკი რადმე და საძაგელი ოხრა; კაცისმჭამელ არნ იგი და უწყალოდ მომწყუედელ, ვინცა პოის. ნუუკუე საშინელად აღგიჩნდა სახე ესე? არამედ ვერვე გამომისახავს ჯეროვნად გონებად იგი ანგაჰრისად, არამედ ფრიად უძკრეს არს ამისა: ყოველთავე სწადის შთანთქმად, ვითარცა ჯოჯოხეთსა; მბრძოლი არს ბუნებისა კაცობრივისა; სწადინ, რადთამცა ყოველი მას აქუნდა; სურის, რადთამცა ქვანი და ძელი ოქრო იქმნეს. და უკუეთუ გნებავს ცნობად, ვითარმედ ჭემმარიტსა ვიტყვ, გიჩუენამცა ვინ გონებად მთავრისა ანგაჰრისად, რომელსა ველმნიფებად თანაშენენვიან უკეთურებისა მისისა გამოჩინებად, და იხილეთმცა ჭემმარიტებად სიტყუათა ჩემთად. ესე ვნებად რომელთაცა ეუფლოს, სრულიად განიყვანებს წესთაგან საღმრთოთა და ბუნებისაცა მბრძოლად გამოაჩინებს. არავის ჰრიდებნ ანგაჰრი, არცა თვსსა, არცა მეგობარსა, არცა ძმასა, არცა თუ მშობელსა, რამეთუ მრავალგზის ძმათა მიმართ და მშობელთა და შვილთა მბრძოლად გამოჩნდეს ანგაჰრნი; მრავალთა შიშთვილ-იბესცა ამის ვნებისაგან ცნობამიღებულთა. ამისთვის ჭემმარიტ არს სიტყუად ჩემი, ვითარმედ ფრიად უძკრეს არს ეშმაკეულისასა ანგაჰრებისა მიერ და ვეცხლისმოყუარებისა უფლებული.

ხოლო რად სთქუა მათთვისცა, რომელთა მრისხანებად, ანუ შური, ანუ ძკრის-ვსენებად ეუფლოს? არა იგინიცა ეშმაკეულ არიანა და უძკრესცა ეშმაკეულთასა? და რადთა არა ფრიად განმრავლდეს სიტყუად ესე ჩემი, თქუენ დაგიტევებ გულისწმის-ყოფად თითოეულისა ვნებისათვს, ვითარ რომელიცა ვის სრულიად ეუფლოს, ცნობამიღებულ და ეშმაკეულ ჰყოფს. ამისთვის თქუმულ არს, ვითარმედ: „რომლისაგანცა ძლეულ არს კაცი, მისდაცა დამონებულ არს“.¹ ან უკუე თითოეულისა ვნებისა ეშმაკი არს; რომელი იძლიოს და დაემონოს ეშმაკსა რომლისავე ვნებისასა, არა ეშმაკეულ არსა ესევეითარი იგი?

¹ შდრ. 2 პეტ. 2,19.

ან უკუე ესე ყოველი, ძმანო, გულისჴმა-ვყოთ და ნუ ვიქმნებით მონა ვნებათა, არამედ აზნაურებად იგი, რომელი ქრისტემან მოგუანიჭა, შევიტკობოთ და მას მხოლოსა ვჴმონოთ, რომელმან მიჴსნნა ჩუენ მონებისაგან ეშმაკისა; ვითარცა იტყვს მოციქული პავლე, ვითარმედ: „მონანი ხართ, რომელსაცა ერჩით; გინა თუ ცოდვასა სიკუდილდ, ანუ მორჩილებად სიმართლისა“;¹ და მერმე იტყვს: „ვითარცა წარუდგინენით ასონი ეგე თქუენნი მონებად არანმიდებასა და ურჩულოებასა ურჩულოებად, ეგრეცა ან წარუდგინენით ასონი ეგე თქუენნი მონებად სიმართლესა სინმიდედ“;² და შემდგომი ამისი.

ამისთვის, საყუარელნო, ვისწრაფოთ განთავისუფლებად მონებისაგან ვნებათაჲსა და ვჴმონოთ სიმართლესა, რადთა ამასცა სოფელსა სინმიდით ვცხონდებოდით, და გამოგჴნდეს ნათელი მზისა მის სიმართლისაჲ და მკკდრ ვიქმნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა, რომელთა ღირსმცა ვართ მიმთხუევად მაღლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით ნმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ რომ. 6,16.

² რომ. 6,19.

თავი 30

სიტყუაჲ ესე: „და შევიდა ნავსა და წიაღჳდა და მოვიდა თჳსა ქალაქად. მაშინ მოართუეს მას განრღუეული, ცხედარსა ზედა მდებარე. და იხილა იესუ სარწმუნოებაჲ იგი მათი და ჰრქუა განრღუეულსა მას: ნუ გეშინინ, შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი!“ (9,1-2).

თჳსად ქალაქად ამას ადგილსა კაპერნაუმსა იტყჳს, რამეთუ ბეთლემს იშვა და ნაზარეთს აღიზარდა და მერმე დაუტევა ნაზარეთით და მოვიდა და დაემკვდრა კაპერნაუმს. ამას უკუე სახელ-სდვა ან მახარებელმან თჳსა ქალაქად.

ხოლო განრღუეული ესე სხუად არს და არა იგი, რომლისათჳს იოვანე იტყჳს, რამეთუ იგი საბანელსა მას იერუსალჳმისასა მდებარე იყო, ხოლო ესე – კაპერნაუმს; მას ოცდაათრვათეტი წელი აქუნდა, ხოლო ამისთჳს ესე-ვითარი არარად თქუმულ არს. მას მსახური არა ჰყვა, ხოლო ამას ჰყვეს მოლუანენი, რომელთაცა ეტკრთა იგი, და მოიყვანეს უფლისა; ამას ჰრქუა: „შვილო, მიგეტევნენ ცოდვანი შენნი“, ხოლო მას ეტყოდა: „გნებავსა, რათა განიკურნო?“¹ იგი განკურნა შაფათსა შინა, ხოლო ესე არა შაფათსა შინა ქმნა; უკუეთუ არა, აქაცამცა ებრაღა ჰურიათა. ესე ყოველი ამისთჳს ვთქუ, რათა არავინ ჰგონებდეს, თუ ერთისათჳს იტყოდეს მათე და იოვანე, და შეცვალებისა მისთჳს თქუმულთაჲსა შეჰრაცხონ ცილობად სიტყუაჲ მათი; არამედ უწყოდინ, ვითარმედ მათე და მარკოზ და ლუკა ერთისა ამისთჳს წარმოიტყჳან, ხოლო რომელი-იგი იოვანეს სახარებასა შინა წერილ არს, სხუად არს და არა ესე.

გულისწამა-ყავთ უკუე სიმდაბლე მეუფისაჲ და სახიერებაჲ, რამეთუ პირველ, იხილა რად შეკრებაჲ ერისა მის ფრიადისაჲ, წიაღვლო მიერ; მერმე, ჰრქუეს რად გერგესეველთა მათ წარსლვად საზღვართაგან მათთა, წარვიდა სახიერებით და არარას წინააღუდგა; და ენება რად წიაღსლვად ზღვსაჲ მის, ნავად აღვიდა, რომელსა ეძლო ფრწივცა წიაღსლვად. რამეთუ არა უნდა მარადის უაღრეს ბუნებისა კაცთაჲსა ქმნად საკვრველებისა, რათა არა ბუნებაჲ იგი ჯორცთად არაჟემმარიტად შეჰრაცხონ.

ხოლო განრღუეულისა მისთჳს მათე იტყჳს, ვითარმედ: „მოართუეს მას განრღუეული, ცხედარსა ზედა მდებარე“. და სხუანი მახარებელნი იტყჳან, ვითარმედ: სართული სახლისაჲ აღსძარცუეს და გარდაუტევეს იგი წინაშე იესუჲს,² და იხილა რად სარწმუნოებაჲ მათი, უძღურისაჲცა და მოლუანეთაცა მისთად (რამეთუ ორთასავე მოასწავებს სარწმუნოებასა, გარნა უმეტესი განრღუეულისაჲ მის იყო), ამისთჳსცა ესმა სანატრელი იგი და სანადელი წმად სახიერისა უფლისაჲ: „ნუ გეშინინ, შვილო, მიგე-

¹ იოან. 5,6.

² მარკ. 2,4; ლუკ. 5,19.

ტვენენ შენ ცოდვანი შენნი!“¹ სიტყუად ესე ტკბილი და სასურველი! ზ ვინ-
მცა მასმინა ჳმაჲ ესე დიდებული! გარნა შენ, სახიერო მეუფეო, თქუ ჩემდა
მომართცა აურაცხელისა წყალობისა შენისათჳს, რამეთუ ყოველივე ძალ-
გიც, მაცხოვარო!

არამედ ესეცა ჩუენ ზედა არს, ძმანო, უკუეთუ შორს-ვეყვნეთ თავნი
ჩუენნი ბოროტთაგან და შეუვრდეთ მას სარწმუნოებითა მწურვალითა,
თქუას ჩუენდა მომართცა: „მიგეტვენენ ცოდვანი“, რამეთუ წადიერ არს
იგი მიუთხრობელისა მის სახიერებისა მისისათჳს მოტევებად ცოდვათა
ჩუენთა, და მიზეზსა ოდენ ეძიებს ჩუენ მიერ შეწყალებად ჩუენდა უხუად
მომნიჭებელი იგი.

„ნუ გეშინინ, შვილო, მიგეტვენენ ცოდვანი შენნი!“ ჳელმწიფებითა დი-
დითა განხეთქნა ჳელისწერილნი ცოდვათანი, რადთა აჩუენოს სწორებად და
ერთარსებად მისი მამისა თანა. და ესრეთ გულისჳმა-ყავ: პირველად აჩუე-
ნა მოძღურებისა მის მიერ, რამეთუ იყო სწავლად მისი, ვითარცა ვის ჳელ-
მწიფებად აქუნ; მერმე აჩუენა კეთროვნისა მის მიერ, რამეთუ ჰრქუა: „მნე-
ბავს, განწმიდენი!“ კუალად აჩუენა ასისთავისა მიერ, რაჟამს თქუა მან,
ვითარმედ: „სიტყვთ ხოლო თქუ, და განიკურნოს მონად ჩემი“. და სთნდა
უფალსა სიტყუად მისი და აქო სარწმუნოებად მისი; მერმე აჩუენა, რაჟამს
სიტყვთ ხოლო და ბრძანებითა აღჯრ-ასხნა ზღუასა მას; კუალად აჩუენა
განსხმითა მით ეშმაკთადათა დიდითა ჳელმწიფებითა, რაჟამს თჳთ იგინი
ალიარებდეს მას ძედ ღმრთისა.

ხოლო ან ამას ადგილსა სხჳთა უალრესითა და უზეშთაესითა სახითა
განაგო, რადთა თჳთ მათ მტერთა აღიარონ სწორებად მისი მამისა თანა, და
მათითა პირითა აღმოათქუმიან დიდებად მისი, რამეთუ თავადი სახითა სიმ-
დაბლისადათა აღასრულებდა საქმესა თჳსსა. ამისთჳსცა რაჟამს-იგი კრებუ-
ლი ერისა დიდისაჲ იყო გარემო მისა, ვიდრელა შესლვად ვერ ჳელ-ენიფე-
ბოდა და სართულით გარდაუტევეს განრღუეული იგი, არა შეისწრაფა გან-
კურნებად ჳორციელისა მის სნეულებისა, არამედ პირველად უხილავნი იგი
წყლულებანი სულისანი განკურნნა მიტევებითა ცოდვათადათა, რომელ-ესე
უძღურსა მას დიდად სარგებელ ეყოფებოდა, ხოლო იესუს არარას ქებასა
მოატყუებდა ერისა მისგან უხილავობისათჳს სასწაულისა მის.

ხოლო მწიგნობარნი იგი, აღვსებულნი შურითა, ისწრაფდეს ბრალობი-
სა დადებად მის ზედა და უნებელად მათდა გამოაცხადეს ყოველთა ზედა
საკვრველებად იგი; რამეთუ ჳელოანმან მან ყოველსა ზედა ესეცა სიბრძნით
განანესა, რადთა შური იგი მათი განმაცხადებელად საკვრველებისა მის
იქმნას. რამეთუ ვინადათგან ამბოხებდეს იგინი და იტყოდეს, ვითარმედ:
„ესე გმობს; ვის ჳელ-ენიფების მიტევებად ცოდვათა, გარნა მხოლოსა
ღმერთსა?“¹ იხილეთ, რად მიუგო მათ: არა განაქარვა იქჳ იგი მათი, არცა

¹ მარკ. 2,7.

ჰრქუა, თუ: რაღსათჳს მწამებთ ესევეითარსა ამას საქმესა, რამეთუ არა არს ჩემ თანა ესევეითარი ჳელმწიფებად, არამედ უფროჳსად დაამტკიცა სიტყუად იგი სიტყუთა თჳსითა და აღსრულებითა მით სასწაულისადათა, რაღათა მათვე მიერ, მტერთა მათ და მბრძოლთა, ესმას ერსა მას საკჳრველებად იგი, არა თჳსთაგან ხოლო. რამეთუ ქადაგეს დიდებად მისი მადიდებელთა მისთა, კეთროანმან მან და ასისთავმან, და აწ მტერთაცა და წინააღმდეგობთა აღმოთქუეს, დალაცათუ არა უნდა; რამეთუ თქუეს რად, ვითარმედ: „ვის ჳელ-ენიფების მიტევებად ცოდვათა, გარნა მხოლოსა ღმერთსა?“ მიუგო უფალმან და ჰრქუა მათ:

სახარებად: „**რაღსათჳს თქუენ ბოროტსა ჰზრახავთ გულთა შინა თქუენთა? რად უადვილეს არს სიტყუად: მიგეტევენენ ცოდვანი შენნი, ანუ სიტყუად: აღდეგ და ვიდოდე? ხოლო რაღათა უწყოდით, რამეთუ ჳელმწიფებად აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა, მაშინ ჰრქუა განრღუეულსა მას: აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახედ შენდა! და იგი მეყსეულად აღდგა და წარვიდა სახედ თჳსა. იხილა რად ესე ერმან მან, დაუკჳრდა და აღიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოსცა ესევეითარი ჳელმწიფებად კაცთა“ (9,4-8).**

თარგმანი: სხუასაცა ადგილსა, ეტყოდეს რად ჰურიანი, ვითარმედ: „კეთილისა საქმისათჳს ქვასა არა დაგკრებთ შენ, არამედ გმობისათჳს, რამეთუ კაცი ხარ და გიყოფიეს თავი შენი ღმერთ“,¹ არა დაჰჳსნა სიტყუად იგი მათი, არამედ უფროჳსად დაამტკიცა და ჰრქუა: „უკუეთუ არა ვიქმ საქმესა მამისა ჩემისასა, ნუ გრწამნ ჩემი; უკუეთუ ვიქმ, დალათუ ჩემი არა გრწამს, საქმენი გრწმენენ“.² ეგრეთვე აქა, ვინაღთვან იგინი იგონებდეს, ვითარმედ: „ვის ჳელ-ენიფების მიტევებად ცოდვათა, გარნა მხოლოსა ღმერთსა“, თავადმან სხუადცა სასწაული ღმრთეებისა თჳსისად აჩუენა და სახე დიდი მამისა თანასწორებისად. რამეთუ იგინი იგონებდეს, თუ მიტევებად ცოდვათად მხოლოდსა ღმრთისად არს, ხოლო თავადმან დაფარულნიცა გულთა მათთანი გამოაცხადნა, რომელ ესეცა ღმრთისა საქმე არს. რამეთუ მათ სიტყუად ესე არა გამოაცხადეს, არამედ გულთა შინა იგონებდეს, ვითარცა იტყუს, ვითარმედ: „**მუნ ვიეთმე მწიგნობართა თქუეს გულთა თჳსთა, ვითარმედ: ესე გმობს. იცნოდა იესუ ზრახვანი მათნი და ჰრქუა მათ: რაღსათჳს თქუენ ბოროტსა ჰზრახავთ გულთა შინა თქუენთა?“** (9,3-4).

ხოლო ცნობად დაფარულთა გულისათად ჭემმარიტად მხოლოდსა ღმრთისად არს, ვითარცა იტყუს წინაღსწარმეტყუელი, ვითარმედ: „შენ იცნი გულნი ჩუენნი მხოლომან“;³ და კუალად იტყუს: „რომელი განიკითხავს გულსა და თირკუმელთა, ღმერთი მართალი“;⁴ და კუალად წერილ არს:

¹ იოან. 10,33.

² იოან. 10,37-38.

³ 2 ნშტ. 6,30.

⁴ ფსალმ. 7,10.

„კაცი პირსა განიცდინ და ღმერთი – გულსა“.¹ და ესე მრავალკერძო საცნაურ არს, ვითარმედ მხოლოდსა ღმრთისაჲ არს განცდაჲ გონებათაჲ. ხოლო ქრისტიმან რაჲთა გამოაჩინოს, ვითარმედ ღმერთი არს თანასწორი მამისაჲ, ამისთვის რომელსა იგინი ზრახვიდეს გულთა შინა თვისთა და არა გამოაცხადებდეს, რამეთუ ემინოდა ერისა მისგან, გამოუცხადა მათ და გულისსიტყუანი მათნი საცნაურ-ყვნა და ჰრქუა მათ სახიერებით: „რასათვის თქუენ ბოროტსა ჰზრახავთ გულთა შინა თქუენთა“ და შეპყრობილ ხართ ორითა სენითა ბოროტითა: შურითა და ურწმუნოებითა? ამისთვისცა ესერა პირველსა მას ზედა სხუასაცა სასწაულსა წინაგვიყოფ გულსავეყოფად ურწმუნოებისა თქუენისა და გამოგიცხადებ დაფარულსა გულთა თქუენთასა და მას ზედა სხუასაცა შევესძინებ – განკურნებასა მას განრღუეულისასა. ან უკუე „რაჲ უადვილეს არს სიტყუად: მიგეტყვენ ცოდვანი შენნი, ანუ სიტყუად: აღდეგ და ვიდოდე? ხოლო რაჲთა უწყოდით, რამეთუ წელმწიფებაჲ აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა, მაშინ ჰრქუა განრღუეულსა მას: აღდეგ, აღილე ცხედარი შენი და წარვედ სახედ შენდა!“

ხოლო სიტყუად ესე, რომელსა იტყვს, ესრეთ არს, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: რომელი უადვილეს არს, მიტევებად ცოდვათა სულისათაჲ ანუ განკურნებაჲ უძღურებასა წორცთასა? ჰე, ჭეშმარიტად განკურნებაჲ წორცთაჲ უადვილეს არს, რამეთუ რაოდენ სული უაღრეს არს წორცთასა, ეგოდენ მიტევებად ცოდვათაჲ უზეშთაეს არს კურნებასა წორცთასა. არამედ ვინაჲთგან იგი უხილავი არს და ესე – ხილული, ამისთვის წინაგვიყოფ უდარესსა ამას და ხილულსა სასწაულსა, რაჲთა ამისგან გრწმენეს უხილავი იგი და უაღრესი.

ესრეთ თქუა და მეყსეულად უბრძანა განრღუეულსა მას აღდგომად და აღებაჲ ცხედრისაჲ და წარსლვაჲ სახედ თვისად, რაჲთა საქმით გამოაჩინოს თქუმული იგი იოვანესი, რომელსა იტყოდა: „აჰა ტარიგი ღმრთისაჲ, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“,² და კუალად თქუმული იგი წინაგანწარმეტყუელისაჲ, ვითარმედ: „მან უძღურებანი ჩუენნი იტკრთნეს“.³

ჰხედავა, ვითარ ყოველსავე ადგილსა არა განაქარვებს სიტყუასა მათსა, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ: სწორ-ჰყოფს თავსა თვისსა ღმრთისა თანა, არამედ უფროსად დაამტკიცებს ჭეშმარიტებასა წყაროდ იგი ჭეშმარიტებისაჲ, რამეთუ არა თქუა, თუ: სხვისა მიერ უწმს ძესა კაცისასა მოღებაჲ ამის წელმწიფებისაჲ, ანუ თუ: მოცემულ არს მისდა, არამედ: „რაჲთა იცოდითო, რამეთუ წელმწიფებაჲ აქუს ძესა კაცისასა მიტევებად ცოდვათა“, აჰა ესერა განვჰკურნებ განრღუეულსა ამას. და ვითარცა-იგი ზემო აჩუენა წელმწიფებაჲ თვისი განწმედითა მით კეთროვნისაჲთა და განკურ-

¹ 1 მეფ. 16,7.

² იოან. 1,29.

³ შდრ. ესაია 53,4.

ნებითა უძლურთადათა და შერისხვითა ზღვსადათა და განდევნითა ეშმაკთადათა, ეგრეთვე აქა – მიტევებითა ცოდვათადათა. ხოლო სახედ მიტევებისა მის ცოდვათადასა ქმნა განკურნებად იგი განრლუეულისად და სახედ კურნებისა მისისა აჩუენა აღებად იგი ცხედრისად, რადათა ყოველთა იხილონ და ჰრცხუენეს ურწმუნოთა მათ და მედგართა, და რადათა ვერვინ უძლოს თქუმადა, თუ არა ჭეშმარიტად და სრულებით იქმნა კურნებად მისი. ხოლო განკურნა რად მკურნალმან მან ჴელოანმან სნეული იგი უკურნებელი, უბრძანა ნარსლვად სახედ თვსა ცხედრითურთ, რადათა მონამენი იგი უძლურებისანი იყვენენ მონამე კურნებისა მისისა, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: მენება შენითა კურნებითა კურნებად მათი, რომელნი-ესე სულითა სნეულ არიან, ხოლო ვინადათგან არა ჰნებავს, ნარვედ სახედ შენდა და მუნ ქადაგებდი დიდებასა ღმრთისასა.

ჰხედავა, ვითარ გამოაჩინა, ვითარმედ იგი არს დამბადებელი სულთა და ჴორცთადა? რამეთუ ორისავე მის არსებისა განრლუეულებად და უძლურებად განკურნა და კურნებად იგი უხილავისად მის ხილულისა მის მიერ საცნაურ-ყო. გარნა ერი იგი ჯერეთ ქუემდებარე იყვენეს გონებითა და ვერარას მალალსა გულისჴმა-ჴყოფდეს. ამისთვისცა იტყვს მახარებელი: „იხილა რად ესე ერმან მან, დაუკვრდა და ადიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოსცა ესევეითარი ჴელმწიფებად კაცთა“. დაღაცათუ საქმენი მისნი ღმრთეებასა მისსა ნამებდეს, არამედ ხილვისა მისთვის ჴორცთადასა კაცად სახელ-სდებდეს უმეცარნი იგი. ხოლო ქრისტემან არა შეჴრისხნა ამას ზედა, რამეთუ არა სიტყუათა მიერ, არამედ საქმეთა ენება აღმალლება გონებათა მათთადა და მოყვანებად მათი გულისჴმის-ყოფად ღმრთეებისა თვსისა.

ხოლო ან ესეცა კეთილ იყო, რომელ იცნეს იგი, ვითარცა უზეშთაესი ყოველთა კაცთასა და ღმრთისაგან მოსრული, რამეთუ უკუეთუმცა ესე კეთილად დამტკიცებულ იყო მათ შორის, დღითი-დღე ნარმატებითა გულისჴმა-ყვესმცა, ვითარმედ იგი არს ძე ღმრთისადა. არამედ არა დაამტკიცეს ესე გულთა შინა თვსთა, ამისთვისცა ვერ უძლეს ნარმატებად; რამეთუ კუალადცა იტყოდეს: „ესე კაცი არა არს ღმრთისაგან“;¹ და კუალად: „დრტვნვიდესო მისთვის ჴურიანი, რამეთუ თქუა: მე ვარ ჴური, რომელი ზეცით გარდამოვჴედ, და იტყოდეს: არა ესე არსა იესუ, ძე იოსეფისი, რომლისა მამად ჩუენ ვიცით? ვითარ უკუე იტყვს ან ესე, ვითარმედ: ზეცით გარდამოვჴედ?“² და მრავალსა ესევეითარსა იტყოდეს, რამეთუ თვსთა მათ ენებათა და ფრიადისა მის ურწმუნოებისა საფარველად მოიპოვებდეს სიტყუათა ამათ.

¹ იოან. 9,16.

² იოან. 6,41-42.

სწავლად 30

ვითარმედ სიმშკდით ჯერ-არს მხილება და განმართება ცოდვილთა და არა რისხვით

ამას საქმესა ანცა მრავალნი იქმან და ჰგონებენ, თუ ღმრთისათვის შურსა იგებენ, ხოლო იგინი თვსთა ვნებათა აღასრულებენ. ჯერ-არს უკუე ყოვლისავე სიმშკდით ქმნად, რამეთუ ღმერთსა ძალ-უც ცეცხლითა დაწუვად მგმობართა თვსთა, გარნა იგი მზესა აღმოუბრწყინვებს და ნკმასა მოავლენს და ყოვლით კერძო კეთილსა უყოფს. ჩუენცა უკუე თანავუაც ბაძვად მისდა და სწავლად, შერჩულვად ნყალობით, არა რისხვით, არცა მწეცებრივ. რამეთუ რომელმან ცოდა ანუ გმობად თქუა, არა თუ ღმერთსა რადმე ავნო, არამედ თავსა თვსსა, თავი თვისი მოიწყლა, თავი თვისი მოიკლა.

ან უკუე სულთ-ითქუენ მისთვის, ტიროდე, რამეთუ ცრემლთაცა ღირს არს, ამხილე მას და ასწავლე სახიერებით, რამეთუ სახიერება უმძლავრეს არს ყოვლისა ძლიერებისა და უმეტეს მოიზიდავს წარწყმედულთა მათ ცხორებად. იხილე, ვითარ ღმერთი ნყალობით და სახიერებით ეტყჳს შეურაცხისყოფელთა მისთა ძუელსა მასცა შჯულსა და ახალსა. მაშინ იტყოდა: „ერო ჩემო, რად-მე შეგანუხე შენ?“¹ და კუალად ახალსა ამას შინა: „საულ, საულ, რადსა მდევნი მე?“² და კუალად, ოდეს-იგი მოუწყდეს მონაფენი და ეტყოდეს გარდამოსლვად ცეცხლისა და დაწუვად მათ, რომელნი-იგი წინააღუდგეს, შეჰრისხნა მათ იესუ და ჰრქუა: „ანუ არა უწყითა, რომლისა სულისანი ხართ თქუენ?“³ ეგრეთვე ამას ადგილსა არა ჰრქუა მათ: ეჰა შეგინებულნი და არანმიდანო, მტერნი ცხორებისა კაცთადასანო! არამედ ან ისმინეთ, ვითარ ეტყჳს: „რადსათვს თქუენ ბოროტსა ჰზრახავთ გულთა შინა თქუენთა?“

და კუალად იგავსა მას შინა უბრძანაო სახლისა უფალმან მონათა თვსთა, რადთა აცადონ და არა აღმოფხურან ღუარძლი იგი, არამედ დროებად სინანულისა მისცენ. ამისთვისცა მრავალთა შეინანეს და იქმნეს მოსწრაფე; რომელნი პირველ ხენეშ იყვნეს და უკუანადაცნელ, ვითარცა მნათობნი, გამობრწყინდეს, ვითარ-იგი პავლე და მეზუერე და ავაზაკი და სხუანი მსგავსნი მათნი, რომელნი-იგი ღუარძლ იყვნეს და იქმნეს იფქლ წმიდა. რომელ-ესე დაღაცათუ თესლსა ზედა არა იქმნების, თუმცა ღუარძლი იფქლად გარდაიქცა, არამედ კაცთა ზედა იქმნების, რამეთუ არა საზღვართა მიერ ბუნებისათა შეკრულ არს ამას ჯერსა ზედა სული კაცისა, არამედ აზნაურებითა თვთმფლობელობისადათა პატიცემულ არს და ნებასა ზედა მისსა არს; გინა თუ კეთილ ინებოს ყოფად, გინა თუ ბოროტ, ორივე ადვილ არს მისდა.

¹ მიქ. 6,3.

² საქმე 9,4.

³ ლუკ. 9,55.

ამისთვის უკუე შენცა, იხილო რად კაცი ბოროტისმოქმედი, შეენიე ლოცვითა, სწავლითა, სახიერებითა, ჩუენებითა სახისა კეთილისადათა, ყოვლითავე ღონისძიებითა, რადთა მოაქციო იგი ღმრთისა; მიემსგავსე მკურნალთა მათ ჴელოანთა, რამეთუ იგინიცა არა ერთითა ხოლო სახითა ჴკურნებენ, არამედ იხილონ რად წყლულებაჲ ძნელი და დასდვიან წამალი, უკუეთუ ერთი იგი წამალი არა ერგოს, სხუად უცვალიან, და კუალად სხუად მოიპოიან: ოდესმე სალბუნი დაასხიან, ოდესმე – საცხებელი, ოდესმე განკუეთიან, ოდესმე დანჯან. ეგრეთვე შენ, უკუეთუ იქმნა მკურნალ სულთა, ყოველი ღონე კურნებისად მოიპოე მცნებათაებრ ქრისტესთა, რადთა მიიღო სასყიდელი შენისაცა ცხორებისად და სხუათა სარგებელისად, რაჟამს იგი ყოველსავე იქმოდი სადიდებელად ღმრთისა, რამეთუ იტყვს: „მადიდებელნი ჩემნი ვადიდნე, და შეურაცხისმყოფელნი ჩემნი შეურაცხ იქმნენ“.¹

ან უკუე, საყუარელნო, ყოველსავე სადიდებელად მისა ვიქმოდით, რადთა მოვიგოთ ნეტარებაჲ იგი საუკუნოჲ, რომელსა ღირსმცა ვართ მიმთხუევად ყოველნივე მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა სულით წმიდითურთ შუენის დიდებაჲ, პატივი და თაყუანის-ცემაჲ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ 1 მთვ. 2,30.

თავი ლ

სიტყუად ესე: „და წარვიდოდა მიერ იესუ, იხილა კაცი, რომელი ჯდა საზუერესა ზედა, მათეოს სახელი მისი, და ჰრქუა მას: მომდევდი მე! და აღდგა და მისდევდა მას“ (9,9).

ქმნა რად სასწაული იგი განრღუეულისად უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტე და იხილნა გულნი მნიგნობართა მათ უკეთურთანი, ვითარმედ აღივსნეს შურითა, არა დაადგრა მუნ, არამედ ადგილ-სცა, რადთა ნუგეშინის-სცეს შურსა მას მათსა და გუასწაოს ჩუენ არა წარმდებებით მიცემად თავთა ჩუენთა ჴელსა ბოროტისმყოფელთასა, არამედ ადგილ-ვსცემდეთ უკეთურებასა მათსა.

ხოლო წარ-რად-ვიდოდა გზასა მას, ჰოვა მათეოს საზუერესა ზედა და მოუწოდა მას. და რადსათვს არა პეტრეს და იოვანეს თანა უწოდა მას, არამედ ან, უკუანაძსკნელ? ესე ამისთვის: ვითარცა მათ მაშინ უწოდა, ოდეს იცოდა, თუ ჰრწმენეს, ეგრეთვე მათეოსს მაშინ უწოდა, ოდეს იცოდა, ვითარმედ შეუდგეს მას. და კუალად პავლე შემდგომად აღდგომისა მოინადირა, რამეთუ მეცნიერმან მან გულთამან და მხედველმან დაფარულთამან უწყოდა, თუ კაცად-კაცადსა ოდეს ეგულეების მოსლვად მისა. ამისთვის არა პირველითგან უწოდა მას, ოდეს-იგი ჯერეთ ფიცხელსა იყო, არამედ შემდგომად ბევრეულთა მათ სასწაულთა და მრავლისა მის ჰამბვისა მისისა, რომელი განისმა ყოველთა შორის. მაშინ მოუწოდა, რაჟამს იცოდა, ვითარმედ ჰრწმენეს მისი.

ხოლო შენ გიკვრდინ სიმდაბლე იგი მახარებელისად ამის, ვითარ არა ჰფარავს პირველსა მას ცხორებასა მისსა, არამედ სახელსაცა თვსსა წარმოიტყვს, რომელი-იგი სხუათა მახარებელთა დაფარეს და სხვთა სახელითა აღწერეს წოდებად მისი. არამედ მან განცხადებულად თქუა: „იხილა კაცი, რომელი ჯდა საზუერესა ზედა, მათეოს სახელი მისი“. რადსათვს თქუა: „რომელი ჯდაო საზუერესა ზედა“? რადთა უმეტესად გულისწმა-გკყოს ძალი მწოდებელისად მის, რამეთუ არა განშორებული და განყოფილი ბოროტისა მის მიხუეჭისაგან, არამედ შორის მისა მყოფი და სიღრმესა შინა მისსა დანთქმული აღმოიყვანა იგი, ვითარცა-იგი ნეტარი პავლეცა ჟამსა მეზრსიფიცხისა მისისასა მოაქცია, ვითარცა იგივე იტყვს გალატელთა მიმართ: „რამეთუ გესმინა თქუენ სლვად ჩემი ოდესმე ჰურიებასა შინა, რამეთუ გარდარეულად ვსდევნიდ ეკლესიათა ღმრთისათა და ვსტყუენევდი მათ“.¹

ეგრეთვე მეთევზურთა მათ, ჴელოვნებასა მას მათსა შინა რად იყვნეს, უწოდა, გარნა იგი არა საბრალობელი რადმე ჴელოვნებად იყო, არამედ სიგლახაკისა მომასწავებელი; ხოლო ესე ღონე იყო სავსე ფრიადითა უჯე-

¹ გალ. 1,13.

როებითა და სახე მტაცებლობისა და მოხუეჭისა უსამართლოდსა, გარ-
ნა არავე სირცხვლ-იჩინა სახიერმან მან წოდებად მისა. და რად ვიტყვ,
თუ მეზუერისა წოდებად არა სირცხვლ-იჩინა? მეძვისალა წოდებად არა
სირცხვლ-იჩინა, არა ხოლო წოდებად, არამედ ამბორის-ყოფადცა ფერ-
ჯთა და დაღტობად ცრემლითა შეუნდო. რამეთუ ამისთვს მოვიდა – არა
ჯორცთა ხოლო კურნებად, არამედ უფროდსლა სულთა მოუძღურებულ-
თა განცოცხლებად, ვითარცა-იგი ქმნა განრღუეულსა მას ზედა და აჩუენა
განცხადებულად, ვითარმედ ჳელმნიფება აქუს მიტევებად ცოდვათა. და
მერმელა უწოდა მეზუერესა, რადთა არავინ აღშფოთნეს, იხილოს რად მე-
ზუერე მოწაფეთა შორის. რამეთუ რომელი-იგი უფალ არს მიტევებად და
სრულიად აჯოცად ცოდვათა, რად საკვრველ არს, უკუეთუ ესე მოციქულე-
ბად განანესა, ვითარცა უფალმან ყოველთამან?

ხოლო ჩუენ ვითარცა ვიხილეთ ძალი იგი მწოდებელისა მის, ეგრეთ-
ვე ვიხილოთ მორჩილებად წოდებულისა ამის, რამეთუ არა უდებ იქმნა,
არცა შეორგულდა და თქუა: რად არს წოდებად ესე? ნუუკუე ბასრობით
მინოდებს, ნუუკუე საცთურ-რასმე-მიგებს. არარად ესევითარი თქუა, არ-
ცა მოიგონა, არამედ მეყსეულად მისდევდა მას და არცა თუ სახედ თვსა
ინება წარსლვად და თვსთა მისთა განზრახვად, არამედ მეყსეულად აღდგა
და მისდევდა მას. ვითარცა-იგი მეთევზურთა მათ ქმნეს და ვითარცა-იგი
მათ დაუტევეს მეყსა შინა ბადენი და ნავი და მამად, ეგრეთვე ამან დაუტე-
ვა საზუერე და საფასენი და განაშორა თავი თვსი ყოვლისავე სოფლიოდსა
ზრუნვისა და ამბოხებისაგან და გულსმოდგინედ მისდევდა უფალსა, ეწა-
მებოდა წოდებასა მას, ვითარ ჟამსა ჯეროანსა იქმნა, თვსითა მით მორჩი-
ლებითა.

ხოლო რადსათვს არა გვთხრობენ მახარებელნი სხუათაცა მოწაფეთა
წოდებასა, თუ ვითარ ანუ რომლითა სახითა იწოდნეს? არამედ პეტრესთვს
ხოლო და ანდრიაესთვს, იაკობ და იოვანესთვს, მათეოს და ფილიპესთვს;
და სხუათა მათთვს დაიდუმეს. ესე ამისთვს, რამეთუ ესენი იყვნეს ყოველ-
თა უმეტესად უდარესთა საქმეთა შინა, რამეთუ არარად იყო უძკრეს მეზუ-
ერეობისა, არცა უგლახაკეს მეთევზეობისა. და ეგრეთვე ფილიპეცა ფრი-
ად გლახაკთაგანი იყო, ვითარცა მამულიცა მისი საცნაურ-ჰყოფს. ამისთვს
მახარებელნი ამათსა წოდებასა და ამათთა საქმეთა გვთხრობენ, რადთა
ვცნათ, ვითარ ჭემმარიტებისმოყუარე არიან ყოველსა შინა; და ვითარცა
უდარესთა ამათ საქმეთა უტყუელად იტყვან, ეგრეთვე მაღალთა მათ და
დიდთა უტყუელად გვთხრობენ. რამეთუ რომელნი-იგი საყუედრელად სა-
გონებელთა მათ საქმეთა არარას დაჰვარვენ, არამედ ყოველსავე იტყვან
მოდღურისათვსცა და მოწაფეთათვსცა, ვითარმცა იჭუეულ ვინ იყო დიდე-
ბულთა მათთვს საქმეთა, თუ არაჭემმარიტსა იტყვან ყოველსავე; და უფ-
როდსლა სასწაულთა მრავალთა თანაწარჯდებიან, ხოლო ყუედრებათა მათ
და შეურაცხებათა ჯუარ-ცუმისათა თითოეულად იტყვან და სიგლახაკესა

მას დედისასა და სიმდაბლით შობასა მას ჴმამალლად ქადაგებენ, ეგრეთვე სიგლახაკესა მას მონაფეთასა და საქმეთა მათთა შეურაცხთა განცხადებულად წარმოიტყვან. ამის ყოვლისაგან საცნაურ არს, ვითარმედ მოსწრაფე იყვნეს იგინი ჭეშმარიტებისა თქუმად და არარას თუალთ-ლებით ანუ კაცთმოთნეობით აღსწერდეს. ხოლო ან, უწოდა რად მათეს და პოა ესრეთ მჭურვალედ მორჩილი, პატივ-სცა მას პატივითა მით დიდითა, რამეთუ მეპურისტედ თვსად ღირს-ყო იგი, რადთა უმეტესი სასოებად და კადნიერებად მისცეს მას; რამეთუ არა სიგრძესა ჟამისასა, არამედ მეყსა შინა ყოველივე ბრალი მისი ავოცა და სული მისი წმიდა-ყო ყოვლისაგან ბინისა. და არა იგი ხოლო ღირს-ყო დაჯდომად მის თანა, არამედ სხუანიცა მრავალნი, ვითარცა იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „და იყო, ჯდა რად იგი ინაწით სახლსა შინა, და მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი თანასხდეს იესუმს თანა ინაწით და მონაფეთა მისთა თანა“ (9,10).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ესეცა ბრალობად მისა შერაცხილ იყო, რომელ ცოდვილთა დაიხსლებდა; გარნა არცა ამას დაჰფარვენ მონაფენი ესე და მახარებელნი. ხოლო შეკრბეს მაშინ მათესა მეზუერენი, ვითარცა თვსსა მოყუასსა თანა, რამეთუ იხარებდა რად იგი და იქადოდა ქრისტესსა სახედ მისა შესლვასა, ყოველთავე მოუწოდა სიხარულსა მას, რამეთუ ქრისტე ყოვლით კერძო განჰკურნებდა წყლულებათა მათ სულიერთა არა ხოლო თუ სასწაულთა მიერ და სწავლათა, არამედ დაჯდომადცა მისი ტაბლად სწავლად იყო სათნოებისა და მოქცევაჲ შეცთომილთაჲ, რადთა გუასწაოს ჩუენ, ვითარმედ უკუეთუ გუენებოს, ყოველსავე ადგილსა და ყოველსავე საქმესა შინა შესაძლებელ არს სარგებელისა სულიერისა მოგებად. დაღაცათუ წინადაგებული იგი მაშინ ანგაჰრებისაგან იყო და მონახუეჭისა, არამედ არა უღირს-იჩინა ქრისტემან ჭამად, რამეთუ ხედვიდა ამის საქმისაგან ფრიადსა სარგებელსა; და მეპურისტედ იყვნეს მის თანა მეზუერენი. რამეთუ მკურნალმანცა უკუეთუ არა თავს-იდვას სულმყრალობად წყლულისა და არა შეახოს ველი წუთხსა და წალასა, ვითარ უძლოს განკურნებად წყლულებისა მის? ეგრეთვე სახიერმან მკურნალმან სულთა და ჴორცთამან თავს-იდვა შესლვად ცოდვილთა და მეზუერეთა თანა, რადთა აცხოვნეს იგინი. დაღაცათუ მწიგნობარნი იგი და ფარისეველნი აბრალობდეს და იტყოდეს: „აჰა კაცი მჭამელი და ღვინისმსუმელი, მეგობარი მეზუერეთა და ცოდვილთაჲ“,¹ გარნა თავადი არა მათსა მას უჯეროსა ბრალობასა ზრუნვიდა, არამედ საქმესა მას ჭეშმარიტებისასა აღასრულებდა.

ისმინეთ, მაჩუენებელნი, რომელნი მოსწრაფე ხართ, რადთა სახელი მმარხველობისა და მიილოთ და ამის მიერ იდიდნეთ; ისმინეთ, ვითარ

¹ მათ. 11,19; ლუკ. 7,34.

მეუფესა ჩუენსა მჭამელ და ღვინისმსუმელ უწოდეს, და არა ჰრცხუენოდა მას, არცა ზრუნვიდა ამისთვის, არამედ ენება ცხორებად მრავალთად, და ეგრეთცა იქმნა. რამეთუ აჰა ესერა ერთი ესე მეზუერე მოინადირა და განიყვანა მეზუერეობისაგან და ანგელოზთა თანამოდასე-ყო და ზიარებითა მით ტაბლისადათა არა იგი ხოლო, არამედ სხუანიცა აცხოვნნა. და ისმინეთ სიტყუად ზაქესი, სხვსა მის მეზუერისადა, რამეთუ ესმა რად სიტყუად უფლისადა, რომელი ჰრქუა მას, ვითარმედ: „დღეს სახლსა შინა შენსა ჯერ-არს ჩემი ყოფადა“¹, აღივსო სიხარულითა და იტყოდა: „აჰა, უფალო, ზოგი ნაყოფთა ჩემთად მივსცე გლახაკთა; და უკუეთუ ვისმე ცილი დავსდევ, მივაგო ოთხი წილი“. ამისთვისცა ჰრქუა მას უფალმან: „დღეს იქმნა ცხორებად სახლისა ამის“.² თქუას ვინმე, ვითარმედ: რად არს სიტყუად იგი პავლესი, რომელსა იტყვს: „უკუეთუ ვინმე ძმად სახელდებულ იყოს მეძავ, ანუ ანგაჰრ, ანუ მომთრვალე, ანუ მტაცებელ, ესევითარისა მის თანა ნუცა სჭამთ“?³ ხოლო ჩუენ ესრეთ ვიტყვოთ, ვითარმედ: პირველად ესე მეზრ არა ჩანს, თუ მოძღუართა ეტყვს ამას, არამედ ძმათა ხოლო; მერმე ესეცა საცნაურ არს, ვითარმედ ესე მეზუერენი ჯერეთ არა განსრულებულთაგანნი იყვნეს, არცა ძმად შერაცხილნი; და კუალად პავლე მათ ძმათაგან იტყვს გარემიქცევასა, ოდეს თვსსავე უკეთურებასა ზედა ეგნენ, ხოლო ამათ დაეტევა ბოროტისა გზად და მოქცეულ იყვნეს ქრისტესა. ამისთვისცა არა ჯერ-იყო გარემიქცევად მათგან პირისა მისისადა, არამედ უფროსად შეწყნარებად წყალობით. გარნა უღმრთოთა მათ ფარისეველთა არა სთნდა ესე; ამისთვისცა ეტყოდეს მონაფეთა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „რადსათვის მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს მოძღუარი თქუენი?“ (9,11).

თ ა რ გ მ ა ნ ი: იგინივე სხუასა ადგილსა მონაფეთათვის ეტყოდეს მას: „იხილე, რასა იქმან მონაფენი შენნი შაბათსა შინა, რომელი არა ჯერ-არს ყოფადა“;⁴ და ან კუალად მონაფეთა თანა მოძღუარსა შეასმენენ, რამეთუ ყოვლითავე უკეთურებითა სავსე იყვნეს და ენება, რადთამცა კრებული იგი მონაფეთად განაშორეს მოძღურისა მისგან სახიერისა. ხოლო ვისმინოთ, რად მიუგო აურაცხელმან მან სიბრძნემან და მეცნიერებისა წყარომან:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „არა უწყს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა. ხოლო თქუენ წარვედით და ისწავეთ, რად არს: წყალობად მნებავს და არა მსხუერპლი“ (9,12-13).

თ ა რ გ მ ა ნ ი: იგინი აბრალობდეს მიახლებასა ცოდვილთასა, ხოლო მან გამოუცხადა, ვითარმედ: უფროსად გარემიქცევად მათგან ესე არს საქმე უჯეროდ და უღირსი კაცთმოყუარებისა მისისადა; და არა თუ ბრა-

¹ ლუკ. 19,5. ² ლუკ. 19,8-9. ³ შდრ. 1 კორ. 5,11. ⁴ მათ. 12,2.

ლისაგან ხოლო განშორებულ არს განკურნებად იგი უძლურთაჲ, არამედ უფროჲს მრავლისა ქებისა და გალობისა ღირს არს. ვინაჲთგან უკუე სნეულად უნოდა ცოდვილთა მათ, რაჲთა არა მინაწენი იგი და შემოკრებულნი მეზუერენი შენუხნენ, ამისთჳს თქუა: „ნარვედით და ისწავეთ, რაჲ არს: წყალობაჲ მნებაჲს და არა მსხუერპლი“. აყუედრა სიტყუთა ამით უგულისწმოებაჲ მათი წერილთათჳს. ამისთჳს შერისხვისსახედ ჰრქუა, არა თუ იგი განრისხნა, – ნუ იყოფინ! – არამედ რაჲთა მათ შეიკდიმონ; რამეთუ აქუნდა ჟამი მაშინ თქუმად, ვითარმედ: არა გულისწმა-ჰყავთა, ვითარ აღვკოცენ ცოდვანი იგი განრლუეულისანი, ვითარ განვკურნე გუამი იგი დაწსნილი? გარნა არარას ესევითარსა ეტყჳს, არამედ პირველად ბუნებითნი საქმენი სახედ მოართუნა და მერმე სიტყუაჲ წერილისაჲ წინაუყო. პირველად ჰრქუა, ვითარმედ: „არა უწმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა“, რაჲთა გულისწმა-ყონ უგულისწმოთა მათ, ვითარმედ იგი არს მკურნალი სულთა და ჳორცთაჲ; და მერმელა შესძინა: „ნარვედით და ისწავეთო, რაჲ არს: წყალობაჲ მნებაჲს და არა მსხუერპლი“. მოაწსენა მათ პირველად უძლურებაჲ იგი ბუნებისა ჩუენისაჲ და უჩუენა, ვითარმედ იგინცა სნეულ არიან და უწმს მკურნალი, რომელნი-იგი ესოდენითა უგულისწმოებითა შეპყრობილ არიან და არცა თუ სიტყუათა წერილისათა გულისწმა-ჰყოფენ, არამედ ყოველივე სათნობათა საქმე შეურაცხ-უყოფია და მსხუერპლთა ზედა ხოლო იქადიან, რომლისათჳსცა ყოველთავე წინაჲსწარმეტყუელთა მიერ თქუმული მოკლითა სიტყუთა წარმოუთხრა და ჰრქუა: ვინაჲთგან ესოდენთა ჟამთა აღმოგიკითხვან წერილნი და ვერ გისწავიეს, ან წარვედით და ისწავეთ, თუ რაჲ არს სიტყუაჲ იგი წერილისაჲ, რომელსა იტყჳს ღმერთი წინაჲსწარმეტყუელთა მიერ, ვითარმედ: „წყალობაჲ მნებაჲს და არა მსხუერპლი“.¹

ნარვედით, უსწავლელნო, ისწავეთ! ნარვედით, უგულისწმონო, გულისწმა-ყავთ, რაჲ არს ძალი ამის სიტყჳსაჲ, და მერმე სცნათ, ვითარმედ არარაჲ უჯეროდ ვქმენ შეწყალებაჲ ესე და შეწყნარებაჲ ცოდვილთაჲ; მერმე სცნათ, ვითარმედ არა მე ვარ გარდამავალ შჯულისა, არამედ თქუენ, რომელნი წყალობისათჳს ცოდვილთაჲსა მაბრალებთ; არა მე ხოლო მაბრალებთ, არამედ მამასაცა ჩემსა. ვითარცა-იგი სხუასა ადგილსა იტყოდა, ვითარმედ: „მამაჲ ჩემი მოაქამდე იქმს, და მეცა ვიქმ“,² ეგრეთვე ან თქუა: „ნარვედით და ისწავეთ, რაჲ არს: წყალობაჲ მნებაჲს და არა მსხუერპლი“. ვითარცა მამამან წინაჲსწარმეტყუელთა პირითა თქუა, ვითარმედ წყალობაჲ ჰნებაჲს, ვიდრეღა მსხუერპლნი, ეგრეთვე მე წყალობაჲ მნებაჲს, ვიდრეღა მსხუერპლები, რომელი თქუენ ვითარცა დიდად რაჲმე შეგირაცხიეს, რამეთუ იგი უწმარ არს ჩემდა, ხოლო წყალობაჲ – სათნო და კეთილ. არა თქუა, თუ: წყალობაჲ მნებაჲს და მსხუერპლი, არამედ: „წყალობაჲ მნებაჲ-

¹ ოსე 6,6. ² იოან. 5,17.

სო და არა მსხუერპლი“. განადგო სახე იგი მსხუერპლთად და შემოილო წყალობად და უჩუენა, ვითარმედ რომელი-იგი მათ საბრალობელად შეკრა-ცხეს, არა ხოლო თუ უბრალო არს, არამედ პირველითგანვე რჩულისა მიერ საღმრთოსა განწესებულ უფროს მსხუერპლთადასა, ვითარცა ესერა წამებად ძუელისა მისგან შჯულისა შემოილო განცხადებულად.

ესრეთ რად ამხილა მათ წესთაგანცა ბუნებითა და სიტყუათაგანცა წერილთადასა, მერმე შესძინა და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე : „**არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად**“ (9,13).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ესე სიტყუად ბასრობისსახედ თქუა მნიგნობართა მათ მიმართ და ფარისეველთა, მათთა მათ გონებათა შემსგავსებულად, ვითარცა-იგი წერილ არს დაბადებასა შინა, ვითარმედ: „აჰა ესერა ადამ იქმნა, ვითარცა ერთი ჩუენგანი“,¹ ბრალობისა და ბასრობისა სახედ; ვინათგან ეშმაკმან გუელისა მიერ ეგრეთ აღუთქუა ევას, ვითარმედ: „იყნეთ, ვითარცა ღმერთნი“,² აბრალებს მათ ღმერთი ესევითარისა ამის სიტყვსა სახითა და იტყვს: „აჰა ესერა ადამ იქმნა, ვითარცა ერთი ჩუენგანი“; ვითარმცა იტყოდა: ეჰა უგუზურებად ადამისი, რომელილა საქმე ჰრწმენა გუელისაგან! – რათამცა გემოვს-ხილვითა მით იქმნა ღმერთ. და კუალად ფსალმუნსა შინა წერილ არს: „შე-თუ-მემშოის, არავე შენ გეტყოდი“,³ – საკდემელად უგუზურისა მის ერისა; ვითარმცა ეტყოდა, თუ: რასა ჰგონებთ, შემემშოამცა? ანუ ჭამადი საჯმარ არს ჩემდა? ჰ უგუზურნო და ცოფნო! ეგრეთ-ვესახედ ამასცა ადგილსა, ვინათგან უგუზურნი იგი მნიგნობარნი და ფარისეველნი მართალ ჰგონებდეს თავთა თვსთა და აბრალებდეს უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტეს მეზუერეთა და ცოდვილთა შეწყნარებისათვს და მათისა მიახლებისათვს, ამხილა პირველად სახითა ბუნებითითა და მერმე წამებითა წერილთათა, და ან კუალად გონებისა მათისაებრ კდემისა და ბასრობისა სახედ ჰრქუა: „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“; რამეთუ მართალი არავინ იყო ქუეყანასა ზედა, ვითარცა პავლე ღალადებს, ვითარმედ: „ყოველთავე შესცოდეს და დაკლებულ არიან დიდებასა ღმრთისასა“.⁴ ესევითარი უკუე სახე აქუს სიტყუასა უფლისასა, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: მე ვიხილენ ყოველნივე კაცნი, შთავრდომილნი და შეპყრობილნი ცოდვათა შინა და ყოველნივე მწარედ ცოდვილნი, და მოვედ წოდებად სინანულად. ვინათგან უკუე თქუენ თავნი თვსნი არა ცოდვილად შეგირაცხიან, შებღალულნო ცოდვათაგან, არამედ ცუდად იქადით სიმართლესა ზედა, რომლისა კუალიცა არა წაგივლიეს, არა ხართ წოდებულთა ჩემთაგანნი, რამეთუ დაყროლებულნი ცოდვათაგან არა ეძიებთ კურნებასა წყლულებათა თქუენთასა. ხოლო ამათ სიტყუა-

¹ დაბ. 3,22.

² დაბ. 3,5.

³ ფსალმ. 49,11.

⁴ რომ. 3,23.

თა მიერ მუნ შემოკრებულთაცა მეზუერეთა ნუგეშინის-სცა, რაჟამს აუნყა, ვითარმედ ცხორებისათჳს მოვიდა ცოდვილთაჲსა, რაჲთა მოუნოდოს მათ სინანულად. ხოლო თქუა რაჲ, თუ: „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა“, რაჲთა არა უდებ იქმნენ ცოდვილნი მოქცევაჲდ, ამისთვის არა დაიდუმა, არამედ შესძინა, ვითარმედ: „სინანულად“; არა თუ ამისთვის მოვედო წოდებად, რაჲთა ცოდვათაჲე შინა ეგნენ, არამედ რაჲთა სინანულად მოვიდენ და ქმნან კეთილი. ვინაჲთგან უკუე ყოვლით კერძო პირი დაუყო მათ და ამხილა, ვითარმედ შეცოდებულნი არიან და გარდამავალნი შჯულისანი, დაუტევეს მისი ბრალობაჲ და კუალად მონაფეთა მიმართ მიიყვანებენ ბრალობასა.

და ლუკა იტყვს, ვითარმედ ფარისეველთა ჰრქუეს უფალსა სიტყუაჲ ესე, ხოლო მათე მონაფეთათჳს იოვანესთა იტყვს. მსგავს არს უკუე, ვითარმედ ორთაჲე ჰრქუეს, რამეთუ ფარისეველნი რაჲ სირცხვლეულ იქმნეს სიტყუათა მათგან უფლისათა, წარიყვანნეს მათ თანა მონაფენი იგი იოვანესნი, ვითარცა კუალად სხუასა ადგილსა ჰეროდიანელნი წარიყვანნეს, რამეთუ მონაფენი იოვანესნი მარადის ეშურებოდეს უფალსა და წინააღმდეგობად იყვნეს; მაშინ ოდენ დამდაბლდეს, ოდეს იოვანე საპყრობილედ მიეცა და ჰეროდეს მიერ მოიკლა, და მოვიდეს, უთხრეს იესუს; და ამისა შემდგომად პირველსაჲე მიიქცეს შურსა და არა დაიცვნეს მცნებანი და სიტყუანი იოვანესნი, რომელთა ეტყოდა და ამცნებდა მონებად ქრისტესა და გულისწმა-უყოფდა, ვითარმედ იგი არს ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ. ხოლო იგინი უგულისწმოებასაჲე შინა დაადგრეს. ისმინეთ უკუე, რასა-ესე ან იტყვან უფალსა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „**მაშინ მოუჭდეს მას მონაფენი იოვანესნი და ეტყოდეს: რაჲსათჳს ჩუენ და ფარისეველნი ვიმარხავთ ფრიად, ხოლო მონაფენი შენნი არა იმარხვენ? ჰრქუა მათ იესუ: ჴელ-მე-ენიფებისა ძეთა სიძისათა გლოაჲ, ვიდრემდე მათ თანა არს სიძე? მოვლენ დღენი, რაჟამს აღმაღლდეს მათგან სიძე იგი, და მაშინ იმარხვიდენ**“ (9,14-15).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ესე არს სენი იგი, რომელი პირველვე განანესა ქრისტემან აღმოფხურად, ოდეს-იგი იტყოდა: „რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავსა შენსა და დაიბანე პირი შენი, რაჲთა არა ერუენო კაცთა მმარხველად“;¹ რამეთუ უნყოდა, რაჲდენისა ბოროტისა აღმომაცენებელ იყო. ამის სენისაგან შეპყრობილ იყვნეს იგინიცა, რომელნი ან ბრალობასა დასდებენ მონაფეთა ზედა უფლისათა. გარნა ეგრეთცა არა შეჰრისხნა მათ უფალმან, არცა ჰრქუა: † მზუაობარნო და მაჩუენებელნო, რაჲსა ესრეთ ცუდადჰმეტყუელებთ? არამედ სახიერებით მიუგო: „**ჴელ-მე-ენიფებისა ძეთა სიძისათა გლოად?**“ ოდეს-იგი მეზუერეთათჳს აბრალეს, უფიცხესად შეჰრისხნა მათ-

¹ მათ. 6,17-18.

რალობელთა მათ, რადთა ნუგეშინის-სცეს მონყლულთა მათ სულთა მათთა, რომელნი, ვითარცა ცოდვილნი, არაღირსად მიახლებისა თქუეს მნიგნობართა მათ. ხოლო აქა, ვინაფთგან მონაფეთა მისთათს იყო ბრალობად, სიტკობით მისცა პასუხი. ხოლო სიტყუად იგი მამბრალობელთად მათ ესე-ვითარი არს: იყავნ ესე შენთსო, რამეთუ იტყვ, ვითარმედ: კურნებისა მათისათს და სარგებელისა სჭამ და სუამ მეზუერეთა თანა, მონაფენი შენნი რაფსათსლა დაუტეობენ მარხვასა და ესევითართა ტაბლათა ერევიან და არა გუბაძვენ ჩუენ და ფარისეველთა, რომელნი-ესე ვიმარხავთ?

ხოლო უფალმან ჰრქუა მათ: „ველ-მე-ენიფებისა ძეთა სიძისათა გლოად, ვიდრემდე მათ თანა არს სიძე?“

პირველად მკურნალ უნოდა თავსა თვსსა და ან – სიძედ, რადთა სახელთა ამათ მიერ საიდუმლონი იგი დაფარულნი გამოაცხადნეს; რამეთუ იგი არს მკურნალი განწირულისა მის ბუნებისა კაცთაფსა, და იგი არს სიძე სულთა მათ ღმრთისმოყუარეთად, რომელმან არა უღირს-იჩინა წარმართთაგან ეკლესიად შეერთებად თავსა თვსსა, რომელიცა მოიყიდა პატიოსნითა მით სისხლითა მისითა. სამართალ იყო თქუამდ მათა მიმართ მხილებით, ვითარმედ: თქუენ ვინად გაქუს ველმნიფებად ესევითართა სიტყუათა თქუამდ? ანუ რად სარგებელ არს მარხვად, ოდეს გონებად ყოვლითავე უკეთურებითა საფსე იყოს, ოდეს სხუათა განიკითხვიდეთ და თქუენ დირე თუალთა შინა გეტკრთოს და ყოველსავე მაჩუენებლობით იქმოდით? რამეთუ პირველ ყოვლისა ჯერ-არს, რადთა ზუაობისაგან შორს-ჰყვენეთ თავნი თქუენნი, რადთა მოიგოთ სიყუარული, სიმშუდე, სიმდაბლე. ხოლო ვიდრემდის ამათგან შორს იყვენეთ, მარხვად თქუენი უჭმარ არს და საძაგელ. გარნა არარად ამისგანი ჰრქუა მათ, არამედ სიმშუდით მიუგო: „ველ-მე-ენიფებისა ძეთა სიძისათა მარხვად და გლოად, ვიდრემდის მათ თანა არს სიძე?“ ამათ სიტყუათა მიერ აღუწსენა მათ სიტყუად იგი იოვანესი, ვითარ ეტყოდა მათ, ვითარმედ: „რომელსა აქუს სძალი, სიძე არს, ხოლო მეგობარი სიძისად რომელი დგას და ესმის მისი, სიხარულით უხარის წმითა სიძისადთა. ესე სიხარული ჩემი აღსრულებულ არს“.¹

და კუალად ამასცა გულისწმა-უყოფდა, ვითარმედ სიხარულისად არს ჟამი ესე და მხიარულებისად: რაფსათს უკუე იგლოვდენ, რომელნი-ესე ღირს იქმნეს შეწყნარებად სიტყვსა ჩემისა და იქმნეს შვილ ჩემდა? რაფსათს აიძულებთ გლოად, რამეთუ მარხვად გლოფსა სახე არს, არა ბუნებით, არამედ უძღურებისათს ბუნებისა მონაფეთაფსა. არამედ არა უჭმს მათ ან მარხვად, რამეთუ არა არს ჟამი ამის საქმისად.

„მოვლენ დღენი, რაჟამს ამაღლდეს მათგან სიძე იგი, და მაშინ იმარხვიდენ“. ამით სიტყვთა გულისწმა-უყო, ვითარმედ არა ნაყროვანებისათს ჭამდეს, არამედ განგებულებითა საკრველითა და ბუნებისა უაღრესითა,

¹ იოან. 3,29.

და ვნებისა თვისსათვისცა მოასწავა. და ვითარცა-იგი ზემო, აბრალობდეს რად მეზუერეთა ცოდვილთა თანა ჭამისათვის, და არწმუნა, ვითარმედ უფროდსად ღირს ქებისა იყო საქმე იგი, ეგრეთვე აქა, ენება რად უგუნურთა მათ მხილებად, ვითარმედ არა კეთილად უმოძღურის მოწაფეთა თვისთა, ამხილა, ვითარმედ უფროდსად მათნი სიტყუანი შესწამებენ მათ უმეცრებასა და უგულისწმოებასა მწყსად მოწაფეთა. და მერმე შესძინა და ჰრქუა მათ:

სახარებაჲ: „არავინ დაადგის სამოსელი უმურკნველი სამოსელსა ძუელსა, რამეთუ აღილის სავსებაჲ სამოსლისა მისგან, და უფროდსი განხეთქილებაჲ იქმნის“ (9,16).

თარგმანი: კუალად ბუნებითა სახეთაგან შეჰმზადებს სიტყუასა თვისსა. ხოლო ესევეთარი არს სიტყუად ესე: ჯერეთ არა მიწვეულ არიან მოწაფენი საზომსა მას სისრულისასა, ჯერეთ არა განახლებულ არიან სულისა მიერ წმიდისა; ამისთვის ან უწმს უღელი ესე სუბუქი, რადთა არა ფრიად დაუმძიმდეს მცნებათა მიერ ფიცხელთა, და უფროდსა, რომელ ჩემ თანა არიან და ჯერ-არს ნუგეშინის-ცემად მათი; რამეთუ სხუანი არიან უმეტესად სათანადონი მცნებანი, რომელთა ვასწავებ, ხოლო რაჟამს-იგი ყოველნი ისწავლენ, და მე ავმადლდე მათგან და მოუვლინო სული წმიდაჲ, რომელმანცა სრულიად განაახლნეს იგინი და განაძლიერნეს, მაშინ იმარხვიდენცა და მოქალაქობაჲ მოღუანებისაჲ მოიგონ.

ხოლო ამათ სიტყუათა მიერ წმიდათა მათცა მოწაფეთა თვისთა რჩულსა უდებდა, რადთა შეიწყნარნენ რად მოწაფენი ყოველისა სოფლისაგან, სახიერებით ექცეოდნენ მათ და არა ფრიადითა სიფიცხითა. ამისთვის სხუადცა სახე თქუა:

სახარებაჲ: „არცა შთაასხიან ღვწოჲ ახალი თხიერთა ძუელთა, რადთა არა განსთქდენ თხიერნი, და ღვწოჲ დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ. არამედ შთაასხიან ღვწოჲ ახალი თხიერთა ახალთა, და ორნივე დაიმარხნიან“ (9,17).

თარგმანი: პირველთქუმულისაებრ სახისა ესეცა გულისწმა-იყოფების, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: ყოველივე საქმე მაღალი და ძნელი უკუეთუ დაუმძიმოს ვინ სულსა, რომელსა ჯერეთ ძუელისა მის კაცისა ნივთი აქუნდეს, ვერ თავს-იდებს. ხოლო მოასწავა ყოფადი იგი განახლებაჲ და სრულებაჲ იგი დიდი წმიდათა მოციქულთაჲ, ვითარმედ უკუეთუ არა მიიწინენ ყოფადსა მას განახლებასა, არა ჯერ-არს უღელთა მძიმეთა მათ ზედა დადებად, რამეთუ რომელი ეძიებდეს პირველ ჯეროვნისა ჟამისა სწავლათა მაღალთა სწავლად, უწმარ იქმს იგი საქმესა მას, რადთა არცა ჟამსა თვისსა მიემთხვოს, რომელსა იგი ეძიებს. ხოლო ესე არა თუ უწმარებისაგან ღვწისა მის იქმნების ანუ თხიერთაჲსა, არამედ უჟამოდ შთასხმისაგანო.

ამათ იგავთა მიერ გუასნავა მიზეზი მდაბალთა სიტყუათა მისთად, ვითარ-იგი მრავალგზის ეტყოდა მოციქულთა უძლურებისათჳს მათისა სიტყუათა მდაბალთა და არა შემსგავსებულთა დიდებისა მისისათა, რომლისათჳს იტყჳს იოვანე, ვითარმედ ჰრქუა მათ: „ფრიადლა მაქუს სიტყუად თქუენდა, არამედ არლა ძალ-გიც ტვრთვად ან“;¹ რამეთუ ამისთჳს, რადთა არა ჰგონებდენ, თუ იგი ხოლო არს, რომელი ესმის, არამედ გულისწმაცონ, ვითარმედ უმაღლესნი და უდიდებულესნი სიტყუანი და საქმენი ჯერეთ დაფარულ არიან, ესრეთ ჰრქუა მათ და უძლურებაჲ გონებათა მათთად შორის შემოილო და აღუთქუა, ვითარმედ: ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისად და განაძლიერნეს, მაშინ ყოველივე დაფარული ეუწყოს მათ, და ყოველივე ცნან მათ.

ამისვე პირისა და ამის მიზეზისათჳს თქუა ანცა, რად-ესე თქუა, ვითარმედ: ოდეს ამაღლდეს მათგან სიძე იგი და მოუვლინოს მადლი ზეგარდამო სულისა მიერ წმიდისა, მაშინ მარხვაჲცა და ყოველივე სათნოებაჲ წარჰმართონ.

სწავლად ლ

ვსენებაჲ შრომათა და მოღუანებათად წმიდათა მოციქულთა და მონაშეთად

ან უკუე ჩუენცა ნუ ყოველსავე ყოველთაგან მსწრაფლ წარმართებად ვეძიებთ, არამედ ძალისაებრ კაცად-კაცადისა, და ესრეთ თუ ვიქმოდით, ადრე წარვემართნეთ უაღრესისა მიმართ. დაღაცათუ ვინ ამას ზედა გუაბრალობდეს, ნუ აღვიძრვით ზომისა უმეტეს მოსწრაფებად, რადთა არა უმეტესი დაყოვნებაჲ შეგუემთხვოს. რამეთუ მაშინცა ფარისეველნი იგი აბრალებდეს მონაფეთათჳს, არამედ ვერ დაარწმუნეს უფალსა წესიერებისა მისგან შეცვალებაჲ; არცა თქუა, თუ: სირცხვლ არს, რადთა ესენი იმარხვიდენ და მონაფენი ჩემნი არა იმარხვიდენ. არამედ ვითარცა მენავეთმოძღუარი ჴელოანი არა ლელვათა მათ აღტეხილებასა, არამედ თჳსისა ჴელოვნებისა წესიერებასა ხედავენ, ეგრეთვე ქრისტემან ქმნა, რამეთუ სირცხვლ იყო არა თუ იგი, რომელ არა იმარხვიდეს, არამედ უკუეთუმცა მარხვისათჳს უაღრესი იგი დასჭირდა.

ხოლო იხილე ჭეშმარიტებაჲ თქუმულთა მათ უფლისათად, ვითარი იქმნეს შემდგომად ამაღლებისა მისისა წმიდანი იგი მოციქულნი, ვითარი მოქალაქობაჲ აჩუენეს, ვითარი მოღუანებაჲ მოიგეს, ვითარცა-იგი პავლე ნამებს ყოველთათჳს და იტყჳს, ვითარმედ: „აქა ჟამამდე გუშისცა და გუნყურისცა და ვიქენჯნებით და განუსუენებელ ვართ და ვშურებით“.² და

¹ იოან. 16,12.

² 1 კორ. 4,11.

მცირედ ზემორე ამათ სიტყუათასა იტყოდა, ვითარმედ: „თითისსაჩუენებელ ვიქმნენით სოფლისა და ანგელოზთა და კაცთა“.¹ რა არს თითისსაჩუენებელ? ესე იგი არს, ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: არა ერთსა ყურესა სოფლისასა ანუ ერთსა ადგილსა აღესრულნეს ღუანლნი ჩუენნი, არამედ ყოველთავე სახილველ და საცნაურ იქმნნეს. ხოლო რა არს „ანგელოზთა და კაცთა“? ესე იგი არს, ვითარმედ იქმნების საქმე სახილველი კაცთად ხოლო და არა ანგელოზთაცა ხილვისა ღირსი, ოდეს უნდოდ რამე და მცირე იყოს; ხოლო ჩუენნი მოღუანებანიო და შრომანი ესოდენნი იქმნნეს და ესე ვითარნი, ვიდრელა ანგელოზნიცა შემოკრბეს ხილვად გარდამატებულისა მის შრომისა და სათნოებათა და ღუანლთა სიმრავლისა. და ვითარცა ოდეს საკვრველსა რასმე და უცხოთა საქმესა ხედვიდენ კაცნი, თითითა უჩუენებენ ურთიერთას, ეგრეთვე ანგელოზთა თითისსაჩუენებელ იქმნა მოღუანებად და ახოვნებად მოციქულთად და განკვრეებულნი ხედვიდეს კაცთა მათ, შემოსილთა ჳორცითა, ვითარ აღასრულებდეს საქმეთა უაღრესთა ანგელოზებრივისა მის ბუნებისათა. ამისთვისცა ყოველი სოფელი მოინადირეს და ყოველთა მნათობ იქმნეს, კაცთა ათორმეტთა, გლახაკთა და უსწავლელთა, ყოველნივე დაიმორჩილნეს მადლითა მით სულისა ნმიდისათა და მათისა მის სათნოებისა სიმაღლითა და ახოვნად და უშიშად თავს-ისხნეს სიმძაფრენი სატანჯველთანი და ფერად-ფერადნი სიკუდილნი. და არა იგინი ხოლო იქმნეს მძლე სატანჯველთა და შეურაცხმყოფელ სიკუდილისა, არამედ მონაფენიცა მათნი მითვე ახოვნებითა და უშიშობითა შეჭურნეს, რამეთუ მონამენი მოციქულთა მონაფენი არიან. ან უკუე ოდეს მონაფენი იხილნე ყოველთავე სატანჯველთა და ყოველთა ძვრ-ძვრად სიკუდილთა შეურაცხისმყოფელად, მოძღუართათვს რაჲღა საძიებელ არს?

გულისწმა-ყავ ახოვნებად მონამეთად, რაჲთა მათ მიერ მოციქულთაცა სათნოებისა გულისწმის-ყოფად უძლო და ორთავე მიერ მოძღუართმთავარი იგი ყოველთად ქრისტე ადიდო.

იხილე განწყობილი იგი მონამეთად, ვითარ ერეოდეს განწყობილსა მას უღმრთოთასა. და ჭემარიტად ბრძოლად იყო და განწყობილებად მათ შორის: ერთკერძო განწყობილი მონამეთად და ერთკერძო – უშჯულოთად.

გარნა მწყობრი იგი უშჯულოთად აღჭურვილ იყო, ხოლო მონამენი შიშუელნი შევიდოდეს ბრძოლასა მას, არამედ ძლევაჲ შიშუელთა მათ გუამთა მიეცემოდა და არა აღჭურვილთა. ვინ არა განკვრდეს ამას ზედა, რომელ ტანჯულნი მტანჯველთა მათ ერეოდეს, შეკრულნი – შემკრველთა, დანუადნი – დამნუველთა, მოკლვადნი მკლველთასა უძლიერეს იყვნეს? რაჲთა სცნა, ვითარმედ ყოველივე ესე მადლისა მის ზეგარდამოღსა საქმე იყო. რაჲმცა იყო ამის ბრძოლისა უძნელეს და უსამართლოებითა სავსე? ბრძოლათა მათ შინა სოფლისათა ორნივე კერძნი მბრძოლთანი აღჭურვილ

¹ 1 კორ. 4,9.

არიან, ხოლო აქა არა ესრეთ, არამედ დასი იგი მონამეთად შიშუელი მდგომარე არს, ხოლო უღმრთოთად – აღჭურვილი; მბრძოლნი სოფლისანი ორნივე ფლობილ არიან ჴელითა და ურთიერთას ეკუთეებიან, ხოლო აქა გუნდი იგი მონამეთად შეკრული წარმოდგომილ არს, და უღმრთონი ნებიერად ჰგუემენ; არამედ ეგრეთცა ერეოდეს მონამენი მტერთა მათ ხილულთა და მთავარსა მას მათსა უხილავსა, სოფლისმპყრობელსა მას ბნელისასა. და ვითარცა რომელი სცემდეს ანდამანტსა ქვასა, არა თუ მას ავენებს, არამედ თვთ შეიმუსრვის, ეგრეთვე უშჯულონი იგი, რაოდენცა ჰგუემდეს მონამეთა მათ, უფროსადლა განაბრწყინვებდეს და თავთა თვსთა სირცხვლეულ და საცინელ ჰყოფდეს. დამოჰკიდნეს იგინი ძელთა და ხუეტდეს გუერდთა მათთა უწყალოდ, ვითარმცა ურნატთა ქუეყანისათა განაპებდეს და არა ჴორცთა. და იხილენცა მუნ ძუალნი განშიშულეზულნი, გუერდნი განღებულნი, მკერდნი განპებულნი, და არავე კმა-იყვეს ესე სისხლისმჭამელთა მათ მწეცთა, არამედ გარდამოიყვანიან ძელისაგან და დაანვინიან ლანძუთა ზედა რკინისათა განჭურვებულთა. და იხილემცა კუალად უსაშინელესი პირველისა ხილვად: ორნი მდინარენი მათგან გამომდინარენი: ერთი იგი სისხლისად და მეორე – ჴორცთა მათ, ცეცხლისაგან განღეულთად. ხოლო წმიდანი, ვითარცა ვარდსა ზედა მნოლარენი, ნაკუერცხალთა მათ ესრეთ წადიერად და გულისთქუმით შეინყნარებდეს, და ვითარმცა სხვსა გუამთა ზედა აღესრულებოდეს ტანჯვანი იგი, ესრეთ უღმობელად იყენეს და შეურყეველად ეგნეს კეთილისა მის აღსაარებისაგან და ყოველსავე ზედა ბრწყინვალედ აჩუენებდეს ახოვნებასა თვსსა და მადლსა მას ღმრთისასა, მოფენილსა მათ ზედა.

გახილავსა, განთიად აღმობრწყინდის რად მზე და შუენიერნი იგი შარავანღედენი მოჰფინის სოფელსა ზედა? ესრეთ ბრწყინვალე და შუენიერ იყენიან გუამნი იგი მონამეთანი, შეღებულნი სისხლითა და აღვსებულნი მრავლითა წყლულებითა. სისხლი იგი მათგან გარდმომდინარე იხილეს რად მონამეთა, აღივსნეს სიხარულითა, ხოლო ეშმაკნი შეძრწუნდეს და ივლტოდეს, რამეთუ არა სისხლი იყო ლიტონი, არამედ სისხლი წმიდად, სისხლი პატიოსანი, სისხლი, ღირსი ზეცისა სავანეთად, სისხლი, განმანათლებელი ეკლესიათად.

იხილა ეშმაკმან სისხლი მონამეთად და შეძრწუნდა, რამეთუ მოეწსენა სხუად იგი საშინელი სისხლი მეუფისად, რომელმან დაწუა ყოველივე ძალი მისი და სრულიად შემუსრა. მის სისხლისათვს ესე სისხლნი დაითხინეს, რამეთუ ვინაძთგან განეპო გუერდნი მეუფისად, არღარავინ გონიერთა და ახოვანთაგანი ჰრიდებს ჴორცთა თვსთა. რამეთუ ვინმცა არა სურვილით შევიდა ღუანლსა მას, ვინაძთგან ხედვიდამცა, ვითარმედ თანაზიარ იქმნების ვნებისა მის ქრისტესისა და თანანერგ იქმნების მსგავსებასა მას სიკუდილისა მისისასა? რამეთუ კმა არს ესე ნაცვალი, და ფრიად უაღრეს შრომისა მის არს პატივი ესე, და უზეშთაეს ღუანლთასა არს დიდებად ესე

მსგავსებისა ვნებათა ქრისტესთადასა. ხოლო უკუეთუ ამისა შემდგომად ყოფადიცა იგი მოწამეთა ზედა ვნებავს სმენად, სიტყუად არა იპოების გამომეტყუელი, რამეთუ „არცა თუალმან იხილა, არცა ყურსა ესმა, არცა გულსა კაცისასა მოუჭდა, რომელი-იგი განუმზადა ღმერთმან მოყუარეთა მისთა“.¹

ხოლო არავინ ესრეთ შეიყუარა ღმერთი, ვითარ მოციქულთა და მოწამეთა. ვინ უკუე უძლოს მათთვის განმზადებულისა მის დიდებისა თქუამად, რამეთუ სატანჯველნი ესე ამის სანუთროხსანი მცირედ ჟამ აღესრულნეს მათ ზედა; ხოლო შემდგომად ამიერ განსლვისა აღვიდეს ზეცად, წინაუძლოდეს მათ ანგელოზნი და მთავარანგელოზნი, და ყოველნივე ზეცისა ძალნი მოეგებვოდეს და აქებდეს მათ და ამბორს-უყოფდეს ესოდენისა მის ახოვნებისათვს. და ესრეთ დიდითა ქებითა და დიდებითა შეიყვანნეს წინაშე ყოველთა მეუფისა, სადა-იგი მჯდომარე არს საყდართა ზედა დიდებისა მისისათა და იდიდების ქერობინთა მიერ და სერაბინთა. ხოლო შე-რად-ვიდეს, თაყუანის-სცეს უფალსა მათსა და ღმერთსა და მეუფესა; და შეინყნარნა იგინი დიდითა პატივითა არა ვითარცა მონანი, არამედ ვითარცა მეგობარნი, ვითარცა ეტყოდა სახარებასა შინა, ვითარმედ: „თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ, არლარა გეტყვ თქუენ მონა“.² და ესე ღირს არს და სამართალ, რამეთუ თავადმან თქუა, ვითარმედ: „ამისა უმეტესი სიყუარული არა არს, რადთა სული თვისი დადვას ვინმე მეგობართა თვსთათვს“.³ ან უკუე ვინადთგან ამათ სული თვისი უფლისა თვისისათვს დადვეს, შეინყნარნა მან იგინი, ვითარცა მეგობარნი, და მიერითგან ვითარი მისცა მათ დიდებად, ანუ რაბამსა სიხარულსა ღირს-ყვნა, მან მხოლომან უწყის, მიმცემელმან ესევითართა მათ ნიჭთამან, რამეთუ გონებად კაცობრივი ვერ შემძლებელ არს მოგონებად, ვერცა ენად – გამოთქუამად.

ან უკუე, საყუარელნო, ვისწრაფოთ ჩუენცა ბაძვად მათდა. დაღაცათუ ვერ ძალ-გვც ბაძვად მოციქულთა, არამედ მოწამეთა ვჰბაძვიდეთ. თქუას ვინმე, ვითარმედ: ვითარ ვჰბაძვიდე მოწამეთა, რამეთუ არა არს ჟამი დევნულებისა? – უწყი მეცა, ვითარმედ ჟამი დევნულებისა არა არს, გარნა ჟამი წამებისა არს; არა იპოების ჟამი ესევითართა სატანჯველთა, არამედ გვრგვოსნობისა არს; არა გუდევნიან კაცნი, არამედ გუდევნიან ეშმაკნი, უძვრესნი იგი ყოვლისავე მძლავრისა; არა ჰხედავ ნაკუერცხალთა დაფენილთა, არამედ ჰხედავ შენ შორის ალსა მას გულისთქუმათასა მოტყინარესა; მათ დათრგუნნეს ნაკუერცხალნი ცეცხლისანი, დათრგუნე შენ მჭურვალებად იგი ბუნებისა; განძლიერდეს იგინი მწეცთა მიმართ, ეწყვე შენცა გულისწყრომასა და აღვრ-ასხენ მწეცსა მას ბოროტსა; წინააღუდეგ ესე იგინი სატანჯველთა მათ მოუთმენელთა, წინააღუდეგ შენცა ბილნთა

¹ 1 კორ. 2,9.

² იოან. 15,14-15.

³ იოან. 15,13.

და ბოროტთა გულისსიტყუათა, რომელნი აღიძრვიან გულსა შინა შენსა. ესრეთ თუ იქმოდნი, იქმნე შენ მობაძავ მონამეთა. რამეთუ ჰავლე ღალადებს, ვითარმედ: „არა არს ბრძოლად ჩუენი სისხლთა მიმართ და ჯორცთა, არამედ მთავრობათა მიმართ და ჯელმნიფებათა, სოფლისმპყრობელთა მიმართ ამის ბნელისათა, სულთა მათ მიმართ უკეთურებისათა“.¹ ცეცხლი არს გულისთქუმაჲ ბუნებისაჲ, ცეცხლი უშრეტი, სამარადისოჲ, მსგავს არს ძალსა განცოფებულსა; დაღაცათუ ბევრეულგზის გარემიაქციო, კუალად ურცხვნოდ და ღირბად მოგიჯდის და არა განგეშორის, რამეთუ არაოდეს გუაქუს მოცალებად ამის ბრძოლისაგან, არაოდეს გუაქუს განსუენებაჲ, ვიდრელა სოფელსა ამას შინა ვიყვნეთ, არამედ სამარადისო არს ბრძოლად იგი, რადთა რომელნიცა მწნედ წინააღუდგენ, ბრწყინვალედ გვრგვნოსან იქმნენ. ამისთჳს მოციქული მარადის ყოვლადსაჭურველითა მით აღგუჭურავს, რამეთუ მარადის ბრძოლისა ჟამი არს, და მარადის მტერი იგი ჩუენი დაუძინებელად გუებრძვის.

ამისთჳს ვიტყჳ, ვითარმედ უფიცხეს აღისა ცეცხლისა არს ბრძოლად ჯორცთად; რამეთუ ვითარცა შეუძლებელ არნ, თუმცა შეეხო ვინ ცეცხლსა და არა დაინუა, ეგრეთვე უფიცხეს ცეცხლისა პირთა მათ შუენიერთა ხილვად ვნებულად მხედველსა მას სულსა აღატყინებს; რამეთუ ვითარცა ნივთი რადმე შესანუველი აღმატყინებელ ცეცხლისა იქმნების, ეგრეთვე პირნი იგი სავნებელნი გულთა მათ მწინკულევანთა ნივთ ბრძოლისა ექმნებიან. ამისთჳს ჯერ-არს არა მიცემად ცეცხლსა მას გულისთქუმათასა უმეტესისა ნივთისა გარეშეთა ხილვითა, არამედ ყოვლით კერძო გვღირს შეკრძალვად თავთა ჩუენთად და დაშრეტად აღისა მის გულისსიტყუათა მიერ საღმრთოთა და აღკრ-სხმად გულთა ჩუენთა, რადთა არა წარემატებოდინ ცოდვასა შინა, არცა მიუშუებდეთ სიმტკიცესა მას გონებისა ჩუენისასა დაცემად. რამეთუ ყოველივე გულისთქუმაჲ ჟამსა მას თჳსისა ბრძოლისასა ცეცხლისა უმძაფრეს არს, შემწუველ გონებისა, უკუეთუ არა ფრიადითა მოსწრაფებითა ილუანოს ვინ მოთმინებით თითოეულისა ვნებისა წინააღდგომად.

კუალადცა და მრავალგზის გრქუა ზემონერილი იგი სიტყუად: ემსგავსე ღუანლსა მონამეთასა, რადთა სასყიდელსაცა მათსა ღირს იქმნე. შეურაცხყვეს მათ სანუთროდ ესე ცხორებაჲ, შეურაცხყავ შენ შუებაჲ და ფუფუნებაჲ ჯორცთად; მისცნეს მათ ჯორცნი თჳსნი ცეცხლსა, მიეც შენ მონაგები შენი გლახაკთა; დათრგუნეს მათ ნაკუერცხალნი ცეცხლისანი, დათრგუნენ შენ გულისთქუმანი ბოროტნი. უკუეთუ ძნელ გიჩნს ესე, სარგებელიცა ამის სიძნელისაჲ გულისჯამა-ყავ, რომელი მოცემად არს შენდა მერმესა მას საუკუნესა. ნუ სანუთროსა ჰხედავ, არამედ საუკუნოდ მოიგონე; ნუ შრომასა და ჭირსა ჰხედავ, არამედ გვრგვნი და საშუებელნი გულისჯამა-ყვენ;

¹ ეფეს. 6,12.

რამეთუ ესე ფრიად კეთილი ღონე არს და გზად სათნოებისა მიმართ, რად-
თა კაცი არა აწინდელთა ამათ ჭირთა ხედვიდეს, არამედ სასყიდელსა მას
შრომისასა გულისწმა-ჰყოფდეს. ოდეს ქველისსაქმესა იქმოდი, ნუ წარგე-
ბასა მას საფასისასა ჰხედავ, არამედ ნაყოფი იგი მოწყალებისად გულის-
წმა-ყავ, რამეთუ იტყვს წერილი: „განაზნია, მისცა გლახაკთა, სიმართლე
მისი ჰგიეს უკუნითი უკუნისამდე“.¹

უკუეთუ იმარხვიდე, ნუ შრომასა მას მარხვისასა ჰხედავ, არამედ
განსუენებასა მას მოცემადასა იგონებდი; უკუეთუ იღკებდე და ილოც-
ვიდე, ნუ სიმძიმესა მას მღკდარებისასა მოიწყინებ, არამედ კადნიერება-
სა მას ეძიებდი, რომელი მოგეცემის ლოცვისა მიერ. არა ჰხედავა, რა-
მეთუ მწედარნიცა ეგრეთვე იქმან? არა წყლულებათა ჰხედვენ, არა-
მედ ძლევასა, არა მკუდართა მათ დაცემულთა, არამედ – მძლეთა მათ
გკრგკნოსანთა. ეგრეთვე შენ იქმოდე, საყუარელო, ნუ შრომასა ჰხედავ
სათნოებისასა, არამედ სასყიდელი გულისწმა-ყავ. იხილე, ვითარ კეთილ
არს, ოდეს-იგი შუალამეს, რაჟამს ყოველთა ეძინოს და არნ მყუდროე-
ბად დიდი, აღსდგი და შესწირვიდი ლოცვათა შენთა მეუფესა კადნიე-
რებით. უკუეთუ კულა ტკბილად გიჩნს ძილი და მიმოქცევა ცხედარსა
ზედა ლბილად გარდაგებულსა, გულისწმა-ყვენ ცხედარნი იგი რკინისა-
ნი განწურვებულნი, რომელთა ზედა დაანვენდეს მონამეთა. და არამცა
შეიკდამეა, უკუეთუ ამას იგონებდე სარეცელსა ზედა შენსა? დალაცათუ
ფრიად უდებ იყო, არა ეგების, თუმცა არა განიფრთხვე და არა აღსდეგ
ლოცვად.

ხოლო ნუ ლანძუთა მათ და ცხედართა ხოლო რკინისათა განწურვე-
ბულთა ვიგონებთ, არამედ სხუანიცა იგი სატანჯველნი მონამეთანი გა-
მოვწერნეთ გულთა შინა ჩუენთა, რამეთუ დიდად სარგებელ გუეყოს ამათ
ხატთა გამოსახვად. გამოვხატნეთ უკუე სულთა შინა ჩუენთა მონამენი,
ვითარ რომელნიმე ტაფაებითა შეინუებოდეს, რომელნიმე ნაკუერცხალ-
თა ზედა განრთხმულ იყვნეს, რომელნიმე სიავთა შინა აღდულებულთა
შთაითხეოდეს, რომელნიმე ზლუად შთაცკოდეს, რომელთამე გუერდნი
იხუეტებოდეს, სხუანი ურმისთუალთა ზედა დაეკრვოდეს, სხუანი კლდე-
თა მაღალთა შთავარდებოდეს, სხუანი მწეცთა მიეცემოდეს, სხუანი ძელ-
თა დამოეკიდებოდეს და სხვთა მრავლითა და თითოფერიითა სიკუდილითა
აღესრულებოდეს, რადთა მრავალფერიითა ამით გამოხატვიითა განვაშუე-
ნოთ ტაძარი სულისა ჩუენისად და მოუმზადოთ იგი სავანედ მეუფისა ზე-
ცათაჲსა. რამეთუ უკუეთუ იხილოს მეუფემან მან დიდებისამან გონება-
თა შინა ჩუენთა ესევეთარნი ხატნი, მოვიდეს და სავანე-ყოს ჩუენ თანა
თანა მამით და სულით წმიდითურთ; და იყოს მიერითგან გონებაჲ ჩუენი
ტაძარ სამეუფო, და ვერლარა ეძლოს შესლვად მუნ ბოროტსა გულისსიტი-

¹ ფსალმ. 111,9.

ყუასა, ვინადგან ვსენებად იგი ღუანლთა მათ მოციქულთა და მონამეთად გუექმნას ჩუენ ნურთად სამარადისოდ, და მადლი ნმიდისა სამეზისად დაემკვდროს ჩუენ თანა.

ხოლო შევიწყნაროთ თუ მეუფე ყოველთად ჩუენ შორის, შეგვწყნარნეს მანცა საუკუნეთა მათ სავანეთა, რომელთა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა შუენის დიდებად ყოვლადნმიდით და ცხოელსმყოფელით სულითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი ლა

სიტყუად ესე: „და ვითარცა იგი ამას ეტყოდა მათ, მაშინ მოუჭდა მას მთავარი ერთი, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა, ვითარმედ: ასული ჩემი ანლა აღესრულა; არამედ მოვედ, დასდევე ჴელი შენი, და ცხონდეს. და აღდგა იესუ და შეუდგა მას, და მოწაფენი მისნი მის თანა“ (9,18-19).

ენია საქმე სიტყუათა, რადთა უმეტესად პირი დაეყოს ფარისეველთა, რამეთუ კაცი იგი შესაკრებელთმთავარი იყო, და გლოად მისი დიდ იყო, რამეთუ შვილი იგი მხოლოდშობილი იყო ათორმეტისა წლისად, რომელ-ესე უმეტესისა გლოდას მიზეზ იყო ჰასაკისა მისთვის სიჭაბუკისა მისისა. ამის-თვისცა გარდამატებული რად იხილა გლოად მათი უფალმან, მეყსეულად აღ-დგა და შეუდგა მას. ხოლო ლუკა ესრეთ იტყვს, ვითარმედ მოკუდებოდაო, ოდეს მთავარი იგი მოვიდა, და მერმე მოვიდეს და ჰრქუესო, ვითარმედ: „ასული შენი მოკუდა, ნუ დააშრობ მოძღუარსა“.¹ ხოლო აქა იტყვს მათე, ვითარმედ: „თაყუანის-სცემდა მთავარი იგი და ეტყოდა: ასული ჩემი ანლა აღესრულა“. ვითარ არს ესე? გარნა ესრეთ გულისწმა-ყავთ: დაუტევა მან ასული თვისი უკუანაესკნელთა აღმოფშვნათა შინა და, მოუჭდა რად იესუს, ჰრქუა, ვითარმედ: „ან აღესრულა“. იჭვთ თქუა, რამეთუ ვინაფთგან ეს-რეთ აღსასრულსა ზედა დაეტევა, იტყოდა, ვითარმედ ან მომკუდარ იყოს, რადთა უმეტესად შეასწრაფოს უფალსა. ხოლო იხილე სიზრქე გონებისა მისისად, ვითარ ეტყვს უფალსა, „მოედო და დასდევე ჴელი შენი“. ფრიად შორს იყო სიბრძნისა მისგან და სარწმუნოებისა ასისთავისა მის, რომელ-მან ჰრქუა: „სიტყვთ ხოლო თქუ, და განიკურნოს მონად იგი ჩემი“.² რამეთუ ზრქელნი გონებითა ხილულთაცა საქმეთა ეძიებენ, ვითარცა ნემან ასური ეძიებდა ელისესგან დადებად მის ზედა ჴელისა;³ ხოლო რომელსა აქუნ-დეს სარწმუნოებად მტკიცე, მას ხილულნი საქმენი არა ეჭმარებიან, არამედ უხილავი ჰრწამს.

„აღდგა იესუ და შეუდგა მას, და მოწაფენი მისნი მის თანა“. მარკოზ და ლუკა იტყვან, ვითარმედ სამნი ოდენ წარიყვანნა, ხოლო ესე რიცხუსა არა იტყვს, გარნა მათვე ენამების. და რადსათვს მათე არა წარიყვანა, ვითარ-ცა ახლად წოდებული? რადთა უმეტესი სურვილი შთაუთესოს სასწაულთა მისთა ხილვად; და რამეთუ სამნი იგი უმეტესსა საზომსა იყვნეს, ამისთვის პატივ-სცემდა, რადთა სხუანიცა იგი ჰბაძვიდენ სათნოებათა მათთა.

ხოლო შეუდგა მას ერი მრავალი მთავრისა მისთვის მოსრულისა და სას-წაულისა მის ხილვად, რამეთუ ურწმუნო იყვნეს, თუ ქმნას საქმე იგი. არა-მედ თავადმან არა შეუდგო ყოველთა შესლვად, რადთა ყოველსა ადგილსა გუასწაოს სივლტოლად დიდებისაგან და ქებისა კაცთადასა.

¹ ლუკ. 8,49.

² მათ. 8,8.

³ 4 მეფ. 5,11.

სახარება: „და აჰა ესერა დედაკაცი ვინმე, რომელი იყო სისხლისა დინებასა ათორმეტ წელ, და მოუჭდა ზურგით და შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა. რამეთუ იტყოდა გულსა თვისსა: შე-ხოლო-თუ-ვახო სამოსელსა მისსა, ვცხონდე. ხოლო იესუ მიექცა, იხილა იგი და ჰრქუა მას: ნუ გეშინინ, ასულო! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. და განიკურნა დედაკაცი იგი მიერ ჟამითგან“ (9,20-22).

თარგმანი: რადსათვის არა განცხადებულად მოუჭდა? ერთად, რამეთუ ჰრცხუნოდა ვნებისა მისთვის საყუედრელისა; მეორედ, ეშინოდა, ნუუკუე ვითარცა არანმიდად გარემიაქციოს, რამეთუ შეჯულსა შინა ფრიადისა არანმიდებისა სახედ იტყვს სენსა ამას. ამისთვის ფარულად მიეახლა, რამეთუ არღა აქუნდა მისთვის ჯეროანი გულისსიტყუაჲ, რადთამცა იცოდა, ვითარმედ არარად დაეფარვის.

ხოლო ესე დედაკაცი მოვიდა უფლისა კურნებისათვის პირველ ყოველთა დედათასა სარწმუნოებითა მჭურვალითა; რამეთუ აგრძნა რად, ვითარმედ აღდგინებად ასულისა მთავრისა მის მივალს, ცნა, ვითარმედ დედათაცა სადმე ჰკურნებს, და ჰრწმენა შეუორგულეებლად, რამეთუ ძალ-უც შეხებითა ხოლო განკურნებად. გარნა ქრისტემან გამოაცხადა გულისსიტყუაჲ მისი და საცნაურ-ყო განკურნებაჲ იგი მისი ყოველთა შორის მრავლისა მიზეზისათვის: პირველად, რადთა განაქარვოს შიში დედაკაცისაჲ მის, რადთა არა მონინებით იყოს, ვითარმცა პარვით მიელო ნიჭი იგი; მეორედ, რადთა ცნას მან, ვითარმედ არარად დაეფარვის უფალსა; მესამედ, რადთა სხუათაცა იხილონ შეუორგულეებელი იგი სარწმუნოებაჲ მისი და ჰბაძვიდენ მას; მეოთხედ, რადთა შესაკრებელთმთავარი იგი იჭუეული გულსავსე-ყოს, ვითარმედ ყოველივე ძალ-უც, რამეთუ იგიცა ფრიად უმეცარი იყო გონებითა და იჭუეულ იყო, თუმცა უძლო ქრისტემან აღდგინებად ასულისა მისისა, უფროდსად, ვინადთგან მოვიდეს სახლისა მისისაგან და ჰრქუეს მას, ვითარმედ: „ასული შენი მოკუდა“. ამისთვის ქრისტე დედაკაცისაცა ამის მიერ გულისწმა-უყოფდა, ვითარმედ ყოველივე ძალ-უც, და მას ეტყოდა: „ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ, და ცხონდეს იგი“.¹

ამათ ყოველთა მიზეზთათვის შორის შემოიყვანა დედაკაცი იგი და ჰრქუა მას: „ნუ გეშინინ, ასულო!“ ვითარცა-იგი პირველ განრლუეულსა მას ჰრქუა: „ნუ გეშინინ, შვილო!“ რამეთუ შიშისაგან შეძრწუნებული იყო დედაკაცი, ამისთვის ჰრქუა: „ნუ გეშინინ!“ და ასულად უწოდა მას, რამეთუ სარწმუნოებამან მისმან ღირს-ყო იგი შვილებასა მას საღმრთოსა; და მეყსეულად ქებაჲ სათნოებისა მისისაჲ წარმოთქუა: „სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნაო“. ხოლო ლუკა ამისსა უმეტესსაცა გკხრობს დედაკაცისა მისთვის, ვითარმედ: შეახო რად ფესუსა სამოსლისა მისისასა და განიკურნა,

¹ ლუკ. 8,50.

არა მეცხეულად მოუწოდა მას ქრისტემან, არამედ პირველად თქვა: „ვინ შემახო მე? ჰრქუა პეტრე: მოძღუარ, ერი გარემოგადგან შენ და შეგაინრებენ, და შენ იტყვ: ვინ შემახო მე? ხოლო იესუ ჰრქუა: შე-ვინმე-მახო მე, რამეთუ მე ვცან ძალი იგი, განსრული ჩემგან“.¹ ხოლო ამას იტყოდა გონებათა მათ მიმართ ერისათა, ზრქელთა და უგულისწმოთა, არა თუ იგი უმეცარ იყო, თუ ვინ შეახო მას, და კუალად დედაკაცისა მისთსცა, რაფთა ცნას მან, ვითარმედ არარად დაეფარა, და თავით თსით აღიაროს საქმე იგი და გამოაცხადოს მის ზედა აღსრულებული საკრველებაჲ. ამისთსცა იტყვს მახარებელი ლუკა, ვითარმედ: „იხილა რად დედაკაცმან მან, რამეთუ არა დაეფარა, მოვიდა ძრწოლით და შეუვრდა მას და, რომლისა ბრალისათს შეახო, უთხრა წინაშე ყოვლისა ერისა, და ვითარ-იგი მეცხეულად განიკურნა. ხოლო იესუ ჰრქუა: ნუ გეშინინ, ასულო! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ; ვიდოდე მშკდობით!“²

იხილეა, რაოდენ უაღრეს იყო დედაკაცი იგი შესაკრებელთმთავრისა მის? არა მოუწოდა სახედ თსად, დაღაცათუ მდიდარი იყო ფრიად, არა უპყრა სამოსელსა მისსა, არამედ შე-ოდენ-ახო ფესუსა სამოსლისა მისისასა, და უკუანადსკნელ ღათუ მოვიდა, პირველ მიილო კურნებაჲ და წარვიდა. იგი მკურნალსა მას სახიერსა სახედ თსად უწოდდა, ხოლო ამას შეხებაჲ ოდენ კმა-ეყო, რამეთუ დაღაცათუ სნეულებითა მით შეკრულ იყო, არამედ სარწმუნოებითა ფრთოან იყო. ამისთსცა შორის შემოიყვანა და აქო იგი უფალმან და შიში მისი განუქარვა, რაფთა შესაკრებელთმთავარსაცა და სხუათა ყოველთა ასწაოს ბაძვად სარწმუნოებასა მისსა, და სიმრთელესა თანა სხუაფცა კეთილი საგზალი მისცა და ესრეთ წარგზავნა, რამეთუ ჰრქუა მას: „სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, ვიდოდე მშკდობით“. ამისთსცა არა უმადლო იპოვა დედაკაცი იგი, არამედ წარვიდა სახედ თსად, და ვითარცა სიტყუად ჭეშმარიტი მოძღუართაგან მოვალს, ვითარმედ: სახლსა თსსა მან ყოველთა პირველად ხატი მაცხოვრისაჲ შექმნა და თაყუანი-სცემდა მას ყოველთა დღეთა ცხოვრებისა მისისათა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე : „და მოვიდა სახლსა მთავრისასა და იხილა მუნ მგოსნები და ერი კრებული და შფოთი. და ჰრქუა მათ: განეშორენით, რამეთუ არა მომკუდარ არს იგი, არამედ სძინავს. ხოლო იგინი ეკიცხვედეს მას“ (9,23-24).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ეჭა უგუნურებაჲ იგი და სიცოფე მთავართაჲ მათ! მგოსნებითა და ნესტუებითა აღასრულებდეს გლოასა მას. ვის უხილავს გლოაჲ მგოსნებითა? არამედ ესე საქმე იყო უგუნურებისა მათ მთავართაჲსა და ფრიადისა მის უგულისწმოებისა. ხოლო ქრისტემან ერი იგი უწესობებისა მოქმედი განასხა მიერ და არავინ შეიყვანა მის თა-

¹ შდრ. ლუკ. 8,45-46.

² ლუკ. 8,47-48.

ნა სახლსა მას, გარნა თავნი იგი მოწაფეთანი და მამად და დედად ყრმისაჲ მის; რადთა არა თქუან, ნუჟუე სხუამან ვინმე ყო კურნებაჲ იგი და არა უფალმან, ამისთვის მშობელნი მისნი წარიყვანნა. ხოლო პირველ აღდგომისაჲ იტყოდა: „ნუ სტირთ, რამეთუ ყრმაჲ იგი არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს“. ¹ აჩუენებს ამით სიტყვთა, ვითარმედ ესრეთ ადვილ არს მის წინაშე აღდგინებაჲ მკუდართად, ვითარ განღვებებაჲ მძინარისაჲ, ვითარცა ლაზარესთვისცა იტყოდა, ვითარმედ: „ლაზარე, მეგობარმან ჩემმან, დაიძინა“. ² მუნცა ძილად სახელ-სდვა სიკუდილსა, რადთა არლარავის ეშინოდის სიკუდილისაგან, ვინაფთგან არლარა სიკუდილი არს, არამედ ძილი ეწოდების. რამეთუ ვინაფთგან თავადსაცა ეგულეობდა ხილვად გემომო სიკუდილისაჲ, ამისთვის წინაფთვე სხუათა გუამთა მიერ ასწავებს მოციქულთა, რადთა არლარა ეშინოდის სიკუდილისაგან, რამეთუ მო-რადვიდა უფალი ქუეყანად, ამიერიფთგან სიკუდილი ძილად შერაცხილ არს. ამათ ესევიფთართა მიზეზთათვს ძილად უწოდა სიკუდილსა მას. ხოლო უგულსწმონი იგი ეციცხევედეს მას; არამედ სახიერმან არავე შეჰრისხნა ურწმუნოებისა მისთვის, არამედ საქმით ამხილა მათი იგი სიცოფე. არა შეჰრისხნა მოკიცხართა მათ, რადთა იგინიცა და მგოსნები იგი და ერი, რომელი ეტყებდა, ყოველნივე მონამე იყვნენ სიკუდილისა მის, ვითარცა ლუკა იტყვს, ვითარმედ: „ჰბასრობდეს მას, უწყოდეს, რამეთუ მომკუდარ იყო“. ³ რამეთუ უმადლოებაჲ იგი და ურწმუნოებაჲ ჰურიფთად აურაცხელ იყო და მრავალგზის შემდგომად ქმნისა სასწაულთაჲსა არაქმნასა სწამებდიან, ამისთვის წინაფთვე განგებულეებით იქმნებოდა დამტკიცებაჲ სიკუდილისაჲ მის, რადთა ვერვინ თქუას, თუ: არა მომკუდარ იყო. ეგრეთვე ლაზარეს ზე იქმნა; ჰრქუა მათ: „სადა დასდევით იგი?“ რადთა მათ თვთ თქუან: „მოვედ და იხილე“; ⁴ და კუალად ჰრქუეს: „ყროდისლა, რამეთუ მეოფხე დღე არს“; ⁵ და ვერ უძღონ მერმე თქუმად, თუ: არა მკუდარი აღადგინა. ეგრეთვე აქა ყოვლით კერძო დაემტკიცა და საცნაურ იქმნა სიკუდილი ყრმისაჲ მის, რადთა ყოველთავე ცნან ძალი საკრველებისაჲ მის. ამისთვისცა, ხედვიდეს რად მშობელნი მისნი, „უპყრა ჴელიო და აღადგინა ქალი იგი“. ⁶ არა თუ სხუად მისცა სული, არამედ იგივე, რომელი განსრულ იყო მისგან, მოაქცია და, ვითარცა მძინარე, განაღვძა, რამეთუ ყოველივე ადვილ არს მის წინაშე.

„და უბრძანა, რადთა სცენ მას ჭამადი“, ⁷ რადთა ვერვინ მოიგონოს, თუ უცნებაჲ არს საქმე იგი. და არა თავადმან მისცა, არამედ მათ უბრძანა მიცემად, ვითარცა ლაზარეს ზე ჰრქუა მათ: „განწსენით ეგე და უტევეთ, ვიდოდის“; ⁸ რადთა ორივე მტკიცე და განცხადებულ იყოს, მოკუდომადცა და აღდგომად, და ვერვის ჴელ-ენიფებოდის ორგულეებაჲ ანუ ურწმუნოებაჲ.

¹ იოან. 11,11. ² ლუკ. 8,53. ³ იოან. 11,34. ⁴ იოან. 11,39. ⁵ მათ. 9,25. ⁶ ლუკ. 8,55.

⁷ იოან. 11,44.

ხოლო ლუკა იტყვს, ვითარმედ: „ამცნო მამა-დედათა მისთა, რადთა არავის უთხრან საქმე იგი“¹, რადთა ყოვლით კერძო გუასნაოს ჩუენ სიმდაბლე და არაგამოცხადებაჲ ქველისსაქმეთა ჩუენთაჲ.

სწავლაჲ ლა

ვითარმედ არა ჯერ-არს უზომოდ გლოვად მიცვალებულთათჳს, არამედ ლოცვად მათთჳს და ჟამისწირვად

და ან უკუე, ვინათგან ამას სიტყუასა მოვედით, მნებაჲს მცირედ მათა მიმართ თქუმაჲდ, რომელნი უნესოდ და უზომოდ იგლოენ და ტყებასა იქმან მიცვალებულთათჳს.

გულისგმა-ყავ, კაცო, ვითარმედ მაშინ უფალმან ერი იგი მგლოარე და მტყებარი გარე განასხა. ან უკუე შენ ნუ მათ თანა განისხმი, არამედ ეგე პეტრეს და იოვანეს და იაკობის თანა. უკუეთუ მაშინ იგინი განასხნა, არა უფროდსად ან ქმნასა? რამეთუ მაშინ ჯერეთ არა საცნაურ იყო, თუ სიკუდილი ძილად გარდაქცეულ არს, ხოლო ან მზისა უბრწყინვალესად ჩანს ესე და საცნაურ არს. გარნა არა გიხილავს შვილი შენი აღდგომილი? ნუ ამისთჳს სულმოკლე ხარ, რამეთუ უეჭუელად აღადგინოს შენიცა ეგე შვილი უმეტესითა დიდებითა. რომელი-იგი მაშინ აღდგა, კუალად მო-ვე-კუდა, ხოლო შენი რაჟამს აღდგეს, ეგოს უკუენისამდე უკუდაგებასა შინა.

ამიერითგან უკუე ნუვინ უზომოდ ტირნ და გოდებნ, ნუცა ძლევასა მას ქრისტესსა დააკნინებნ, რამეთუ მძლე ექმნა იგი სიკუდილსა და შემუსრა ყოველივე ძალი მისი. რადსათჳს უკუე უნესოდ ჰგოდებ, კაცო? საქმე იგი სიკუდილისაჲ ძილად შეცვალებულ არს, რად ეტყებ და იგლოვ? დალაცათუმცა წარმართნი იქმოდეს ამას, ბრალობაჲ ჯერ-იყო, ხოლო ოდეს ქრისტეანე იქმოდის საქმესა მას უჯეროსა, რადლა ვინ თქუას ესოდენისა ამის უგულისგმოებისათჳს? შემდგომად ესოდენთა ჟამთა და განცხადებულსა მას აღდგომისა სიმტკიცესა ჯერეთ უგულისგმოვე ხარ, კაცო, და მტირალთა შემოჰკრებ და სახლსა დააბნელებ და წესიერებასა მას ჩუენსა საბასრობელ-ჰყოფ. შვილნი წარმართთანი, რომელთა არა იციან საიდუმლოჲ იგი აღდგომისაჲ, ჰპოებენ სიტყუათა ნუგეშინის-ცემისათა და ეტყვან მგლოარეთა: თავს-იდევ ახოვნებით, რამეთუ უკმოსლვად წარსრულისაჲ მის არა არს, არცა კურნებაჲ საქმისაჲ მის გლოითა. ხოლო შენ, რომელსა სიბრძნე იგი საღმრთოდ გისწავიეს, უმეტეს მათსა იქმ უშუერებასა მას და არა გრცხუენის, არცა შეიკდემ. რამეთუ ჩუენ არა ვიტყვთ, თუ: თავს-იდევ ახოვნად, რამეთუ წარსრულისა მის ხილვად არღარა არს;

¹ ლუკ. 8,56.

არამედ ესრეთ ვიტყვით: თავს-იდევე ახოვნად, რამეთუ შესუენებული იგი აღდგების უეჭუელად; მიიძინა შვილმან შენმან, არა თუ მოკუდა. ვინათგან განღკებდა ეგულების და აღდგომად და ცხორებისა უკუდავისა მიღებად, არა ძილი არსა საქმე იგი? ისმინე, რასა იტყვს წინადასწარმეტყუელი: „მოიქეც, სულო ჩემო, განსასუენებელად შენდა, რამეთუ უფალმან კეთილი გიყოს შენ“.¹

წინადასწარმეტყუელმან სულისა მიერ წმიდისა სიკუდილისა განსასუენებელ უწოდა და კეთილის-ყოფა, და შენ რასა იგლოვ? ეშმაკი იგლოვდინ, იგი გოდებდინ და ტიროდენ, ხედვიდეს რად ცხორებად საუკუნოდ მისლვასა ჩუენსა; მისდა მიცემულ არს გლოად საუკუნოდ, ხოლო შენ, რომელი განსასუენებელსა მიმავალ ხარ და გვრგვინისა მოღებად გეგულების, რადსათვს იგლოვ ამიერ განსრულსა მას ზედა? არა ხედავა, რავდენითა ბოროტითა სავსე არს სოფელი ესე და დღითი-დღე უძკრესისა მიმართ წარემატების? და პირველითგანვე, გამო-რად-ვისხენით სამოთხით, ჭირი და ურვად დაგუესაჯა: ოფლითა პირისა ჩუენისადათა ჭამად პურისადა² და სულთქუმანი და მწუხარებანი და ჭირნი, და მიერთგან ესე სასჯელი მოვალს, და კუალად ამას ზედა ჩუენცა განვამრავლენით ცოდვანი, და მათ მიერ იშვნეს უმეტესნი ბოროტნი და აურაცხელნი მწუხარებანი. ხოლო მის საუკუნისათვს ესევეთარი არად გესმას, არამედ ყოველივე წინააღმდეგომი, ვითარმედ: „წარჯდა საღმობად და მწუხარებად და სულთქუმად“³ და „ინაჯ-იდგმიდენო აბრაჰამის თანა“⁴ და სასძლოდ ითქუმის შუენიერი და ლამპარნი ბრწყინვალენი და ნათელსა შინა ყოფად და ანგელოზთა თანა სიხარული.

ან უკუე შენ რადსათვს იგლოვ წარსულსა მას და იქმ, რადთა სხუანიცა ძრწოდინ სიკუდილისაგან, ვითარცა ბოროტისა რადსმე საქმისაგან? ვითარ ვასნაოთ სხუათა უკუდავებისათვს, ოდეს ჩუენ უმეტეს ურწმუნოთასა გუეშინოდის სიკუდილისაგან? და რად ვყოთო, ბუნებითი არს საქმე ესე. ნუ იყოფინ! უწესოდ ესე და უზომოდ არა ბუნებითი არს, არამედ ჩუენისა ვერაგობისაგან დანესებულ არს. ხოლო ბუნებითი საქმე არს წესიერად და მდუმრიად ცრემლი ზომითი და ვედრებად ღმრთისად წარსრულისა მისთვს. ხოლო გსურის თუ საყუარელისა მის ხილვად, კეთილი მოქალაქობად მოიგე და ადრე იხილო იგი. ხოლო ან ნუ უწესოდ იგლოვ, არამედ თავსა შენსა ნუგეშინის-ეც მცნებისათვს ღმრთისა; გულისჯმა-ყავ, ვითარმედ დალაცათუ ან არა ჰქმნა ესე, არამედ სიგრძესა ჟამისასა თავით თვსით ჰქმნა, და არარად გაქუნდეს მაშინ სასყიდელი, რამეთუ არა ღმრთისათვს აიძულე თავი შენი, არამედ ჟამმან დაგარწმუნა. ხოლო უკუეთუ ან მოხვდე გულისჯმისყოფად ჟამსა მებრ გლოისასა და მადლობით შეინწყნარო, დიდი სასყიდელი მოილო ღმრთისაგან, რამეთუ მონყალებისა და მარხვისა და მღკძარებისა

¹ ფსალმ. 114,7.

² შდრ. დაბ. 3,17.

³ ესაია 35,10.

⁴ მათ. 8,11.

და სხუათა ყოველთავე საქმეთა უაღრეს არს მოთმინებად განსაცდელისაჲ მადლობით.

გულისწმა-ყავ, რამეთუ უფალი ჩუენი იესუ ქრისტე მოკუდა კაცობრივითა მით ბუნებითა და შეურევებულ იყო და იტყოდა: „თანანარმვედინ სასუმელი ესე“,¹ გარნა არავე თანანარჰჷდა მიღებად სასუმელისა მის, და არა სიკუდილი ხოლო თავს-იდვა, არამედ სიკუდილი საყუედრელი, დამოკიდებითა ჯუარსა ზედა, რომელი მაშინ ფრიად საყუედრელად შერაცხილ იყო; და პირველ ჯუარ-ცუმისა ბევრეულნი ყუედრებანი და შეურაცხებანი თავს-ისხნა, რათა ჩუენ გუასნაოს ყოვლისავე განსაცდელისა თავს-დებად. ხოლო მო-ღათუ-კუდა, არამედ აღდგა კუალად დიდებითა დიდითა, რათა მოგუცეს ჩუენ სასოებაჲ აღდგომისაჲ.

უკუეთუ ამას ყოველსა არა ურნმუნო ხარ, ნუ სტირ და ჰგოდებ შესუენებულთათჷს. უკუეთუ ჰგოდებდე, ვითარ დაარნმუნო წარმართთა, ვითარმედ გრნამს? მითხარლა, უკუეთუმცა მეფემან ამან ქუეყანისამან მოავლინა და მიუნოდა შვილსა შენსა სამეუფოდ პალატად, სტიროდემცა და ჰგოდებდი? ნუ იყოფინ! არა უწყი, უკუეთუ სრულიად ვინ სულელ იყოს და უმეცარ. ხოლო ან ანგელოზნი მოივლინებიან ზეცით მეუფისა მიერ და მიუნოდენ მონასა მას ღმრთისასა, რადსათჷს უკუე სტირ შენ? არა უწყია, ვითარ დიდი საიდუმლოჲ აღესრულების? ვითარ საშინელი და შესაძრუნებელი და ღირსი გალობისაჲ და სახე დიდი სიბრძნისა მის საღმრთოჲსაჲ, ვითარ განვალს სული ჯორცთაგან, ვითარცა სახლისა რადსაგანმე, და მივალს მეუფისა თჷსისა. და შენ ჰხედავ საიდუმლოსა მას და სტირ. არა ტირილისაჲ არს ჟამი იგი, არამედ მადლობისაჲ. ხოლო ოდეს იშვებოდის ყრმაჲ, მაშინ რად არა სტირ და იგლოვ? რამეთუ ესეცა შობაჲ არს, ფრიად უაღრესი მის შობისა, რამეთუ მივალს ნათლად ბნელისა ამის სოფლისაგან; განიწსნების, ვითარცა საკრველთაგან; განვალს დილეგისა ამისგან; განთავისუფლდების ღუანლისაგან და მივალს განსუენებად.

რამეთუ ვითარცა მზე, ცისკარსა განწმედილსა აღმობრწყინდის რად, ეგრეთვე სული, განვიდის რად ჯორცთაგან, გონებითა წმიდითა ბრწყინავნ; და ვითარცა მეუფე შარავანდედითა შე-რად-ვალნ პალატად შემკობილი, ესრეთ არს სული, განმავალი ჯორცთაგან და მიმავალი ღმრთისა. ამის უკუე ესევეთარისა საქმისათჷს რად იგლოვ, კაცო, და ჰგოდებ, და არა უფროდსად ჰგალობ და ჰმადლობ უფალსა?

ხოლო უკუეთუ ესრეთ მეტყჷ, ვითარმედ: ეგე, რომელსა წარმოიტყჷ, მართალთათჷს არს, გარნა უკუეთუ წარსული იგი ცოდვილ იყოს, რად სთქუა, არა ვტიროდია და ვგოდებდე? – ეგრეთ ვიტყჷ მე, ვითარმედ: და-ღაცათუ ცოდვილი იყო, უმჯობესივე იქმნა მისთჷს სიკუდილი, რათა არა უმეტესნი შეიკრიბნეს ცოდვანი, რამეთუ უკუეთუმცა იცოდა ღმერთმან,

¹ მათ. 26,39.

თუ მოიქცევის სინანულად, ნუ იყოფინ, თუმცა წარიყვანა უნანელი; არამედ იცოდა სადმე, ვითარმედ უძკრესისა მიმართ წარემატების, და ყო წყალობაჲ, მოანია სიკუდილი, რაჲთა არა უმეტესად ცოდვილ იქმნას და უმრავლესისა სატანჯველისა ღირსად გამოჩნდეს. გარნა ტირილსა მისთვის არა გაყენებ, არამედ ვხედავ, ვითარმედ არა მაგით გულისსიტყვთა იგლოვ და სტირ. უკუეთუ არა, ყრმისა მცირისა და უმანკოდსათვს რაჲსა სტირ? და კუალად, ოდეს ვინ ახალნათელღებულთაგანი აღესრულოს, რად სტირ? არა უწყია, ვითარსა სიხარულსა მივლენ ესევეთარნი იგი სულნი? ამით ვსცნობ, ვითარმედ კაცობრივითა გულისსიტყვთა და არა ცოდვათათვს არს გლოაჲ ეგე და ტირილი.

უკუეთუ კულა ჭეშმარიტად ცოდვილისათვს ოდენ სტირ, ოდეს ცოდვასა შინა აღესრულოს, და ესე არს მიზეზი გლოისა შენისაჲ, არავინ არს ამას ზედა მაყენებელ შენდა, გარნა ამის პირისათვს არცა მტირალთა შეკრებაჲ ჯერ-არს, არცა უნესოდ ქმნაჲ გოდებისაჲ მის, არამედ ოდეს მარტოებით იყო სახლსა შინა შენსა. ესევეთარი გლოაჲ საღმრთო არს და მოციქულთა მიერ დაწესებულ. ცრემლოოდა იესუცა იერუსალჴმისათვს, რამეთუ ხედიდა წარწყმედასა მისსა; და მოციქულნი იგლოვდეს ცოდვილთათვს. ესე საქმე ჭეშმარიტ არს. გარნა ოდეს სიტყუათა იტყოდი შეუმსგავსებელთა ამის გულისსიტყვსათა, სიჭაბუკესა მისსა სტიროდი, თანამოლუანეობასა მისსა იტყოდი და სხუასა ესევეთარსა, ვითარ მრწმენეს, თუ ცოდვათა მისთათვს სტირ? უკუეთუ ცოდვათათვს სტირ, მეცა თანაშემწე გეყო, რამეთუ ესე ტირილი კეთილ არს. გარნა თუ ესევეთარი გაქუს გულისსიტყუაჲ, რად არა სიცოცხლესავე მისსა ასწავლიდი მოქცევასა ცოდვათაგან, არამედ მიუშუ ცუდად და ამაოდ წარწყმედად დღეთა ცხორებისა თვისისათა ცოდვათა შინა, და აწ, გან-რაჲ-ვიდა ამიერ, ოდეს არღარა უფალ არს მოქცევად და სინანულად, აწლა იგლოვ და სტირ? გარნა აწლა, უკუეთუ გენებოს, ისწრაფე ლხინებად მისა სატანჯველთაგან: აღასრულენ მისთვის ვედრებანი და ლოცვანი, მიეც გლახაკთა; დაღაცათუ იგი უღირს იყოს, არამედ შენი ვედრებაჲ ისმინოს უფალმან. მისთა საფასეთაგან, გინა თუ შენთა, ყავ მისთვის მონყალებაჲ, დაასხი წყალი ცეცხლსა მას; არა აქუს ქველისსაქმე თვისი, ბარე თვსთა მისთაჲ აქუნდინ; არა ჰქონან მონყალებანი მის მიერ ქმნილნი, აქუნდინ მისთვის ქმნილნი იგი. რაოდენცა მრავალთა ცოდვათა თანამდებ არს, უმეტესი უჴმს ქველისსაქმე, რამეთუ არა აქუს ესევეთარი ძალი მისთვის ქმნილსა ამას, ვითარ აქუნდა, თუმცა მის მიერ ქმნილ იყო; რამეთუ არა სწორ არს თავით თვისით ქმნაჲ ქველისსაქმისაჲ და სხუათა მიერ მისთვის მიცემაჲ. ვინაჲთგან უკუე ფრიად უდარეს არს ესე, ამისთვის უმეტესად ფრიად ჯერ-არს ქმნაჲ. შემოკრიბენ გლახაკნი, არქუ სახელი მისი, აღადგინენ მრავალნი მეხჴშენნი, ისმენს უფალი ამასცა ვედრებასა; და ესეცა მისისა სახიერებისა საქმე არს, რომელ ლოცვათა და ცრემლთა მიერ გლახაკთასა, ობოლთა და ქურივთასა ულხენს შეცოდებულთა, რაჲთა უმ-

რავლესნი გზანი ცხორებისანი გვჩუენნეს. ნუ იტყვ, თუ: გლახაკი ვარ და არა მაქუს საფასე; მრავალგზის მითქუამს, ვითარმედ მოწყალეებასა არა საზომისა მისებრ მიცემისაჲსა შეჰრაცხებს ღმერთი, არამედ ძალისაებრ და გონებისა მიმცემელისა მის. ძალისაებრ შენისა ქმენ მოწყალეებად, მოუწოდე მღდელთა, რაჲთა აღასრულონ მისთჳს უსისხლოდ იგი მსხუერპლი; არა თუ ცუდად აღესრულების წმიდაჲ ჟამისწირვაჲ შესუენებულთათჳს, არა თუ ცუდად აღესრულებიან ვედრებანი და მოწყალეებანი. ესე ყოველი სულმან წმიდამან განანესა, რაჲთა ურთიერთას სარგებელ ვეყოფოდით. მას შენ მიერ სარგებელ ვეყოფის და შენ – მის მიერ, რომელ წესსა და მცნებასა სიყუარულისასა აღასრულებ. ხოლო ნუ იჭუეულ ხარ და იტყვ: ნუჲუკუე არას ერგების მას? არა ცუდად ღალადებს დიაკონი და იტყვს: „ქრისტეს მიერ შესუენებულთათჳს და რომელნი ჳსენებასა მათსა აღასრულებენ, უფლისა მიმართ ვილოცოთ“. არა დიაკონი ღალადებს ამას, არამედ მადლი იგი სულისა წმიდისაჲ. წინამდებარე არს მსხუერპლი იგი დიდებული, მუნ მდგომარე არიან ანგელოზნი და მთავარანგელოზნი, წინაჲჲ ძესა ღმრთისასა, ძრწოლით ჰმსახურებენ, და მაშინ ღალადებს დიაკონი ამას ვედრებასა, და ვინმცა თქუა, თუ ცუდ არს და უსარგებლო? უკუეთუ ესე ცუდ არს, სხუაჲცა სადმე ყოველი ცუდ არს, რომელსა ვევედრებით ეკლესიათათჳს, მღდელთათჳს, მეფეთათჳს და ყოვლისა ერისათჳს; ნუ იყოფინ, თუმცა ცუდ რაჲმე იყო. ყოველივე ჭეშმარიტ არს, ყოველივე სარწმუნოებით აღესრულების.

ხოლო რაჲ სთქუა, რომელ-იგი მოწამეთათჳს შევსწირავთ ჟამისწირვასა? დიდი პატივი არს მოწამეთაჲცა, უკუეთუ მას ჟამსა იჳსენნენ. ამისთჳს ვაჳსენებთ მოწამეთა და ყოველთა წმიდათა. ოდეს მეუფე საკურთხეველსა ზედა იყოს, საშინელი იგი საიდუმლოდ აღესრულებოდის, დიდი პატივი არს წმიდათაჲ, რომელნიცა იჳსენნენ; ვითარცა-იგი დაჯდის რაჲ მეფე ძლევით შემოსილი საყდართა ზედა, და დღესასწაულსა ძლევისა მისისასა აღასრულებნ და შეასხმიდიან ერნი და სჳანი, და არნ სიხარული დიდი, მაშინ იდიდებოდინ, რომელნიცა ზიარ მისისა მის ძლევისა იქმნეს, და განთავისუფლდებოდინ პყრობილნი, რომელნიცა ჳსენებულ იქმნიან სიხარულისა მისთჳს. ხოლო აღ-რაჲ-დგის მეფე სერისა მისგან, არღარავინ იკადრებნ მოჳსენებად მისა პყრობილთა მათთჳს. ეგრეთვე ვიდრემდის მსხუერპლი იგი საიდუმლოჲსაჲ წმიდასა საკურთხეველსა ზედა ეგოს და იქადაგებოდის ქადაგებაჲ იგი დიდებული, ვითარმედ კაცთათჳს მიეცა მეუფე სიკუდილად და დაჳჳსნა სიკუდილი, რომელ-ესე არს ჳსენებაჲ ძლევისა მისისაჲ, ვითარცა იტყვს: „რავდენგზის სჭამდეთ პურსა ამას და სუმიდეთ სასუმელსა ამას, სიკუდილსა უფლისასა მიუთხრობდით“¹ მაშინ რომელნიცა წმიდათაგანნი იჳსენნენ, დიდი პატივი არს მათთჳს. მასვე

¹ 1 კორ. 11,26.

უკუე ჟამსა მის საკვრველებისასა ჯეროვნად იწსენებთან შეცოდებულნიცა და ჰპოებენ ლხინებასა.

ან უკუე ნუ ცუდად ანუ ლიტონად შევჰრაცხებთ საქმესა ამას, არამედ სარწმუნოებით აღვასრულებდეთ და ამით ნუგეშინის-ვსცემდეთ მიცვალებულთა მათ; ცრემლთა წილ და გლოისა და სამარეთა შემკობისა აღვასრულებდეთ მათთჳს ჟამისწირვასა, ლოცვასა, მონყალებასა, რაფთა იგინიცა და ჩუენ ღირს ვიქმნეთ საუკუნესა ცხორებასა მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა სულით წმიდითურთ შუენის დიდებაჲ, პატივი და თაყუანის-ცემად ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი ლბ

სიტყუად ესე: „და წარმო-რა-ვიდოდა მიერ იესუ, მოსდევდეს მას ორნი ბრმანი, ლალადებდეს და იტყოდეს: შემინყალენ, ჩუენ, უფალო, ძეო დავითისო! და ვითარცა შევიდა იესუ სახლსა, მოუჭდეს მას ბრმანი იგი, და ჰრქუა მათ იესუ: გრწამსა, ვითარმედ ძალ-მიც ესე ყოფად? ჰრქუეს მას: ჰე, უფალო. მაშინ შეახო თუალთა მათთა და ჰრქუა: სარწმუნოებისა თქუენისაებრ გეყავნ თქუენ! და მეყსეულად აღეხუნეს თუალნი მათნი“ (9,27-30).

რადასათეს გზასა ზედა, მისდევდეს რად და ლალადებდეს, თანანარჰჰდა მათ? კუალად აქაცა გუასნავებს, რადთა ვეველტოდით მრავალთა დიდებასა და გამოცხადებასა საქმეთა კეთილთასა; ამისთვსცა შე-რა-ვიდა სახლსა, განკურნა იგინი თვსაგან და ამცნო, რადთა არავის აუნყონ. ხოლო ესეცა დასასჯელად ჰურიათა იქმნებოდა, რამეთუ ბრმათაცა შეინყნარეს სარწმუნოებად მისი, და მათ ნეფსით დაიყვნეს თუალნი ხილვად ნათლისა.

რამეთუ იხილელა მათი იგი სარწმუნოებად ლალადებისა მისგან და უკუანა შედგომისა. და რად იყო ლალადებად მათი? – „შემინყალენ ჩუენ, უფალო!“ ხოლო ძედ დავითისა უნესდეს, რამეთუ დიდად პატივად შეე-რაცხა ესე მაშინ ჰურიათა. წინადასწარმეტყუელნიცა მეფეთა, რომელთაცა პატივ-სცემდიან, ძედ დავითისა უწოდდიან. ხოლო შე-რა-ვიდა სახლსა, მეორედ მოუჭდეს მას, და ჰკითხა მათ სარწმუნოებად მათი. ესე ამისთვს, რადთა ცნან ყოველთა, ვითარმედ ღირს იყვნეს იგინი წყალობისა ჭეშმარიტად, და ვერვინ იტყოდის, ვითარმედ: უკუეთუ სახიერებისათეს მისისა ჰკურნებდა მათ, რად არა ყოველნი განკურნნა? ამისთვს აჩუენა, ვითარმედ ჩუენმიერიცა სარწმუნოებად საჯმარ არს. და კუალად, ვინადთგან მათ თქუეს: „შემინყალენ, უფალო, ძეო დავითისო!“ ასნავებს უმაღლესსა გულისწმის-ყოფასა, თუ ვითარ უჯმს ქონებად სარწმუნოებისა მისისა; ამისთვს ჰრქუა: „გრწამსა, ვითარმედ ძალ-მიც ესე ყოფად?“ არა ჰრქუა, თუ: გრწამსა, ვითარმედ ძალ-მიც ვედრებად მამისა ჩემისა? არამედ: „ძალ-მიც ესე ყოფადო?“ ჰრქუეს მათ: „ჰე, უფალო“. არლარა ძედ დავითისა უწოდეს, არამედ განცხადებულად მეუფებად მისი წამეს და აღიარეს. მაშინ შეახო თუალთა მათთა და ჰრქუა: „სარწმუნოებისა თქუენისაებრ გეყავნ თქუენ!“ პირველად სულნი მათნი განსწავლნა სარწმუნოებად მტკიცედ და მერმე ჰრქუა: „სარწმუნოებისაებრ თქუენისა გეყავნ თქუენ“, რადთა გულისწმად-უყოს ყოველთა, ვითარმედ შეუორგულეებელი სარწმუნოებად აჩუენეს და მის მიერ განიკურნნეს.

ხოლო ესე არა მათ ზედა ოდენ ქმნა, არამედ სხუათა მრავალთა. პირველ ჳორციელთა სენტა კურნებისა სულთა კურნებად მიანიჭის და სარწმუნოებად მოიყვანნის, რადთა იგინიცა უმეტესად წარემატნენ და მათ მიერ

სხუათა სარგებელ ეყოს. ეგრეთ ქმნა განრღუეულსა მას ზედა, პირველ ჯორცთა კურნებისა სული განკურნა, რაჟამს ჰრქუა: „ნუ გეშინინ, შვილო, მიგეტევენ ცოდვანი შენნი!“ ეგრეთვე შესაკრებელთმთავარსა მას პირველ აღდგინებისა ასულისა მისისა სარწმუნოებად ასწავლა მას და ჰრქუა: „ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ!“ და ასისტავისა მის ზედა ეგრეთვე ყო, – ყოველივე სარწმუნოებასა მიაჩემა. და მოწაფეთა რად იქსნიდა ზამთრისა მისგან, პირველად მცირედმორწმუნეობისაგან იქსნნა. ეგრეთვე აქა, პირველ მათისა სიტყვსაცა იცოდა მან დაფარულნი გულთა მათთანი, არამედ ამისთვის გამოაცხადნა გულისსიტყუანი მათნი, რადთა სხუანიცა ბაძვად მათდა აღადგინეს.

ხოლო შემდგომად განკურნებისა უბრძანა, რადთა არავის უთხრან, და არა ესრეთ ლიტონად, არამედ ფრიადითა სიმტკიცითა, ვითარცა იტყვს მახარებელი:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „და შეჰრისხნა მათ იესუ და ჰრქუა: იხილეთ, ნუმცა ვინ უწყის. ხოლო იგინი გამოვიდეს და მიმოსდვეს იგი ყოველსა მას ქუეყანასა“ (9,30-31).

თ ა რ გ მ ა ნ ი: დაღაცათუ უფალმან უბრძანა არა თხრობად, გარნა მათ არა თავს-იდვეს დაფარვად სასწაულისად მის, არამედ იქმნეს ქადაგ და მახარებელ ჭეშმარიტებისა. ხოლო რომელ-იგი სხუასა ადგილსა ჰრქუა: „ნარვედ და მიუთხრობდი დიდებასა ღმრთისასა“, არა წინააღმდეგომი არს ამის სიტყვსად, არამედ ფრიადცა ეწამების, რამეთუ გუასწავებს ჩუენ, რადთა თავთა თვსთათვს არარას საქებელსა ვქადაგებდეთ, არამედ დაღაცათუ ვის ენებოს ქებად ჩუენი, ვაყენებდეთ; ხოლო უკუეთუ საქმე რამე იყოს სადიდებელი ღმრთისად, არა თუმცა ვაყენებდით, არამედ უფროესად თანავენამებოდითცა ქადაგებად დიდებასა ღმრთისასა.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „და ვითარცა იგინი გამო-ოდენ-ვიდეს, მოჰგუარეს მას კაცი ყრუდ და ეშმაკუული. და ვითარცა განჯადა ეშმაკი იგი, იტყოდა მრთელად ყრუდ იგი. და დაუკვრდებოდა ერსა მას და იტყოდეს: არასადა ისრაჴლსა შორის ესრეთ გამოჩნდა“ (9,32-33).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესე იყო, რომელი მოსწყლვიდა გულსა უღმრთოთა მათ ფარისეველთასა, რომელ ერი იგი ადიდებდა უფალსა და უადრესობასა მისსა ქადაგებდეს არა მაშინ მყოფთა შორის ხოლო, არამედ ოდესვე ყოფილთაცა კაცთასა, ვითარმედ: „არასადა ისრაჴლსა შორის ესრეთ გამოჩნდა“. რამეთუ ჭეშმარიტად საკვრველი იყო დიდებული არა ესე ხოლო, რომელ კურნებათა იქმოდა, არამედ რომელ ესრეთ ადვილად და მსწრაფლ განჰკურნებდა სენთა ურიცხუთა და უკურნებელთა, ვითარცა-ესე ან აღმოკითხული, რომელი-იგი არა ბუნებითისა სენისაგან უტყუ და ყრუ იყო, არამედ ეშმაკისაგან. ამისთვისცა ვერ თავით თვსით მოვიდა, ვერცა თავით

თვსით ევედრებოდა (რამეთუ ეშმაკსა შეეკრა ენად მისი), არამედ სხუათა მოჰგუარეს იგი. ამისთვის არცა სარწმუნოებად ძებნა მისგან, არამედ მეყსეულად ეშმაკი იგი განიოტა, და უტყვ იგი ზრახვიდა ფლობილად და ესმოდა დაუყენებელად. ამას ზედა ერნი განკვრდებოდეს, ხოლო უღმრთონი იგი ფარისევლნი და ყოვლითურთ ეშმაკისადა განჩემებულნი, ისმინეთ, რასა იტყვან:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ხოლო ფარისევლნი იგი იტყოდეს: მთავრითა ეშმაკთაჲთა განასხამს ეშმაკთა“ (9,34).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ვჰრქუათ მათ სიტყვსა მისებრ ესაია წინაღწარმეტყუელისა: „მოედით აქა, შვილნი ურჩულოებისანო, თესლნი მემრუშეთანო და ნაშობნი მეძავთანო! ვის ზედა ალაღეთ პირი თქუენი, ანუ ვის ზედა განსძარტ ენად თქუენი? არა თქუენ ხართა შვილნი წარწყმედისანი და ნათესავნი უშჯულონი? რამეთუ არა მიგეტვოს თქუენ ცოდვად ესე, ვიდრემდე მოსწყდეთ თქუენ, იტყვს უფალი ძალთაჲ. ან იხილეთ, რამეთუ დაბრმეს წინამძღუარნი თქუენნი და არა ცნეს გულისჴმის-ყოფად. ძალლნი არიან ურცხვნონი გულითა და არა იციან მოძღურებაჲ და არიან ყოველნი უკეთურ. ანუ არა თქუენ ხართა, რომელნი ევედრებოდეთ კერპთა ხეთა ქუეშე სერტყოვანთა, დაუკლევდით შვილთა თქუენთა? ესე არს ნაწილი თქუენი, ესე არს სამკვდრებელი თქუენი. ვაჲ სულისა თქუენისა, რამეთუ იზრახეთ ზრახვად ბოროტი!“¹

ეტყოდენ კუალად იერემიაცა თვსითა მით დაღადებითა: „ორი ბოროტი ქმნა ერმან ამან: მე დამიტევეს, წყაროდ წყლისა ცხოელისაჲ, და აღმოთხარეს თავისა მათისა ჯურღმული ჴურელოვანი, რომლითა ვერ უძლონ დაჰყრობად წყალი. ისმინეთ სიტყუად უფლისაჲ ყოველთა ტომთა სახლისა ისრაჴლისათა: რაჲ პოვეს მამათა თქუენთა ჩემ თანა შეცოდებაჲ, რამეთუ განდგეს იგინი ჩემგან შორად? მდდელთა არა თქუეს: სადა არს უფალი? და მეცნიერთა მათ შჯულისა ჩემისათა არა მიცნეს მე, და მწყემსნი უღმრთოებდეს ჩემდამო; რამეთუ დასაბამითგან შეურიე უღელი შენი და განხეთქენ აპაურნი შენნი და სთქუ: არა გმონო შენ, არამედ მივიდე ყოველსა ზედა ბორცუსა მაღალსა და ყოველსა ხესა მაღალსა, მუნ განვსცთე სიძვითა ჩემითა. შეაგინე ქუეყანად იგი სისხლითა და უკეთურებითა შენითა, და გესხნეს შენ მწყემს მრავალ საცთურად შენდა. პირი, ვითარცა როსპიკისაჲ, გექმნა შენ, ურცხვნო იქმენ ყოველთა მიმართ“² და შემდგომი ამისი.

ამხილებედ სხუანიცა წინაღწარმეტყუელნი, ყოველნი თითოფერად და თითოსახედ, ბილწთა მათ და საძაგელთა, რომელთა მიმართ ჩუენცა მსგავსად ჴმისა მის წინაღწარმეტყუელთაჲსა ვეტყოდით: თქუთლა, ურ-

¹ შდრ. ესაია 57,3-6; 56,10-11.

² შდრ. იერ. 2, 13,4-5,8,20; 3,2-3.

ჩულონო და ჭემმარიტად ეშმაკეულნო, რომელმან ეშმაკმან განიოტა ეშმაკი? ოდეს განენყვნეს იგინი ურთიერთას ბრძოლად? ოდეს დაემეგობრნეს მთავარნი მათნი ბუნებასა კაცთასა, რადთამცა განასხმიდეს ეშმაკთა მათგან და დაჰჰსნიდესმცა თვსთა მათ აგებულებათა? ხოლო სხუათა მათთვს სასწაულთა რად სთქუათ, რომელთა იქმოდა მაცხოვარი ჩუენი: მკუდარნი აღადგინნა, კეთროანნი განწმინდნა, ზღუასა აღკურ-ასხნა, ჳელისწერილნი ცოდვათანი აჰოცნა, სასუფეველი ცათად ქადაგა, ბუნებაჲ კაცთად განდგომილი დააგო ღმერთსა და მამასა, საცთური იგი კერპთმსახურებისად უჩინო-ყო და განაქარვა. სადა გიხილავს ეშმაკი ამათ საქმეთა მოქმედად? რამეთუ მათი საქმე ესე არს, რადთა ღმრთისაგან კაცნი განაშორნენ და კერპთა თაყუანის-ცემად ასწაონ და საუკუნოჲსა მის ცხორებისაგან უცხო-ყვნენ. მბრძოლნი არიან და მტერნი ბუნებისა ჩუენისანი, მარადის წარწყმედასა ზედა კაცთასა იხარებენ, არა თუ მბრძოლთა ხოლო მათთა ემტერებიან, არამედ პატივისმცემელთაცა მათთა ქუესკნელთა ჯოჯოხეთისათა შთაჰდინ, ვითარცა-ეგე თქუენ გიყვეს, საწყალობელნო და მათისა მის ღმრთისაგან განდგომილებისა მიმსგავსებულნო, რამეთუ ყოვლითურთ ნებისა მათისა აღმასრულებელ იქმნენით; და აჰა ეგერა იხილეთ, ვითარისა კეთილისა მომატყუებელ გექმნეს, მტერ და წინააღმდეგომ მეუფისა და ღმრთისა და ქველისმოქმედისა თქუენისა გყვეს და წარწყმედაჲ იგი საუკუნოჲ ნაწილად დაგიდევს, რამეთუ ღირსვე ამას იყვენით უშჯულოებისა თქუენისათვს.

გარნა უკეთურთა მათ მწიგნობართა და ფარისეველთა მიმართ სიტყუად სხუად ჟამად დამარხულ იყავნ, რამეთუ მრავალ არს სამხილებელი ბოროტთა მათთად. ხოლო ჩუენ ვიხილოთ, მორწმუნენო, თუ ვითარ ყოველთა მათ შურააცხებისა სიტყუათა სახიერებით და სიმჰკდით თავსიდებდა უფალი ჩუენი, რამეთუ შემდგომად ესევითარისა მის გმოზის მათისა რად ნაცვალი მიაგო მათ, ისმინეთ:

ს ა ხ ა რ ე ბ ა : „და მოჰვლიდა იესუ ქალაქებსა ყოველსა და დაბნებსა და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა და ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა და განჰკურნებდა ყოველთა სენთა და ყოველთა უძლურებათა ერსა შორის“ (9,35).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ესოდენსა მას უკეთურებასა მათსა ზედა და სიცოფესა არა ხოლო თუ ცეცხლითა არა დაწუნა ანუ უფსკრულთა ჯოჯოხეთისათა შთაჰდინა, არამედ არცა თუ სიტყვით შეჰრისხნა. ერთად, რადთა გამოუთქუმელი იგი სიმჰკდე და სახიერებაჲ თვსი აჩუენოს და იგი ქმნას სამხილებელად მათდა; და მეორედ, რადთა უმრავლესთა მათ სასწაულთა მიერ ძალი თვსი უჩუენოს უმეტესად და მერმელა ინყოს სიტყვითცა მხილებად. ამისთვისცა მოჰვლიდა ქალაქებსა და დაბნებსა და შესაკრებელთა შორის მათთა ასწავებდა და ყოველთავე სენთა ჰკურნებდა, რადთა გუასწაოს ჩუენ

ძკრისმეტყუელთა ჩუენთა ესევეითარისა ნაცვლისა ყოფად. ესე იგი არს, რაჲთა ძკრისმეტყუელებისა ნილ არა ძკრისმეტყუელებად მივაგოთ, არამედ ქველისმოქმედებად და ყოველივე კეთილი.

ან უკუე, მორწმუნენო, ოდეს კეთილი ვისმე უყო მოყუასსა შენსა და მან მოგაგოს ბოროტი, შენ ნუ-ვე-დასცხრები კეთილის-ყოფისაგან, რაჲთა უმეტესად განმრავლდეს სასყიდელი შენი ღმრთისა მიერ. ხოლო რომელმან იხილოს მოყუასი უმადლოდ და დასცხრეს ქველისმოქმედებისა მისისაგან, გამოაჩინებს ესევეითარი იგი, ვითარმედ არა ღმრთისათჳს იქმოდა ქველისსაქმესა მას, არამედ კაცობრივისა ქებისათჳს. ხოლო რად საჭმარ არს ქებად იგი კაცთად უსარგებლოდ? უფროსად ყოველივე ქველისსაქმე ჩუენი, ძმანო, ღმრთისათჳს იყავნ და ბუნებითისა მის სახიერებისათჳს, ვითარცა-იგი უფალმან ჩუენმან მოგუცა სახე კეთილისად თავისა მიერ თჳსისა, რამეთუ ესერა გულისწმა-გვყოფს, ვითარმედ სახიერებისათჳს თჳსისა და ნყალობისათჳს კაცთადსა იქმოდა ყოველსავე. ამისთჳსცა არა ერთსა ადგილსა იყოფოდა და მოელოდა მისა მომართ მოსლვასა უძღურთასა, არამედ თავადი მოჰვლიდა ყოველსა ქალაქებსა და დაბნებსა და მიანიჭებდა უსასყიდლოდ ორთა მათ დიდთა კეთილთა: ერთად, სწავლასა ამას კეთილსა და სახარებასა სასუფეველისასა, და მეორედ, ყოველთავე სენთა კურნებასა, რაჲთა ცნან, ვითარმედ იგი არს მაცხოვარი სულთა და ჯორცთად და უფალი ორისავე ცხორებისად. და არა თავით თჳსით ხოლო იქმოდა ესრეთ, არამედ სხუადცა შესძინა მოლუანებისა და ქველისმოქმედებისა საქმე, ვითარცა იტყვს მახარებელი:

სახარებად: „და ვითარცა იხილა ერი იგი, შეენყალნეს იგინი, რამეთუ იყვნეს დამაშურალ და დაცვენებულ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი. მაშინ ჰრქუა მონაფეთა თჳსთა, ვითარმედ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი – მცირედ. ევედრენით უფალსა სამკლისასა, რაჲთა გამოავლინნეს მოქმედნი სამკალსა თჳსსა. და მოუნოდა ათორმეტთა მონაფეთა თჳსთა და მისცა მათ ჴელმწიფებად სულთა ზედა არანმიდათა, რაჲთა განასხმიდენ მათ და განჰკურნებდენ ყოველთა სენთა და უძღურებათა“ (9,36-10,1).

თარგმანი: აურაცხელისა მის სახიერებისა და კაცთმოყუარებისათჳს არა კმა-ეყო თავისა მიერ თჳსისა სწავლად და კურნებად უმადლოთად მათ, არამედ მონაფეთაცა მისცა ესერა ჴელმწიფებად კურნებათად და ნარავლენს მიმოსლვად სწავლად ერისა და კურნებად უძღურთა, რაჲთა მათდა მიმართცა ნყალობად და ძკრუჴსენებლობად თჳსი და ღმრთივემუენიერი სიმდაბლე აჩუენოს და მოციქულნიცა განუართნეს პალესტინეს შინა საქმესა მას მოციქულებისასა, რაჲთა განვიდენ რად ყოველსა სოფელსა, ახოვნად თავს-იდვან სიმრავლე იგი ღუანლთა და განსაცდელთად. ამისთჳსცა, ვითარცა მფრინველი რად მართუეთა ჩჩკლთა ასწავებნ ფრინვასა

და მცირედ-მცირედ განიყვანებნ ბუდისაგან, ეგრეთ იწყო სწავლად მათდა წინამდებარისა მის საგრობისა. და ან პირველად კურნებასა ჯორციელთა სენტასა მისცემს, ხოლო კურნებასა მას სულთასა უკუანაესკნელ დაუმარხავს, ვითარცა უალრესსა და უზეშთაესსა. და იხილე, ვითარ ქადაგებს მახარებელი, ვითარმედ კაცთმოყუარებისათვს და ფრიადისა მის მონყალებისათვს იწყო საქმესა ამას და სხვსა არარაესათვს: „იხილა ერი იგი და შეენყალნესო, რამეთუ იყვნეს დამაშურალ და დაცვვნებულ, ვითარცა ცხოარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი“. იხილა უკეთურებად იგი მღდელთა მათ და მნიგნობართა და ფარისეველთად, რომელნი განწესებულ იყვნეს მთავრად და მწყემსად ერისა მის, ვითარ-იგი არა მწყემსთა საქმესა აჩუენებდეს, არამედ მგელთასა; არა ხოლო თუ კეთილისა სწავლისაგან უდებ იქმნებოდეს, არამედ ყოვლით კერძო ბოროტსა ასწავლიდეს და ყოვლისავე კეთილისაგან დააბრკოლებდეს. ამისთვისცა, დაუკვრდებოდა რად ერსა მას და იტყოდეს, ვითარმედ: „არასადა ისრაჴლსა შორის ესრეთ გამოჩნდა“, უღმრთონი იგი ფარისეველნი წინააღუდგებოდეს და იტყოდეს: „მთავრითა ეშმაკათათა განასხამს ეშმაკათა“, და სხუასა ესევეითარსა მრავალსა ბოროტსა ასწავლიდეს.

ამათ ესევეითართა მწყემსთათვს იტყოდა იერემია წინადასწარმეტყუელი, ვითარმედ: „მწყემსთა მრავალთა განრყუნეს საყურძენი ჩემი, უდაბნოდ უგზოდ ქმნეს იგი განსარყუნელად წარსანყმედელისად“.¹ მათთვისვე ღალადებს ეზეკიელ და იტყვს: „იყო სიტყუად უფლისად ჩემდა მომართ, და თქუა: ძეო კაცისაო, წინადასწარმეტყუელებდ მწყემსთა მიმართ ისრაჴლისათა და არქუ მათ: ჴ მწყემსთა მაგათ ისრაჴლისათა, ვითარ განიბნინეს ცხოარნი ჩემნი, რამეთუ არა იყო მწყემსი, და იქმნეს იგინი შესაჭმელ ყოველთა მჭეცთა ველისათა“,² და შემდგომი ამისი, რად-იგი თქუა ყოფად მწყემსთა მათთვის ბოროტთა, ვითარცა სცნათ, რომელთაცა აღმოიკითხოთ წინადასწარმეტყუელებად იგი.

ამისთვის, იხილა რად უფალმან, ვითარმედ მწყემსნი იგი საქმესა მგელთასა იქმოდეს და ერი იგი დამაშურალ იყვნეს სულითა და დაცვვნებულ ბოროტთა საქმეთა შინა, შეენყალნეს იგინი სახიერსა მას და მონყალესა და ჰრქუა მონაფეთა თვსთა: „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი – მცირედ“. ვითარცა-იგი იოვანეს თავსა შინა წერილ არს, ვითარმედ: „მე წარგავლინებ თქუენ მკად, რომელსა თქუენ არა დაშუერით, სხუანი დამაშურალ არიან, და თქუენ შრომილსა მათსა შემოხუედით“;³ ეგრეთვე აქა სამკალი თქუა, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: არა თესვად წარგავლენ, არამედ მკად. ხოლო ამათ სიტყუათა ეტყოდა დამდაბლებისათვს გონებათა მათთადასა და რადთა უჩუენოს, ვითარმედ უმეტესი შრომად გარდასრულ არს, რამეთუ უმეტეს არს შრომად თესვისა, ვიდრელა მკისად. ვინაფთაგან

¹ იერ. 12,10.

² შდრ. ეზეკ. 34,1-5.

³ იოან. 4,38.

უკუე მკად წარავლინნა, საცნაურ არს, ვითარმედ არა უცხოესა რადსმე სამკალისა წარავლინნა მკად, არამედ რად-იგი წინადასწარმეტყუელთა მიერ ეთესა, რადთა აჩუენოს, ვითარმედ იგი არს მუშაკი კეთილი, იგი არს უფალი სამკლისად მის, იგი არს მეუფე წინადასწარმეტყუელთად, რომელმანცა პირველად მთესვარად მოავლინნა იგინი, ვითარცა-იგი იოვანე კეთილსა მას მუშაკთმთავრობასა მისსა გამოაჩინებს, ვითარმედ: „ნიჩაბი ჴელთა შინა მისთა, და განწმიდოს კალოდ თუსი და შეკრიბოს იფქლი მისი საუნჯეთა, ხოლო ბზე დანუას ცეცხლითა უშრეტითა“.¹

გარნა ესე საძიებელ არს, თუ ვითარ მუშაკად რად სახელ-სდვა მოწაფეთა და თქუა: „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი – მცირედ. ევედრენით უფალსა სამკლისასა, რადთა გამოავლინნეს მოქმედნი სამკალსა თუსსა“, არავე შეჰმატნა მუშაკნი იგი, არამედ მასვე რიცხუსა ზედა ათორმეტთა დაიცვნა. ესრეთ უკუე გულისჴმა-ვყოთ: ჰრქუა რად, ვითარმედ: „ევედრენით უფალსა სამკლისასა“, გულისჴმა-უყო, ვითარმედ იგი თავადი არს უფალი სამკლისად. ამისთვის დალაცათუ ვედრებაა უბრძანა, რადთა ცნან ნიჭისა მის სიმაღლე, არამედ თვნიერ ვედრებისაცა მათისა მან თავადმანყო საქმისა მის მოლუანებად და შემატებად იგი მუშაკთა მათ საღმრთოთად. ხოლო ნუ იტყვ, თუ: არა შეჰმატა მათ; ჰე, ფრიად შეჰმატა და ფრიად განამრავლნა ათორმეტნი იგი, არა თუ რიცხვთა, არამედ შემატებითა მით და მიმაღლებითა ძალისა და მადლისადათა; რამეთუ ესე იყო ჴემმარიტად საკვრველი შემატებად, რომელ ათორმეტნი მძლედ და დამმორჩილებელად ყოვლისა სოფლისა გამოაჩინნა. და იხილე წესი იგი და სახე შემატებისა მათისად საკვრველი:

„მოუწოდა ათორმეტთა მოწაფეთა თუსთა და მისცა მათ ჴელმწიფებად სულთა ზედა არანმიდათა, რადთა განასხმიდენ მათ და განჰკურნებდენ ყოველთა სენთა და უძლურებათა“. სული წმიდად არლა მოცემულ იყო მათდა, ვითარცა იოვანე იტყვს, „რამეთუ იესუ არლა იყო დიდებულ“;² ხოლო დიდებად ჯუარ-ცუმასა მისსა სახელ-სდებს. ვითარ უკუე განასხმიდეს სულთა მათ არანმიდათა? ძალითა მით და ჴელმწიფებითა ბრძანებისა მის უფლისადათა იქმოდეს მაშინ სასწაულთა მათ. ხოლო ვინაეთგან მოვიდა სული წმიდად მათ ზედა, მიერთგან სამარადისოდ და განცხადებული მოიღეს ჴელმწიფებად ყოვლისავე სასწაულთა საქმისად.

იხილეთ უკუე, ვითარ ჟამსა ჯეროვანსა იწყო წარვლინებად მათდა, რამეთუ არა პირველითგან ქმნა ესე, არამედ ვინაეთგან მყოარ ჟამ შეუდგეს მას და იხილეს მკუდარი აღდგომილი, ზღუად შერისხული და დამორჩილებული, ეშმაკნი განსხმულნი და განრღუეული აღმართებული, ცოდვანი აღწოცილნი და კეთროანი განწმედილი და ცნეს გონიერად ძალი მისი საქმით და სიტყვთ, მაშინდა იწყო წარვლინებად მათდა, და წინაეთვე უთ-

¹ მათ. 3,12.

² იოან. 7,39.

ხრობს მომავალთა მათ ზედა საქმეთა, რად-იგი მოწინააღმდეგე იყო არა მაშინ, არამედ შემდგომად ამაღლებისა მისისა, რადთა წინადასწარ თხრობითა მით განმზადებულ იყვნენ იგინი მოთმინებად ყოვლისა ჭირისა.

ხოლო ვინაჲთგან პეტრეს და ანდრიას და იაკობის და იოვანეს წოდებად ოდენ აღწერა მახარებელმან ამან და მერმე თვისიცა შესძინა წოდებად, ხოლო სხუათა მოწაფეთა არცა წოდებად ეთქუა, არცა სახელები, ამისთვის ჯეროვნად ამას ადგილსა სახელებსა და რიცხუსა მათსა გვთხრობს და იტყვის:

სახარებად: „ხოლო ათორმეტთა მათ მოციქულთა სახელები ესე არს: პირველად სიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და ანდრეა, ძმად მისი, იაკობ ზებედესი და იოვანე, ძმად მისი, ფილიპე და ბართლომე, თომა და მათეოზ მეზუერე, იაკობ ალფესი და ლებეოს, რომელსა ეწოდა თადეოს, სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი, რომელმანცა განსცა იგი“ (10,2-4).

თარგმანი: „პირველად სიმონ, რომელსა ეწოდებოდა პეტრე“. იყო სხუადცა სიმონ – კანანელი. ამისთვის თქუა პეტრე, რადთა გულისწმა-გვყოს, თუ რომელსა იტყვს. და კუალად სათნოებისადაცა და სიმტკიცისა მისისა მომასწავებელი არს სახელი ესე, რომელ-ესე გამოითარგმანების კლდე, ვითარცა უწოდა მას უფალმან.

„და ანდრეა, ძმად მისიო“. ესეცა დიდი ქებად არს, რამეთუ ერთი იგი სათნოებისა მისისაგან გამოსახა და მეორე ესე თვისებითა სიკეთისა მისისადათა გამოსახა, რამეთუ ანდრეა მწნედ გამოითარგმანების. ხოლო მარკოზ პეტრე აწესნა და მერმე ორნი იგი ძენი ზებედესნი და ეგრეთ ანდრეა, განწესებისა მისებრ პატივისა მათისა; არამედ ესე ბუნებითსა მას თვისებასა მათსა განუყოფელად იტყვს: „სიმონ-პეტრე და ანდრეა, ძმად მისიო, იაკობ ზებედესი და იოვანე, ძმად მისი“. ჰხედავა, ვითარ არა პატივისაებრ, არამედ ბუნებითისა წესისაებრ წარმოიტყვს, რამეთუ იოვანე არა სხუათა ხოლო, არამედ ძმისადაცა უზემთაეს იყო საზომითა, გარნა ან მახარებელმან იაკობ თქუა პირველად და მერმე „ფილიპე და ბართლომე და თომა და მათეოზ მეზუერე“. ხოლო ლუკა უწინარეს მათეოზს იტყვს და მერმე თომას; მერმე იაკობ ალფესი, რამეთუ იყო სხუადცა იაკობ – ზებედესი; მერმე თქუა ლებეოს, რომელსა ეწოდა თადეოს; და სიმონ მოშურნე, რომელსადაცა კანანელ უწოდა; და ესრეთ აწესნა იუდა განმცემელი და არა თქუა, ვითარმედ: იუდა, ბილნი იგი და არანმიდად, არამედ ქალაქი ხოლო მისი აწესნა – ისკარიოტელიო. რამეთუ იყო სხუადცა იუდა, რომელ არს ლებეოს, რომელსა ეწოდა თადეოს, რომლისათვის იტყვს ლუკა, ვითარმედ: „იუდა იაკობისი“. ¹ ამისთვის უკუე სახელითა მით ქალაქისადათა განყოფილებად მისი ქმნა ამისგან და თქუა: „იუდა ისკარიოტელი, რომელმანცა განსცა იგი“. და ესეცა არავე სირცხვლ-იჩინა თქუმად, ვითარმედ: „რომელმანცა განსცა

¹ ლუკ. 6,16.

იგი“; ესრეთ არარას დაჰფარვიდეს, რომელიცა საყუედრელად შერაცხილ არნ. ხოლო ვისმინოთ შემდგომიცა იგი სიტყუა მახარებელისაჲ:

სახარებაჲ: „ესე ათორმეტნი წარავლინნა იესუ, ამცნო მათ და ჰრქუა: გზასა მას წარმართთასა ნუ მიხუალთ და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შეხუალთ, არამედ მივედით უფროჲს ხოლო ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჴლისათა“ (10,5-6).

თარგმანი: „ესე ათორმეტნი წარავლინნაო“; ესე რომელნი, გვთხარლა? – მეთევზურნი ესე და უსწავლელნი და მეზუერენი; რამეთუ ოთხნი მეთევზურნი იყვნეს და ორნი მეზუერენი: მათეოზ და იაკობ ალფესი; და ერთი იგი განმცემელი და სხუანიცა იგი უნდონი და გლახაკნი. რომლისათჳს განკვრევით იტყჳს მახარებელი, ვითარმედ: ესე ათორმეტნი, რიცხვთცა მცირედნი და ძალითა სიტყჳსაჲთა, ანუ სწავლულებითა, ანუ სიმდიდრითა უძლურნი და უნდონი წარავლინნა იესუ მოციქულებად და ამცნო მათ: „გზასა მას წარმართთასა ნუ მიხუალთ და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შეხუალთ, არამედ მივედით უფროჲს ხოლო ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჴლისათა“. ნუ ჰგონებთო, ვითარმედ რომელ-ესე გამობენ ჩემდამო და ეშმაკეულით მინოდენ, თუ მძულან იგინი და გარემიქცეულ ვარ მათგან, – ნუ იყოფინ! – არამედ ჯერეთ მნებავს ყოვლისავე ღონისძიებისა მათ ზედა ჩუენებად, ნუუკუე შეიკდიმონ და მოიქცენ. ამისთჳს მნებავს, რაჲთა ყოველთა პირველ მათდა მიმართ ჰყოთ ქადაგებაჲ თქუენი, მათ ასწაოთ, იგინი განჰკურნნეთ. ამისთჳს ყოვლადვე ნუ მიხუალთ გზასა წარმართთასა, ნუცა ქალაქსა სამარიტელთასა შეხუალთ; რამეთუ იგინიცა წინააღმდეგომ იყვნეს ჰურიათა, გარნა ფრიად უმეტეს შემწყნარებელ იყვნეს სარწმუნოებისა, ხოლო ჰურიანი უფიცხეს და უბოროტეს იყვნეს. გარნა ეგრეთცა მათდა მიავლინნა მოციქულნი, რაჲთა აჩუენოს მათ ზედა სახიერებაჲ თჳსი და რაჲთა სრულიად დაუყოს პირი, და ვერ იტყოდინ, ვითარმედ: წინადაუცუეთელთა მიმართ მივიდეს მოციქულნი, ამისთჳს არა შევიწყნარენით იგინი. ხოლო ცხოვრად წარწყმედულად უწოდა მათ, რამეთუ მწყემსნი მათნი უძკრეს მგელთასა იყვნეს, და იგინი პირველითგან შეცთომილ იყვნეს გზათგან საღმრთოთა და არაოდეს დადგრომილ ნესსა მას რჩულისა, მოცემულისა მოსეს მიერ, არამედ განხრწნილ იყვნეს კერპთმსახურებათა შინა და სხუათა ყოველთავე უშჯულოებათა. ამისთჳს წარავლენს ძიებად მათდა და ეტყჳს:

სახარებაჲ: „და შე-რაჲ-ხვდეთ, ქადაგებდით და იტყოდეთ, ვითარმედ: მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ“ (10,7).

თარგმანი: იხილეთ სიმაღლე მსახურებისაჲ ამის მათისაჲ? იხილეთ პატივი იგი მოციქულთაჲ? არარაჲ ხილული უბრძანა მათ ქადაგებად, ვითარცა-იგი მოსეს და სხუათა მათ წინაჲსწარმეტყუელთა, არამედ ყოვე-

ლივე უცხო და საკრველი. ხოლო წინადასწარმეტყუელნი და მოსე არარას ესევითარსა ქადაგებდეს, არამედ ქუეყანასა და კეთილთა ქუეყანისათა, გარნა მოციქულნი სასუფეველსა ცათასა იტყოდეს და კეთილთა მათ მოუგონებელთა; და არა ამით ხოლო ჯერითა უაღრეს იქმნეს, არამედ შეუორგულელებისა მისთვისცა მორჩილებისა, რამეთუ ესოდენნილა წინადასწარვე აუნყნა მონვენადნი ჭირნი და ლუანლნი მათ ზედა: პერობილობანი, გუემანი, წარდგინებანი წინაშე მეფეთა და მთავართა, მოძულებანი ყოველთაგან, სიკუდილნი თითოსახენი, და არავე შეშინდეს, არამედ ფრიადითა მორჩილებითა შეიწყნარეს ბრძანებად იგი, რამეთუ ქადაგნი იყვნეს ჭეშმარიტად სასუფეველისანი და მახარებელნი ბევრეულთა მათ კეთილთანი. ხოლო ვინაჲთაგან ქადაგებად მათი უცხო იყო და დიდებული, სარწმუნოჰყოფს უფალი სიტყუათა მათთა საქმეთაგან და ეტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „**უძლურთა განჰკურნებდით, კეთროვანთა განსწმედდით, ეშმაკთა განასხემდით; უსასყიდლოდ მიგიღებთ, უსასყიდლოდ მისცემდით**“ (10,8).

თ ა რ გ მ ა ნ ი: გულისწმა-ყავთლა, ვითარ წესსა სათნოებისასა ამცნებს შეკრძალვად უფროს, ვიდრელა სასწაულთა, რაჲთა გამოაჩინოს, ვითარმედ სასწაულნი თვნიერ სათნოებათაჲსა არად საჭმარ არიან. ამისთვისცა სიმდაბლესა ასწავლის მათ სიტყუთა ამით, ვითარმედ: „**უსასყიდლოდ მიგიღებთ, უსასყიდლოდ მისცემდით**“, და ყოვლისავე საჭმართმოყუარებისაგან განათავისუფლებს. ვითარმცა ეტყოდა მათ, ვითარმედ: დალაცათუ სასწაულთა და კურნებათა იქმთ, ნურარას აღჰზუავენებით, რამეთუ არა თავით თვსით მოგიგიეს ესე, არცა სასყიდლითა გიყიდიეს, არცა შრომითა თქუენითა წარგიმართებთ, არამედ ჩემი არს ნიჭი ესე, უსასყიდლოდ თქუენდა მონიჭებული. ან უკუე უსასყიდლოდვე მისცემდით, რამეთუ არა შესაძლებელ არს პოვნად სასყიდელი ამის ნიჭისაჲ; გარნა მე ვარ მიმნიჭებელი და არა თქუენ. და მეყსეულად ძირსა მას ყოველთა ბოროტთასა აღმოჰფხურის და ეტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „**ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა სარტყელთა თქუენტა, ნუცა ვაშკარანსა გზასა ზედა, ნუცა ორსა სამოსელსა, ნუცა ჯამლთა, ნუცა კუერთხსა, რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა**“ (10,9-10).

თ ა რ გ მ ა ნ ი: მრავალი კეთილი წარჰმართა ამით მცნებითა: ერთად, სრული ესე და მაღალი საზომი ასწავა ნეტართა მათ მონაფეთა თვსთა; მეორედ, რაჲთა უმეტესად შეწყნარებულ იყოს სიტყუად მათი წესისა მის მიერ მაღლისა; მესამედ, რაჲთა ყოვლისავე ზრუნვისაგან თავისუფალ იყვნენ და ყოვლითურთ შექცეულ მსახურებასა მას სიტყვასა; მეოთხედ, რაჲთა ასწავოს მათ ძალი განგებულებისა თვისისაჲ, რომლისათვისცა ამისა შემდგომად ეტყოდა მათ: „ოდეს-იგი წარგავლინენ თქუენ თვნიერ ბალანტისა და

ვაშკარანისა და ფერწთაშესასხმელთა, ნუ გაკლდა რაღა თქუენ? ხოლო მათ თქუეს: არარაჲ გუაკლდა“.¹

ვინაჲთგან უკუე ესრეთ ეგულებოდა მოლუანებაჲ მათი, ამისთვის ყოველისავე ზრუნვისაგან უბრძანა განშორებაჲ, რაჲთა ცნან ძალი მოლუანებისა მისისაჲ, და იყოს საქმე მათი შუენიერ და უაღრეს სხუათა კაცთასა და განსაკრვებელ ყოველთა მიერ. ხოლო უკუეთუ ვინმე იტყოდის, ვითარმედ: სხუასა მას ყოველსა აქუნდა სიტყუაჲ ბრძანებად მათდა, ხოლო ვაშკარანისა არა ქონებად გზასა ზედა, არცა ორისა სამოსლისა, არცა ჴამლთა, არცა კუერთისა, რაჲსათჳს უბრძანა ბუნებისა უმეტესი ესე სიძნელე? ესრეთ უკუე გულისჴმა-ყავნ მეტყუელმან მან: ვინაჲთგან მოძღურად ყოვლისა სოფლისა წარავლენდა მათ, ამისთვის განიყვანებს უძღურებისაგან კაცობრივისა და ანგელოზთა წესსა შეიყვანებს; და ყოველსავე სახესა მოლუანებისასა ასწავებს და უფროჲს ყოვლისა ზრუნვათაგან ჴორციელთა სრულიად შორს-ჴყოფს, რაჲთა ერთი ხოლო აქუნდეს ზრუნვაჲ, მოძღურებისაჲ, და უფროჲსლა ვთქუა, ვითარმედ: მისთვისცა უზრუნველ-ჴყოფს, ვითარცა-იგი ჰრქუა, ვითარმედ: „ნუ ჰზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყოდით“.²

ან უკუე რომელ-ესე დიდად სიმძიმედ საგონებელ არს, მათთვის განსასუენებელ იყო, აზნაურებაჲ იგი ყოვლისავე ზრუნვისაგან; რამეთუ რაჲმცა იყო უსანადგელეს უზრუნველობისა, და უფროჲსად, ოდეს ექმნებოდის ვის, თჳნიერ ზრუნვისა, არარაჲსა ნაკლულეგანებაჲ მოლუანებითა ღმრთისაჲთა; ამისთვისცა, რაჲთა არა თქუან მათ, ვითარმედ: ესრეთ თუ ვიყვნეთ, ვითარ ჰბრძანებ, ვინაჲ ვპოოთ სათანადოჲ იგი ჴორცთა საზრდელი? მეყსეულად შესძინა და ჰრქუა: „რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდელსა თჳსსა“. ამით სიტყუთა აუნყა, ვითარმედ მოწაფეთა მათ მიერ, შემწყნარებელთა ქადაგებისა მათისათა, განუმზადებს მათ საზრდელსა, რაჲთა არცა იგინი ზუაობდენ მოწაფეთა ზედა, ვითარმცა ყოვლადვე არარას მიიღებდესმცა მათგან, არცა მოწაფენი მწუხარე იყვნენ, რაჴამს არარას მიიღებდენ მათგან მოციქულნი. ამისთვისცა თანანადებად სახელსდვა საქმესა მას, ამათ უნოდა მუშაკად და მსახურებასა მას მორწმუნეთასა – სასყიდელად, რაჲთა არცა ამათ ჰრცხუენოდის, ვითარმცა ცუდად რასმე მიიღებდეს, არცა იგინი უდებ იქმნებოდინ მოცემად, რაჴამს ცნან, ვითარმედ თანამდებ არს მათდა მიცემად განწესებული იგი სასყიდელი მუშაკობისაჲ. ხოლო არა თუ ამისთვის თქუა სიტყუაჲ ესე, ვითარმცა ჴგონებდა ვინ, თუ ესოდენ არს ხოლო სასყიდელი იგი მოციქულთა შრომისაჲ, – ნუ იყოფინ! – არამედ ამისთვის თქუა, რაჲთა მორწმუნეთა ცნან, ვითარმედ გამოზრდაჲ იგი და სხჳსა ყოვლისავე სათანადოჲსა საჭმრისაჲ წინაყოფად მოციქულთა თანანადები არს წარუვალი, მათ ზედა განწესებული, და კუალად, რაჲთა მოციქულთა განუწესოს არარაჲ უმეტეს საჭმრისა ძი-

¹ ლუკ. 22,35. ² მათ. 10,19.

ებად მონაფეთაგან; ხოლო ღირსი იგი და ჭემმარიტი სასყიდელი შრომათა მათთა ზეცათა შინა დამარხულ არს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე : „რომელსა ქალაქსა ანუ დაბასა შეხვდეთ, გამოიკითხეთ, ვინ ღირს იყოს, და მუნ დაადგერით ვიდრე გამოსლვადმდე. და შე-რა-ბ-ხვდოდით სახლსა მას, მოიკითხეთ იგი და თქუთ: მშვდობად სახლსა ამას! და უკუეთუ სახლი იგი ღირს იყოს, მოვიდეს მშვდობად თქუენი მას ზედა; უკუეთუ არა ღირს იყოს, მშვდობად თქუენი თქუენდავე მოიქეცინ. და უკუეთუ არავინ შეგინყნარნეს თქუენ, არცა ისმინნეს სიტყუანი თქუენნი, გამო-რა-ბ-ხვდეთ მიერ სახლით გინა მიერ ქალაქით, განიყარეთ მტუერი ფერჯთა თქუენთაჲ. ამენ გეტყვ თქუენ: უმოლხინეს იყოს ქუეყანაჲ იგი სოლომისაჲ და გომორისაჲ დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე ქალაქი იგი“ (10,11-15).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ესრეთ ეტყვს, ვითარმედ: დაღაცათუ გარქუ, თუ: „ღირს არს მუშაკი სასყიდელსა თვსსა“, ნუ ჰგონებთ, თუ ყოველთა კაცთა კარნი განმისხუმან წინაშე თქუენსა, არამედ რომელნი ღირს იყვენენ შეწყნარებად თქუენდა და სწავლისა მის თქუენისა. ამისთვის გამცნებ, რათა ეძიებდეთ ესევითართა მათ და მათ თანა ჰყოფდეთ სავანესა და მათ მიერ იზრდებოდით, რამეთუ უკუეთუ ღირს იყოს შეწყნარებად თქუენდა, საზრდელიცა გულსმოდგინედ დაგიმზადოს, უფროჲსად გიხილნეს რაჲ ესრეთ ლიტონითა და უნდოჲთა საზრდელითა დაჯერებულნი. ამისთვის არცა მნებავსო სახლითი სახლად სლვაჲ თქუენი, არამედ სადა-იგი ჰყოთ სავანე, მუნ და-ადგერით ვიდრე განსლვადმდე ქალაქისა მისგან, რათა ყოვლით კერძო წესიერ იყოს საქმე თქუენი.

ხოლო ამათ სიტყუათა მიერ გამოაჩინა, ვითარმედ შემწყნარებელნი მათნი თანამედებ არიან ზრდად მათდა, რამეთუ იგინი უმეტესსა სარგებელსა მოისთულებენ მათისა მის კურთხევისაგან. ამისთვის იტყვს: „შე-რა-ბ-ხვდეთ სახლსა მას, მოიკითხეთ იგი და თქუთ: მშვდობად სახლსა ამას. და უკუეთუ სახლი იგი ღირს იყოს, მოვიდეს მშვდობად თქუენი მას ზედა; უკუეთუ არა ღირს იყოს, მშვდობად თქუენი თქუენდავე მოიქეცინ“.

ვინაჲთგან ქადაგად სასუფეველისა და მოძღურად ყოვლისა სოფლისა განაჩინა იგინი, ამისთვის ეტყვს, ვითარმედ: ნუ სხუათა მიერ მოელით მოკითხვასა, არამედ თქუენ პირველად მოიკითხევდით, რამეთუ მოკითხვად იგი თქუენი არა მოკითხვად არს ლიტონი, არამედ კურთხევაჲცა. ამისთვის გეტყვ, ვითარმედ: უკუეთუ ღირს იყოს სახლი იგი, მოვიდეს მის ზედა კურთხევაჲ იგი და მშვდობად თქუენი; უკუეთუ არა ღირს იყოს და არცა შეგინყნარნეს თქუენ, თქუენდავე მოიქეცეს კურთხევაჲ იგი. და არა ესე ოდენ, არამედ დღესა მასცა საშჯელისასა უძკრეს სოლომელთასა დაისაჯნენ წინააღმდეგომნი იგი და შეურაცხისმყოფელნი თქუენნი.

ხოლო რაჲ არს ესე, თუ: „განიყარეთ მტუერი ფერჯთა თქუენთაჲ“? ესე იგი არს, სანამებელად მრავლისა მის შრომისა და მოგზაურებისაჲ,

რომელ მათდა მიმართ მისლვისათვის თავს-იდევს, და ვითარმედ მას ყოველსა ზედა ცარიელნი და შეუწყნარებელნი გამოვიდეს მათგან. ხოლო ესეცა გულისწმა-ვყოთ, ვითარ არა მისცა მათ ყოველივე, არამედ რაოდენი ჯერ-იყო და სამართალ, რამეთუ აჰა ესერა ჩანს, ვითარმედ წინადწარმცნობელობად არა მისცა, რადთამცა იცოდეს, თუ ვინ ღირს არს, ანუ ვინ არა ღირს, არამედ გამოკითხვად და მოძიებად უბრძანა, რადთა ცნან, თუ ვინ არს კეთილთა გონებთა შემკობილი, და მის თანა ყონ სავანე.

ხოლო იხილე, ვითარ ჯეროვნად განანესა საქმე მათი: განაშიშულნა ყოვლისავე მონაგებისა და ყოვლისავე ზრუნვისაგან, ვითარცა შუენოდა მახარებელთა მათ მშკდობისათა, და მერმე სახლნი ყოველთავე მორწმუნეთანი განუხუნა მათ და უბრძანა, რადთა სიხარულით შეიწყნარებდენ ქადაგთა მათ ცხორებისა მათისათა, შემკობილთა ყოველთავე სათნოებითა და უპოვართა სოფლისა ნივთთაგან, რომელ-ესე სრულისა მის მოქალაქობისა სახე არს. რამეთუ ვინადთგან ესევეითარი განაჩინა სასჯელი მათ ზედა, რომელთა არა შეიწყნარნენ იგინი, ვიდრეღა უმოლხინესობად თქუა სოდომელთა და გომორელთად, ვიდრეღა მის ქალაქისა ანუ სახლისად, ვინცა არა სიხარულით და გულსმოდგინებით შეიწყნარებდა მათ, რომელთა შეწყნარებად ცხორებისა მიზეზ ექმნებოდა და საჭმარი საზრდელისა მათისად უნდო იყო და წარუგებელ?

სწავლად ლბ

ვითარმედ ანცა წესი მოციქულთად უპყრიეს წინამძღუართა ეკლესიისათა, და სათნოებად უაღრეს არს სასწაულთა

ან უკუე, მორწმუნენო, სიტყუათა ამათ ნუ ხოლო ვისმენტ, არამედ აღვასრულებდეთცა, რამეთუ არა მოციქულთათვის ხოლო თქუმულ არს, არამედ შემდგომად მათსაცა მომავალთა წმიდათათვის. ვისწრაფოთ უკუე, რადთა ვყვნეთ თავნი ჩუენნი ღირს შეწყნარებისა მათისა, რამეთუ გონებისაგან შემწყნარებელთადასა გინა თუ მოვალს მშკდობად, ანუ თუ წარვალს, და არა თუ კადნიერებისაგან ხოლო მოძღუართადასა.

ან უკუე ნუ ვჰგონებთ, თუ მცირედ დაჭირვებად არს ესევეითარისა მშკდობისაგან დაკლება; არა გესმისა, ვითარ შეამკობს მას წინადწარმეტყუელი და იტყვს: „ვითარ შუენიერ არიან ფერწნი მახარებელთა მშკდობისათანი, რომელნი ახარებენ მშკდობასა და კეთილთა?“¹ ეგრეთვე უფალი სიკეთესა მას მშკდობისასა მოასწავებს და ეტყვს მონაფეთა: „მშკდობასა დაგიტევებ თქუენ, მშკდობასა ჩემსა მოგცემ თქუენ“.²

¹ ესაია 52,7.

² იოან. 14,27.

ან უკუე ვისწრაფოთ, რადთა მშკდობასა მას არა დავაკლდეთ, რამეთუ აჰა ესერა წინამძღუარნი ეკლესიისანი მისცემენ მშკდობასა, და ესე მშკდობად მის მშკდობისა სახე არს, ამისთვის ჯერ-არს დიდითა გულსმოდგინებითა შეწყნარებად. უკუეთუ რომელმან არა შეიწყნარნეს მახარებელნი იგი მშკდობისანი სახედ თვსა და არა გამოზარდნეს, ესოდენისა სასჯელისა ღირს არს, რომელი არცა თუ სმენასა თავს-იდებდეს მშკდობისასა, ვითარ მიეცეს მას მშკდობად? აჰა ესერა, მორწმუნეო, შენთვის აღვალს მღდელი საკურთხეველსა, შენთვის შესწირავს ვედრებასა, შენ მოგცემს მშკდობასა, ვითარ უკუე ესრეთ უდებ ხარ სმენად? მშკდობისა სახლი მორწმუნეთად ზოგადი არს წმიდად ეკლესიად; შევლენ მორწმუნენი და მერმე მღდელთმოძღუარი ანუ მღდელი მისცემს მშკდობასა წესისა მისებრ მოციქულთაჲსა. ნუმცა ვინ უკუე იპოების უდები, ნუმცა ვინ დაწსნილი და გარენარად მსმენელი, რადთა არა სასჯელისა თანამდებ იქმნას, რამეთუ დიდად უმჯობეს არს ჩემდა, რადთა შევიდე სახლსა ვისსამე და არა შემინყნაროს, ვიდრელა, მო-რად-ვიდეს ეკლესიად, უდებებით ისმენდეს სწავლათა საღმრთოთა; ესე ფრიად მძიმედ მიჩნს, რამეთუ უპატიოსნესცა არს ესე ტაძარი, ვიდრე სახლი კაცად-კაცადისა, და აქა არს სიმდიდრე ჩუენი და სასოებად.

გულისკმა-ყავ, თუ რად ჰპოო დიდთა საიდუმლოთაგანი, რომელი აქა არა არს: ტრაპეზი შესაძრწუნებელი, სასანთლე ბრწყინვალე, საცხებელი პატიოსანი, რომლისა ცხებითა მრავალნი უძღურებისაგან განიკურნნეს, კიდობანი უპატიოსნესი კიდობნისა მის ძუელისა და სხუად ყოველივე კეთილი. ან უკუე ჯერ-იყო, რადთამცა ესე გუაქუნდა ყოველთა სახლად, ვითარცა მაშინ ყვეს სამ ათასთა მათ და ხუთ ათასთა, რომელთა ერთი აქუნდა და სახლი, ერთი ტაბლად, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: „სიმრავლისა მის მორწმუნეთაჲსა ერთი იყო გული და გონება“;¹ გარნა ვინადთგან ფრიად დაკლებულ ვართ მათისა მის სათნოებისაგან და ამისთვის განბნეულ ვართ კაცად-კაცადი სახლსა თვსსა, მეორესა ამას წესსა ნუ დავაკლდებით, ესე იგი არს, რადთა ფრიადითა გულსმოდგინებითა შემოვკრებოდით ეკლესიად და შევიწყნარებდეთ სწავლათა მწურვალითა გონებითა. ოდეს-იგი ვთქუა: „მშკდობად ყოველთა“, და თქუენ მომიგოთ: „სულისა შენისა თანა“, ნუ ენითა ხოლო, არამედ გულითაცა იტყოდით. ხოლო უკუეთუ აქა მეტყოდით: „მშკდობად სულისა შენისა თანა“, და გარე-რად-განხვდე ეკლესიით, ბოროტსა იტყოდით და ბრძოლათა შემიმზადებდეთ, ვითარმცა იყო ესე მშკდობად? მე, დაღაცათუ ბევრეულსა ბოროტსა ჰზრახვიდე, გულითა წმიდითა მიგცემ მშკდობასა, სიყუარულითა შენითა აღსავსე ვარ, დაღაცათუ სადმე გამხილო, წყალობისა შენისათვს ვიქმ ამას. ხოლო შენ უკუეთუ სიტყუასა ჩემსა არა სიყუარულით შეიწყნარებდე, არამედ მბრძოლ და მტერ იყო, დიდად შევწუხნე ამას ზედა არა თუ ამისთვის, რომელ მე შეურაცხ-

¹ საქმე 4,32.

მყოფ, – ნუ იყოფინ! – არამედ ამისთვის, რომელ შენ მშვედობად განაგდე თავისა შენისაგან და სასჯელისა მის ესევეთარისა თანამდებ იქმენ; რამეთუ დაღაცათუ არა განვიყარო მე მტუერი ფერჯთად, არცა გარემივიქცე, გარნა განწესებული იგი სასჯელი ეგრეთვე ეგოს. ხოლო დაღაცათუ არარად მევენო თქუენტს, არცა გზათა შორთაგან მოვედი, არცა წესითა მით და უპოვრებითა მოციქულთადათა, თვნიერ ჳამლთასა და თვნიერ ორისა სამოსლისა, და ამისთვის თავსაცა ჩემსა ვაბრალებ, და თქუენტა სადმე ამისთვის თქუენტა განწესებულსა მას სახესა ნაკლულევანებით იქმთ, არამედ არარად მიზეზი არს ესე თქუენტს, არამედ ჩუენი ესე – მღდელთად ამათ – უდებებად ჩუენდა, ჰე, დასასჯელ არს, გარნა თქუენ ვერ განგამართლებს, რამეთუ არა თქუენტა განწესებულ არს განკითხვად ჩუენი.

ან უკუე, საყუარელნო, ეკრძალენით თავთა თვსთა და ჰბაძევდით სათნოებასა მას პირველთა მორწმუნეთასა; მაშინ სახლნიცა ეკლესია იყვნეს, ხოლო ან ეკლესიანიცა სახლად გარდაქცეულ არიან; მაშინ სახლთაცა შინა სოფლიოდ არარად ითქუმოდა, ან ეკლესიათაცა შინა სულიერი არარად ითქუმის, არამედ სოფლისა საქმეთათვს ზრახვენ; და სიტყუანილა საღმრთონი აღმოიკითხვოდინ და იქადაგებოდინ, არა ისმენთ შიშით და დუმილით, არამედ ცუდთა და ამაოთა საქმეთათვს ჰზრახავთ. ამისთვის მგლოარე ვარ მე და მწუხარე, რამეთუ ფრიადი სიგრილე და დაწსნილობად განმრავლდა ჩუენ შორის. არამედ გევედრები, შეიკრძალენით თავნი თვსნი, შეიტკბეთ სიყუარული და სხუანი იგი ყოველნივე სათნოებანი, რადთა სულსაცა ჩემსა ახაროთ და სულნი თქუენნი აცხოვნეთ. რამეთუ მრავალნი მოცემულ არიან ჩუენდა მიზეზნი სიყუარულისანი: ერთი ტაბლად დაგებულ არს ყოველთადა, ერთისა მამისა შვილნი ვართ ყოველნი, ერთისა ემბაზისაგან შობილ ვართ, ერთი სასუმელი ერთისა ბარძიმისაგან მოცემულ არს სუმად ჩუენდა, რომელ-ესე ფრიადისა სიყუარულისა და ერთობისა სახე არს, და ამისთვის ესრეთ განაწესა სახიერმან მან მამამან წყალობისამან, რადთა ყოვლითურთ შემაერთნეს წესითა მით სიყუარულისადათ.

ან უკუე გულისწმა-ყავთ, რაოდენი სიყუარული თანაგაც მოგებად ურთიერთასცა და უფროსად მოძღუართა მიმართ სულიერთა. დაღაცათუ იგინი არა იყვნენ ღირს მსგავსებასა მოციქულთასა, რამეთუ არცა თუ აჩრდილსა მათსა ღირს ვართ, გარნა თქუენტა არად სავნებელ არს ესე, არამედ უფროსად მიზეზ სასყიდლისა, რადთა იგივე აჩუენოთ სიყუარული და მორჩილება, ვითარცა მოციქულთათვს განწესებულ არს. არა უწყითა, ვითარმედ მოძულეთაცა ჩუენთა სიყუარული თანაგუაც სიტყუსაებრ უფლისა? ან უკუე ვითარ მოყუარენი და უფროსად მოძღუარნი სულიერნი არა შევიყუარნეთ? დაღაცათუ მრავლითა ცოდვითა სავსე იყოს მოძღუარი, მონაფეთა სიყუარულივე თანააც.

ზიარებულ ვართ ერთსა ტრაპეზსა, ვეზიარნეთ სიყუარულითაცა ურთიერთას, ძმანო! ავაზაკნიცა ტაბლასა ამას ხილულსა და სოფლიოსა რად

ზიარ ვიეთთანამე იქმნიან, დაივინყიან უკეთურებად თვისი. ხოლო ჩუენ რად-მცა გუაქუნდა მიზეზი, რომელნი-ესე ზიარქმნილ ვართ ჴორცსა და სისხლსა ქრისტესსა, რადთამცა არა ვიყუარებოდეთ ურთიერთას?! მრავალთა მოქალაქობად ერთისა ქალაქისად მიზეზ სიყუარულისა ექმნა, ხოლო ჩუენდა ერთი განწესებულ არს ქალაქი – ზეცისა იერუსალჴმი, ერთი სახლი – ნმიდად ეკლესიად, ერთი ტაბლად საიდუმლოთად, ერთი გზად ცხორებისად, ერთი კარი სასუფეველისად, ერთი ცხორებად სათნოებისად, ერთი თავი, ერთი მეუფე, ერთი მწყემსი, და მოძღუარი, და მსაჯული, და დამბადებელი, და მამად, უფალი ჩუენი იესუ ქრისტე. ვინადთგან უკუე ყოველივე ჩუენი ზიარი არს, რად-მე მიუგოთ უფალსა, უკუეთუ გონებითა განყოფილ და განშორებულ ვიყვნეთ ურთიერთას და უფროდსად მოძღუართაგან სულიერთა, რომელთა მიმართ ეგვევითარი თანაგუაც სიყუარული, ვითარცა მოციქულთა მიმართ? ხოლო უკუეთუ სასწაულთა ეძიებთ, ვითარცა იგინი მაშინ იქმოდეს, – მკუდართა აღადგინებდეს, კეთროვანთა განსწმედდეს, ეშმაკთა განასხმიდეს, – ესეცა გულისსიტყუად ცუდ არს. დალაცათუმცა ჯერ-იყო ან სასწაულთა ქმნად, თქუენდა უმეტესი სასყიდელი არს თვნიერ სასწაულთასა აღსრულებად წესსა მას სიყუარულისა და მორჩილებისასა, ხოლო ან ჟამიცა სასწაულთად არღარა არს, არცა რად იქმნების მათგან სარგებელი, უფროდსა, უკუეთუმცა იქმოდეს ვიეთნიმე ან სასწაულთა, უმრავლესიმცა იყო სავენებელი. არა ჰხედავთა, ვითარ თვნიერ სასწაულთაცა უკუეთუ ვის მიეცეს სიტყუად სიბრძნისად ანუ მეცნიერებისად, ანუ საქმე მოღუანებისად, უფროდს სხუათასა, მეყსეულად აღზუავნების? ან უკუეთუმცა სასწაულნიცა იქმნებოდეს, რადმცა ყვეს მათ? არა ჰხედავთა კორინთელთა, ვითარ ამით ჯერითა განიწვალნეს ურთიერთას? ამისთვისცა და სხუათა მრავალთა მიზეზთათვის გარდასწყდა სასწაულთმოქმედებად.

ან უკუე, კაცო, ნუ სასწაულთა ეძიებ, არამედ სათნოებათა ეძიებდი და სინმიდესა სულისასა. ნუ ეძიებ ერთისა მკუდრისა აღდგომასა, რამეთუ გისწავიეს, ვითარმედ ყოველივე სოფელი აღდგომად არს; ნუ ეძიებ ერთისა ბრმისა ახილვასა, არამედ განიცადე, ვითარმედ ყოველთა აღუხილვან მადლითა ქრისტესითა აღხილვითა მით კეთილითა და უაღრესითა, და ისწავე შენცა კეთილად და სულიერად ხილვად, რამეთუ უკუეთუმცა ყოველნი სათნოდ და სულიერად ვცხონდებოდეთ, ფრიად უმეტეს სასწაულთასამცა უკვრდა ესე წარმართთა; რამეთუ სასწაულთათვის ნუუკუე იჭვცა უცნებისად ვისმე შეექმნას, ხოლო სათნოებათათვის ვერარას ვინ იტყვს ესევითარსა, არამედ სრულიად პირი დაეყოფის წინააღმდეგომთა. ვისწრაფოთ უკუე მოგებად სათნოებათა, რამეთუ ესე არს სიმდიდრე წარუპარველი, ესე არს ჭეშმარიტი სასწაულთმოქმედებად, ესე არს აზნაურებისა მის საღმრთოსა მომატყუებელი, ესე არს სიმდიდრე წარუპარველი. ხოლო გსურის თუ სასწაულთმოქმედებად, განიოტენ სულისა შენისაგან ვნებანი, განიწმიდე თავი შენი ცოდვათაგან და ამისა უაღრესსა სასწაულსა ნუ ეძიებ, რამეთუ

ცოდვად უძკრეს ეშმაკისა არს, საყუარელნო, უკუეთუ იგი განიოტო, უაღრეს ხარ მათსა, რომელნი ეშმაკთა განასხმიდეს.

ისმინე პავლესი, ვითარ სათნოებასა უაღრეს-ჰყოფს სასწაულთა-სა, რამეთუ იტყვს: „გშურდინ მადლი იგი უფროდსი, და მერმე უმეტესი გზად გიჩუენო თქუენ“;¹ და მერმე, იტყოდა რად ესევითარსა მას გზასა, არა მკუდართა აღდგინებად თქუა, არცა ბრმათა აღხილვად, არცა სხუად რადმე სასწაული, არამედ სიყუარულსა სახელ-სდვა უმეტესად გზად და თქუა, ვითარმედ: თვნიერ სიყუარულისა ყოველივე არარად არს. ისმინე კუალად, რასა იტყვს უფალი: „ამას ზედა ნუ გიხარინო, რამეთუ სულნი უკეთურნი დაგემორჩილებიან, არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი დაინერა ცათა შინა“.² და კუალად იტყვს: „მრავალთა მრქუან მე მას დღესა: უფალო, არა სახელითა შენითა ვინადასწარმეტყუელებდით და ეშმაკნი განვასხენით და ძალნი მრავალნი ვქმენით? მას ჟამსა ვჰრქუა მათ, ვითარმედ: არა გიცნი თქუენ“.³ და კუალად, ეგულებოდა რად ჩუენთს ვნებად, მოუწოდა მონაფეთა და ჰრქუა მათ: „ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ მონაფენი ჩემნი ხართ“, არა თუ რადთა სასწაულთა იქმოდით, არამედ „რადთა იყუარებოდით ურთიერთას“.⁴ რამეთუ სასწაულთმოქმედებამან მრავალ-გზის სხუათა არგო, მოქმედსა მას ავნო ანუ ზუაობითა, ანუ ანპარტავანებითა, ანუ სხვთა რადთმე სახითა, ხოლო ჭეშმარიტი სათნოებად მოქმედთა-ცა მისთა არგებს და მხილველთაცა აღაშენებს.

ამისთს გვედრები, საყუარელნო, ესე შევიტკობთ, ამას ვეძიებდეთ, რადთა ვცხონდეთ. უკუეთუ მოაქციო თავი შენი უწყალოებისაგან და წარჰმართო მონყალება, ჯელი განწმელი განგიმარტებიეს; უკუეთუ განეყენო სამღერელთა და სახიობათაგან და უცონელად მიჰრბიოდი ეკლესიად, განგიკურნებიეს ფერჯი მკელობელი; უკუეთუ მოსწყვდენ თუალნი შენნი ხედვისაგან პირთა შუენიერთასა, აღგიხილვან თუალნი დაბრმობილნი; უკუეთუ ცუდთა სიტყუათა წილ და სავენებელთა ზრახვათა წილ, საეშმაკოთა ზღაპართა და სიმღერათა წილ ისწავლენ ფსალმუნნი, უტყუ იყავ და ან კეთილად ჰმეტყუელებ.

ესევითარნი არიან საკრველნი დიდებულნი, ესე არიან სასწაულნი ჭეშმარიტნი; უკუეთუ ამათ სასწაულთა ვიქმოდით, ჩუენცა დიდ და საკრველ ვიყვენთ და სხუათა მრავალთა მიზეზ კეთილისა ვექმნეთ და საუკუნეთა მათ კეთილთა მკვდრად გამოვჩნდეთ, რომელთა ღირსმცა ვართ ყოველნივე მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა სულით წმიდითურთ შუენის დიდებად, პატივი და სიმტკიცე ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

წმიდანო ღმრთისანო, გლახაკი ეფთჳშე ლოცვასა მომიჯსენეთ.

¹ 1 კორ. 12,31.

² ლუკ. 10,20.

³ მათ. 7,22-23.

⁴ იოან. 13,35.

თავი ლგ

სიტყუად ესე: „აჰა მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა. იყვნით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი“ (10,16).

ვინათგან სათანადოდა მისთვის ჯორცთა საზრდელისა განანესა, თუ ვინაჲ იყოს მორენაჲ მისი, და სახლნი მორწმუნეთანი განუხუნა მათ და ბრძანა, ვითარმედ თანამედებ არიან გამოზრდად მათდა; და წესი შესლვისა მათისაჲ განანესა და მოკითხვისაჲ, რომელ ეგულეზოდა მიცემად; და საშინელი იგი სასჯელი განაჩინა მათ ზედა, რომელნი არა შეინყნარებდენ მათ; და სასწაულთმოქმედებითა შეჭურნა; და ყოვლით კერძო მტკიცე და შეურყეველ ყვნა; და ყოვლისა ჯორციელისა ზრუნვისაგან შორს-ყვნა; ვინათგან ესე ყოველი კეთილად და შუენიერად შეჰმზადა, ამიერითგან იწყებს თხრობად მონვენადთა მათ ზედა ჭირთა და განსაცდელთა, არა რომელ-იგი მოკლედ ხოლო ყოფად იყო, არამედ ყოველივე, რომელიცა შემდგომად მრავლისა ჟამისა მონვენად იყო, რაჲთა შორითვე შეჭურნეს და განმზადნეს ბრძოლად ეშმაკისა. რამეთუ ფრიად სარგებელ ეყოფოდა მათ საქმე ესე: პირველად, რაჲთა გულისჯმა-ყონ წინადაწარმცნობელობისა მისისა ძალი; მეორედ, რაჲთა ვერვინ თქუას, თუ უძღურებისაგან მოძღურისა მათისა შეემთხვნეს მათ ესევეთარნი იგი განსაცდელნი, არამედ ცნან ყოველთა, ვითარმედ მან უბრძანა ესრეთ თავს-დებად მიუთხრობელითა მით განგებულებითა თვისითა; მესამედ, რაჲთა არა მოულოდებელად შემთხვნენ მათ ჭირნი იგი და უცხოად აღუჩნდეს და შეშფოთნენ; მეოთხედ, რაჲთა არა ჟამსა მას ჯუარ-ცუმისა მისისასა ესმნენ ესე საქმენი და უმეტესად შენუხნენ, რამეთუ ეგრეთცა მწუხარებისაგან მაშინ დიდად დამძიმდეს, ამისთვის აბრალებდა მათ და ჰრქუა: „ამას გეტყოდე თქუენ, მწუხარებაჲმან აღავსნა გულნი თქუენნი“.¹ ამის ყოვლისათჳს აწვე შორით ყოველსა მიუთხრობს, რაჲ-იგი შემთხუევად იყო მათდა.

ხოლო რაჲთა ცნან, ვითარმედ ახალი არს ბრძოლისა ამის რჩული და საკრველი არს განწყობილებისა ამის წესი, ვითარ შიშუელთა და უჯამლოთა და თვნიერ კუერთხისა და თვნიერ ვაშკარანისა წარავლენს განწყობად მბრძოლთა მიმართ დიდთა და მრავალთა, არა ამას ზედა ხოლო დაასრულა სიტყუად თვისი, არამედ უმეტესი საკრველებაჲ შესძინა, რაჲთა უმეტესად ცნან მათ ძალი მისი; ამისთვის ეტყჳს, ვითარმედ: შორის მგელთა მრავალთა გიჴს შესლვაჲ, და ამცნებს, რაჲთა შევიდოდინ შორის მგელთა, ვითარცა ცხოვარნი, არა ესე ხოლო, არამედ რაჲთა უმანკოცა იყვნენ, ვითარცა ტრედნი. ეჰა ბრძოლად საკრველი, # განწესებაჲ ესე უცხოჲ, ცხო-

¹ შდრ. იოან. 16,6.

ვართა და ტრედთა მგელთა მიმართ განწყობა და შორის მათისა მის ბანაკისა შესლვა.

გარნა იხილელა მიუთხრობელი იგი ძალი ერისმთავრისა მის, ვითარ ქმნა, რომელ ცხოვარნი და ტრედნი მგელთა მძლე ექმნეს და, შე-რად-ვიდეს შორის მათსა, არა ხოლო თუ მრავლისა მის კბენისა მათისაგან არა იძლინეს, არამედ იგინიცა მგლობისაგან შეცვალნეს, რომელ-ესე ფრიად უაღრეს არს და უზეშთაეს, ვიდრელა მოკლვად, შეცვალეზა ბუნებისა მგელთაჲსა, რამეთუ მგელთა მოჰკლვენ მრავალნი, ხოლო შესცვალეზს მგელთა ცხოვრად ვერვინ, გარნა მათ, რომელნი ყოველთა მეუფისა მიერ აღჭურვილ იყვნეს. ამისთვისცა ათორმეტნი იყვნეს, და ყოველი სოფელი აღვსებულ იყო მგელთაგან, არამედ უშიშად ერეოდეს იგინი მათ ყოველთა და უმრავლესნი ცხოვართა სიკეთედ მოაქცინეს, ხოლო რომელნი არა მოიქცნეს, არა მოციქულთა იყო ბრალი, არამედ მათისა მის გარდარეულისა და გარდამატებულისა უკეთურებისა.

ჰრცხუენოდენ ყოველთა, რომელნი მტერთა თვსთა, ვითარცა მგელნი, ებრძვიან, რამეთუ წინააღმდეგებიან ბრძანებასა უფლისასა, რომელმან-იგი ვითარცა ცხოვართა ბრძანა შესლვად ბრძოლასა მგელთასა. ან უკუე ვიყვნეთ თუ ვითარცა ცხოვარნი, ვერეოდით მტერთა, დაღაცათუ ბევრეულნი მგელნი იყვნენ. ხოლო მგელ თუ ვიქმნეთ, ვიძლინეთ, რამეთუ განგუეშორების ძალი იგი და შენევენა მწყემსმთავრისა მის, რომელი-იგი ცხოვართა ჰმწყის, არა თუ მგელთა. ამისთვისცა, მგელ თუ ვიყვნეთ, დაგვტეობს ჩუენ და წარვალს, რამეთუ არა ვინებეთ შენევისა მისისა მოგებად; ხოლო მშუდ თუ ვიყვნეთ, ვითარცა ცხოვარნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი, უფალი არს თანაშემწე ჩუენდა და წინააღმდეგომ მბრძოლთა ჩუენთა.

ხოლო შენ გულისწმა-ყავ ახოვნება იგი მოციქულთა, ვითარ ესმენს სიტყუანი იგი ფიცხელნი და არა შეშინდეს, არცა დაიწსნეს კაცნი უმეტარნი ესევითართა საქმეთა, კაცნი უსწავლელნი და გლახაკნი. ესმა, ვითარმედ მოძულეზულ იყვნენ ყოველთაგან, მიეცნენ სატანჯველთა და სამსჯავროთა და თითოსახეთა სიკუდილთა, და უფროდეს, რომელ შემდგომად სასწაულთა საქმისა ესევითარივე მოწევენად იყო მათ ზედა; არამედ ამის ყოვლისათვს არცა შეშინდეს, არცა დაიწსნეს, რამეთუ ძალი იგი და მაღლი მოძღურისა მის და მეუფისა იქმოდა მათსა მას ახოვნებასა და უშიშობასა. ამისთვისცა ყოვლისა პირველად ესე ჰრქუა მათ: „აჰა მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა“, კმა არს ესე თქუენდა ნუგეშინისსაცემელად, კმა არს ესე თქუენდა განმადლიერებელად, რომელ მე წარგავლინებ. იხილელა ჳელმწიფება? იხილელა ძალი იგი უძლეველი?

ხოლო სიტყუად ესე ესევითარი არს: ნუ შესძრუნდებითო, რომელ შორის მგელთა წარგავლინებ და გიბრძანებ, რადთა იყვნეთ, ვითარცა ცხოვარნი და ვითარცა ტრედნი, რამეთუ ძალ-მედვა არა ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა წარვლინებად, არამედ რადთამცა გყვენ, ვითარცა ლომნი,

საშინელ ყოველთა მიერ, არამედ ესრეთ ჯერ-არს ყოფად, ვითარ-ესე ვიქმ; ამან საქმემან თქუენცა უმეტესად განგაბრწყინვოს და ჩემი ძალი უბრწყინვალესად გამოაჩინოს. ვითარცა-იგი ოდესმე ეტყოდა პავლეს: „კმა არს შენ-და მადლი ჩემი, რამეთუ ძალი ჩემი უძღურებასა შინა სრულ იქმნების“.¹

ხოლო ვინაჲთგან თვისისა ძალისა და ჴელმწიფებისა სახე აუნყა, რაჲთა არა ყოველივე მადლისა მისისაჲ იყოს, არამედ მათცა აჩუენონ თავისა მიერ თვისისა ნაყოფი სათნოებისაჲ, ამისთვის ჰრქუა მათ: „იყვენით მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი“. რომელი არს მეცნიერებაჲ იგი გუელისაჲ, რომელსა ბრძანებს მოგებად? ესე იგი არს: ვითარცა გუელი უფროჲს ყოვლისა თავსა იფარავს, დაღაცათუ ყოველი გუამი მისი მოიწყლას, ვიდრემდის ცხოელ იყოს, თავსა იფარავს, ეგრეთვე შენ ჟამსა განსაცდელთასა სარწმუნოებაჲ შენი შეიკრძალე; ნუ ჰრიდებ ნუცა საფასეთა, ნუცა ჴორცთა, ნუცა სულსა შენსა მიცემად სიკუდილად, რამეთუ თავი და საფუძველი ცხორებისა შენისაჲ სარწმუნოებაჲ არს; უკუეთუ იგი დაიცვა, ყოველივე თუ წარსწყმიდო, ნუ ჰზრუნავ, კუალად მოგეცეს შენ უმეტესად. და კუალად, ოდეს-იგი ენებოს გუელსა ძუელისა მის ტყავისა აღძარცუვაჲ, მეცნიერებით აღძარცვს, რამეთუ შევალს ჴურელსა იწროსა და შეიწრებითა ფრიადითა ტყავსა მას დაძუელებულსა განაგდებს. ჯერ-არს უკუე ჩუენდაცა შესლვითა იწროსა მის ბჭისაჲთა და საჭიროსა მის გზისა სლვითა აღძრცუად ძუელისა მის კაცისა და შემოსად ახლისა მისა, რომელი მსგავსებითა უფლისაჲთა განახლდების ჩუენ შორის.

ამის ესევითარისა ჯერისათვის მეცნიერებასა მას გუელისასა ბაძვად განანუნსა და მერმე უმანკოებაჲ ტრედისაჲ დაურთო, რაჲთა ორისა ამის სახისა შეზავებითა აღესრულოს წესი სათნოებისაჲ. თქუა მეცნიერებაჲ გუელისაჲ, რაჲთა ფრთხილ ვიყვენით ეშმაკთა მიმართცა და კაცთა მიმართ ბოროტისა განმზრახთა და არა განვსცემდეთ აზნაურებასა სულისა ჩუენისასა, არცა მივერჩედეთ ვნებასა სულისასა; და მერმე დაურთო უმანკოებაჲ ტრედისაჲ, რაჲთა არა ბოროტსა უყოფდეთ ბოროტისყოფელთა ჩუენტა, არცა მივაგებდეთ ნაცვალსა მტერთა ჩუენტა, რამეთუ ამათ ორთა სახეთაგან უკუეთუ ერთიცა აკლდეს კაცსა, არა აქუს მას წესი სათნოებისაჲ.

ეჰა ბრძანებაჲ სრულებისაჲ, არა კმა არს მოთმინებაჲ განსაცდელთაჲ, არამედ არცა თუ განრისხებაჲ შეგინდობო, რამეთუ ესრეთ არს სახე ტრედისაჲ. თქუას სადმე ვინ, ვითარმედ: ვის ძალ-უც ესე, ანუ ვითარ ეგების, უკუეთუმცა ლერწამი დაურთო ცეცხლსა და ეტყოდა არა დანუვად? არამედ ცუდ არიან სიტყუანი ესე და ამაო, რამეთუ აღესრულნეს მცნებანი იგი დაუკლებელად; და მეცნიერ იქმნეს სანატრელნი იგი, ვითარცა გუელი, და უმანკო, ვითარცა ტრედი, და არა თუ სხვსა რაჲსმე ბუნებისანი იყვნეს იგინი, არამედ ჩუენისავე ამის ბუნებისანი.

¹ 2 კორ. 12,9.

ან უკუე ნუვინ ჰგონებს, თუ შეუძლებელ არიან მცნებანი ქრისტესნი, რამეთუ უმჯობეს ყოველთასა მან მხოლომან იცნის ბუნებანი საქმეთანი და არარად შეუძლებელი გვბრძანა; უწყის, ვითარმედ სიფიცხესა სიმშკდე უფროსად მძლე ექმნების, ვიდრე სიფიცხევე, და უკუეთუ სახესა ეძიებ ამის საქმისასა, აღმოიკითხე წიგნი იგი „საქმე მოციქულთა“ და იხილო, რავდენგზის აღბორგდა ერი იგი ჰურიათაჲ მოციქულთა ბრძოლად და კბილთა იღრჭენდეს, ხოლო იგინი, ვითარცა ტრედნი უმანკონი, სიმშკდით დგეს და სიტყვთა დაწყნარებულთა სიბორგილე მათი განაქარვიან. ოდესმე ეტყოდეს რად იგინი: ნუ იტყვო, ნუცა ასწავებთ სახელითა იესუსითა, მიუგეს მათ: „უკუეთუ სამართალ არს თქუენი სმენად უფროს, ვიდრელა ღმრთისაჲ, საჯეთ“;¹ აჰა უმანკობაჲ ტრედისაჲ. იხილე კუალად მეცნიერებაჲ გუელისაჲ: „ჩუენ ვერ ჴელ-გუენიფებისო, რომელი-იგი ვიხილეთ და გუესმა, ვითარმცა არა ვიტყოდეთ“.² ჰხედავა, ვითარ ყოვლით კერძო შეკრძალულებაჲ ჯერ-არს, რადთა არცა განსაცდელთაგან ძრწოდის კაცი, არცა გულისწყრომისაგან განფიცხნებოდის? ამისთვისცა ეტყვს უფალი მონაფეთა თვსთა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „**ეკრძალებოდეთ კაცთაგან, რამეთუ მიგცემდენ თქუენ კრებულსა და შორის შესაკრებელთა მათთა გტანჯვიდენ თქუენ. და წინაშე მთავართა და მეფეთა მიგიყვანენ ჩემთვის საწამებელად მათდა და წარმართთა**“ (10,17-18).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ყოველგან თავს-დებად ბოროტთაჲ მათ უბრძანა და ჴელმწიფებაჲ ტანჯვისაჲ სხუათა მისცა, რადთა სცნა, ვითარმედ თავს-დებასა შინა განსაცდელთა და სატანჯველთასა მიეცა მათ ძლევაჲ ბრწყინვალე და დიდებული.

ეჰა ძალი იგი მეუფისაჲ, რომელ უძლურებითა ძლიერნი დაამჴუნა! ეჰა სიკეთე გონებათა მათთაჲ, ვითარ არა განჰკრთეს, არა თქუეს ურთიერთას, ვითარმედ: რად არს საქმე ესე? ჩუენ ზედა აღდგებიან მეფენი და მთავარნი, ჩუენთვის განემზადებიან დილეგნი, ჩუენ ზედა აღიძრვიან ერნი ჰურიათა და წარმართთანი, ყოველი სოფელი მბრძოლად ჩუენდა გამოვალს, ჩუენ ძლით შვილთა მკლველ და ძმათა მკლველ და მამათა მბრძოლ იქმნებიან კაცნი, რამეთუ თქუა: „მისცნეს ძმამან ძმად სიკუდილდ, და მამამან – შვილი; და აღდგენ შვილნი მამა-დედათა მათთა ზედა და მოჰკლვიდენ მათ“.³ ვითარ უკუე სხუათა ჰრწმენეს ჩუენი, ოდეს ჩუენ მიერ ესევითარნი ბუნებისა ბრძოლანი იქმნენ? არა ყოველნი მბრძოლ და მდეგარ ჩუენდა იქმნენა და ყოვლისა სოფლისაგან განგკოტნენ? დალაცათუმცა არა ათორმეტნი ვიყვენით, არამედ ბევრეულნი, დალაცათუმცა არა უსწავლელნი ვიყვენით, არამედ ფილოსოფოსნი, ვითარმცა უძლეთ ესოდენთა ამათ განსაცდელთა

¹ საქმე 4,19. ² საქმე 4,20. ³ მათ. 10,21.

და ბრძოლათა თავს-დებად? ხოლო ან ათორმეტნი ვართ და ყოველთა მიერ დაწუნებულნი სიგლახაკისა ჩუენისათს და უსწავლელობისა, რა-მე იყოს სასოება ჩუენი? ვითარ შთავცკვენით სიძნელესა ამას? – არარად ესევეთარი თქუეს, არცა მოიგონეს, არამედ ყოველსავე მორჩილებით და უმანკობით შეინწყნარებდეს, რამეთუ დიდ იყო მათიცა სიკეთე და ერთგულება და უფროესად სახიერისა მის მოძღურისა მადლი და დიდება და ფრიადი იგი სიბრძნე, ვითარ თითოეულსა ძნელოვნებასა თანა ნუგეშინის-ცემად შეაულლა. ოდეს-იგი ჰრქუა, ვითარმედ: ნურად გაქუნ გზასა და ვიდოდეთ უპოვრებით, მეყსეულად დაურთო, ვითარმედ: „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა“;¹ კუალად, ოდეს თქუა, თუ: „არა შეგიწყნარნენ თქუენ“, შესძინა, ვითარმედ: „უმოლხინეს იყოს ქუეყანად სოდომისად და გომორისად დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე ქალაქი იგი“;² და კუალად, ან თქუა რად, ვითარმედ: „წინაშე მეფეთა და მთავართა მიგიყვანნენ თქუენ“, შესძინა: „ჩემთვისო, სანამებელად მათა და წარმართთა“. ხოლო ესე არა მცირე ნუგეშინის-ცემად არს, რაჟამს ვნებად იგი ქრისტესთვის იყოს და მათდა სამხილებელად, რაჟამს იცოდინ, ვითარმედ ღმერთი მარადის ჩუენ თანა არს, რომელმან ყოველივე წინადასწარ უწყის. და ამას თანა სხუადცა ნუგეშინის-ცემად ფრიადი წინაუყო მოძღუარმან მან და მეუფემან სახიერმან და ჰრქუა:

ს ა ხ რ ე ბ ა დ: „და რაჟამს მიგცნენ თქუენ, ნუ ჰზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყოდით, რამეთუ მოგეცეს თქუენ მას ჟამსა შინა, რასა-იგი იტყოდით. რამეთუ არა თქუენ იყვნეთ მეტყუელები, არამედ სული მამისა თქუენისად, რომელი იტყოდის თქუენ შორის“ (10,19-20).

თ ა რ გ მ ა ნ ი: რადთა არა შეურვებულ იყვნენ სიტყვს-გებისათსცა მეფეთა მიმართ და მთავართა და დარწმუნებისათსცა ერისა მის ბოროტთა შინა განფრდილისა, ამისთვის აღუთქუა მათ მიცემად სიტყვსა ესევეთარისა, რომელსა ვერვინ უძლოს წინააღდგომად. და სხუასა ადგილსა თქუა, ვითარმედ: „მე მოგცე პირი და სიბრძნე“;³ ხოლო აქა იტყვს, ვითარმედ: „სული მამისა თქუენისად იტყოდის თქუენ შორის“, რადთა ცნან, ვითარმედ პატივსა მას და საზომსა წინადასწარმეტყუელთასა აღსრულ არიან, და რამეთუ ერთ არს მისმიერი მიცემად სიბრძნისად და სულისა მიერ წმიდისა, რამეთუ ყოველივე განუყოფელ არს მამისა და ძისა და სულისა წმიდისად: მადლი და დიდებად, პატივი და ძალი და მეუფებად.

ხოლო ვინაფთგან აუნყა ძალი იგი, მოცემადი მათდა, მერმე განსაცდელთა მათცა მონვენადთა მიუთხრობს და ეტყვს:

ს ა ხ რ ე ბ ა დ: „მისცეს ძმამან ძმად სიკუდილდ, და მამამან – შვილი; და აღდგენ შვილნი მამა-დედათა მათთა ზედა და მოჰკლვიდენ მათ. და

¹ მათ. 10,10.

² მათ. 10,14-15.

³ ლუკ. 21,15.

იყვნეთ თქვენ მოძულეებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათვის. ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს“ (10,21-22).

თ ა რ გ მ ა ნ ი: დაღაცათუ ძნელ იყვნეს სიტყუანი ესე და შემძლებელ კლდისაცა შერყევად, არამედ აქაცა ნუგეშინის-ცემად თანაშეაერთა: სახელისა ჩემისათვის შეგემთხვოსო ესე ყოველი; და სხუაეცა დაურთო სიტყუად ნუგეშინის-ცემისად: რომელმან დაითმინოსო სრულიად, იგი ცხონდეს. ესოდენ აღორძინდესო ძალი ქადაგებისა თქუენისაჲ, ვიდრელა მრავალთა ბუნებაეცა უარ-ყონ და თვსებაჲ შეურაცხ-ყონ და უფროჲს ყოვლისა სიტყუასა თქუენსა პატივ-სცენ. ან უკუე ვინაჲთგან მძლავრებაჲ იგი ბუნებისაჲ ვერ შემძლებელ არს თქუენდა წინააღდგომად, სხუამცა ვინ უძლო წინააღდგომად? გარნა არა ადვილად და უშრომელად წარემართოს ქადაგებაჲ იგი თქუენი, არამედ ჭირითა მრავლითა და შრომითა, და იყვნეთ მოძულეებულ ყოველთაგან უკეთურთა და უშჯულოთა და არალირსთა ცხორებისათა, რომელთათვის ზემო ვთქუე, ვითარმედ უძკრეს იყოს სასჯელი მათი სოდომელთასა. ხოლო ნეტარ იყოს, რომელმან ესე ყოველი სახელისა ჩემისათვის სრულიად მოითმინოს, ესე იგი არს, რომელი აღსასრულადმდე ეგოს კეთილსა მას შინა აღსაარებასა, რამეთუ იგი ცხონდეს და სასუფეველი ცათაჲ დაიმკვდროს.

სადა არიან ან წარჩინებულნი იგი წარმართთა ფილოსოფოსნი, მდიდარნი იგი და მძლავრნი, რომელნი ჰგონებდეს, თუ უკუნისამდე ეგოს საჯსენებელი მათი? აჰა ესერა ვითარცა სიზმარი დავიწყებულ არიან და ვითარცა არაყოფილნი შეირაცხნეს, რომელთა ესოდენი აქუნდა დიდებაჲ და ქებაჲ ერთა მიერ, და სიმდიდრითა ფრიადითა საესე იყვნეს, და სწავლულებაჲ სიბრძნისა მის წარწყმედადისაჲ აურაცხელი აქუნდა. სადა არს ან საჯსენებელი მათი? წარჯდა და უჩინო იქმნა. ეგრეთვე მეფენი, ძლიერნი და მპყრობელნი ერთა და ქუეყანათა მრავალთანი, დავიწყებულ არიან ჯოჯოხეთსა შინა. ხოლო ათორმეტთა მათ ყოველნივე სიმრავლენი ეშმაკთანი და ყოვლისა სოფლისა მეფენი და მძლავრნი მბრძოლად აღუდგეს, გლახაკთა მათ და უსწავლელთა, ხოლო იგინი ყოველთავე ერეოდეს და ყოველთა მძლე ექმნეს. და საკვრველი ესე არს, რომელ არა თუ მოსწყვდნეს, რომელთაცა ერეოდეს, არამედ მოაქცინეს ღმრთისა; პოვნეს ეშმაკთა სწორად და ყვნეს ანგელოზთა თანამოდასეჲ; ბუნებაჲ კაცთაჲ ბოროტისა მის ეშმაკთა მძლავრებისაგან განათავისუფლეს, ხოლო ყოველთა ბოროტთა მომპოვნებელნი იგი ეშმაკნი სრულიად განდევნეს კაცთაგან; არა სოფლისაგან ხოლო დაშენებულისა, არამედ უდაბნოთაგანცა განიოტნეს; და წამებენ კრებულნი მონაზონთანი, რომელნი სწავლითა მათითა დაენერგნეს უდაბნოთა შინა და საყოფელ ანგელოზთა ყვნეს იგინი.

ესრეთ ყოველთავე მბრძოლთა და წინააღმდგომთა მძლე ექმნეს და ყოველთა სიბრძნისმეტყუელთა პირი დაუყვეს; ხოლო მათნი ენანი ვერვინ

დააყენნა, არამედ ვითარცა-იგი ბრწყინვალეებასა მზისასა ვერვის ძალ-უც დაყენებად, ეგრეთვე ვერცა ღმრთისმეტყუელთა მათ პირთა მათთად ვერვის ჴელ-ენიფა დადუმებად. ესე ამისთჳს, რამეთუ არა იგინი იყვნეს მეტყუელნი, არამედ ძალი იგი სულისა წმიდისად. ხოლო მათცა, რად-იგი საძიებელ იყო, აჩუენეს: გონებად კეთილი, სიყუარული ქრისტესი, მორჩილება შეუორგულებელი, მოთმინებად განსაცდელთად; ამისთჳსცა სამართლად მიიღეს ძალი მაღლით გამო.

და იხილე, ვითარ პირველითგან რომელიმე უფლისა მიერ იყო და რომელიმე – მონაფეთა მიერ: ქმნად სასნაულთად უფლისა მიერ იყო, ხოლო არარაფა მოგებად მათისა მის სათნოებისად იყო; კუალად, განლებად კართად და შეწყნარებად მათი ზეგარდამოფსა მადლისად იყო, ხოლო არარაფა უმეტეს თანანარუვალისა მის საჭმრისა ძებნად მათისა მის სიბრძნისად იყო; მიცემად მშკდობისად ზეგარდამოფსა მის მადლისად იყო, ხოლო ძიებად ღირსთად და არა ყოველთა მიმართ შესლვად მათისა მოთმინებისად იყო; ტანჯვად არაშემწყნარებელთა მათთად უფლისა მიერ იყო, ხოლო განურისხველად წარსლვად მათისა მის სიმშკდისაგან აღესრულებოდა; მიცემად სულისა წმიდისად უფლისა მიერ იყო, ხოლო მიმსგავსებად ცხოართა და ტრედთა და ყოვლისავე სიმშკდით თავს-დებად მათისა ახოვნებისაგან იქმნებოდა; მოქცევად ერთად მადლისაგან იყო საღმრთოფსა, ხოლო მოთმინებად სრულიადი მათ აჩუენეს. ამისთჳსცა თქუა უფალმან: „რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს“. რამეთუ მრავალნი დანყებასა მჴურვალე არიან კეთილთა საქმეთა შინა და მერმე დაიწსნებიან, ამისთჳს იტყჳს უფალი: აღსასრულსა ვეძიებო; რამეთუ რად სარგებელ არს თესლი, რომელი მყის აღმოეცენის და აღყუავნის და მერმე დაჭნის და განწმის და არა სრულ-ყვის ნაყოფი თჳსი? ამისთჳს ვიდრე აღსასრულადმდე ეძიებს მოთმინებასა უფალი. რადთა არავინ თქუას, თუ: ყოველივე უფალმან მიანიჭა, და რად არს მათი მადლი? ამისთჳს ეტყჳს, ვითარმედ: მრავალნი შემთხუევად არიან თქუენდა შრომანი და განსაცდელნი, და ჯერ-არს თქუენდა ყოვლისავე მოთმინებად. დაღაცათუ ერთისა განსაცდელისაგან გიწსნე კეთილად, სხჳსათჳს დამარხულ ხართ. და ვიდრემდის სოფელსა ამას შინა იყვნეთ, ჭირნი და განსაცდელნი არა დაგაკლდენ. ამისთჳს გეტყჳ: „რომელმან მოითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს“.

და კეთილად ჰრქუა: „ნუ ჰზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყოდით“, რამეთუ ნანდჳლვე ფრიად საზრუნველ იყო, წარადგინიან რად წინაშე მეფეთა და მძღავრთა, ერთა ზედა და მჴედრობათა, მახჳლთა წინაშე წუდილთა და მტარვალთა განმზადებულთა, და არცა თუ სიტყჳსა თქუამად შეუნდობდიან, არამედ, ვითარცა მამფოთებელთა სოფლისათა, ძკრ-ძკრითა სიკუდილითა ენების მოწყუედად მათი. ამისთჳსცა იგინი თჳსსა მოთმინებასა და ახოვნებასა აჩუენებდიან, გარნა ზეგარდამოფცა მადლი და შეწენად ფრი-

ადი უკმა და სიტყუად სულისა მიერ წმიდისა მოცემული დაყოფად პირ-სა ცილისმნამებელთა მათთასა და დარწმუნებად ერისა ჭეშმარიტისა მის ქადაგებისა მათისა, ვითარცა-იგი იხილვების თითოეულისა მიერ: პეტრეს და პავლეს და იოვანეს და სხუათა ყოველთავე, რომელთა ზედა შემოიღებ-დიან შესმენათა მრავალთა. ხოლო მათ სიტყუთა მით სიბრძნისა და მეც-ნიერებისა მათისადათა, რომელი აქუნდა სულისა მიერ წმიდისა, ყოველი-ვე განაქარვიან და დაარწმუნინან ერთა ჭეშმარიტებისა იგი სახარებად. და ესე ყოველი მრავლითა მით მოთმინებითა მათითა წარჰმართეს მადლითა ქრისტესითა, ვითარცა იტყვს პავლე: „დღითი-დღე მოვსწყდებით“;¹ და ეს-რეთ აღსასრულადმდე თავს-იდებდეს ყოველთა მათ აურაცხელთა და მი-უთხრობელთა ჭირთა და განსაცდელთა.

სწავლად ლბ

მოთმინებისათვის განსაცდელთადასა და სახე იოზისგან

ან უკუე რაჲ-მე ვთქუათ ჩუენ, რომელთა ესოდენნი სახენი მოთმი-ნებისანი გუქონან და ჩუენ ჟამსაცა მშკდობისასა დავიწსნებით, თვნიერ მბრძოლთასა მოვსწყდებით, თვნიერ მდევართასა ვივლტით, მყუდროებით და უშრომელად ცხორებად გვპოვნიეს და ეგრეთცა ვიღელვებით. მაშინ ყო-ველივე სოფელი, ვითარცა ერთი საჭუმილი, ეტყინებოდა, და მოციქულნი შერბოდეს და აღისა მისგან გამოიტაცებდეს კაცთა. ხოლო შენ, კაცო, ვერცა თუ თავსა შენსა დაიცავა? არა არს ან დევნულებად, არცა ტანჯვად, არამედ ყოველივე მყუდროებად იხილვების: მეფენი მორწმუნენი და პატი-ვი ქრისტეანეთად ფრიადი და სწავლანი სულიერნი, და ამას ყოველსა ზედა ფრიადი არს უდებებად და დაწსნილობად.

ანუ არა ჩუენისა ამის ბუნებისანი იყვნეს წმიდანი იგი? რაჲ არს უკუე ესოდენი ესე შეცვალებად წესთად? რაჲ არს ესევითარი ესე დაწსნილობისა ჩუენ ზედა მოფენილი არმური? ან უკუეთუმცა იქმნა, – რომელ-იგი ნუმცა სადა ქმნილ არს, – დევნულებად ეკლესიათად, არამცა საცინელ ყოველთასა ვიქმნენითა? რამეთუ უკუეთუ მშკდობისა ჟამსა ვერ აღდგებოდის კაცი, ვითარ შევიდეს იგი მწყობრსა დღესა ბრძოლისასა? რომელი ყოვლადვე რკინობასა არა ცდილ იყოს, ვითარ შევიდეს სარბიელსა რკინობად? არა ჯერ-იყოა ჩუენდა დღითი-დღე ბრძოლად და სრბად ასპარეზსა მას სული-ერსა, რაჲთა გამოცდილ და წელოვანმცა ვიყვენით, ვითარცა იქმან სოფ-ლიონნი მორკინალნი და მალემსრბოლნი, მსახიობელნი და მწედარნი? ყო-ველნივე წელოვნებასა შინა თვსსა დაუცხრომელად ინურთებიან, რაჲთა ჟამსა ჯეროანსა გამოცდილ იპოვნენ.

¹ შდრ. 1 კორ. 15,31.

ან უკუე შენცა, მორწმუნეო, ჰბაძევედი მათ და ბრძოლათა შინა ეშმაკისათა დღითი-დღე მწნდებოდე; მარადის მბრძოლი გეწყევების, ოდესმე გულისწყრომისა მიერ, ოდესმე გულისთქუმათა მიერ ბოროტთა და თითოსახეთაგან ვნებათა; შენცა მარადის წინაგანეწყევბოდე მას და წინააღმდეგობოდე ყოველთავე ვნებათა, თავს-იდებდ განსაცდელთა გონებისათა, რათა უკუეთუ ჯორციელნიცა მოგიჟდენ, მოითმინნე. რამეთუ ნეტარი იობცა უკუეთუმცა არა წურთილ იყო მოთმინებასა, ვერმცა ესრეთ ახოვნად და კეთილად თავს-ესხნეს დიდნი იგი განსაცდელნი: მონაგებისა ყოვლისავე მოოწრებად და შვილთა მოწყუედად და ჯორცთა თქსთა წყლულებად, მეუღლისა წყალობად, მეგობართა ყუედრებანი, მონათა შეურაცხებანი.

ხოლო რად იყო წურთად მოთმინებისა მისისად? სიმდიდრე იგი და მონაგებნი შეერაცხნეს არარად, ვითარცა თავადი წამებს სიტყვთა თქსითა, ამისთქსცა არცა წარწყმედად მათი შეჰრაცხა ყოვლადვე. შვილთა თქსთა ყოველთა ღმრთისმოშიშებითა ზრდიდა; რომელი-იგი უცნაურთაცა ბრალთა მათთათქს მსხუერპლსა შესწირვიდა, ოდესმცა შეუნდო მეცნიერებით ცოდვად?

ისმინე სინმიდისათქსცა წურთილებად მისი: „საზღვარი დავდეგო თუალთა ჩემთა არა მიხედვად დედაკაცსა უცხოსა“.¹ ამისთქსცა არცა ცოლსა თქსსა მიერჩდა სიტყუად უჯეროებისა. ამისთქსცა განკვრევებულ ვარ, ვითარ, იცოდა რად ეშმაკმან ესევეითარი იგი კეთილსა შინა წურთილობად მისი, იკადრა ბრძოლად მისა. გარნა უკეთური არს ბოროტი იგი, არაოდეს წარიკუეთს სასოებასა ბრძოლისასა, რომელ-ესე უმეტესი დასასჯელი არს ჩუენი, რამეთუ იგი არაოდეს წარიკუეთს სასოებასა წარწყმედისა ჩუენისასა, და ჩუენ წარვიკუეთთ სასოებასა ცხორებისა ჩუენისასა. ხოლო წყლულებასა მას გუამისასა და მოწვენასა სენთასა იხილე, ვითარ იწურთიდა ნეტარი იგი: ვინადთგან მისდა ესევეითარი არარად სადა შემთხუეულ იყო, არამედ მარადის დიდებასა და შუებასა შინა აღზრდილ იყო, სხუათა ხედვიდა უძლურთა და განრლუეულთა და თავსა თქსსა მზაჰყოფდა ესევეითარისათქს. და ამას მოასწავებს სიტყვთა მით, რომელსა იტყვს: „შიში, რომელი მეშინოდა, მოინია ჩემ ზედა, და რომელსა ვეჭუდი, შემემთხვა მე“;² და კუალად იტყვს: „მე ყოველსა ზედა უძლურსა ვტიროდე და სულთ-ვითქუემდ, ვიხილი რად კაცი ჭირსა შინა“.³ ამისთქსცა ვერარამან შეაშფოთა დიდთა მათ განსაცდელთაგანმან. რამეთუ ნუ წარწყმედასა მას საფასეთასა იტყვ და სიკუდილსა შვილთასა და წყლულებასა ჯორცთასა და ბოროტის-ზრახვასა მეუღლისასა, არამედ სხუანი იგი განსაცდელნი იხილენ, ფრიად უძკრესნი. სთქუა სადმე, ვითარმედ: სხუად არა წერილ არს განსაცდელი იობისთქს; – ამისთქს, რამეთუ უგულისჰმოდ ვიკითხავთ. ხოლო უკუეთუ გულისჰმა-ვყოთ, სხუანი იყვნეს განსაცდელ-

¹ იობ 31,1.

² იობ 3,25.

³ იობ 30,25.

ნი, უმეტესად შემძლებელი შენუხებად მისა: პირველად, რამეთუ არა იცოდა სასუფეველისათვის ცათაჲსა და მერმისა მისთვის აღდგომისა განცხადებულად, ვითარ-ესე ან საცნაურ არს. ამისთვის იტყოდა: „არა უკუნი-სამდე ვცხონდე, რაჲთა სულგრძელ ვიქმნე“;¹ მეორედ, რამეთუ მრავალი სათნოება იცოდა თავისა თვისისა და ხედვიდა წინააღმდეგომსა; მესამედ, რომელ ვერ ჰპოებდა ბრალსა თვისსა; მეოთხედ, რამეთუ ჰგონებდა, თუ რისხვისაგან ღმრთისა მოიწია იგი ყოველი; მეხუთედ, რამეთუ ესმოდა მეგობართა მათ, ვითარ შეასმენდეს მას, ვითარცა ბოროტისმოქმედსა; მეექვსედ, რამეთუ ხედვიდა, ვითარმედ კაცნი ბოროტისმოქმედნი იშუებდეს და ეკიცხევდეს მას; მეშვიდედ, რამეთუ არა აქუნდა პირველ მისა ყოფილი ესევითარი სახე, რაჲთამცა ხედვიდა მას. ესე ყოველი შემძლებელ იყო შერყევად კლდისაჲცა მყარისა, არამედ მისი გონებად ვერ შეარყია. იხილეთლა ან, რაოდენი სწავლაჲ გვსწავიეს: სასუფეველსა მოველით და აღდგომასა მერმესა, და სახენი სათნოებისანი ბევრეულნი გუქონან; და უკუეთუ მცირე რაჲმე განსაცდელი შეგუემთხვოს, წარვინირავთ ცხორებასა ჩუენსა, ხოლო იგი ყოველსა ახოვნად თავს-იდებდა.

არცა თუ დედაკაცისა მის სიტყუათა შეუძლეს შერყევად გონებისა მისისა, რომელ-იგი ფრიად ძნელ იყვნეს და შესაწუხებელ, არამედ ყოველსავე ახოანი იგი თანაწარჰჰჰდა; არცა წყლულებამან მიდრიკა, არცა გულისთქუმამან, რამეთუ კლდე იყო შეურყეველი. მომეცით მე კადნიერებად თქუემად, ვითარმედ მოციქულთაჲცა არა უდარეს იყო ნეტარი იგი. რამეთუ მოციქულთა დიდი ნუგეშინის-ცემად აქუნდა, რომელ იცოდეს, ვითარმედ ქრისტესთვის შეემთხუევის, რაჲცა შეემთხუეოდა, ხოლო მას ესე ნუგეშინის-ცემად არა აქუნდა, არცა სწავლათა მიერ ქრისტესთა განმტკიცებულ იყო; და კუალად არა მეთევზურთა და გლახაკთაგან იყო, არამედ – სიმდიდრესა შინა აღზრდილი, და მეყსეულად ესევითარსა შთავარდა სიგლახაკესა. და რომელ-იგი მოციქულთათვის ყოვლისა უძნელეს იყო, იგი ამასცა სჭირდა – მოძულებული მეგობართაგან და თვისთა და ყოვლისა კაცისა. ხოლო გოდოლი იგი მოთმინებისაჲ, რომელი აქუნდა მოციქულთა, – სიტყუად უფლისაჲ, ვითარმედ: სახელისა ჩემისათვის არსო ესე ყოველი თქუენ ზედა, – მას ესე არა აქუნდა.

საკვრველ არიან სამნი იგი ყრმანი, რამეთუ შეჰკადრეს აღსა მას ცეცხლისასა და მძლავრსა მას წინააღუდგეს. არამედ ისმინე, რასა ეტყვან: „ღმერთთა შენთა არა ვჰმსახურებთო და ხატსა მას ოქროსასა არა თაყუანის-ვსცემთ“.² ხოლო ესე დიდი ნუგეშინის-ცემად იყო, რომელ იცოდეს, ვითარმედ ღმრთისათვის შეემთხუევის, რაჲცა შეემთხვოს. გარნა იობ არა იცოდა, თუ საქმე იგი გამოცდაჲ იყო და ბრძოლაჲ. უკუეთუმცა იცოდა, ყოვლადვე არამცა შეჰრაცხა განსაცდელი იგი.

¹ იობ 7,16.

² დან. 3,18.

ამისთვისცა ოდეს-იგი ჰრქუა უფალმან: „ანუ ჰგონებ, ვითარმცა სხუად რაჲმე გამოგეცხადე შენ? არამედ რაჲთა გამოსჩნდე მართლად“,¹ იხილე, ვითარ ერთისა მისთვის სიტყვსა ესრეთ განისუენა სულმან მისმან: შეურაცხ-ყო თავი თვისი და ყოველივე იგი, რაჲ შემთხუეულ იყო, არარად შეჭრაცხა. ამისთვის იტყოდა: „ჰამბვით მესმინა შენთვის ყურთა ჩემთა პირველ, ხოლო ან თუალმან ჩემმან გიხილა შენ. ამისთვის განვიქარვე თავი ჩემი და დავდენ და შემირაცხიეს თავი ჩემი მინად და ნაცრად“.²

ამას უკუე ესევითარსა სიმწნესა, ამას ესევითარსა გონიერებასა ჩუენცა ვჰბაძვიდეთ, მორწმუნენო, რომელნი-ესე შჯულსა ძუელსა და ახალსა სწავლულ ვართ, ვჰბაძვიდეთ პირველ ახლისა და ძუელისაცა შჯულისა ყოფილსა, რაჲთა საუკუნეთაცა სავანეთა ზიარ მისა ვიქმნეთ, რომელთა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა სულით ნმიდითურთ შუენის დიდებაჲ, პატივი და სიმტკიცე ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ იოზ 40,3.

² იოზ 42,5-6.

თავი ლ

სიტყუად ესე: „რაჟამს გდევნიდენ თქუენ ამიერ ქალაქით, მიივლტოდეთ სხუად კერძო. ამენ გეტყვ თქუენ: ვერ დაასრულოთ ქალაქები ისრაჳლისად, ვიდრემდე ძე კაცისად მოვიდეს“ (10,23).

ზემო წარმოუთხრნა საშინელნი იგი სიტყუანი და შემძლებელნი ადამანტისაცა ქვისა შემუსრვად და აუნყა განსაცდელთა მათთჳს, მონვენადთა მათ ზედა შემდგომად აღდგომისა და ამაღლებისა მისისა, ხოლო ან მოიყვანა სიტყუად თჳსი უმოლხინესისა მიმართ, რათა მცირედ განუსუენოს მოლუანეთა მათ. რამეთუ არა უბრძანა აქა შებმა-ყოფად მბრძოლთა მიმართ წარმდებებით, არამედ სივლტოლად, რამეთუ დანყებად იყო და დასაბამი ქადაგებისად, და ულბილესად იჳმარებს სიტყუასა თჳსსა. რამეთუ ან თქუმულნი ესე სიტყუანი არა შემდგომად ამაღლებისა მისისა ყოფადთა დევნულებათათჳს არს, არამედ პირველ ჯუარ-ცუმისათა. და ესე საცნაურ არს სიტყუსა მისგან, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „არა დაასრულოთ ქალაქები ისრაჳლისად, ვიდრემდე ძე კაცისად მოვიდეს“. ესე იგი არს, ვითარმედ: ვერ ენიფნეთ მიმოსლვად პალესტინესა, და გენიო თქუენ და ნუგეშინის-გცე, სადაცა იყვნეთ.

და იხილე აქაცა, ვითარ არა დაჰჳსნის ჭირთა მათ, არამედ წარმოუდგების ხოლო განსაცდელთა შინა, რამეთუ არა თქუა, თუ: დაჰჳსნენ დევნულებანი იგი, არამედ: „ვერ დაასრულოთ ქალაქები ისრაჳლისად, ვიდრემდე ძე კაცისად მოვიდეს“. რამეთუ კმა იყო მათდა ნუგეშინისსაცემლად ხილვად ხოლო მისი, და რამეთუ ან არა შორთა ქუეყანათა უბრძანა მათ წარსლვად პირველ ამაღლებისა თჳსისა, არამედ ქალაქთა მათ ჰურიასტანისათა.

ხოლო ან კუალად სხუად სახედ მოთმინებისა აღიყვანებს. პირველსა მას სიტყუასა შინა საზრდელისა ზრუნვად განაშორა მათ, რაჟამს ჰრქუა: „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა“,¹ და აუნყა, ვითარმედ მრავალნი იპოვნენ შემწყნარებელ და გამომზრდელ მათდა; მერმე ზრუნვად იგი და შიში სიტყვს-გებისად და განსაცდელთად განუქარვა, რაჟამს ჰრქუა: „ნუ ჰზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყოდით, რამეთუ მოგეცეს თქუენ მას ჟამსა შინა სიტყუად, რასა-იგი იტყოდით“;² და მერმე თქუა: „რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს“.³ ხოლო ვინაფთგან მრავალთა ეგულებოდა მათთჳს ბოროტისმეტყუელებად, – რომელ ესეცა სამძიმარ არს და შემანუხებელ, – იხილე, ვითარ ამის ჯერისათჳსცა ნუგეშინის-სცემს თავისა თჳსისაგან და მისთჳს თქუმულთა მათგან, რომლისა სწორ არარად იყო ნუგეშინისსაცემლად. რამეთუ ვითარცა ზემო თქუა, ვითარმედ: „იყვნეთ თქუენ

¹ მათ. 10,10.

² მათ. 10,19.

³ მათ. 10,22.

მოძულეებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათჳს“;¹ ეგრეთვესახედ აქაცა იქმს და უმეტესად ჰყოფს ამის პირისათჳს სიტყუასა ნუგეშინისსაცემელად მათდა:

სახარება: „**არა არს მონაფე უფროს მოძღურისა თჳსისა, არცა მონაფე უფროს უფლისა თჳსისა. კმა არს მონაფისა მის, უკუეთუ იყოს, ვითარცა მოძღუარი თჳსი, და მონაფე იგი, ვითარცა უფალი თჳსი. უკუეთუ სახლისა უფალსა ბერზებულით ხადოდეს, რავდენ უფროსს სახლეულთა მისთა? ნუუკუე გეშინინ მათგან“ (10,24-26).**

თარგმანი: იხილე, ვითარ ან გამოუცხადა თავი თჳსი, ვითარმედ იგი არს ყოველთა მეუფე და ღმერთი და დამბადებელი. ხოლო რად არს სიტყუად ესე? არა იქმნებისა მონაფე უფროსს მოძღურისა, არცა მონაფე უფროსს უფლისა თჳსისა?

ვიდრემდის მონაფე იყოს და მონაფე, არა არს უპატიოსნეს მოძღურისა და უფლისა. რამეთუ რად მას ხედავ, უკუეთუ სადმე წარემატა მონაფე უმეტეს მოძღურისა? არამედ განწესებული ყოველთა ზედა საქმე გულისწმა-ყავ, ვითარმედ მარადის მოძღუარი უზეშთაეს არს მონაფისა და უფალი – მონისა. ხოლო ან მეტყუელი იგი უფალი იყო და მეუფე და ღმერთი და დამბადებელი და არა თქუა მათთჳს მონობად, არამედ სახლეულად თჳსად უწოდა; ვითარცა სხუასა ადგილსა ეტყოდა: „თქუენ მეგობარნი ჩემნი ხართ, არღარა გეტყვ თქუენ მონად“,² ეგრეთვე აქა სახლეულად სახელსდვა, რადთა აჩუენოს მრავალი იგი საკუთრობად მათი. და არა თქუა: უკუეთუ სახლისა უფალსა ძჳრსა ეტყოდეს და შეურაცხ-ჰყოფდეს, არამედ სიტყუად მეგრ იგი ძჳრისმეტყუელებისა აუწყა, ვითარმედ: „ბერზებულით ხადოდეს“; ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: უკუეთუ გაგინებდენ თქუენ და ბოროტსა იტყოდინ თქუენთჳს, ნუ მწუხარე ხართ, ნუცა უცხო-გიჩნს; მოიწსენეთ, თუ ჩემთჳს რასა იტყოდეს, რომელი-ესე მოძღუარი ვარ და უფალი თქუენი; რად უკუე საკჳრველ არს, უკუეთუ თქუენთჳსცა ეგრეთვე თქუან? რამეთუ დიდ არს თქუენდა მსგავსებად ჩემი.

ამისა შემდგომად კუალად სხუადცა ნუგეშინის-ცემისა სიტყუად წინა-უყო და ჰრქუა მათ:

სახარება: „**რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს, და არცა საიდუმლოდ, რომელი არა განცხადნეს“ (10,26).**

თარგმანი: ხოლო სიტყუად ესე ესრეთ არს, ვითარმედ: კმა იყო თქუენდა ნუგეშინისსაცემელად, რომელ-ესე ზიარ ჩემდა იქმნენით, უფლისა და მეუფისა თქუენისა, თავს-დებითა გინებათა და ძჳრისმეტყუელებათადათა; ხოლო უკუეთუ ჯერეთცა მწუხარე ხართ, ამასცა გითხრობ,

¹ მათ. 10,22. ² შდრ. იოან. 15,14-15.

ვითარმედ მოკლედ განქარდენ ძვრისმეტყუელებანიცა იგი. რამეთუ რად-სათვს მნუხარე ხართ? რომელ-იგი გრძნებისა მოქმედად და მაცთურად გინოდენა? მცირედ დაითმინეთ და ყოველმან სოფელმან ქველისმოქმე-დად და ცხორებისა მომატყუებულად გინოდონ. რამეთუ ყოველივე და-ფარული გამოაჩინოს ჟამმან, ქადაგებისა მის და სათნოებისა თქუენისაჲ, და ცილისწამებასა მათსა ემხილოს, და ჭეშმარიტებაჲ თქუენი საცნაურ იქმნას. რაჟამს-იგი საქმით იპოვნეთ განმანათლებლნი და კეთილის-მყოფელნი სოფლისანი, არა სიტყუასა მას ძვრისმეტყუელთასა მიხედნენ კაცთა, არამედ თქუენსა მას ჭეშმარიტებასა; მაშინ იპოვნენ იგინი მტყუარ და ბოროტისმეტყუელ და ცილისმწამებელ, ხოლო თქუენ გამოსჩნდეთ უბ-რწყინვალეს მზისა, რამეთუ სიგრძემან ჟამისამან ყოველივე ჭეშმარიტებაჲ გამოაცხადოს და, ვითარცა საყვრმან ჳმამალმან, ქადაგოს სათნოებაჲ თქუენი. ამისთვის უკუე ნუ აწინდელთა ამათ ძვრისმეტყუელებათათვს მნუ-ხარე ხართ, არამედ სასოებითა მომავალთა კეთილთაჲთა განძლიერდებო-დეთ, რამეთუ არა დაიფაროს საქმე ღმრთისმოყუარებისა თქუენისაჲ.

ვინაჲთგან უკუე უზეშთაჲს ყვნა იგინი ყოველისავე შეურვეებისა და ში-შისა და ზრუნვისა და შეურაცხებაჲ ასწავა ყუედრებათა და ძვრისმეტყუ-ელებათაჲ კეთილად, ან და ჳეროანსა ჟამსა ამცნებს კადნიერებით ქადა-გებასა და ეტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ო : „რომელი გარქუ თქუენ ბნელსა შინა, თქუენ თქუთ ნათელსა შინა; და რომელი ყურთა გესმა, ქადაგებდით ერდოთა ზედა“ (10,27).

თ ა რ გ მ ა ნ ი: არა თუ ბნელსა შინა ეტყოდა სიტყუათა სწავლისა თვისი-სათა ანუ ყურსა ჰჩურჩნიდა, არამედ ვინაჲთგან მათ ხოლო ეტყოდა და ადგილსა შინა ერთსა პალესტინისასა ასწავლიდა მათ, ამისთვის ესრეთ სა-ხელ-სდვა საქმესა ამას, ბნელსა შინა სიტყუად და ყურსა თხრობილად, ყო-ფადსა მას თანა ჳმამალლობასა კადნიერებისა მათისასა, ვითარმცა ეტყო-და, ვითარმედ: დაღაცათუ მე თქუენდა მომართ ვჰყოფ სიტყუასა ერთსა შინა ადგილსა, გარნა თქუენ არა ერთსა, ანუ ორსა, ანუ სამსა ქალაქსა უქადაგოთ, არამედ ყოველსავე სოფელსა და ყოველსავე ბუნებასა კაცთა-სა, ზღუათა შინა და ჳმელთა, შენთა შინა და უდაბნოთა, მეფეთა წინაშე და მძლავრთა, ერთა მიმართ და ერისმთავართა, სპათა მიმართ და სპაჲპეტთა, ფილაფოზთა და უსწავლელთა, ჳმითა მალლითა და კადნიერებითა უშიში-თა ჰქადაგებდეთ.

ამისთვისცა თქუა: „ნათელსა შინა და ერდოთა ზედა“; ესე იგი არს, გან-ცხადებულად, თვნიერ მონინებისა და რიდობისა.

და რად არა ჰრქუა ესრეთ ხოლო, ვითარმედ: „ქადაგებდით ერდო-თა ზედა და იტყოდეთ ნათელსა შინა“, არამედ ესეცა შესძინა: „რომელი გარქუ თქუენ ბნელსა შინა, და რომელი ყურთა გესმა“? ესე ამისთვის,

რადთა მხიარულ-ყვენეს გონებანი მათნი; ვითარცა სხუასა ჟამსა ეტყოდა მათ: „რომელსა ჰრწმენეს ჩემი, საქმესა რომელსა მე ვიქმ, მანცა ქმნეს, და უფროდისა ამისა ქმნეს“;¹ ეგრეთვე აქა ამისთვის ესრეთ თქუა სიტყუად ესე, რადთა გამოუცხადოს, ვითარმედ უმეტესისა საქმისა მათ მიერ ეგულებს ქმნად, ვიდრელა თავისა თვისისა მიერ. ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: მე ან ვყავ დასაბამი და დანყებად ამის დიდებულისა საქმისად, ხოლო სრულებასა მისსა და მოქცევასა ყოვლისა სოფლისასა და წსნასა კაცთასა კერპთმსახურებისაგან და სწავლად მათდა საღმრთოთა მოქალაქობისად თქუენ მიერ მეგულებს აღსრულებად; გულისწმა-ყავთ უკუე, რამეთუ ვითარცა ქადაგებამან ამან ყოველივე მოვლოს სოფელი, ეგრეთვე ბოროტნი იგი ჰურიათა ძკრისმეტყუელებანი ადრე წარწყმდენ და უჩინო იქმნენ.

ვინაფთაგან უკუე ესრეთ განამტკიცნა და აღამაღლნა გონებანი მათნი მისმიერთა მით ნუგეშინის-ცემითა, კუალად აუნყებს განსაცდელთა, რადთა უმეტესად ფროთვან-ყვენეს სულნი მათნი. და ისმინეთ, ვითარ შუენიერად და სიბრძნით ეტყვს:

სახარებად: „ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მონყვდნენ ჯორცნი, ხოლო სულისა ვერ ჯელ-ენიფების მოკლვად. არამედ გეშინოდენ მისა უფროდს, რომელი შემძლებელ არს სულისა და ჯორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა“ (10,28).

თარგმანი: ჰხედავა, ვითარ ყოვლისავე უმაღლეს ყვნა იგინი? არა ხოლო ზრუნვათა და ძკრისმეტყუელებათა და განსაცდელთა და სატანჯველთასა, არამედ სიკუდილისაცა შეურაცხებად უბრძანა, რომელი-იგი ყოველთა მიერ საშინელად შერაცხილ იყო. და არა ჰრქუა ესრეთ ლიტონად: მოგწყდნენ თქუენ, არამედ მისდა შემსგავსებულთა დიდადშუენიერებითა აუნყა საქმე იგი და ჰრქუა მათ: „ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მონყვდნენ ჯორცნი, ხოლო სულისა ვერ ჯელ-ენიფების მოკლვად. არამედ გეშინოდენ მისა უფროდს, რომელი შემძლებელ არს სულისა და ჯორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა“. ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: ნურარად საქმე დაგაყენებნ ქადაგებად, ხოლო გეშინის თუ სიკუდილისაგან და ამისთვის უდებ იქმნებით ქადაგებად, უფროდსლა ამის ჯერისათვის კეთილად ქადაგებდით, ვინაფთაგან გეშინის, რამეთუ ამან საქმემან გიწსნეს თქუენ ჭეშმარიტისა მის სიკუდილისაგან. რამეთუ სოფელსა ამას შინა დაღაცათუ ეგულებს მონყუედად თქუენი კაცთა, არამედ უაღრესსა მას კერძსა ვერ შეეხებიან, რაოდენცა ისწრაფონ, რამეთუ ვერ ჯელ-ენიფების მოკლვად სულისა, არამედ იგი არს ძნელ, უკუეთუ საუკუნოთა მის სატანჯველისა თანამდებ იქმნათ და წარწყმდეთ სულით და ჯორცით გეჰენიასა შინა.

¹ იოან. 14,12.

ჰხედავა, ვითარ არა აღუთქუა მათ ვსნად სიკუდილისა ამისგან ჯორციელისა, არამედ მიუშუა სიკუდილად, რამეთუ უაღრესი საქმე ენება მინიჭებად მათდა, ვიდრე თუმცა არა მიეშუა სიკუდილად. ხოლო რად არს უაღრესი იგი? შეურაცხებად სიკუდილისად; რამეთუ ჭეშმარიტად ფრიად უზემთაეს არს ესევითარსა საზომსა აღყვანებად მათი, რომელ სიკუდილი შეურაცხ იყო წინაშე მათსა და დანუნებულ, ვიდრელა თუმცა ევსნეს სიკუდილისაგან. ამათ უკუე სიტყუათა მიერ არა თუ განსაცდელთა შთააგდებს მათ, არამედ განსაცდელთა უმაღლეს ჰყოფს; რამეთუ აჰა ესერა მოკლითა სიტყუთა უკუდავებად იგი სულისად ასწავა და გულისწმის-ყოფად ესე მაღალი გულისწმა-უყო. და ან კუალად კეთილსავე და ფრიადისა გულისწმის-ყოფისა სიტყუასა მიუთხრობს, რადთა ყოვლითა სიბრძნითა შეამკვნეს, რადთა მოსწყდებოდინ რად და მოიკლვოდინ უშჯულოთაგან, არა ჰგონებდენ, თუ დატევებულ არიან და დავინყებულ უფლისა მიერ. ამისთვის სიტყუასა მას განგებულებისა მისისასა გულისწმა-უყოფს და იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „ანუ არა ორი სირი ასარის განისყიდებისა? და ერთიცა მათგანი არა შთავარდების მახესა თვნიერ მამისა თქუენისა ზეცათაჲსა. ხოლო თქუენნი თავისა თმანიცა განრაცხილ არიან. ნუ გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქუენ“ (10,29-31).

თ ა რ გ მ ა ნ ი: რადმცა იყო უდარესი მცირეთა მათ და უნდოთა სირთასა, რომელთაგანი ორი ერთად ნულილად განისყიდების, რომელ არს ასარი, გარნა ერთიცა მათგანი არცა შთავარდების მახესა თვნიერ მეცნიერებისა ღმრთისა. რამეთუ არა თუ ეგრეთ იტყვს, თუ: ღმერთი იქმს შთავარდომასა მათსა მახედ, – ესე არა ღირს არს ღმრთისათვის თქუმად, – არამედ ეგრეთ იტყვს, ვითარმედ: არარად ქმნილთაგანი დაეფარვის მას, არამედ ყოველსავე მეცნიერ არს და ყოველივე ცხად არს წინაშე მისსა.

ხოლო ვინადთგან არარად იქმნების, რომელიმცა დაეფარვოდა მას უნდოთაცა და მცირეთაგანი, ხოლო თქუენ უფროჲს მამისა სახიერისა უყუართ, ვიდრელა თმანიცა თავისა თქუენისანი განრაცხილ არიან (ხოლო თავ ენოდების ხილულსაცა ამას და ჯორციელსა, და კუალად უხილავთა მათცა საცნობელთა და ასოთა შორის სულისათა თავ ენოდების გონებასა. იტყვს უკუე, ვითარმედ ხილულსაცა თავისა თმათა რიცხვ ცხად არს წინაშე ღმრთისა და გონებისაცა წლკლნი და მცირენი ზრახვანი და მოგონებანი დაუფარველ და საცნაურ არიან; რამეთუ გულისსიტყუათა მათ წლკლთა ენოდების თმად უხილავისა მის თავისა); ვინადთგან უკუე ესე ესრეთ არს, არა გივმს ყოვლადვე შიში, რამეთუ ყოველსავე ღმერთი მეცნიერ არს, და არა დავინყებულ ხართ წინაშე მისსა; ხოლო არა თუ ხილულთა ამათ თმათა თუალავს ღმერთი, არამედ სიტყვსა ამის მიერ დაურჩომელი იგი და უშრომელი და ყოვლისაჲვე ხილულისა და უხილავისა მეცნიერებად მისი გამოაცხადა და ეტყვს, ვითარმედ: მან

იცის ყოველი, რააცა იქმნების, და ძალ-უც წსნად თქუენი და ჰნებავს. ვინათგან უკუე ესე ყოველი ესრეთ არს, ნუ ჰგონებთ, იტანჯებოდით რად უშჯულოთაგან, თუ დავინყებულ და დატევებულ ხართ, არამედ იცოდეთ, ვითარმედ არა გამოწსნად თქუენი ჰნებავს ჭირთაგან და განსაცდელთა, არამედ განძლიერებად თქუენი შეურაცხ-ყოფად ყოვლისავე ჳორციელისა ჭირისა, რომელ-ესე არს ჭემმარიტი გამოწსნად. ხოლო რადიგი სხუასა ადგილსა თავისა თვისისათჳს თქუა, ან მამისათჳს იტყვს. არცა მუნ მამასა განჰყოფდა თავისა თვისისაგან, არცა ან თავსა თვსსა კიდე დაუტეობს საქმეთა ამათგან, არამედ მარადის და ყოველსავე შინა რასა-იგი იქმს მამად, მასვე იქმს ძეცა და სული წმიდად. ესრეთ გურნამს და აღვიარებთ. ხოლო პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ:

„ნუ გეშინინო, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქუენ“. იცოდა მან ყოველნივე უხილავნი გონებისანი, რომელთაცა თმა თავისა ეწოდების, ამისთჳსცა ხედვიდა, ვითარმედ შევიდა შიში გულად მათდა, რომლისათჳსცა ჰრქუა: ნუ გეშინინ, დალაცათუ შთასცკვეთ ჳელთა მტერთასა, უდარესსა მას კერძსა ხოლო შემძლებელ არიან შეხებად, ჳორცთა ვიტყვ, რომელ-იგი დალაცათუ მათ არა მოაკუდინონ, ბუნებითი სიკუდილი მიიღებს. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ ჳორცთაცა მოკუდინებასა არა იგინი უფალ იქმნეს, არამედ ბუნებითი საქმე პოეს. ან უკუე ნუ ბუნებითისა ამის საქმისაგან გეშინინ, არამედ მისგან გეშინოდენ, ნუუკუე ბუნებისა გარეგანი იგი შეგემთხვოს, რომელ არს სულით და ჳორციით გეჰენიასა შინა წარწყმედად. მისგან გეშინოდენო, რომელსა ძალ-უც ამისი ქმნად. და არა თქუა, თუ: მე ვარ, რომელსა სულთა და ჳორცთა მაქუს ჳელმწიფებად, რამეთუ ზემოთქუმულთა მათ სიტყუათა მიერ გულისწმა-ეყო მათდა, ვითარმედ იგი არს მსაჯული ცხოელთა და მკუდართად და მეუფე ყოველთა დაბადებულთად. კეთილად უკუე და შუენიერად განანესა, ვითარმედ არავისგან ჯერ-არს შიში, გარნა მის მხოლოდსაგან.

გარნა ან ჩუენ უბადრუკთა ამათ გარემოგჳქცევიეს წესი ესე და წინააღმდგომსა ვიქმთ, მისგან არა გუეშინის, რომელი შემძლებელ არს სულისა და ჳორცთა მიცემად გეჰენიასა ცეცხლისასა, არამედ ყოველნივე მცნებანი მისნი შეურაცხ-გჳყოფიან, ვითარმცა არა მისთა ჳელთა მიმავალ ვიყვენით, და უფროდსლა ვართ და ესრეთ ვიქცევით, ვითარმცა საქმეთა ჩუენტა არა ხედვიდა იგი, რომლისა წინაშე იოტოდენნიცა გულისსიტყუანი ჩუენნი, ვითარცა თმანი თავისანი, ცხად არიან და განრაცხილ. ხოლო ჳორციელთა და სოფლიოთა მეფეთა და მთავართაგან, რომელთა ჳორცთა ხოლო ძალ-უც ანუ ტანჯვად, ანუ მონყუედად, მათგან ვძრწით და გუეშინის; ჰ უბადრუკებად ესე! ჰ უგუნურებად ესე ჩუენი! ვითარ არა გულისწმა-ვჰყოფთ, ვითარმედ იგი თუ განვარისხოთ, სულისა თანა ჳორცთაცა მისცემს სატანჯველად. ხოლო ესენი არა თუ სულისა ოდენ, არამედ არცა თუ ჳორცთა შემძლებელ არიან ვნებად; არამედ ტანჯნენ თუ, სულსა უბ-

რწყინვალე-ჰყოფენ; უკუეთუ მოსწყდნენ, აღასრულეს საქმე ბუნებითი, რომელი თვნიერ მათსაცა ყოფად იყო შეჭყუელად.

იხილეა, ვითარ ყოვლით კერძო უჩუენა მათ, ვითარმედ ადვილ არს მოლუანება იგი?

რამეთუ დაუტეო ჩუენისა ამის ვერაგობისა სიტყუად და პირველსავე სიტყუასა მოვიდე სახარებისასა: იხილნა, ვითარმედ უწყებამან მან სიკუდილისამან შეაშინნა გონებანი მათნი; რამეთუ ჯერეთ საშინელად მძლავრობდა სიკუდილი, ჯერეთ არღა ადვილად საქლეველ ქმნილ იყო, და რომელთა-იგი ეგულებოდა შეურაცხ-ყოფად მისი, ჯერეთ არღა მოელო მადლი იგი სულისა წმიდისა, ამისთვის ეშინოდა. ხოლო ქრისტე განაქარვეს შიშსა მას და შეურვებასა მათსა, და შიშითა შიში განიოტა, მერმისა მის წარწყმედისა შიში წინაუყო და გეჰენისა მის საუკუნოხსად, რადთა წუთერთისა მის სიკუდილისა შიში განუქარვოს. და კუალად შემდგომიცა ესე სიტყუად მითვე სახითა შეჰშადა, შიშიცა დიდი წინაუყო და სასოებაცა სასყიდლისა დიდისა უჩუენა, რადთა ორკერძოვე ასწაოს მათ და მათ მიერ ყოველთა კაცთა ჭეშმარიტებისათვს კადნიერება. ამისთვის იტყვს:

სახარებაჲ: „ყოველმან რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა. და რომელმან უფარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უფარ-ვყო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა“ (10,32-33).

თარგმანი: გულისწმა-ყავ გამოწულილვად სიტყვსა ამის: არა თქუა: რომელმან აღმიაროს მე, არამედ: „რომელმან აღიაროს ჩემდამო“, რადთა გამოაჩინოს, ვითარმედ აღმსაარებელი იგი არა თვსითა ძალითა, არამედ მისმიერისა მადლისა ზეგარდამო შეწეწვითა აღიარებს კეთილსა მას აღსაარებასა, რამეთუ იგი მოუვლენს შეწეწვასა თვსსა, რომელთა თანა პოოს გონებაჲ კეთილი და გულსმოდგინებაჲ ფრიადი და სარწმუნოებაჲ შეუორგულებელი მისა მიმართ.

ხოლო უარისმყოფელისათვს არა თქუა: რომელმან უარ-ყოს ჩემდამო, არამედ: „რომელმან უარ-მყოს მე“, რამეთუ თვსისა მის უკეთურებისათვს ცარიელ არს ნიჭისა მისგან და ესრეთ თავით თვსით უარ-ჰყოფს იგი, რამეთუ დატევებულ იქმნა მადლისა მისგან კეთილისა.

თქუას სადმე ვინ, ვითარმედ: რადსათვსლა საბრალობელ არს, უკუეთუ დატევებულ იქმნა მადლისა მისგან და ამისთვის უარ-ყო? – ესე ამისთვის, რამეთუ მიზეზი დატევებისაჲ მისგან იქმნა, განდრეკილებისათვს და უკეთურებისა გონებისა მისისა. არა თუ ღმერთი არა მზა იყო შეწეწვად მისა, არამედ მან გონებისა თვსისა ბილწებითა გარემიაქცია შეწეწვად მისი და მისცა თავი თვსი ეშმაკსა.

რადსათვს უკუე არა კმა-იყოფს გონებითსა სარწმუნოებასა ზედა, არამედ აღსაარებასაცა პირისასა ეძიებს? რადთა კადნიერებით იყოს და სრუ-

ლებით აღსაარებად იგი და არა მოწინებით და მალვით და ერთითა ხოლო კერძითა გონებისადათა. რამეთუ უჯერო არს ესე, თუ გონებასა ჰრწმენეს და პირი უარ-ჰყოფდეს. ამისთვის ეძიებს აღსაარებასა ჴმამალალსა, რად-თა გამოჩნდენ, რომელთა უყუარს იგი ყოვლითა გულითა, და აღამაღლნეს იგინი სიმაღლითა მით ჴემმარიტითა, რადთა განირჩიოს იფქლი ბზისაგან და შევიდეს საუნჯეთა მათ ზეცისათა. ამისთვისცა ყოველთა მიმართ მორ-წმუნეთა ჰყოფს სიტყუასა ამას, არა ხოლო თუ მოციქულთა, რადთა ყო-ველნივე ახოან ვიყვნეთ და კადნიერ აღსაარებასა შინა მისსა და განმზადე-ბულ ყოვლისავე ჴირისა მოთმინებად და ყოვლისა სატანჯველისა, რადთა მოვიგოთ უფალი ჩუენი და მეუფე თანამდებად აღსაარებისა ჩუენისა წინა-შე მამისა მისისა და ყოველთა ანგელოზთა. და ამათ სიტყუათა სარწმუნო-ებამან მრავალნი მოიყვანნა მორჩილებად მოციქულთა და მიცემად თავნი თვისნი სიკუდილდ სახელისათვს უფლისა.

ამისთვისცა უმეტესი შრომისა მის განმზადებულ არს მისაგებელი კე-თილისად, და უმეტეს წუთერთისა მის განსუენებისა ცოდვილთადასა და-მარხულ არს სატანჯველი. ვინადთგან მოლუანე იგი ღმრთისმსახურები-საა ჟამთა უსწრობს და მიიხუეჭს კეთილის-ყოფასა მას მეუფისასა, და კუალად ცოდვილი დროებისა მისთვის სატანჯველისა ჰგონებს, თუ შეი-ძენს რასმე, ამისთვის ფრიად უმეტესობად მისაგებელთად მათ განანესა უფალმან, რადთა ჰრქუას მოყუარეთა სახელისა მისისათა: მიიხუეჭეთ თქუენ ჟამი საწუთროსად და პირველად თქუენ აღმიარეთ და ჰგონებთ, თუ მძლე მექმნენით, გარნა მერმისა მის საუკუნისა ჟამი მე მივიხუეჭო და ესოდენ გძლო თქუენ ნაცვლისა მიგებითა, რაოდენ ვერცა თუ შემძლე-ბელ ხართ მოგონებად, რამეთუ ოდეს-იგი აღგიაარნე წინაშე მამისა ჩემისა და ყოველთა ანგელოზთა, ნიჭთა მათ თქუენდა მოცემადთად შეუძლებელ არს გონებითა კაცობრივითა მოგონებად ანუ ენითა ჴორციელითა მით-ხრობად.

ჰხედავა, კაცო, რამეთუ მუნ დამარხულ არიან კეთილნიცა და სატან-ჯველნიცა? რადსათვს უკუე ისწრაფი და აქა ეძიებ მოსაგებელსა, რომელი-ეგე სასოებით სცხონდები?

ან უკუე, ოდეს ჰქმნე კეთილი და არა მოილო აქავე მოსაგებელი, ნუ სულმოკლე ხარ, რამეთუ მომავალსა მას საუკუნესა მრავალწილად მიილო სასყიდელი შენი. და კუალად, უკუეთუ ჰქმნე ბოროტი და არა დაისაჯო აქავე, ამისთვის ნუ გიხარიან, რამეთუ უკუეთუ არა მოიქცე და შეინანო, მუნ ჰპოო სატანჯველი. პირი უფლისად იტყოდა ამას; ვინ იკადროს ურ-წმუნობებად ანუ ორგულებად? რამეთუ საქმენიცა მეზრ ხილულნი წამე-ბენ უხილავსა მას. იხილენ, ვითარ საკვრველ არიან აქავე ყოველთა მიერ მონამენი და აღმსაარებელნი ქრისტესნი, ვითარ უკუე შეუძლოს ვინ ურ-წმუნობებად მერმისა მისთვის განმზადებულისა მათთვის დიდებისა. ჴემმა-რიტად და უტყუველად მუნ დამარხულ არიან ნიჭნი იგი მართალთანი და

სატანჯველნი ცოდვილთანი. ან უკუე უარისმყოფელთა უფლისათა აქაცა ევნების და მუნცა; აქა – დასჯილნი შინაგანისა გონებისაგან, და მუნ – მიცემადნი საუკუნეთა მათ სატანჯველთა. ხოლო კეთილისა მის აღსაარებისა აღმსაარებელნი აქაცა შეიძენენ და მუნცა; აქა ბუნებითა მას და თანანარუვალსა სიკუდილსა სასუფეველისა ცათაჲსა მოსაგებელად იჭმარებენ და ყოველთა მიერ სანატრელ იქმნებიან, და მუნ მიუთხრობელთა მათ კეთილთა დაიმკვდრებენ და ქრისტესა აღმსაარებელ და ქადაგ თვისისა ახოვნებისა ჰყოფენ, ვითარცა ესერა გუაუნყა უტყუელითა მით პირითა და ყოვლით კერძო მორწმუნენი თვისნი ფრთოან-ყვნა აღსაარებისა მიმართ. რამეთუ ცანი განუხუნა და საბჭოდ იგი საშინელი უჩუენა და განწყობილნი ანგელოზთანი წარმოუდგინნა: და მათ ყოველთა წინაშე აღსაარებაჲ აღმსაარებელთა თვისთაჲ აღუთქუა და გკრგვნოსნობაჲ მათი გულისწმა-უყო, რაჲთა ყოვლით კერძო შეიჭურნენ და აქუნდეს სიკუდილი ესე ჯორციელი სრულიად შეურაცხად.

სწავლად ლდ

ვითარმედ ჯეროვნად განგებულ არს ხრწნილებად ესე გუამთა ჩუენთად, რამეთუ უკუეთუმცა ესე არა ეგრეთ იყო, მრავალიმცა უჯეროებაჲ იქმნა სოფელსა შინა

ან უკუე, სარწმუნოებისმოყუარენო, ერნო ქრისტესნო, გულისწმა-ყავთ გონებათა თქუენთა ყოველნი ესე სიტყუანი და ბრძანებანი ქრისტესნი, და კაცად-კაცადმან შეურაცხ-ვყოთ სიკუდილი ჭემმარიტებისათვს და შევჰრაცხოთ იგი უადვილეს ძილისა. უკუეთუ მოგუეცეს ჟამი აღსაარებისაჲ, ნუ ვჰრიდებთ ჯორცთა ჩუენთა, არამედ ურიდად მოვაკუდინნეთ იგინი, რაჲთა მოვიყიდოთ სასუფეველი.

ხოლო დაღაცათუ არა იპოებოდის ჟამი წამებისაჲ წინაშე მეფეთა და მთავართა, არამედ, ვითარცა მრავალგზის მითქუამს, არსვე მარადის ჩუენთვს ჟამი წამებისაჲ, უკუეთუ არა უდებ ვიყვნეთ და ჯორცთა მოყუარე. რამეთუ წინამდებარე არს ჩუენდა ბრძოლად ვნებათაჲ, მოლუანებაჲ საღმრთოჲსა მოქალაქობისაჲ; ესე შევიკრძალოთ: მძლე ვექმნათ ეშმაკთა, მოვაკუდინნეთ ჯორცნი ჩუენნი ვნებათაგან, დავიმორჩილნეთ იგინი და დავიმონნეთ მოლუანებითა. ესრეთ თუ ვცხონდებოდით და სიყუარული ქრისტესი აღვატყინოთ გონებათა შინა ჩუენთა, ვიქმნეთ მონამე თვნიერ სისხლთა დათხევისა. მოვიძულოთ, ძმანო, ცხორებაჲ ესე საწუთროდ და წარმავალი, რამეთუ ფრიად უაღრესისა ცხორებისა კარი განლებულ არს ჩუენდა შემდგომად ამიერ წარსლვისა, უკუეთუ გუენებოს შესლვად. რაჲსათვს უკუე გუეშინის სიკუდილისაგან, უკუეთუ მონებასა შინა ქრისტესსა აღვესრულებით?

იტყვან ვიეთნიმე, ვითარმედ: ხრწნილება გუამთად მეგრ სამძიმარ არს. ამისთვის მცირედი ვთქუა მათდა მიმართ: ჯერ-არს, მორწმუნეო, ამის პირისათვის უმეტესადლა სიხარული, რამეთუ სიკუდილი განიხრწნების და მოკუდავებად განქარდების. არა თუ არსებად იგი და ბუნებად ჯორცთად წარწყმდების, არამედ უფროსად განახლებების. ვითარცა-რა დაძულებული ვინ ჭურჭელი რვალისად შთადვის ბრძმედსა, რაფთა დაადნოს და რვალისა წილ ოქროსად შექმნას, მწუხარემცა იყავა მას ზედა? ეგრეთვე გულისწმა-ყავ გუამთა ჩუენთა საქმე და ნუ მწუხარე ხარ, რამეთუ განახლება არს და არა წარწყმედად.

არამედ იტყვან მეტყუელნი იგი: ესრეთ გუენებაო, რაფთა თვნიერ ხრწნილებისა მის იქმნებოდამცა განახლება იგი, და ესრეთ განუხრწნელადმცა ეგნეს ვიდრე დღედმდე განახლებისა მის.

და რამცა იყო სარგებელი ამის საქმისაგან ანუ ცოცხალთათვის, ანუ მიცვალებულთათვის? ვიდრემდის იყოს ჩუენ შორის ჯორცთმოყუარებად ესე? ვიდრემდის აჩრდილთა მიმართ განცვბრებულ ვართ? რამცა იყო ამის საქმისაგან სარგებელი? და უფროსდა ვთქუა, თუ: რომელიმცა სავნებელი არა იშვა ამისგან? რამეთუ უკუეთუმცა გუამნი არა განიხრწნებოდეს, პირველად, თავი იგი ყოველთა ბოროტთად, რომელ არს ანპარტავნებად, მრავალთამცა თანა აღორძნებოდა; რამეთუ უკუეთუ განწესებულსა ამას ზედა ხრწნილებასა და ჭამასა ზედა მატლთასა მრავალთა ისწრაფეს ღმრთად საგონებელ-ყოფად, უკუეთუმცა უხრწნელებადცამცა გუამთად თანაშემნედ აქუნდა, რამცა ურჩულოებად არა მოიგონეს?

მეორედ, უკუეთუმცა უხრწნელებად გუამთად იყო, არამცა სარწმუნო იქმნა, თუ ჯორცნი ესე მიწისაგან არიან. რამეთუ უკუეთუ ან საქმე წამებს და ჯერეთ იჭუეულლა ვიეთნიმე არიან, უკუეთუმცა ამას არა ხედვიდეს, არამცა უძკრესი მოიგონესა?

მესამედ, დიდამცა შეიყუარნეს კაცთა ჯორცნი და ფრიად უმეტეს აწინდელისა ამის იყვნესმცა ზრქელ გონებითა და ჯორცთმოყუარე და ყოვლითურთ ვნებულ;

მეოთხედ, არამცა ესრეთ სანადელ და სასურველ იყო საუკუნოდ იგი მომავალი;

მეხუთედ, რომელნი უკუდავებასა იტყვან ამის სოფლისასა, უმეტესიმცა ძალი მიიღეს თვისისა მის გონებათა ცთომილობისად და არამცა ჰრწმენა დამბადებელი ღმერთი;

მექუთხედ, არამცა საცნაურ იყო სიკეთე იგი სულისად და თუ რაოდენი საქმე უპყრიეს, ვიდრემდე იყოს გუამსა შინა;

მეშვდედ, მრავალთამცა, რომელთა საყუარელნი აღესრულნეს, დაუტევნეს სახლნი თვისნი და საფლავებსამცა დაემკვდრნეს და მკუდართა მათთაგანმცა განუშორებელ იქმნეს განცვბრებულნი გონებითა. უკუეთუ ან გუამთალა დამჭირვად შეუძლებელ არს, რამეთუ დიან და წარვლენ,

ხატთა ვიეთნიმე საყუარელთა თვსთასა გამოსახვენ და ყოვლითურთ შემსჭუალულ მათ ფიცართადა არიან, უკუეთუმცა გუამთაეცა შეეძლო განუხრწნელად ქონებად, რომელიმცა უნესობება არა მოიპოვეს? მე ვჰგონებ, ვითარმედ მრავალთა ტაძარნიმცა აღუშენნეს ესევეითართა მათ გუამთა, და მრავალსამცა აუცნებდეს მათ მიერ სიტყუად ეშმაკნი, ვინაფთგან ანცა მოქმედნი იგი მისნობისანი მრავალსა ესევეითარსა იკადრებენ გამოთქუმად შემდგომად ხრწნილებისა ამის და მიწა და ნაცარ ქმნისა ჳორცთაფსა; რავდენნიმცა კერპთმსახურებანი იქმნნეს ამის საქმისაგან და სხუანი მრავალნი ბოროტნი?

ამისთვის წინაფსნარ განაგო ღმერთმან ამის ყოვლისა დაყენებად და ინება სწავლად ჩუენი განშორებად წარმავალთა და ცუდთა საქმეთაგან და განაწესა დაწსნად იგი გუამთად წინაშე თუალთა ჩუენთა ჯეროვნად და სამართლად. ამისთვის მრავალგზის არნ ვინმე ჳორცთმოყურე და სიყუარულითა ქალისა შუენიერისათა შეჰყრობილი. ესევეითარმან მან უკუეთუ არა ინებოს გულისწმის-ყოფისა მიერ გონებისა ცნობად საძაგელებად ცოდვისა, ემხილოს მას ხილვითა თუალთაფთა, იხილნეს რად მრავალნი თანამოჰსასაკენი თვსისა მის საყუარელისანი და მისსა უშუენიერესნი მომკუდარნი, რომელთა შემდგომად ერთისა ანუ ორისა დღისა აღმოუტევიან სულმყრლობად სასტიკი და წუთხისა მდინარე და მატლთა სიმრავლე. ნუუკუე თვთ მებრ მისსა მას საყუარელსაცა შეემთხვის ესე წინაშე თუალთა მისთა, უკუეთუ არა, ოდესმე უეჭუელად შეემთხვოს, რაფთა ცნას უგულისწმომან მან, თუ ვითარი არს საყუარელი იგი მისდა და ფრიად საწადელი შუენიერებად, თუ რაფომ დუხჭირ არს, რაფომ საძაგელ. ხოლო უკუეთუმცა გუამნი არა განიხრწნებოდეს, არამცა საცნაურ იქმნა საქმე ესე, არამცა შეიგონეს უგულისწმითა მათ, არამედ ვითარცა ეშმაკნი მირბიან სამაროანსა, ეგრეთვე მრავალნი ტრფიალნი სამარეთამცა ზედა სხდეს და ეშმაკნიმცა შეინყნარნეს სულადმცა და ესევეითართა მით სიბორგილითამცა მოსწყდეს. ხოლო ან სხუასა ყოველსა თანა ესეცა დიდი სარგებელი არს ესევეითართად მათ, რომელ ხატნი იგი არა ჩანან და მოვლენ დავინყებად ვნებისა მის.

კუალად, უკუეთუმცა ხრწნილება არა იყო, არცამცა საფლავები აღმოიკუეთებოდა, არამედ იხილემცა ქალაქთა და სოფელთა შინა სავსენი მკუდარნი, რაჟამს კაცად-კაცადი სურვიელ არნ თვსსა მას მამასა, ანუ შვილსა, ანუ ძმასა, ანუ საყუარელსა ხედვად; და დიდიმცა უნესობება იქმნა ამის საქმისაგან, და ფრიადიმცა დახრწნევა იყო ქადაგებისა ამისთვის უკუდავებისა სულთაფსა, და სხუადმცა მრავალი უჯეროებად შემოვიდა სოფლად, რომელი თქუმადცა არა ჯერ-არს.

ამისთვის მეყსეულად განიხრწნებიან გუამნი, რაფთა კეთილად გულისწმა-ჰყო შუენიერებად იგი სულისა და სცნა, ვითარმედ: უკუეთუ ჳორცთა ესრეთ შუენიერ-ჰყოფს, ვიდრემდის მათ თანა იყოს, რავდენ უფროდს იგი თვთ ფრიად შუენიერ არს და კეთილ?

უკუეთუ ესრეთ უშუერსა ამას გუამსა ეგევითართა ფეროვნებითა შეამკობს, ვიდრელა შორის მისსა იქცეოდის, და ესრეთ მტკიცედ უპყრიეს, რადენ უფროს იგი თვთ ეგოს სიკეთესა ზედა თვსსა მადლითა ღმრთისადათა? რამეთუ არა თუ ჯორცნი არიან შუენიერ, არამედ განგებულება იგი და ფეროვნება, რომელი მიეცემის თანამკვდრობითა მით სულისადათა, იგი არს შუენიერება ჯორცთა.

ან უკუე, კაცო, ნუ ჯორცნი გიყუარან, არამედ სული შეიყუარე, რომელი ჯორცთაცა განაშუენებს, რამეთუ არა ხოლო თუ შემდგომად სიკუდილისა საცნაურ არს, ვითარმედ სულისა თანამკვდრობითა იყო სიკეთე ჯორცთად, არამედ ამასვე ცხორებასა. უკუეთუ გნებავს, გულისწამა-ჰყო, ვითარ ყოველივე სიკეთე და შუენიერება ჯორცთად სულისაგან არს. რამეთუ მხიარულ თუ იქმნას სული, მეყსეულად ფეროან-ჰყოფს პირსაცა; უკუეთუ შენუხნეს, უჩინო-ჰყოფს ფეროვნებასა და მჭუნვარებასა შეჰმოსს პირსა; უკუეთუ სამარადისოდ იხარებდეს, შუებულ არნ პირიცა და ყოველივე გუამი; უკუეთუ მნუხარე არნ და მგლოარე, ჯორცნიცა უშუერ და განლეულ იქმნიან; უკუეთუ გულისწყრომითა განფიცდის, ყვის პირი იგი საშინელ და სანყინო; უკუეთუ დამშკდნის იგი, პირიცა დასწყნარდის; ოდეს სული შურითა შეპყრობილ იქმნის, უფერულ და განლეულ იქმნის პირი; უკუეთუ სიყუარულითა აღივსის, შუებულ არნ პირიცა და შუენიერ.

ამისთვისცა მრავალნი აგებულებითა ჯორცთადათ არა შუენიერ იყვნიან, გარნა სიკეთისათვს სულისა მათისა ყოველთა მიერ იყვნიან საყუარელ და სანადელ ხილვად. სხუანი იყვნიან შუენიერ პირითა, და სიხენეშემან სულისამან ყვნის იგინი საძულელ ყოველთა მიერ და სანყინო.

გულისწამა-ყავ, ვითარ სირცხვლეულ რად იქმნის სული რომლისათვსვე საქმისა, მეყსეულად განანითლის პირი; და კუალად, ურცხვნო თუ არნ სული, გლისპ არნ პირიცა. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ ყოველივე შუენიერება ჯორცთად სულისა თანამკვდრობითა არს; რაბამ უკუე არს მისი იგი სიკეთე, გულისწამა-ყავთ.

ხოლო შენ, კაცო, რაჟსათვს დაგიტევებიეს მთავარი და მონისადა შეკუართულ ხარ? რაჟსათვს თანანარჰჰდები მოძლუარსა და მონაფესა დაემეგობრები? უკუეთუ იხილო პირი შუენიერი, სული გულისწამა-ყავ მისი, ვითარი არს; უკუეთუ იგი შუენიერ იყოს სათნოებათა მიერ და ღმრთისმოყუარებისა, სამართლად საყუარელ არს კაცი იგი; უკუეთუ სული უშუერ იყოს უფლებსაგან ვნებათაჟსა, ჯორცთა ფეროვნებასა ნუცალა მიხედავ, რამეთუ სული ბუნებით ესოდენ შუენიერ არს, რომელ ვერცა თუ შემძლებელ ვართ ენითა მითხრობად. არამედ შუენიერება იგი ბუნებითი აღემატებისცა და დაიწსნებისცა. უკუეთუ შეიყუაროს ღმერთი და მცნებანი მისნი შეიტკბნეს და შჯულსა მისსა ინურთიდეს დღე და ღამე და დამბადებელი თვსი მოიგოს თანამკვდრად, და სთნდეს მეუფესა სიკეთე მისი და მოვიდეს თანა მამით და სულით ნმიდითურთ და სავანე-ყოს მის თანა, ვინ-

მე იტყოდის ესევეთარისა მის სულისა შუენიერებასა და სიკეთესა? ვერცა გონებად მისწუთების, ვერცა ენად იტყვს. ინება ოდესმე სოლომონ თვისითა მით სიბრძნითა ესევეთარისა სულისა სახედ თქუმად ქებასა მას შინა ქებათასა, გარნა სრულებით ვერ უძლო, არამედ რაოდენ უძლურებასა კაცობრივსა ენისასა ძალ-ედვა, ესოდენცა თქუა, რამეთუ ესევეთართა მათ სულთა ქებად ღმრთისაგან არს და არა კაცთა მიერ.

უკუეთუ კუალად ყოს სულმან თავი თვისი სამკვდრებელად ვნებათა და დააშავოს ფეროვნებად იგი ბუნებითი საძაგელებითა მით ცოდვათადათა და შეინყნაროს ეშმაკი თანამკვდრად თვისად უბადრუკმან, #, ვითარ-მე მიგითხრა ესევეთარისა მის სულისა უშუერებად იგი და სულმყრალობად და საძაგელებად მისი, რომლისათვისცა მადლსა სულისა წმიდისასა განიოტებს თავისა თვისისაგან და შეინყნარებს უშუერებითა და სულმყრალობითა სავესეთა მათ ეშმაკთა, რადთა იქმნას ყოველითურთ ოჯერ.

ესევეთართა ამით სახითა ბუნებითი იგი შუენიერებად სულისად ანუ აღემატების, ანუ განირყუნების. რამეთუ არა ეგრეთ არს ბუნებად მისი, ვითარცა ჯორცთად. ჯორცთა აგებულებად ვითარიცა დაებადოს, მას ზედა ჰგიეს. არცა შუენიერი თავით თვისით უშუერ იქმნების გუამი ანუ თუ პირი, არცა უშუერსა ჯელ-ენიფების თავისა თვისისა განშუენებად. ხოლო სული თვთმფლობელად დაბადებულ არს და ჯელ-ენიფების, ვიდრემდის ჯორცთა ამათ შინა იყოს, შეცვალებად თავისა თვისისა, ვიდრეცა ენებოს; მრავალგზის შუენიერ არნ, და ინების მიდრეკად ცოდვისა მიმართ, და იქმნის ფრიად უშუერ. სხუად უშუერ არნ და საძაგელ შებღალვითა მით ცოდვათადათა, და მეყსეულად ღმობიერ იქმნის, მოიძულის ცოდვათა იგი მწკრე, მოიქცის ღმრთისა, მოიგის სინანული და მადლითა ღმრთისადათა წარემატის ბუნებითსა მას შუენიერებასა შინა თვისსა. ხოლო უკუეთუ უმეტესადრე ილუანის, ანგელოზთასაცა მიინის საზომსა. ესე ყოველი ჯელ-ენიფების სულსა, ვიდრეცა ჯორცთა ამათ შინა იყოს, ხოლო გან-რად-ვიდეს მათგან, არლარა ჯელ-ენიფების საქმეთა მათ თვთმფლობელობისათა აღსრულებად, არამედ ვითარიცა სახე მოატყუა თავსა თვისსა სოფელსა ამას შინა, მასცა ზედა ჰგიეს.

ამისთვის გვედრები, # ქრისტესმოყუარენო, გულისჯმა-ყავთ, # მორწმუნენო, შეიგონეთ, მოედით, განვაშუენოთ კაცად-კაცადმან სული თვისი, ვიდრეცა ჟამი გუაქუს! მოვედით, აღვჯოცოთ მისგან უშუერებად იგი ცოდვათადა! მოედით, შევამკოთ იგი სამკაულითა მით სათნოებათადათა, რადთა სთნდეს ღმერთსა სიკეთე ჩუენი, და დაემკვდროს ჩუენ შორის სული წმიდად და მკვდრ-მყვენეს საუკუნეთა მათ კეთილთა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისადა არს დიდებად და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი ლე

სიტყუაჲ ესე: „**ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ მოფენად მშკდობისა ქუეყანასა ზედა; არა მოვედ მოფენად მშკდობისა, არამედ მახვლისა**“ (10,34).

კუალად მძიმეთა და ფიცხელთა სიტყუათა წინაუყოფს და, რომელსა მათ ეგულებოდა თქუმად, წინაჲსწარვე მიუთხრა მათ, რაჲთა არა, ესმოდის რაჲ ესევეითარი ესე ყოველივე ძნელოვანი, ჰრქუან მას, ვითარმედ: რაჲ არს სიტყუაჲ ესე? ამისთვის მოხუედა, რაჲთა ჩუენცა მოსაკლავად მიგუცნე და იგინიცა, რომელნი მერჩდენ ჩუენ, და ბრძოლითა აღავსო სოფელი?

ამისთვის პირველვე თავადი ეტყჳს ამას, ვითარმედ: „არა მოვედ მიფენად მშკდობისა ქუეყანასა ზედა“. ვითარ უკუე ამცნო მათ მშკდობისა მიცემად, რომელსაცა სახლსა შევიდენ? ანუ ვითარ იტყოდეს ანგელოზნი: „დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშკდობაჲ“?¹ და ვითარ ყოველივე წინაჲსწარმეტყუელნი ამას ქადაგებდეს? არამედ გულისწმა-ყავთ, ვითარმედ არარაჲ არს აქა წინააღმდეგომი. გამოვიძიოთ უკუე, თუ რომელი არს იგი მშკდობაჲ, რომელსა უფალმან უბრძანა მოციქულთა, რაჲთა მისცემდენ მორწმუნეთა, და ანგელოზნი ქადაგებდეს, და წინაჲსწარმეტყუელნი გუახარებდეს.

განდგომილნი ვიყვენით და განვრდომილნი ღმრთისაგან, მტერ ვიყვენით და მბრძოლ, რამეთუ დამონებულ ვიყვენით მძლავრსა მას ბოროტსა. მოვიდა უფალი და დაჰწსნა მტერობაჲ იგი, რომელი იყო შორის ღმრთისა და კაცთა, ვითარცა იტყჳს პავლე მოციქული: „რამეთუ იგი თავადი არს მშკდობაჲ ჩუენი, რომელმან შექმნა ორივე ერთად და შუაკედელი ზღუდისაჲ მის დაჰწსნა, მტერობაჲ იგი ჯორცითა მისითა, შჯული იგი მცნებათაჲ მათ ბრძანებითა განაქარვა, რაჲთა ორივე იგი დაჰბადოს მას შინა ერთად ახლად კაცად ყოფად მშკდობისა. და დააგნეს ორნივე იგი ერთითა ჯორციითა ღმერთსა ჯუარისაგან, მოკლა მტერობაჲ მას შინა და მოვიდა და გახარა მშკდობაჲ თქუენ შორიელთა და მშკდობაჲ მახლობელთა, რამეთუ მის მიერ მაქუს ჩუენ მიახლებაჲ იგი ურთიერთას ერთითა სულითა მამისა მიმართ“.² ამის ესევეითარისა მშკდობისათჳს ეტყოდა უფალი მონაფეთა, მი-რაჲ-ვიდოდა ცხოელსმყოფელსა მას ვნებასა: „მშკდობასა დაგიტევებ თქუენ, მშკდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ“.³ ხოლო ესევეითარი ესე მშკდობაჲ ამით მახვლითა წარემართებოდა, რომლისათჳს ან იტყჳს უფალი, ვითარმედ: „მოვედ მოფენად ქუეყანასა ზედა“. რამეთუ ვიდრემდის იყო მშკდობაჲ შორის ჩუენსა და ვნებათა, ვიდრემდის კაცნი შეთქუმულ იყვნეს ბოროტთა ზედა, ჭემმარიტი იგი მშკდობაჲ არა იპოებოდა, არამედ უფროჲსად მტერობაჲ და

¹ ლუკ. 2,14.

² ეფეს. 2,14-18.

³ იოან. 14,27.

განდგომილებად ღმრთისაგან. ვინაფთგან უკუე მოვიდა უფალი და მოჰფინა მახვლი, განმკუეთელი ესევეთარისა მის ბოროტთა ზედა შეთქუმულობისა და ეშმაკთა მიმართ და ვნებათა მშკდობისად, ყო ჭემმარიტი იგი მშკდობად კაცთა შორის და შეაერთნა ქუეყანისანი ზეცისათა; ხოლო რომელთაცა არა ინებეს დაჴსნად მშკდობისა მის ბოროტისა, რომელი აქუნდა მორჩილებად ეშმაკთა და მონებად ცოდვისა, იგინი განწვალნა ღმრთისმოყუარეთაგან, უფროფსლა მათ განწვალნეს თავნი თჳსნი.

ესე არს უკუე მშკდობად ჭემმარიტი. ოდეს ჴორცინი იგი დამჰალნი მოიკუეთენენ გუამისაგან და გუამი იგი სრულიად განიკურნოს, ოდეს მოლალენი იგი და შფოთისმოქმედნი განვიდენ კრებულისაგან, მაშინ იყოს მუნ ყოველივე მშკდობად. ეგრეთვე მკურნალმან ჴელოანმან ყვის, ჰნებავენ რად კეთილად განკურნებად გუამისად, რომელიცა პოის ჴორცი დამჰალი, მოჰკუეთის და განაგდის, რამეთუ ცნის, ვითარმედ მისი კურნებად არა არს და სხუასაცა გუამსა ავენებს. ეგრეთვე ერისთავმან გონიერმან, პოის რად შეთქუმულებად და ერთობად ერისად ბოროტსა რასმე ზედა, ისწრაფის განქარვებად მისი.

ეგრეთვე იქმნა შენებასა მას გოდლისასა, რამეთუ ბოროტი იგი მშკდობად განწვალებად მან კეთილმან დაჰჴსნა, და იქმნა მშკდობად. ეგრეთვე აქა იხილვების, რამეთუ მოვიდა უფალი, რადთა ყოველნი მოაქცინეს მონებისაგან ეშმაკისა მონებად ღმრთისა. ხოლო რომელთა ესე არა ინებეს, მათ თჳთ განწვალნეს თავნი თჳსნი ღმრთისმოყუარეთაგან. არამედ იტყჳან ვიეთნი, ვითარმედ სახარებად არა ეგრეთ იტყჳს, თუ მათ განწვალნეს თავნი თჳსნი, არამედ მე მოვედო, იტყჳს უფალი, ესევეთარისა ამის განყოფილებისა ქმნად; ხოლო ესე ნუგეშინის-ცემისათჳს მოციქულთაფსა ესრეთ თქუა, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: ნუ ჰგონებთ, თუ შფოთისა მის და ურთიერთას განყოფისა კაცთაფსა თქუენ ხართ მიზეზ. მე ვარ ამის საქმისა მოქმედი და ამისთჳს მოვედ, რადთა რომელნიცა არა ერჩიდენ სიტყუასა ჩემსა და არა მოიქცენ მონებისაგან ეშმაკისა, განვყვენ მათგან მორჩილნი ჩემნი და მოყუარენი სახელისა ჩემისანი, რადთა განემორნენ რად ბოროტნი იგი, მაშინ კეთილნი შევაერთნე ზეცისა ძალთა. რამეთუ მოვედ მე მიფენად მახვლისა შორის კაცთა და ეშმაკისა. ან უკუე განწვალებასა მას ეშმაკთასა მორწმუნეთაგან, რომელნიცა მათისა მის ნაწილისა მოყუარე იპოვნენ, მათ თანა მივიდენ. ესრეთ რად გულისჴმა-უყო, მეყსეულად თითოსახეობად ბრძოლისად მის და განყოფისად მიუთხრა:

სახარებად: „მოვედ განყოფად კაცისა მამისაგან თჳსისა და ასული – დედისაგან თჳსისა და სძალი – დედამთილისაგან თჳსისა. და მტერ იყვნენ კაცისა სახლეულნი თჳსნი“ (10,35-36).

თარგმანი: არა თუ უფალი იყო მიზეზ ესევეთარისა მის განწვალებისა, არამედ მათი იგი უკეთურებად. ვითარცა რად იყვნინ თუ მრავალნი

შენწყუდეულ სახლსა შინა ბნელსა უკუნსა, და შეინყალნის იგინი სახიერმან ვინმე, აღანთის ლამპარი და განულის კარი და მოუნოდის ნათლად, რომელნიმე განვიდიან და შეუდგიან ნათელსა მას და განეშორნიან ბნელისა მისგან წყუდიადისა, ხოლო რომელნიმე არა შეუდგიან, არამედ დაშთიან ბნელსა შინა. ან ვინ იქმნა მიზეზ განყოფისა მის მათისა? რომელმან-იგი მიუპყრა ნათელი და მოუნოდა ბნელისაგან, ანუ რომელნი-იგი არა შეუდგეს მას? ჰე, ჭეშმარიტად იგინი იქმნეს მიზეზ სიბნელისა და წარწყმედისა თვისისა. გარნა ესე ჩუეულება არს წერილისაჲ ამის ესევითარისა სახისა თქუმად, ვითარცა იტყვს: „მისცნა მათ ღმერთმან თუალნი არა ხედვად“.¹ არა თუ ღმერთმან დაუყვნა თუალნი, – ნუ იყოფინ! – არამედ მათმან უკეთურებამან. ეგრეთვე აქა განყოფილებისა მის მიზეზ უკეთურებაჲ იგი უშჯულოთაჲ მათ იქმნა. არამედ ამისთვის უფალმან ესრეთ მიუთხრა მოციქულთა, რადთა ოდეს საქმე იქმნებოდის და მრავალნი მაცთურით ხადოდინ მათ და განმყოფელად მამა-დედათა შვილთაგან და მეუღლეთა ერთმანერთისაგან, არა შეშფოთნენ, არამედ გულისწმა-ყონ, ვითარმედ პირველვე უთხრა ესე უფალმან. ეგრეთვესახედ იქმნა ძუელსაცა შინა შჯულსა, რადთა სცნა, ვითარმედ ესევე იყო მისცა შჯულისა განმგებელი.

რამეთუ ოდეს-იგი ჰურიათა ქმნეს ჳბოდ და თაყუანის-სცეს, და უბრძანა მოსე სიტყვთა უფლისაჲთა ურთიერთას მონყუედაჲ მახკლითა ლევიტელთა მათ, და მაშინლა იქმნა მშკდობაჲ; ეგრეთვე, ოდეს-იგი ბელფეგორეს ჰმსახურეს, იქმნა, დაღაცათუ უკუე სისხლნი მრავალნი დაითხინეს მაშინ. არამედ ვიცით, ვითარმედ კაცთმოყუარებისათჳს იყო ბრძანებაჲ იგი, რადთა შეთქუმულებაჲ ბოროტისაჲ დაიწსნას. ხოლო რადთა აჩუენოს, ვითარმედ ესე იყო, რომელმან-იგი მაშინ სათნო-იჩინა, ამისთვის წინაღსწარმეტყუელებაჲცა აწსენა, დაღაცათუ არა ამას ზედა თქუმული, არამედ ესევითარისავე საქმისა მომასწავებელი: „და მტერ იყვნენ კაცისა სახლეულნი თვისნი“;² რამეთუ იყო ჰურიათაცა შორის ესევითარი საქმე: იყვნეს წინაღსწარმეტყუელნი ჭეშმარიტნი, და იყვნეს სხუანი ცრუნინაღსწარმეტყუელნი, და ერი იგი განწვალებულ იყო და სახლნი – განყოფილ, რომელთამე მათი ჰრწმენა და რომელთამე – მათი. ამისთვის თქუა წინაღსწარმეტყუელმან, ვითარმედ: „მტერ იყვნენ კაცისა სახლეულნი მისნი“.

ეგრეთვე აქა აღესრულა: რომელთამე შეიყუარეს ქრისტე და სხუათა – ეშმაკი; და იქმნეს იგინი მტერ ქრისტესმოყუარეთა მათ. იხილეთ, ვითარ განეყო თეკლა დედასა თვისსა და ქმარსა და შეუდგა ქრისტესა. ხოლო იგინი იქმნეს მტერ მისა და ძვრ-ძვრად ტანჯეს. და სხუანი ესევითარნი მრავალნი გამოჩნდეს, რომელთა შეიყუარეს ქრისტე, და თვისთა მათთაგან იგუემნეს და მოიკლნეს. ამისთვისცა იტყოდა უფალი, ვითარმედ: „ცეცხლისა მოვედ მოფენად“,³ რადთა გამოსახოს მწურვალებაჲ იგი სიყუარულისაჲ, რომელი

¹ შდრ. რომ. 11,8; 2 სჯ. 29,3.

² შდრ. მიქ. 7,6.

³ ლუკ. 12,49.

მოიგეს მრავალთა მისა მიმართ. ხოლო ამათ სიტყუათა მიერ გონებასა-
ცა მორწმუნეთასა განამტკიცებდა და მოციქულთაცა განაკრძალებდა და
უმალღეს-ჰყოფდა, ვითარმედ: უკუეთუ რომელთა თქუენ მიერ ჰრწმენეს,
ესრეთ ეგულები ყოფად, რაათა შვილნი და მშობელნი და მეუღლენი შეუ-
რაცხ-ყვნენ სიყუარულისა ჩემისათჳს, გულისწმა-ყავთ, თუ თქუენ ვითარ
გიღირს ყოფად, რომელნი-ეგე მოძღუარნი ხართ სოფლისანი.

ესევეთარი ესე სიტყუად შემოიღო რად, უმეტესად განავრცელებს ამას
პირსა, რაათა განაცხადოს საქმე მახვლისა მის, რომელი თქუა, თუ: „მოვედ
მიფენად ქუეყანასა ზედა“. ამისთჳსცა იტყვს:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : „რომელსა უყუარდეს მამად ანუ დედად უფროს ჩემსა,
იგი არა არს ჩემდა ღირს; და რომელსა უყუარდეს ძე ანუ ასული უფროს
ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს. და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თჳსი და
შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“ (10,37-38).

თ ა რ გ მ ა ნ ი : იხილეა ჳელმწიფებად მეუფისად? იხილეა, ვითარ გუ-
ლისწმა-უყო, ვითარმედ იგი არს მხოლოდშობილი ძე ღმრთისად, თანაარსი
და თანამოსაყდრე მამისად? რამეთუ აჰა ესერა ბრძანებს განცხადებულად,
რაათა ყოველივე შეურაცხ-ვეყთ და იგი მხოლოდ შევიყუაროთ. და რად
ვიტყვ სხუასა რასმე? უკუეთუ თჳსსაცა სულსა უმეტეს სიყუარულისა მი-
სისა პატივ-სცეს ვინ, იტყვს: „არა ღირს არს ჩემდა“.

თქუეს ვიეთმე, ვითარმედ: ესე სიტყუად არა წინააღმდეგომ არსა
ძუელისა შჯულისა, რომელი იტყვს: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა
შენსა“?¹ ნუ იყოფინ! არა წინააღმდეგომ არს, არამედ უფროსად ფრიად
შეერთებულ, რამეთუ ძუელსა შჯულსა შინა ესრეთ განანესებს, რაათა
უკუეთუ ქმნიან მშობელთა კერპთმსახურებად, არა თუ ხოლო მოიძულ-
ნენ შვილთა, არამედ ქვადაცა დაჰკრიბონ. და მეორესა შჯულსა იტყვს:
„რომელმან ჰრქუას მამასა თჳსსა და დედასა: არა გიცნი თქუენ, და ძმანი
თჳსნი არა იცნენ და ძენი თჳსნი განწირნენ, მან დაიმარხნენ სიტყუანი
შენნი“.² ხოლო უკუეთუ პავლე განანესებეს დამორჩილებასა მშობელთა-
სა, ნუ გიკვრს სიტყუად მისი, რამეთუ მათ საქმეთა ზედა იტყვს მორჩი-
ლებასა მათსა, სადა-იგი არა ევნებოდის ღმრთისმსახურებასა, რამეთუ
სამართალ არს და კეთილ სხუასა ყოველსა ზედა პატივ-ცემად მათი, ხო-
ლო უკუეთუ უმეტეს წესისა ეძიებდენ მორჩილებასა, რაათამცა უფროს
ღმრთისა პატივ-ვეციოთ მათ, მაშინ ყოვლადვე არა ჯერ-არს სმენად მათი.
ამისთჳს ლუკადს თავსა შინა ესრეთ იტყვს: „რომელი მოვალს ჩემდა და
არა მოიძულოს მამად თჳსი და დედად თჳსი და ცოლი და შვილნი და ძმანი
და დანი და მერმე კუალად სულიცა თჳსი, ვერ ჳელ-ენიფების მონაფე-ყო-
ფად ჩემდა“.³

¹ გამ. 20,12. ² 2 სჯ. 33,9. ³ ლუკ. 14,26.

არა თუ ესრეთ ცუდად ბრძანა მოძულეობად, რამეთუ ესე უშჯულოება არს, არამედ ოდეს გეტყოდისო მშობელი, ანუ შვილი, ანუ მეუღლე, რად-თამცა უფროდს ჩემსა შეიყუარე იგი, მას საქმესა ზედა მოიძულე, რამეთუ ესევეთარი სიყუარული ორთავე წარწყმედისა მიზეზ ექმნების. ხოლო ესე სიტყუანი განანესნა, რადთა შვილნიცა უმეტესად განაძლიერნეს და მშობელთა ასწაოს არა დაყენებად, რაჟამს ღმრთისა მივიდოდინ. ხოლო თქუა რად: „რომელმან არა მოიძულოს მამად და დედად“, რადთა არა ესე სიტყუად სამძიმარ უჩნდეს მშობელთა, ამისთვის შესძინა: „მერმე კუალად სულიცა თვისი“. რადსათვის მშობელთა და შვილთა და ცოლსა აწსენებო? სულისა თვისისა არარად არს პატიოსან კაცთა, და მასცა გიბრძანებ მოძულეობად, უკუეთუ გნებავს მონაფე-ყოფად ჩემდა.

და არა თუ ესრეთ ადვილად ბრძანა მოძულეობად სულისა თვისისა, არამედ მიცემად იგი სიკუდილად; ამისთვის თქუა: „რომელმან არა აღიღოს ჯუარი თვისი და შემომიდგეს მე, ვერ ჴელ-ენიფების მონაფე-ყოფად ჩემდა“.¹

არა თქუა, თუ სიკუდილისა მიმართ ხოლო ჯერ-არს განწყობად, არამედ – სიკუდილისა მიმართ მიმძლავრებულისა და საყუედრელისა; რამეთუ ესე მოასწავა ტკრთვითა მით ჯუარისადათა, რადთა უკუეთუ იგიცა შეემთხვოს, რომელ ჯუარსა დამოეკიდოს, ნუმცა ჰრიდებს მას სახელისა ჩემისათვის.

ამათ ყოველთა ძნელოვანთა ზედა არა განჰკრთეს მოციქულნი, არცა განეშორნეს, რამეთუ დიდ იყო ძალი მეტყუელისა და მის სახიერისა და მათი იგი მისა მიმართ სიყუარული. ამისთვისცა კუალად ძნელოვანთა და ფიცხელთა სიტყუათა ეტყვს:

ს ა ხ რ ე ბ ა დ : „რომელმან პოოს სული თვისი, წარინყმიდოს იგი; და რომელმან წარინყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან პოვოს იგი“ (10,39).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ესე იგი არს, რომელმან ჰრიდოს სულსა თვისსა ჩემთვის სიკუდილად მიცემად, მან წარინყმიდოსო იგი გეჰენიასა შინა ცეცხლისასა; ხოლო რომელმან მისცეს სული თვისი სიკუდილად სახელისა ჩემისათვის, მან ჭემმარიტად პოოს იგი სასუფეველსა შინა ცათასა.

ჰხედავა, ვითარ სავენებელ არს უნესოდ და უჯეროდ სიყუარული, და ვითარ სარგებელ არს ჟამსა თვისსა სიძულილი? რამეთუ ვინაფთვან მცნებანი ესე მძიმედ ჩნდეს, რომელ-იგი უბრძანა ბრძოლად განწყობად მშობელთა მიმართ და შვილთა და თვისთა და მეგობართა და ყოვლისავე სოფლისა და მერმელა სულისაცა თვისისა მიმართ, რაჟამს მისცეს იგი სიკუდილად, ამისთვის სარგებელიცა დიდი მიუთხრა ესევეთარისა ამის სიძნელისადა, ვითარმედ: რომელმან დადვას სული თვისი ჩემთვის სიკუდილად, მან პოოს იგი ჭემმარიტად, ესე იგი არს, აცხოვნოს იგი მკვდრობითა მის სასუფეველი-

¹ ლუკ. 14,27.

სადათა. ვითარცა-იგი მარადის იქმს, რომელი საწადელად უჩნნ, მისი პოვნად წინაუყვის; ეგრეთცა ან ეტყვს: რადსათს არა წადიერ ხარო, კაცო, მიცემად სული შენი სიკუდილდ? ამისთს, რამეთუ გიყუარსა იგი? ან უკუეთუ გულისსიტყუად ესე შენი ჭეშმარიტ არს და გიყუარს სული შენი, ნუ ჰრიდებ მას ჩემთს სიკუდილად დადებად. ესე თუ ჰქმნე, მაშინ აჩუენო მას ჭეშმარიტი სიყუარული, რაჟამს აცხოვნო და შეიყვანო სასუფეველსა ცათასა და მოატყუა ცხოვრებად იგი წარუვალი. ხოლო უკუეთუ ამას ხოლო საწუთროსა შეიყუარო იგი და აღირჩიო ცხოვრებად ესე წარმავალი უფროს ჩემსა და ჰრიდო სიკუდილად მიცემად სულისა შენისა და სახელისა ჩემისათს, იგი იყოს წარწყმედად ჭეშმარიტი სულისა მის შენისა. რამეთუ მოიწიოს რად ჟამი იგი სიკუდილისა თანამედები, მიგელოს თვნიერ ნებისაცა შენისა სული იგი, რომელი არა ინებე ჩემთს მიცემად, და მიეცეს წარწყმედას მას საუკუნესა გეჰენისასა შინა ცეცხლისასა. მაშინ სტიროდი უგუნურებასა მას შენსა ფრიადსა, ოდეს სარგებელი არლარად იყოს.

და იხილე სიბრძნე იგი გამოუთქუმელი: პირველად ავსენა დატევებად და მოძულებად მშობელთა და შვილთა სახელისა მისისათს, გარნა ესრეთ გამოწულილვით და ზედამინვენით არა თქუა მუნ; ხოლო შემოილო რად, რომელი-იგი უფროს ყოვლისა თსებით და სურვილით გუაქუს, რომელ არს სული, მაშინლა თქუა ესრეთ განმარტებულად და განჩინებულად: რომელმან ჰრიდოსო სულსა თსსა ჩემთს სიკუდილად მიცემად და მიჰყვეს წუთერთსა მას ნებასა მისსა, რაჟამს მძიმედ უჩნნ მას სიკუდილი და განყოფად იგი ჯორცთაგან, მან წარწყმიდოს იგი საუკუნოთა მით წარწყმედითა; ხოლო რომელმან აქა არა ჰრიდოს მას ჩემთს მიცემად სიკუდილად, – რომელსაცა წარწყმედად სახელ-სდვა ჩუეულებისაებრ კაცთა სიტყვსა, რამეთუ ფრიადისა მის სიმძიმისათს სიკუდილისა წარწყმედად უნესენ მას, – რომელმან ამას კაცთა მიერ წარწყმედად წოდებულსა სიკუდილსა არა ჰრიდოს მიცემად ჩემთს სული თსსი, არა თუ წარწყმიდოს იგი, – ნუ იყოფინ! – არამედ მაშინლა ივსნას საუკუნოთა მის წარწყმედისაგან და აცხოვნოს მოპოვნებითა უკუდავისა მის ცხოვრებისადათა. ამისთს უკუე, ავსენა რად სული, ესრეთ განავრცელა ამას ზედა სიტყუად თსსი, რადთა მშობელთა და შვილთა და სხვსა ყოვლისავე შეურაცხ-ყოფისათს არცა თუ სიტყუად ვის აქუნდეს ყოვლადვე, არამედ ცნან, ვითარმედ: უკუეთუ სულისაცა სიკუდილდ დადებად ბრძანებულ არს, სხვსა ამის ყოვლისავე რადმცა ვის აქუნდა მიზეზი? ხოლო დალაცათუ სიკუდილი ბუნებით ჯორცთად არს, არამედ ვინადათგან განყოფად იგი შეერთებისა მის ძნელ უჩნს სულსა და იგი არს, რომელი ჟამსა სიკუდილისასა შეურევებულ იქმნების, არა თუ ჯორცნი (ვითარცა ჰრქუა უფალმან ჟამსა მას ვნებისასა მონაფეთა, ვითარმედ: „შენუხებულ არს სული ჩემი სიკუდილდმდე“¹),

¹ მათ. 26,38.

ამისთვის არა ჯორცთად თქუა სიკუდილდ მიცემად, არამედ სულისად, რადთა უაღრესისა მიმართ იყოს სიტყუად მისი, ჯეროვნად და შუენიერად. რამეთუ წარწყმედასაცა გეჰენისასა დაღაცათუ მერმესა მას აღდგომასა ჯორცნიცა სულსა თანა მიეცემიან, არამედ სულისა ხოლო სახელი აჰსენა, რადთა უაღრესისა მის კერძისაგან უდარესიცა საცნაურ-ყოს; რამეთუ დაღაცათუ ჯორცნი მიეცემიან სიკუდილად და სული უკუდავ არს, არამედ მარადის სულისათვის ითქუმის სიკუდილად დადებად, რამეთუ დიდად ელმის მას ჯორცთაგან განსლვად და სასუმელისა მის მიღებად. ამისთვისცა იტყვს უფალი იოვანეს თავსა შინა: „მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვას ცხოვართათვს“;¹ არა ჯორცნი თქუა, არამედ სული. ხოლო დადებად სულისად, უწყით, ვითარმედ სიკუდილისათვის თქუა. და კუალად იტყვს, ვითარმედ: „სულსა ჩემსა დავსდებ ცხოვართათვს“.² და კუალად იტყვს: „მე დავსდებ სულსა ჩემსა, რადთა კუალად მოვილო იგი“,³ ნეფსითსა რად მოასწავებდა სიკუდილსა და კუალად აღდგომასა. ესრეთ უკუე ყოველსა ადგილსა სიკუდილად დადებად სულისად ჩუეულ არს წერილთა შინა თქუმად, რადთა უაღრესისა მისგან უდარესი მოესწაოს. ამისთვის აქაცა ესრეთ თქუა უფალმან: „რომელმან პოოს სული თვისი“, – ესე იგი არს, რომელმან პრიდოს მას მიცემად სიკუდილდ, – „მან წარინწყმიდოს იგი“; „და რომელმან წარინწყმიდოს სული თვისი ჩემთვის“, – ესე იგი არს, რომელმან მისცეს იგი სიკუდილდ, – „მან პოოს იგი“, რაჟამს განარინოს საუკუნოვსა მის წარწყმედისაგან, რომელ-იგი არს ჭემმარიტი პოვნად, და მკვდრ-ყოს სასუფეველსა ცათასა.

ან უკუე, ძმანო, ვინაფთგან უკუეთუ სიკუდილი წინამდებარე იყოს და ელმოდის სულსა ჩუენსა და არა ენებოს, ბრძანებად მოგკლიეს, რადთა არა თუმცა მივერჩდით ამას ზედა, არამედ სრულიად მოვიძულოთ იგი ბოროტისა მის ზრახვისათვის და ურიდად მივსცნეთ სიკუდილდ უფლისათვის; არა უფროვსად ან თანამდებ ვართა, ოდეს არცა თუ სიკუდილი წამებისად არს წინამდებარე, არამედ ცხოვრებასა შინა ვართ ადვილსა, რადთა ბოროტთამცა ნებათა მისთა არა მივერჩდით, ვითარცა-იგი იტყვს იოვანეს თავსა შინა: „რომელსა უყუარდეს სული თვისი, წარინწყმიდოს იგი; და რომელსა სძულდეს სული თვისი ამას სოფელსა, ცხოვრებად საუკუნოდ დაჰმარხოს იგი“.⁴ ესე უკუე სიტყუად გულისწმა-იყოფების სიკუდილად დადებისათვისცა, ვითარცა მათეს თავსა და ლუკაჲსსა შინა წერილიცა, გარნა კუალად ამასცა მოასწავებს, ვითარმედ: „რომელსა უყუარდეს სული თვისი, მან წარინწყმიდოს იგი“; ესე იგი არს, რომელი გულისთქუმათა მისთა ბოროტთა იქმოდის და უჯეროებისა საქმეთა ზედა მიერჩდეს მას. ამისთვის წერილ არს: „ნუ შეუდგები გულისთქუმათა სულისა შენისათა, რამეთუ ესე არს წარწყმედელი მისი“. და კუალად: „რომელსა სძულდეს სული თვისი, მან აცხოვონოს

¹ იოან. 10,11.

² იოან. 10,15.

³ იოან. 10,17.

⁴ იოან. 12,25.

იგი“; ესე იგი არს, რომელი არა ჰმორჩილობდეს ბოროტსა ნებასა მისსა. და არა თქუა: რომელი არა ჰმორჩილობდეს მას, არამედ: „რომელსა სძულდეს იგი“, რაჟთა ვითარცა საძულელთა ჩუენთა ჳმისა სმენადცა არა გუნებავს, არცა პირისა მათისა ხილვად წადიერ ვართ, ეგრეთვე რაჟამს სული წინა-აღმდგომსა ნებისა ღმრთისასა ეძიებდეს, სრულიად გარემიქცევაჲ მისგან ჯერ-არს.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ: „რომელმან შეგინყნარნეს თქუენ, მე შემინყნარა; და რომელმან მე შემინყნაროს, შეინყნაროს მომავლინებელი ჩემი. რომელმან შეინყნაროს წინაღსწარმეტყუელი სახელად წინაღსწარმეტყუელისა, სასყიდელი წინაღსწარმეტყუელისაჲ მიიღოს; და რომელმან შეინყნაროს მართალი სახელად მართლისა, სასყიდელი მართლისაჲ მიიღოს. და რომელმან ასუას ერთსა მცირეთაგანსა სასუმელი ერთი წყალი გრილი სახელად ხოლო მონფისა, ამენ გეტყვ თქუენ, არა წარუნყმდეს სასყიდელი მისი“ (10,40-42).

თ ა რ გ მ ა ნ ი: კმა იყო ზემოთქუმული იგი ყოველივე დარწმუნებად კაცთა, რაჟთა შეინყნარებდენ და ჰმსახურებდენ მოციქულთა; რამეთუ ვინმცა იხილნა ახოანნი იგი მჳედარნი ქრისტესნი, ლომებრ მორბედნი სოფელსა შინა, შეურაცხისმყოფელნი ყოვლითურთ თავთა თქსთანი, რაჟთა სხუანი აცხოვნენ, და არამცა გულსმოდგინედ შეინყნარნა იგინი? გარნა ვინაჟთგან ზემო დიდი სასჯელი თქუა არაშემწყნარებელთა მათთათჳს, ვითარმედ: უმოლხინეს იყოს ქუეყანაჲ სოდომისა და გომორისაჲ დღესა მას სასჯელისასა, ვიდრელა რომელთა-იგი არა შეგინყნარნენ თქუენ, ან კუალად შემწყნარებელთა მათთა სასყიდელსა წარმოიტყვს, რაჟთა ცნან, ვითარმედ მათ უმეტესი კეთილი მოეტყუების შეწყნარებითა მით, ვიდრელა მოციქულთა. ამისთჳსცა იტყვს: „რომელმან შეგინყნარნეს თქუენ, მე შემინყნარა; და რომელმან მე შემინყნაროს, შეინყნაროს მომავლინებელი ჩემი“. რაჟმცა უკუე შეესწორებოდა ამას პატივსა და ამას დიდებასა, შეწყნარებასა მამისა და ძისასა, რომელთაგან სული წმიდაჲ განუშორებელ არს? ხოლო სხუადცა აღუთქუა: სასყიდელი წინაღსწარმეტყუელთა და მართალთაჲ მიიღონო შემწყნარებელთა მათ. ხოლო არა თქუა მარტივად: რომელმან შეინყნაროს წინაღსწარმეტყუელი და მართალი, მიიღოს მან სასყიდელი ესევეთარი, არამედ ესეცა შესძინა: „სახელად წინაღსწარმეტყუელისა“ და „სახელად მართლისა“; ესე იგი არს, უკუეთუ არა ჳორციელისა შენყნისა და ჳელის-აპყრობისათჳს, არცა სხჳსა რაჟსმე კაცობრივისა გულისსიტყვსათჳს შეინყნაროს, არამედ ამისთჳს ხოლო, რომელ წინაღსწარმეტყუელი არს ანუ მართალი, და მცნებისათჳს ღმრთისა, მიიღოს მან სასყიდელი წინაღსწარმეტყუელისა და მართლისაჲ; ესე იგი არს, ვითარი შეჳგავს წინაღსწარმეტყუელისა და მართლისასა, გინა თუ ვითარი წინაღსწარმეტყუელსა მას ანუ მართალსა ეგულების მოღებად.

ხოლო რადთა არავინ გლახაკობასა მიზეზობდეს, ამისთვის ესეცა შესძინა: „რომელმან ასუას ერთსა მცირეთაგანსა სასუმელ ერთ წყალი გრილი სახელად ხოლო მოწფისა, ამენ გეტყვ თქუნენ, არა წარუწყმდეს სასყიდელი მისი“. დაღაცათუ ვინ სასუმელ ერთ წყალი გრილი ასუას ერთსა ვისმე ყოველთა უმცირესსა სახელისა ჩემისათვის, მიიღოს სასყიდელი საქმისა მისთვის უშრომელისა და წარუგებელისა. ხოლო რომელ აქა თქუა: „სახელად ხოლო მოწფისა“, მარკოზ განმარტებულადრე გვთხრა: „სახელისა ჩემისათვის, რამეთუ ქრისტესნი ხართ“.¹

იხილეთ, რავდენითა სახითა განანესა გულსმოდგინედ შეწყნარება მათი და უჩუენა ყოველთა, ვითარმედ თანანადები არს საქმე ესე? პირველად თქუა: „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა“;² მეორედ, რომელიგი უპოვრებით წარავლინნა; მესამედ, რომელ უბრძანა ბრძოლათა და განსაცდელთა შესვლავ; მეოთხედ, რომელ მისცა მათ საქმე სასწაულთა; მეხუთედ, რომელ მშკდობისა მიცემად განუწესა შემწყნარებელთა მათთა; მეექვსედ, რომელ არაშემწყნარებელნი მათნი უძკრეს სოდომელთასა განაჩინნა; მეშვიდედ, რომელ თქუა, ვითარმედ: შემწყნარებელნი მათნი მას შეიწყნარებენ თანა მამით და სულით წმიდითურთ; მერვედ, რომელ სასყიდელი წინაღსწარმეტყუელისა და მართლისა აღუთქუა მიცემად; მეცხრედ, რომელ გრილისათვისცა წყლისა მადლი განუმზადებეს.

სწავლად ლე მოწყალებისათვის

ხოლო ან, მორწმუნენო, ვისმინნეთ სიტყუანი ესე უფლისანი და განვეკრძალნეთ შეწყნარებად უცხოთა და შეწყალებად გლახაკთა. და ნუვინ იტყვს, თუ: სადა არს ან მოციქული და წინაღსწარმეტყუელი, რადთა შევიწყნარო? რამეთუ დაღაცათუ ამას ადგილსა სიტყუად მისი იქმნა მოციქულთათვის, არამედ სხუასა ადგილსა ყოველთავე უნდოთა და დავრდომილთა შეწყნარებასა გვბრძანებს და იტყვს: „რავდენსა არა უყავთ ერთსა მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ“.³ და კუალად მართალთა იგივე ჰრქუა: „რავდენსა ზედა ჰყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“.⁴ რასა ეძიებ უკუე, კაცო, წინაღსწარმეტყუელთა და მოციქულთა? რავდენიცა უყო გლახაკსა, ქრისტე თვსად მიიჩემებს; შენ სხუათა მართალთა რასა ეძიებ?

გლახაკი იგი, რომელი მოგიჯდეს და გევედრებოდის, კაცი არს მსგავსი შენი, შენ თანავე დამკვდრებული სოფელსა ამას; მისვე მეუფისა მონად, რომლისაჲ შენ ხარ; მათვე საიდუმლოთა ზიარებულ არს, რომელთა შენ

¹ მარკ. 9,41.

² მათ. 10,10.

³ მათ. 25,45.

⁴ მათ. 25,40.

ეზიარე; მასვე სასუფეველსა წოდებულ არს, სადა შენ; აქუს დიდი სამართალი შეწყნარებისა – ინროებად მისი და სიგლახაკე; სხუასა უმეტესსა რასა ეძიებ? † საკვრველი! მსახიობელნი და მემღერენი და მოკიცხარნი თუ მოგიწდენ, მრავლითა ნიჭითა განავლინებ, ხოლო გლახაკი თუ მოვიდეს თხოვად პურისა, ბევრეულსა ბრალობასა დასდებ უქმებისასა და მრავლითა შეურაცხებითა განუტეობ და არა იგონებ თავით თვსით, ვითარმედ შენცა უქმობასა შინა გარდაიჭდი დღეთა, და ღმერთი არა მიგიღებს ნიჭთა მისთა. რამეთუ მითხარლა, თუ რომელსა კეთილისა საქმესა შინა აღასრულებ შენ ცხორებასა შენსა: გინა თუ მონყალეზასა, ანუ ლოცვასა, ანუ თუ შენევენასა გლახაკთასა? ამის ყოვლისაგან უქმ ვართ ყოველნი, და არაოდეს გურქუა ღმერთმან: ვინათგან უქმ ხარ, არლარა აღმოგიბრწყინებ მზესა ანუ არა მოვავლენ წვმასა; არამედ ყოველივე უხუებით მოუცემიეს ჩუენ ცოდვილთა და უდებთადა. შენ უკუე, ოდეს იხილო გლახაკი ჭირვეული, რადსათვს უქმობასა აბრალებ და შეურაცხ-ჰყოფ თავსა შენსა? რად არა ეტყვ: † უბადრუკო თავო ჩემო, ვითარ არარას იქმ მცნებათაგან უფლისათა, არამედ აღასრულებ დღეთა შენთა შუებასა შინა და მთრვალობასა, მტაცებლობასა და ანგაჰრებასა და სხუათა უძკრესთა?

ხოლო ამათ სიტყუათა არა თუ ამისთვს ვიტყვ, თუმცა უქმობასა განვანესებდი. – ნუ იყოფინ! – უფროვსად მნებავს, რადთა ყოველნი იქმოდეს-მცა, რამეთუ ყოველი ბოროტი უქმობამან ასწავა კაცთა; არამედ გვედრები, რადთა არა უწყალო ვიყვნეთ და უღმობელ, რამეთუ არა ბრძანებულ არს შენდა, მორწმუნეო, განკითხვად უქმთა და მოქმედთა, არამედ დაუყენებელად ყოფად წყალობისა. ისმინე პავლესი, რომელმან მრავალი ბრალობად თქუა უქმობისა და განანესა, ვითარმედ: „რომელსა არა უნდეს საქმის, ნუცა ჭამნ“, ¹ ვითარი ხოლო შეუდგინა სიტყუა: „ხოლო თქუენ, ძმანო, ნუ გენყინების კეთილის-ყოფადო“. ² არა შენ გიბრძანა, თუ: რომელი გლახაკი არა იქმოდის, ნუ მისცემ პურსა, არამედ მას ეტყვს საქმისა ქმნად, ხოლო შენ გეტყვს: „ნუ გენყინებისო კეთილისა ყოფად“.

გარნა შენ ფრიად გენყინების; უკუეთუ სადმე მიგეპყრას პური ანუ დანგი ერთი და კუალად მოვიდის თხოვად ჭირვეული იგი, მეყსეულად აყუედრი: არა გუშინ მოხუედო და წარიღე? რად არს სიტყუად ესე, უბადრუკო? უკუეთუ გუშინ ანუ ძულუან მიიღო, სხუად არლარა ეწმარებისა საზრდელი?

რად არა შენსაცა მუცელსა დაუნესებ წესსა ამას და ეტყვ: გუშინ და ძულან განსძელ, ან ნულარა ეძიებ! არამედ იგი დღითი-დღე უმეტეს ზომისა ჭამითა განსთქდების, და გლახაკი გენყინების, რომლისა უმეტეს თანა-გედვა წყალობად, რომელ-იგი დღითი-დღე, იძულებული შიმშილისაგან და ნაკლულევენებისა, მოგიწდების და გვედრების. არამედ ან აბრალებ და სირცხვლეულ-ჰყოფ და უნდოსა მას ქველისსაქმესა აყუედრებ, რადთა

¹ 2 თეს. 3,10.

² 2 თეს. 3,13.

არცა მისი გაქუნდეს სასყიდელი; რამეთუ ქრისტემან ფარულად ბრძანა ქველისსაქმისა ყოფად, ხოლო შენ ჰქადაგებ და გლახაკსა მას შეარცხუენ და ურცხვნოდ სახელ-სდებ; და არა უწყი, ვითარ მრავალგზის შენ ურცხვნოქმნილ ხარ საქმეთა შინა ბოროტთა? და ან ჭირვეულსა მას ვითარ იკადრებ კდემად და ყუედრებად? ნუ, ძმანო ღმრთისმოყუარენო, ნუვინ არს უწყალო და გლახაკთა შეურაცხისმყოფელ თქუენ შორის, არამედ სიტყუად იგი მოციქულისადა ყურად-იღეთ და ნუ გენყინების კეთილის-ყოფად.

ისმინეთ მეუფისა ქრისტესიცა, რასა იტყვს: „ყოველსა, რომელი გთხოვდეს, მიეც“;¹ და „იყვენით მონყალე, ვითარცა მამად თქუენი მონყალე არს“.² გულისწმა-ყავთ, რავდენნი მცნებანი წარმოთქუნა და არასადა თქუა ესე სიტყუად, არამედ მონყალებისათვს ხოლო, რამეთუ არარად ესრეთ მსგავს ღმრთისა გუყოფს ჩუენ, ვითარ მონყალებად.

ან უკუე ნუმცა უდებ ვართ კეთილსა ამას ზედა, ნუმცა გამოვეძიებთ, თუ იგი ვინმე გლახაკი ცოდვილი არს და იგი ვინმე – უნესო. უფროდსა თვსთა ცოდვათა გულისწმა-ვჰყოფდეთ, და ვპოვნეთ თავნი ჩუენნი უფროდს ყოველთასა შეცოდებულ. დაღაცათუ არა თანამდებ ხარ მრავალთა ცოდვათა, ჰ კაცო, რომელ-ესე არა უწყი, თუმცა იყო, გარნა ეგრეთცა არა ჯერ-არს შენდა სხუათა განკითხვად და ბრალობად, რადთა არა შეგემთხვოს განსაცდელი იგი ფარისევლისადა. ნუ იქმნები უწყალო, უყუარულ, უნირაგ, მიმგავსებულ მწეცთა. რამეთუ ესეცა მწეცებრივი წესი ვიხილე ვიეთთანამე: მოვიდა გლახაკი მშიერი თხოად პურისა, და იგი ეტყოდა: არა არს აქა მონად ჩემი, რადთა მოგცეს შენ პური; და მცონარებისაგან ანუ თუ ანპარტავანებისა თავ-იდიდა აღდგომად და მიცემად მისა ანუ პური, ანუ წულილი ერთი. ჰ ულმობელობად ესე და გულფიცხელობად! კაცო მწეცის მსგავსო, შენისა ზუაობისათვს ჭირვეული იგი ცარიელი განავლინეა, მომყმარი შიმშილითა? უკუეთუმცა ათისაცა უტევისა გიწმდა სლვად, არა ჯერ-იყო სიხარული, რადთა უმეტესი სასყიდელიმცა მიიღე? რამეთუ ოდეს მისცეს კაცმან ქველისსაქმე, მიცემისა მისთვს ხოლო აქუს სასყიდელი; ხოლო თავით თვსით თუ მივიდეს ყოფად ქველისსაქმისა, შრომისა მისთვს ორკეცი მიილოს სასყიდელი ღმრთისაგან.

მითხარდა, შენ უპატიოსნეს ხარა მამათმთავრისა მის, რომელმან შეინწყნარნა რად სახითა უცხოეთა მისდა მისრულნი იგი, თავით თვსით მირბიოდა არვედ და მოიქუა ჳბოდ და უქმნა ჭამადი, რომელსა სამას ათრვამეტი ჰყვეს სახლეულნი? და ან შენ, უბადრუკო, ვითარ თავ-გედიდების მსახურებად გლახაკისადა, რომლისა მიერ ქრისტეს ჰმსახურებ? არამედ მონასა უბრძანებ. გარნა იყავნ ესე ესრეთ; უკუეთუ ესოდენ მზუაობარ ხარ, ბარე მონისა ჳელითა მისცემდი, ოდენ იქმოდე ქველისსაქმესა, ოდენ ნუ სრულიად უნაყოფო იქმნები და გულქვად, ოდენ ნუ აყუედრებ და აბრალებ ჭირვე-

¹ მათ. 5,42.

² ლუკ. 6,36.

ულსა, რამეთუ წამალი საკურნებელი უჭმს მას, არა სასიკუდინი; წყალობად ეჭმარების, არა მახვლი. ნუ იკადრებ გლახაკისა მიმართ სიტყვსა ფიცხლისა და შეურაცხისა თქუმად, რადთა არა ბრალად დიდად შეგერაცხოს, რამეთუ წერილ არს: „უმჯობეს არს სიტყუად სახიერი, ვიდრე მიცემა“.¹ უკუეთუ სიტყუად მწუხარებისად ჰრქუა გლახაკსა, მახვლი განგინონიეს გულსა შენსა. ოდეს იგი წარვიდეს შენგან შეწუხებული სულთქუმით და ცრემლით, რომელ-იგი ღმერთსა მოევლინა შენდა, გულისწმა-ყავ, რად იყოს შენდა. ღმერთმან მოავლინა იგი შენდა და შენ გიბრძანა მიცემად ქველისსაქმისა, ხოლო შენ არა თუ უწყალო ოდენ იპოე და არარად მიეცე, არამედ აგინეცა და განსდევნე. გულისწმა-ყავ, რაბამისა სასჯელისა თანამდებ-ჰყავ თავი შენი.

უკუეთუ წარავლინო შენ მონად შენი სხვსა მიმართ მონისა შენისა, რომლისა თანა ძენ საფასე შენი, და მიუმცნო მიცემად მისა რავდენიმე საფასე, ხოლო მან არა თუ ხოლო არარად მისცეს, არამედ გინებით და შეურაცხებით მოავლინოს შენდავე, არამცა დიდად განჰრისხენა? ეგრეთვე ღმრთისათჳს გულისწმა-ყავ: იგი მოგივლენს გლახაკსა, და თუ მისცე, მისსა მისცემ, არა შენსა; უკუეთუ კუალად შეურაცხად განავლინო, რომელისამცა სასჯელისა არა ღირს იყავ? რომლისა მეხის-ტეხისა არამცა თანამდებ იყავ ესევეთარისა სიფიცხისათჳს?

ამისთჳს გევედრები, ძმანო, ენასა აღკრ-ვასხნეთ და ჴელნი განვჰმარტნეთ მოწყალებად და გულნი ჩუენნი მოვდრიკნეთ ღმობიერებად, და ნუ ხოლო საფასითა, არამედ სიტყვთაცა სახიერებისადთა ნუგეჰინის-ვსცემდეთ გლახაკთა და ჭირვეულთა, რადთა ვპოოთ ჩუენ კურთხევად ღმრთისაგან და წყალობად და მკკდრ სასუფეველისა გამოვჩნდეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა სულით წმიდითურთ შუენის დიდებად, პატივი და სიმტკიცე ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

¹ ზირ. 18,16.

თავი ლ3

სიტყუაჲ ესე: „და იყო, რაჟამს დაასრულნა იესუ ბრძანებანი ესე ათორმეტთა მიმართ მონაფეთა მისთა, წარვიდა მიერ ქადაგებად და სწავლად ქალაქებსა მათსა. ხოლო იოვანეს რაჲ ესმნეს საპყრობილესა შინა საქმენი ქრისტესნი, მიავლინნა მონაფენი და ჰრქუა: შენ ხარა მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით?“ (11,1-3).

ვინაჲთგან ზემოთქუმულნი იგი ბრძანებანი ყოველნი უბრძანა მათ და წარავლინნა ქადაგებად და კურნებად, განეშორა მიერ, რაჲთა მისცეს მათ ადგილი და ჟამი ქმნად, რაჲ-იგი უბრძანა, რამეთუ არცა თუ შესაძლებელ იყო, უკუეთუმცა თავადი მუნ იქცეოდა და აღასრულებდა კურნებათა, მათდა მიმართ მისლვაჲ ვიეთთაჲმე. ამისთვის წარვიდა მიერ, რაჲთა მათ იწყონ საქმესა თვისსა.

მაშინ იოვანეს ესმნეს საქმენი ქრისტესნი და მიავლინნა მონაფენი მისნი. ხოლო ლუკა იტყვის, ვითარმედ უთხრეს იოვანეს მონაფეთა მისთა ამის ყოვლისათვის, და მაშინ მიავლინნა იგინი. გარნა ამას შინა არარაჲ არს დაფარული, რამეთუ ესეცა შურსა მას მათსა მოასწავებს, რომელი აქუნდა ქრისტეს მიმართ. ხოლო შემდგომი ამისი ფრიადისა გულისწმის-ყოფისა ღირს არს, რომელ-იგი მიუმცნო, ვითარმედ: „შენ ხარა მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით?“ რომელმან პირველ სასწაულთაჲცა იცოდა იგი, რომელმან სულისა წმიდისაგან ისწავა, რომელსა მამისა მიერ ესმა, რომელმან ყოველთა ზედა ქადაგა, ანლა მიავლენს ცნობად, თუ იგი არს მომავალი ანუ არა?

რაჲ არს ესე, ნათლისმცემლო, მოსრულო უდაბნოთ წინაშე მისსა ქადაგებად, უზეშთაესო შორის ნაშობსა დედათასა, უმეტესო წინაღსწარმეტყუელთაო, რამეთუ წინაღსწარმეტყუელთა ქადაგებულნი თუალითა იხილე, ვმარ სიტყვსაო, სანთელო ნათლისაო, მეგობარო სიძისაო, მთიებო მზისა წინამორბედო, უკუეთუ არა იცოდე, ვითარმედ იგი არს, ვითარ სწამებდი? არა შენ იტყოდე: „არა ღირს ვარ საბელსა ჯამლთა მისთასა განწინად“?¹ არა შენ იტყოდე: „მე არა ვიცოდე იგი, არამედ რომელმან მომავლინა მე ნათლის-ცემად წყლითა, მან მრქუა მე: რომელსა ზედა იხილო სული გარდამომავალი და დადგრომილი მას ზედა, იგი არს, რომელმან ნათელსცეს სულითა წმიდითა. და მე ვიხილე და ვწამე, ვითარმედ ესე არს ძე ღმრთისაჲ“;² არა იხილეა სული სახედ ტრედისა? არა გესმა ჯამა მამისაჲ? არა აყენებდი მას და იტყოდე: „მე მივმს შენ მიერ ნათლის-ღებაჲ“?³ არა ეტყოდეა მონაფეთა შენთა: „მისდა ჯერ-არს აღორძინებაჲ, და ჩემდა დაკლებაჲ“?⁴ არა ეტყოდეა ერსა, ვითარმედ: „მან ნათელ-გცეს სულითა წმიდითა და ცეცხლითა“?⁵ და ვითარმედ: „აჰა ტარიგი ღმრთისაჲ, რომელ-

¹ მარკ. 1,7.

² იოან. 1,33-34.

³ მათ. 3,14.

⁴ იოან. 3,30.

⁵ მათ. 3,11.

მან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“?¹ ესე ყოველი არა პირველ სასწაულთა მათ და საკრველებათა ხილვისა იქადაგება? ვითარ უკუე ან, ოდეს ყოველთა მიერ საცნაურ იქმნა, და ყოველსა ადგილსა განისმა ჰამბავი მისი, და მკუდარნი აღდგეს, და ეშმაკნი განისხნეს, და ესოდენნი საკრველებანი იქმნნეს, ანლა მიავლენ ცნობად, თუ იგი არს მომავალი იგი ანუ არა? და აქამომდე უმეცარ იყავა? ნუ იყოფინ! არა თუ იოვანე, რომელი საშოთვე დედისაჲთ ჰკრთებოდა და პირველ შობისა ქადაგა უფალი, მოქალაქე იგი უდაბნოჲსაჲ, რომელმან ანგელოზებრივი ცხორებაჲ აჩუენა, არამედ არცა თუ სხუამან ფრიად უდარესმან ქმნამცა ესე, რაჲთა შემდგომად ესოდენისა ნამებისამცა კუალადლა იკითხვიდა.

საცნაურ არს უკუე, ვითარმედ არცა იჭუეულ რაჲმე იყო და ამისთვის მიავლინა, არცა უმეცარ იყო და ამისთვის ჰკითხვიდა. არამედ რაჲ იყო მიზეზი ამის საქმისაჲ, ისმინეთ მეცნიერებით: წინააღმდგომ და მოშურნე იყვნეს მარადის ქრისტეს მიმართ მონაფენი იოვანესნი, ვითარცა ესე ყოველსა ადგილსა საცნაურ არს. ამისთვისცა იტყვს იოვანე მახარებელი სახარებასა შინა თვისსა, ვითარმედ: „იყო გამოძიებაჲ მონაფეთაგან იოვანესთა ჰურიათა თანა განწმედისათვის. და მოვიდეს იოვანესა და ჰრქუეს მას: რაბი, რომელი-იგი იყო შენ თანა წიად იორდანესა, რომლისათვის შენ სწამე, აჰა იგი ნათელ-სცემს, და ყოველნი მივლენან მისა“.² და კუალად იგინივე მოუჭდეს უფალსა და ეტყოდეს: „რაჲსათვის ჩუენ და ფარისევლნი ვიმარხავთ, და მონაფენი შენნი არა იმარხვენ?“³ რამეთუ არა აქუნდა მათ ქრისტესთვის ჯეროანი გულისწმის-ყოფაჲ, არამედ ჰგონებდეს მას კაცსა ლიტონსა, და იოვანეს იტყოდეს დიდად და ფრიად უზეშთაესად კაცთასა და, ხედვიდეს რაჲ, ვითარმედ საქმენი ქრისტესნი აღემატებოდეს და ბრწყინვიდეს, ხოლო იგი დააკლდებოდა, მწუხარე იყვნეს ამას ზედა და მოშურნეობასა მის მათისათვის არა მივიდოდეს უფლისა. და ვიდრემდის იოვანე იყო მათ თანა, ზედასზედა ასწავლიდა და მიავლენდა ქრისტესა, გარნა ვერ დაარწმუნებდა. ვინაჲთგან უკუე ცნა, ვითარმედ მოინია აღსასრული მისი, უმეტესი მოსწრაფებაჲ აჩუენა. რამეთუ ეშინოდა, ნუუკუე დაშთენ სრულიად განვრდომილნი და განწვალებულნი ქრისტესგან; რამეთუ იგი პირველითგან მოსწრაფე იყო, რაჲთამცა ყოველნივე მისნი შეაწყნარნა ქრისტესა, ხოლო ვინაჲთგან ვერ დაარწმუნებდა, ჟამსა მას აღსრულებისა მისისასა მოხარკე იქმნა საქმესა მას ზედა.

ვინაჲთგან უკუე იგინი თავით თვსით მოუჭდეს და მიუთხრნეს მას საქმენი ქრისტესნი, ეგრეთცა არავე მან მიუთხრა, ვითარმედ იგი არს ჭემარიტად ქადაგებული წინაჲსწარმეტყუელთაჲ, არამედ აღირჩია მისა მიმართ მივლენაჲ, რაჲთა ვითარცა წყარომან სიბრძნისამან გულსავსე-ყვნეს იგინი. და ეგრეთცა არა ყოველნი მიავლინნა, არამედ ორნი ვინმე, რომელ-

¹ იოან. 1,29.

² იოან. 3,26.

³ მათ. 9,14.

ნი იცნოდა, ვითარმედ სხუათასა უმჯობეს არიან. და მიიჩემა სახე ესე კითხვისად, რაათა ჰკითხონ მის მაგიერ, და ესმეს მათ ძალი სიტყვსა მისისად და ცნან, რავდენ შორს არს მისგან იოვანე. ამისთვის მიავლინა და ჰრქუა: „შენ ხარა მომავალი, ანუ სხუასა მოველოდით?“

ხოლო ქრისტემან იცოდა გულისსიტყუად იოვანესი, ამისთვის არა სიტყვთ ჰრქუა, თუ: მე ვარ, არამედ პირველად საქმით უჩუენა ჭეშმარიტებად სასწაულთად, ვითარცა იტყვს მახარებელი, ვითარმედ: „მას ჟამსა განკურნნა იესუ მრავალნი სნეულებათაგან და სალმობათა და სულთაგან უკეთურთა და მრავალთა ბრმათა მიჰმადლა ხედვად“.¹

ხოლო ესე ყოველი ქმნა არა თუ რაათა იოვანეს დაარწმუნოს, რამეთუ მან პირველითაგანვე იცოდა, არამედ მოწაფეთა მათ მისთა ურწმუნოთა ენება გულსავსე-ყოფად; ამისთვისცა ჰრქუა:

სახარებად: „მივედით და უთხართ იოვანეს, რომელი გესმის და ხედავთ: ბრმანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლენან, კეთროანნი განწმდებიან, ყრუთა ესმის, მკუდარნი აღდგებიან, გლახაკთა ეხარების. და ნეტარ არს, რომელი არა დაჰბრკოლდეს ჩემდა მომართ“ (11,4-6).

თარგმანი: უჩუენა, ვითარმედ დაფარულნი ყოველნივე გულისა მათისანი იცნის. ამისთვისცა ჰრქუა მათ: „ნეტარ არს, რომელი არა დაბრკოლდეს ჩემდა მომართ“, რამეთუ უკუეთუმცა ეთქუა განცხადებულად, თუ: მე ვარ ქრისტე, ვინათგან უგულისჴმონი იყვნეს, ეთქუამცა, ვითარცა ჰურიანი იტყოდეს, ვითარმედ: „შენ თავისა შენისათვს სწამებ“.² ამისთვის, იცოდა რა უფალმან გონებანი მათნი, სიტყვთ არა თქუა ესე, არამედ სასწაულნი იგი საკრველნი ქმნნა, რაათა საქმემან უმეტესად დაარწმუნეს, და რად-იგი გონებათა შინა მათთა იყო, მიუთხრა, ვითარმედ: „ნეტარ არს, რომელი არა დაბრკოლდეს ჩემდა მომართ“, რამეთუ იგინი იყვნეს, რომელნი დაბრკოლდებოდეს. ესრეთ ქმნა და, ესრეთ რად მიუთხრა, წარავლინნა იგინი, რაათა გონებათაგან თვსთა ემხილოს და მოიქცენ გულისჴმის-ყოფად. ესრეთ გულისჴმა-ვჴყოფ მე საქმესა ამას.

ხოლო ვინათგან არიან სხუანი, რომელნი არა შეინყნარებენ ამას თარგმანებასა, არამედ სხუად სახედ იტყვან, კეთილ არს მათ მიერ თქუმულისაცა შორის შემოღებად, რაათა ჭეშმარიტებად გამოჩნდეს. ესრეთ უკუე იტყვან, ვითარმედ: არა ამის ჯერისათვს წარავლინნა იოვანე მოწაფენი იგი თვსნი, არამედ მას თავადსა ენება ცნობად, რამეთუ ამას არა უმეცარ იყო, ვითარმედ იგი არს ქრისტე, ხოლო ესე არა იცოდა, თუ ეგულებს კაცთათვს ვნებად და ჯოჯოხეთს შთასლვად. ამისთვის მიუმცნო, ვითარმედ: „შენ ხარ მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით?“ ესე იგი არსო, ვითარმედ: შენ ხარა მომავალი ჯოჯოხეთად?

¹ ლუკ. 7,21. ² იოან. 8,13.

არამედ ამას სიტყუასა ძალი ყოვლადვე არა აქუს, რამეთუ იოვანე უმეცარ არარას ზედა იყო და უმეტესად ამას პირველ ყოვლისა ქადაგებდა და იტყოდა: „აჰა ტარიგი ღმრთისად, რომელმან აიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“. ¹ ხოლო ტარიგად რად სახელ-სდვა, ვნება იგი ჯუარისად მოასწავა; და კუალად, ახუმად რად ცოდვათად თქუა, ჯუარ-ცუმადვე მოასწავა. რამეთუ ჯუარ-ცუმითა განხეთქნა ჴელისწერილნი იგი ცოდვისანი, ვითარცა პავლე წამებს.²

და კუალად ესე ვინმცა ვერ გულისჴმა-ყო, თუ ვითარ შესაძლებელ არს, რომელი-იგი წინადასწარმეტყუელთა ყოველთა იცოდეს, რადამცა უმეტესი იგი ყოველთად უმეცარ იყო? რამეთუ ესე საცნაურ არს, ვითარმედ წინადასწარმეტყუელთა იცოდეს და ქადაგებდეს ვნებისა მისისათჳს. ისმინე ესაიასი: „ვითარცა ცხოარი კლვად მიიგუარაო, და ვითარცა ტარიგი წინაშე მრისუველისა უჴმობელად დგა, ესრეთ არა აღაღებს პირსა თჳსსა. სიმდაბლითა მისითა სამართალი მისი მიელო“. ³ და არა ჯუარ-ცუმასა ხოლო იტყოდა მისსა, არამედ მის თანა დამოკიდებულთათჳსცა მოასწავა და თქუა, ვითარმედ: „უშჯულოთა თანა შეირაცხა“. ⁴ და კუალად პირველ მისსა დავით შემდგომითი შემდგომად წარმოიტყოდა ვნებისათჳს ქრისტესისა: „რად აღიძრნეს წარმართნი და ერმან იზრახა ცუდი? შეითქუნეს მეფენი ქუეყანისანი, და მთავარნი შეკრბეს ერთად უფლისათჳს და ცხებულისა მისისათჳს“; ⁵ და კუალად ჯუარ-ცუმისათჳს და სიციხისათჳს მჴედართადასა თქუა: „განჴურიტნეს ჴელნი ჩემნი და ფერჴნი ჩემნი და აღრაცხეს ყოველი ძუალეები ჩემი. განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა წილს-იგდებდეს“. ⁶ და კუალად იტყვს: „მცეს მე საჭმელად ჩემდა ნავლელი და წყურილსა ჩემსა მასუეს მე ძმარი“. ⁷

ვინაფთგან უკუე წინადასწარმეტყუელნი პირველ ესოდენტა ნელთა ყოველსავე ესრეთ უცთომელად ქადაგებდეს, უმეტესისა ამისთჳს წინადასწარმეტყუელთადასა ვითარ ვინ უძლოს თქუმად, თუ უმეცარ იყო? ესე სიტყუად ყოვლადვე შეუწყნარებელ არს. სარწმუნო არს უკუე და ჴემმარიტ ზემოწერილი იგი სიტყუად, რამეთუ ურწმუნოებისა მისთჳს მონაფეთა თჳსთადასა მიავლინნა იოვანე უფლისა, რადთა უკუეთუ იყოს მათ თანა ნაწილი ცხორებისად, ჰრწმენეს მისი, იხილნეს რად სასწაულნი იგი ცნობისა უაღრესნი და ესმეს სწავლად იგი ღმრთივშუენიერი; მათისა უკუე მისლვისათჳს ირემა ნათლისმცემელმან სახე იგი კითხვისად. ხოლო მან ყოველივე ჴემმარიტებით იცოდა.

¹ იოან. 1,29. ² შდრ. კოლ. 2,14. ³ ესაია 53,7-8. ⁴ ესაია 53,12. ⁵ ფსალმ. 2,1-2.

⁶ ფსალმ. 21,18-19. ⁷ ფსალმ. 68,22.

სწავლად ლ3

სიმშკდისათვის, და რაათა მოსწრაფე ვიყვნეთ ძლევად ვნებათა

ხოლო შენ, საყუარელო, გიკვრდინ და ადიდებდი მიუთხრობელსა მას გარდამატებულსა მეუფისა ჩუენისა სულგრძელებასა და სიმშკდესა. ვითარ რომელნიმე გამოსცდიდეს, რომელნიმე ურწმუნო იქმნებოდეს, სხუანი შეურაცხ-ჰყოფდეს, სხუანი გმობდეს, და იგი არავის განურისხდებოდა, არამედ კაცად-კაცადსა ისწრაფდა სიმშკდით მოქცევად ბოროტისაგან: რომელთამე სასწაულთა მიერ, სხუათა სიტყვთა მიუთხრობელისა მის სიბრძნისაათა, სხუათა სიმშკდით მხილებითა, გინა თუ რომლითაცა სახითა, ვითარცა მან იცინ კაცად-კაცადისა წამალი, მკურნალმან მან განწირულთამან.

რამეთუ აჰა ესერა ზემონწერილნი იგი მონაფენი იოვანესნი რად მოუწდეს და ჰკითხეს მოძღურისა მათისა მაგიერ, ხოლო ყოველივე ურწმუნობაჲ მათთა გონებათაჲ იყო, და სახიერმან მან ესე იცოდა, და ვითარ სიტყუათა მათ მოძღურისა თვისისათა არა მიერჩდეს; გარნა არავე რად ჰრქუა მათ შერისხვით ანუ მხილებით, არამედ ყოველივე სახიერებით და სიმშკდით მიუგო. სასწაულნი უჩუენნა და გონებათა მათთა დაფარულნი სახითა იოვანეს მიმართ მიმცნებისაათა მიუთხრა და ესრეთ სიტკბოებით წარავლინნა. და რად ამათ ვიტყვ? ყურიმლის-ცემადლა თავს-იდვა, კიცხევაჲ და ნერწყუაჲ, ბასრობანი და შეურაცხებანი და მერმე სიკუდილი სიკუდილითა მით ჯუარისაათა. და მოქმედნი იგი ამათ საქმეთანი არა დანუნა ცეცხლითა, არცა ცოცხლივ შთაჴადნა ჯოჯოხეთად, არცა ძეგლად მარილისა გარდააქცინა, ანუ სხუაჲ რადმე უცხოჲ და შეცვალებული ტანჯვაჲ მოაწია მათ ზედა, არამედ ვითარცა ღალადებს ესაია: „ვითარცა ცხოარი კლვად მიიგუარა, და ვითარცა ტარიგი წინაშე მრისუველისა უჭმობელად დგა, ესრეთ არა აღადებსო პირსა მისსა. სიმდაბლითა მისითა სასჯელი მისი მიელო, და თესლ-ტომი მისი ვინ-მე შეუძლოს მითხრობად?“¹ და კუალად იგივე იტყვს, ვითარცა პირისაგან უფლისა: „ბეჭნი ჩემნი მივსცენ გუემად და ღანუნი ჩემნი ყურიმლის-ცემად, და პირი ჩემი არა გარემივაქციე სირცხვლისაგან ნერწყუსა“.² † გამოუთქუმელი იგი და მიუწთომელი სიმშკდე და სულგრძელებაჲ მეუფისა ჩუენისაჲ! დიდებაჲ და თაყუანის-ცემაჲ აურაცხელსა მას სახიერებასა მისსა! რაოდენ დაითმინა ჩუენ უმადლოთა ამათთვის და განდგომილთა მონათა!

ან უკუე, საყუარელნო, ჩუენცა მოვიგოთ სიმშკდე და სიმდაბლე, რამეთუ ესრეთ იტყვს უფალი: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშკდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთა“.³

¹ ესაია 53,7-8.

² ესაია 50,6.

³ მათ. 11,29.

ნანდკლვე! უკუეთუ გუნებაგს სულთა ჩუენთა განსუენებად, სიმშკდისა მის და სიმდაბლისა მისისა ბაძვად თანაგუაც, რაათა აღმოვჰფხურათ ყოველი მრისხანებად და ამპარტავანებად სულთაგან ჩუენთა.

ისმინეთ, რასა იტყვს წერილი ამათ ვნებათათვს: „რისხვამან სიმართლე არა ყვისო“;¹ და კუალად – „უფალი ანპარტავანთა წინააღუდგების და მდაბალთა მისცემს მადლსა“.²

მრავალგზის ამათ ვნებათათვს მიტქუამს თქუენისა სიყუარულისა მომართ, არამედ ნუ გენყინების, რამეთუ უკუეთუ არა ზედაჰსზედა ვინ დასდებდეს ნამალსა წყლულებათა ზედა, ერთითა გინა ორითა დადებითა ვერ განჰკურნებს. ჰე, თუმცა მრავალგზის დადებითა ვაჩუენეთ რაჲმე სარგებელი. და ნუცა საბრალობელ თქუენდა გიჩნნ ზედაჰსზედა სწავლაჲ; უკუეთუმცა განწირულ იყვენით ჩემგან, არცალამცა გასწავლიდი, არამედ ვესავ სარგებელ-ყოფად თქუენდა. ამისთვის ვიტყვ, რამეთუ ფრიად სანადელ არს ესე ჩემდა, რაჲთამცა არარად იყო ჩუენ შორის სხუჲა სიტყუჲა, გარნა ვნებათა ჩუენთათვს, თუ ვითარ მძლე ვექმნეთ.

არა ჰხედავთა მეფეთა, ვითარ მარადლე ბრძოლათათვს იტყვან და განიზრახვენ, თუ ვითარ-ძი ეწყვენ, ვითარ-ძი ეუფლნენ მტერთა თვსთა? და მწედრობასა განანესებენ და ერისთავთა დაადგენენ და ხარკთა შეჰკრებენ და დლე და ლამე ამათ საქმეთა შექცეულ არიან, რაათა ორი ესე წარჰმართონ: ძლევაჲ მტერთაჲ და მშკდობით დაცვაჲ თვსისა ერისაჲ. ხოლო ჩუენ საქმეთა შინა ჭეშმარიტად ჩუენთა ესრეთ უდებ ვართ და არა ვზრუნავთ, ვითარ მძლე ვექმნეთ ვნებათა ანუ თუ ვითარ დავიცვენთ ცოდვისაგან სულნი ჩუენნი, არამედ ყოველი ზრახვაჲ ჩუენი ჯორციელთათვს არს და ცუდთა და წარმავალთა. და ოდეს ესევეითარი რაჲმე იყოს ზრახვაჲ, არა განვძლებით, ხოლო უკუეთუ სულიერი რაჲმე სიტყუჲა ჯერ-იყოს, მეყსეულად მონყინებაჲ და ძილი წარგუტყუენვენ. ჩუენსა ამას შინა უდებ ვართ და არა ჩუენსა მას გულსმოდგინედ შევექცევით: ანუ ჭამადთათვს არს ზრახვაჲ ჩუენი, რომელ-ესე საქმე არს მზარაულთაჲ, ანუ – საფასეთათვს, რომელ-ესე საქმე არს მეზუერთა და ვაჭართაჲ, ანუ – შენებათათვს, რომელ-ესე საქმე არს გალატობთა და ხუროთაჲ, ანუ – ქუეყანისათვს, რომელ-ესე მუშაკთა შეჰგავს. ხოლო ჩუენდა არა ესევეითარნი განწესებულ არიან საქმენი, ძმანო, არამედ ესე არს საქმე ჩუენი, რაჲთამცა სიმდიდრე სულიერი მოვიგეთ ძლევეითა ვნებათაჲთა, ხოლო პირველთქუმული იგი ყოველიმცა გარეწარად შეგუერაცხა, და შინაგანიმცა ზრუნვაჲ ჩუენი და სიტყუჲა ყოველი ბრძოლისა მისთვის ვნებათაჲსა იყო. რამეთუ კეთილ არს ესევეითართა საქმეთათვს ზედაჰსზედა ზრახვაჲ, ვითარცა-იგი იქმან ყოველნი, რომელნიცა ჯელოვნებასა რასმე ისწრაფდენ წარმართებად, ყოვლადვე მისთვის არს სიტყუჲა მათი. მკურნალნი მარადის სამკურნალოჲსათვს იტყვან, ეგ-

¹ შდრ. იაკობ 1,20. ² იაკობ 4,6; 1 პეტ. 5,5; იგავ. 3,34.

რეთვე სხუანი ყოველნი. ხოლო ჩუენ უკუეთუმცა წარგუემართა ძლევად ვნებათად, რომელ არლარადმცა გუაქუნდა მათთჳს ზრუნვაჲ, თქუამცა ვინმე, თუ: რადლა საწმარ არს ამისთჳს სიტყუაჲ? და მაშინმცა არავე ცუდ იყო სიტყუაჲ ესე, რადთამცა გულსმოდგინე-ვჰყოფდით ურთიერთას არლარა მოსლვად უდბებად, არამედ კეთილსა მას უვნებელობასა შინა განმტკიცებად და არა ცემად ადგილისა მერმელა სენსა მას ვნებათასა უფლებად ჩუენდა. არა ჰხედავთა, რამეთუ მკურნალთა წიგნები აღუწერია არა ხოლო თუ სენტა კურნებისაჲ, არამედ მრთელთაცა მიმართ, თუ ვითარ წესად დაიცვან სიმრთელე თჳსი და არა მოვიდენ სნეულებად. ან უკუე ჩუენცა დაღათუ მრთელმცა ვიყვნით, არცა ეგე ჯერ-იყო დაცხრომაჲ ზრუნვისა და მოლუანებისაგან, რადთამცა უვნებელად დავიმარხეთ სიმრთელე იგი. ხოლო ვინადთგან მრავალთა მიერ და მწარეთა სენტა ცოდვისათა შეჰყრობილ ვართ, ორკერძოვე გვჰმს მოლუანებაჲ და განზრახვაჲ, თუ ვითარ განვერნეთ სენტა ამათგან ბოროტთა და თუ ვითარ კუალად არა შთავცჳვეთ მათ შინა.

გარნა ან ჯერეთ წესისა მისთჳს კურნებათადსა გვჰმს სიტყუად. ხოლო მო-თუ-გუცეს ღმერთმან სიმრთელე სენტა ამათგან სულიერთა, რომლითა შეჰყრობილ ვართ, მერმე მისთჳს განვიზრახოთ მადლითა უფლისაჲთა.

გულისჰმა-ვყოთ უკუე, თუ ვითარ განვერნეთ სიმძიმისაგან ვნებათადსა, ვითარ განვეკურნეთ მონყლულნი ესე მათგან სულნი ჩუენნი. ვიხილოთ, თუ ვინაჲ იშვა სიმრავლე მათი, და მიზეზი იგი აღმოვფხურათ, ვინაჲ უკუე იქმნა შობაჲ და აღმოცენებაჲ მათი.

ანპარტავანებაჲ იქმნა დანყება და ძირ ყოველთა ვნებათა, და მისგან აღმოცენენს მცენარენი იგი ბოროტთა ვნებათანი, რამეთუ ხემან ბოროტმან ბოროტნიცა ნაყოფნი გამოიხუნა. ან უკუე აღმოვფხურათ ანპარტავანებაჲ და შევიმოსოთ სიმდაბლე, და აღმოიფხურენ ძირნი ყოველთა ვნებათანი. ხოლო გულისჰმა-ვყოთ, თუ ვინაჲ არს ჩუენ შორის ანპარტავანებაჲ, რადთა ქუეით, იატაკითვე, ხე იგი ხენეში აღმოიფხურას. ამისთჳს არს ანპარტავანებაჲ ჩუენ შორის, რამეთუ არა გულისჰმა-ვჰყოფთ ბუნებასა ჩუენსა, არამედ ბუნებასა ქუეყანისასა გამოვეძიებთ და ბუნებასა მცენარეთა და იძრვისთასა, ბუნებასა ოქროსა და ვეცხლისა და სამოსელთასა და სხუათა ყოველთაჲ არად საწმართა საქმეთასა, ხოლო ბუნებასა ჩუენსა უმეცარ ვართ. უკუეთუმცა კეთილად გულისჰმა-ვჰყოფდით მას, თუ ვითარ არს ანუ ვინაჲ, რად იყო დანყებაჲ მისი, ანუ რად არს აღსასრული, რად განწესებულ არს მის ზედა, ანუ სადა მიმავალ არს, – უკუეთუმცა ესე ყოველი ესრეთმცა გუაქუნდა გულთა ჩუენტა, ვითარცა ჭეშმარიტად ჯერარს, ძირიმცა ანპარტავანებისაჲ ჩუენ შორის არა იშოვა.

მრქუათ სადმე, ვითარმედ: ვინ უმეცარ არს ბუნებასა თჳსსა? გარნა მე ვიტყჳ, ვითარმედ: დიდად მცირედნი არიან, რომელნი, ვითარცა ჯერარს, მეცნიერმცა იყვნეს. რამეთუ მე მას ვიტყჳ მეცნიერებასა ჭეშმარიტსა

და ჯეროვანსა, რომლისა ნაყოფი ჩნდეს, არა ამას – პირუტყუებრივსა და არარასა. მითხარდა, უკუეთუ ვინმე იტყოდის, ვითარმედ: მეცნიერ ვარ ჯელოვნებასა მკურნალობისასა, და მერმე ჯელ-ყოს ცულითა გინა წერაქტა განსწნად ძარღვსად, გრწმენდამცა მისი მკურნალობისა მეცნიერება? ეგრეთვე შენცა, რომელი-ეგე იტყვ, ვითარმედ: მეცნიერ ვარ ბუნებასა ჩემსა, და მერმე იქმოდისა საქმეთა ფრიად უმეტესად შეუმსგავსებელთა ზემონერილისა მის სახისათა, ვითარ მრწმენეს, თუ მეცნიერ ხარ ბუნებასა შენსა? ან უკუე საქმით ვეძიებ მე მეცნიერებასა და არა სიტყვით, და მცირედნი იპოებიან ესევეთარნი.

და რად ვიტყვ საქმით მეცნიერებასა? სიტყვით მებრ უკუეთუ გკითხო, მცირედთა მომიგოთ ჯეროანი პასუხი, თუ რად არს კაცი, რომლითა სახითა და წესითა განყოფილ არს პირუტყუთაგან, რომლითა სახითა აქუს თვსებად ანგელოზთა თანა, ვინაე შეიცვალეების კაცებისაგან ანუ ვითარ. რამეთუ ვითარცა ნივთი რაჲმე წინამდებარე არს ოქროსა, გინა ვეცხლისად, ანუ თუ რვალისად, გინა სხვსა რაჲსმე ბუნებისად, და შესაძლებელ არს მისგან თითოფერთა ჭურჭელთა ქმნად, გინა თუ კეთილთა, გინა თუ ხენეშთად, ეგრეთვე არს კაცი: ჯელ-ენიფების ანგელოზ-ყოფად და ჯელ-ენიფების მწეც-ყოფად. არა აღმოგიკითხავსა წერილთა შინა: რომელთამე კაცთათვს იტყვს, ვითარმედ: „ანგელოზი არს უფლისად, და სამართალი ბაგეთა მისთაგან იძიოს“;¹ და კუალად იტყვს: „აჰა ესერა წარვაგლინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა“;² – ნათლისმცემელისა იოვანესთვს არს სიტყუად ესე. კუალად სხუათა კაცთათვს თქუმულ არს: „გუელ და ნაშობ იქედნეთა“.³

ან უკუე ჯელმნიფებასა შინა კაცისასა არს ესე, და ძალ-უც გინა თუ მწეც-ყოფად, გინა თუ ანგელოზ-ყოფად. და რად ვიტყვ ანგელოზ? შვილ ღმრთისა ძალ-უც ყოფად, უკუეთუ ენებოს: „მე ვთქუ: ღმერთნი სამე ხართო და შვილნი მალღისანი თქუენ ყოველნი“.⁴ და კუალად წერილ არს: „მისცა მათ ჯელმნიფებად შვილ ღმრთისა ყოფად“.⁵ – ვითარითამე სახითა? სინმიდითა და შიშითა ღმრთისაჲთა და აღსრულებითა მცნებათა მისთაჲთა და ყოვლითურთ მისგან განუშორებელობითა გონებისაჲთა. ამას ესევეთარსა წესსა ეწოდებეს სათნობა, ამისი ჯელმნიფებად ჩუენდა მოცემულ არს მოგებად, უკუეთუ გუენებოს, ესრეთ ვიქმნეთ ანგელოზ და შვილ ღმრთისა. დაღაცათუ არა ბუნებითა ვიქმნეთ ანგელოზ, არამედ საზომითა მით სულისაჲთა. და ესრეთ რად ვიყვნეთ, არღარად იყოს ჩუენდა სავენებელ ბუნებად კაცობრივი.

და ესე ისწავე იოვანესგან, რამეთუ კაცი იყო და საზომსა ანგელოზთასა მიიწია; და კუალად ელია ჯორცითავე ამაღლდა; და სხუანი იგი, რომელთა ეგულებს მუნ აღსლვად, ესენი ბუნებისა ამისგან ჯორცითაჲსა არა

¹ შდრ. მალ. 2,7. ² მათ. 11,10; მალ. 3,1. ³ მათ. 23,33. ⁴ ფსალმ. 81,6. ⁵ იოან. 1,12.

დაყენებულ იქმნეს ცათა დამკვდრებად, ხოლო სხუათა მათ, დალაცათუ უჭორცონი იყვნეს, ვერვე უძლეს მუნ ყოფად, არამედ გარდამოვარდეს უკეთურებითა თვისითა.

ან უკუე ნუვინ დრტუნავს ბუნებისათჳს კაცობრივისა, თუმცა დაბრკოლებად რადმე აქუნდა მისგან, არამედ ბოროტთა მათ ნებათა აბრალეზდინ. იგი ანგელოზი იყო და ეშმაკ იქმნა თვისითა მით ბოროტითა ნებითა, ხოლო ჩუენ, უკუეთუ გუენებოს, ვიქმნეთ ანგელოზ კაცებისაგან. რამეთუ ვითარცა-რად პოვის ვინ ნივთი რადმე მრავალსასყიდლისად და უმეცარ არნ სიკეთესა მისსა და ამისთჳს უგულუბელ-ყვის იგი და დიდად დასჭირდის, გინა თუ მარგალიტი არნ, გინა თუ თუალი პატიოსანი, ანუ სხუად რადმე ესევითარი, ეგრეთვე ჩუენ, უკუეთუ უმეცარ ვიყვნეთ ბუნებასა ჩუენსა და უგულუბელს-ყვით იგი, ფრიადი დაჭირვებად შეგუემთხვოს. ხოლო უკუეთუ ვიცნათ იგი, ვითარცა ჯერ-არს, და მოლუანებად ვიჭმაროთ, მრავალი კეთილი განგჳმარჯუდეს, რამეთუ ამის ბუნებისაგან, უკუეთუ ჴელოვანი იპოოს და გონიერი ვინ, იქმნების ტაძარი სამეუფოთ, სამოსელი სამეუფოთ, ძლუენი სამეუფოთ, ყოველივე სამეუფოთ ამისგან შეიმზადების.

ან უკუე, საყუარელნო, ნუ უმეცრად და უგუნურად ვიჭმარებთ ბუნებასა ამას ჩუენსა; მცირედ ანგელოზთაგან დამაკლნა ჩუენ მოკუდავებითა, არამედ ესეცა მცირე კუალად მოგუანიჭა უფალმან და უკუდავებად მოგუცა. არღარად არს უკუე დამაყენებელ ჩუენდა ანგელოზთა საზომსა მიწევნად და შვილ ღმრთისა ყოფად, უკუეთუ გუენებოს.

ვინებოთ უკუე, ძმანო, და ვილუანოთ, რადთა საუკუნეთა მათ კეთილთა მკვდრად გამოვჩნდეთ მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა სულით წმიდითურთ შუენის დიდებად, პატივი და თაყუანის-ცემად ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

თავი ლ

სიტყუად ესე: „და ვითარცა ესენი წარვიდეს, იწყოს იესუ სიტყუად ერსა მას იოვანესთს“ (11,7).

მონაფეთა მიმართ იოვანესთა ყოველივე კეთილად განაგო განმგებელმან მან ყოველთამან, რამეთუ იხილეს მათ თუალითა თვისითა საკვრველებანი მისნი და წარვიდეს. ხოლო ჯერ-იყო ერისა მიმართცა სიტყუად, რამეთუ ესმა რად იოვანეს მიერ მოვლინებული იგი სიტყუად, არა იცოდეს მათ გულისსიტყუად მისი, თუ რომლისა პირისათვს ესრეთ მოუმცნო, და თქუესმცა, ვითარმედ: რად არს სიტყუად ესე? რომელმან-იგი ესოდენი წამა ამისთვს, ან კულადლა იჭუეულ არს და ჰკითხავს: „შენ ხარა მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით?“¹ ნუუკუე პირველნი იგი სიტყუანი ცუდ იყვნესა? ნუუკუე საპყრობილისაგან მოშიშ იქმნაა? ვინაფთგან უკუე მეცნიერმან მან დაფარულთამან იცოდა, ვითარმედ ესევეითარსა იგონებენ, ამისთვს ვითარცა-იგი მონაფეთა მიმართ იოვანესთა კეთილად ყო სიტყუად, ეგრეთვე ერისა მიმართ ჯეროვანი ბრძანებად განაჩინა.

და ვითარცა მონაფენი იოვანესნი წარვიდეს, „იწყოს იესუ სიტყუად ერსა მას იოვანესთს“.

რადსათვს ვინაფთგან იგინი წარვიდეს, მაშინ იწყოს სიტყუად? ამისთვს, რადთა არა შეჰრაცხონ ერთა მათ, თუ მომადლებისათვს იოვანესისა იტყვს, ვითარმცა მონაფეთა მისთა მიუთხრეს მას. ხოლო არა უთხრა ერსა, თუ ამას ესევეითარსა ჰზრახავთ გულთა შინა თქუენტა, არამედ იტვსა მის მათისა ხოლო განმარტებად მიუთხრა, რადთა ესრეთ უმხილებელად ეუწყოს მათ, ვითარმედ არარად დაეფარვის ზრახვათაგან გულისათა. ამისთვს არა ჰრქუა, ვითარცა ოდესმე მნიგნობართა მათ ეტყოდა: „რადსათვს თქუენ ბოროტსა ჰზრახავთ გულთა შინა თქუენტა?“² რამეთუ დაღაცათუ მოიგონეს ამათ ესევეითარი, არამედ უმეცრებისაგან სიტყუათა იოვანესთა, და არა თუ შურისა და უკეთურებისაგან, ვითარცა მაშინ მნიგნობართა მათ. ხოლო არა შერისხვით ჰრქუა ერსა მას, არამედ სახიერებით და სიბრძნით გულისწმა-უყო იოვანესთს, ვითარმედ არა შეცვალეებულ არს გონებად მისი პირველისა მის წამებისაგან. რამეთუ არა არს იგი კაცი აღტაცებული და ლელვატეხილი და ადვილად შეცვალეებადი, არამედ მტკიცე და შეურყეველი გონებითა. და პირველად კითხვისსახედ იწყოს და ჰრქუა მათ:

სახარებად: „რადსა გამოხუედით ხილვად? ლერწმისა, ქარისაგან შერყეულისა?“ (11,7).

¹ მათ. 11,3.

² მათ. 9,4.

თარგმანი: ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: რადსათჳს, ოდეს იგი უდაბნოთ მოვიდა იორდანედ, დაუტევენით ყოველთა ქალაქნი და სოფელნი და სახლნი და საქმენი, განხუედით ყოველნი ხილვად მისა? კაცისა დღევაალტეხილისა გენებაა ხილვად და ლერწამებრ ყოველთაგან ქართა შერყეულისა? რამეთუ რომელნი დაუდგრომელ არიან გონებითა და დღეს სხუასა გულისსიტყუასა ზედა იყენიან და ხვალე სხუასა, იგინი არიან ლერწამ ყოვლისა ქარისაგან შერყეულ. ან უკუე ესოდენნი ეგე ერნი და სიმრავლენი აურაცხელნი ესრეთ დაუდგრომელისა კაცისა ხილვად განხუედითა? ნუ იყოფინ! უკუეთუმცა არა გულსავსე იყვენით, ვითარმედ დიდ ვინმე არს და კლდისა უმტკიცესი კაცი, არამცა ყოველი ჰურიასტანი და იერუსალჳმი შეკრებულ იყო მისა აღსაარებად ცოდვათა თჳსთა და ნათლის-ღებად.

სახარება: „არამედ რადსა გამოხუედით ხილვად? კაცისა, ჩჩვლითა სამოსლითა შემოსილისა? აჰა ესერა რომელნი ჩჩვლითა სამოსლითა შემოსილ არიან, სახლთა შინა სამეუფოთა არიან“ (11,8).

თარგმანი: ესეცა სიტყუად ამას მოასწავებს, ვითარმედ თავით თჳსით გონებადაუდგრომელ არა იყო. და ამას თქუენცა მენამებით ესოდენითა მით მოსწრაფებით მისა მიმართ შეკრებითა თქუენითა. კუალად ვერცა ამას იტყვთ, თუ: იყო იგი მტკიცე და შეურყეველ თავით თჳსით, ხოლო ვინაჲთგან მოქალაქობად იგი საკვრველი შეცვალა და შუებად იწყო, სიმტკიცეცა იგი გონებისა მისისაჲ შეცვალა; რამეთუ რომელნიმე კაცნი ბუნებით სუბუქ და გონებალტეხილ არიან, სხუანი კუალად ფრიადისა შუებისა და ფუფუნებისაგან ესრეთ იქმნებიან, ხოლო იოვანე არცა ბუნებით ესევეთარი იყო, რამეთუ არა თუ ლერწმისა ხილვად განხუედით ესოდენი იგი ერნი, არცა შუებასა მისცა თავი თჳსი და სათნოებად იგი თჳსი წარწყმიდა. რამეთუ წამებს სამოსელი იგი მოღუანებისა მისისაჲ შეუცვალელებელი და მეუდაბნოებად და ან კუალად საპყრობილე, ვითარმედ არა მიერჩდა ყოვლადვე შუებასა და განსუენებასა; რამეთუ უკუეთუმცა სიმტკიცე გონებისა მისისაჲ არა შეუცვალელებელ იყო, არამცა პირველად უდაბნოს დამკვდრებულ იყო ცნობათა უაღრესითა მოღუანებითა; არამცა ან საპყრობილეს შევრდომილ იყო, უკუეთუმცა ენება ჩჩვლითა სამოსლითა შემოსად და შუებად, არამედ სახლთამცა შინა სამეუფოთა იქცეოდა. რამეთუ უკუეთუმცა და-ხოლო-ედუმნეს, ბევრეულითამცა პატივითა პატივ-ეცა ჰეროდეს, რომელი-იგი შემდგომად მხილებისაცა და საპყრობილედ შეყენებისა ესოდენ სირცხვლეულ იყო მისგან და ეშინოდა და პატივსცემდა; უკუეთუმცა დაედუმა მხილებისა მისგან, ვითარიმცა პატივი არა ერუენა მისდა.

ვინაჲთგან უკუე საქმით გამოაჩინა სიმტკიცისა თჳსისა და შეურყეველისა გონებისა წამებად, რამეთუ არცა მოღუანებად იგი უდაბნოსაჲ დაუტევა, არცა სიფიცხე სამოსლისა თჳსისაჲ შეცვალა, არცა შებორკილებასა

და საპყრობილედ შეყენებასა ჰრიდა და დადუმნა მხილებისაგან მეფისა, ვითარ ან იჭუეულ ხართ, თუ შეცვალებულ არს გონებად მისი წამებისა თვისისაგან, რად-იგი წამა ჩემთვის, ანუ იჭუეულ არს, რომელსა-იგი მაშინ არა იჭუეულ იყო?

ესევეითარი რად განწესებად სათნოებისა მისისაჲ მიუთხრა, ან კუალად აუნყებს საზომსა წინაღსწარმეტყუელებისა მისისასა და იტყვს:

სახარებაჲ: „**არამედ რადსა გამოხუედით ხილვად? წინაღსწარმეტყუელისა? ჰე, გეტყვ თქუენ, და უმეტეს წინაღსწარმეტყუელისა. რამეთუ ესე არს, რომლისათჳს წერილ არს: აჰა ესერა წარვავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, რომელმან განმზადნეს გზანი შენნი წინაშე პირსა შენსა“** (11,9-10).

თარგმანი: პირველად თვთ იგინივე, ჰურიათა ერნი მოიყვანნა მონამედ სათნოებისა მის იოვანესა, რამეთუ სარწმუნო არს მტერთამიერი წამებაჲ; მეორედ, მისისა მის მოქალაქობისაგან გამოაჩინა მისი სიმაღლე; მერმე თავისა მიერ თვისისა თქუა ქებად მისი: „ჰე, გეტყვ თქუენ, უმეტეს წინაღსწარმეტყუელისა“; და ან წინაღსწარმეტყუელი შემოიყვანა მონამედ თქუმულთა მათ, რადთა ყოვლითურთ აუნყოს საზომი სათნოებისა მისისაჲ. ხოლო თქუა რად, ვითარმედ: „უმეტეს წინაღსწარმეტყუელისა“, გამოაჩინა, თუ რომლითა სახითა არს უმეტეს წინაღსწარმეტყუელთასა. რომლითა უკუე სახითა არს უმეტეს ყოველთა წინაღსწარმეტყუელთა? – რამეთუ ღირს იქმნა მეუფისა თუალითა ხილვად. ამისთვისცა იტყვს: „წარვავლინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა“. ესე იგი არს, მახლობელად შენსა. რამეთუ ვითარცა სლვასა შინა მეუფისა დიდებულისასა, რომელი მახლობელად მისა ვიდოდის, სხუათა უპატიოსნეს არს, ეგრეთვე იოვანე მახლობელად მეუფისა მის მეუფეთაჲსა აღასრულა წინაღსწარმეტყუელებაჲ თვისი და ღირს იქმნა თუალით ხილვად მისა და ნათლის-ცემად, იხილა სული წმიდაჲ სახედ ტრედისა, ესმა ჴმად მამისაჲ ზეგარდამო, და ესრეთ იქმნა სხუათა მათ წინაღსწარმეტყუელთა ყოველთა უმეტეს. ამისთვისცა რაჟამს ესე ყოველი წარმოუთხრა ერსა მას უფალმან, მერმე თვისითა მით ბრძანებითა დაამტკიცა და განაჩინა საზომი იოვანესი და თქუა:

სახარებაჲ: „**ამენ გეტყვ თქუენ: არა აღდგომილ არს ნაშობთაგანი დედათაჲ უფროს იოვანესა ნათლისმცემელისა“** (11,11).

თარგმანი: კმა არს ამას ზედა წამებაჲ მეუფისაჲ, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: არა უშობიეს დედაკაცსა უმეტესი მისა კაცი დიდი და საკურველი წინაშე ღმრთისა. ხოლო რომელსა ენებოს საქმეთაგანცა საზომი მისი ცნობად, გულისწმა-ყავნ, ტაბლად მისი ვითარი იყო, სამოსელი მისი, მოქალაქობაჲ, ზრდილობაჲ, და ცნას ჭეშმარიტებაჲ; რამეთუ ვითარცა ანგელოზი იქცეოდა ქუეყანასა ზედა და იძულებათა მათ ბუნებისა-

თა უზეშთაეს იქმნა; უცხოვ გზად წარვლო სოფელსა ამას შინა; ყოველნი დღენი მისნი აღასრულნა ლოცვითა და ვედრებითა; არავის სადა კაცთაგანსა ეზრახა, არამედ მარადის ღმერთსა ჰზრახვიდა; არცა ვის თანამონათაგანსა შეერთო; არცა ვინ მისა მივიდოდა; არა აღიზარდა სძითა დედისაჲთა; არა იწმარა ცხედარი, არცა სართული, არცა ვაჭრობად, არცა სხუად რად კაცობრივი. და ამას ყოველსა ზედა იყო კაცი სახიერიცა და ფიცხელიცა. იხილე, ვითარ სახიერებით ეტყოდა მოწაფეთა თვსთა და მხილებით – ერსა ჰურიათასა და კადნიერებით – მეფესა. ამისთვის იტყვს: „არა აღდგომილ არს ნაშობთაგანი დედათაჲ უფროსს იოვანესა ნათლისმცემელისა“.

ხოლო კუალად, რაჲთა არა სიტყვითა ამით იქმნას წინააღმდეგომი ფრიადისა მისთვის ქებისა და შეჰრაცხონ იგი ჰურიათა უმეტეს ქრისტესა, იხილე, ვითარ განკურნა ესეცა იქვ და თქუა:

ს ა ხ ა რ ე ბ ა ე : „**ხოლო უმცირესი სასუფეველსა ცათასა უფროსს მისა არს**“ (11,11).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ვინაჲთაგან ჰასაკითაცა ჯორციელითა უხუცესს იყო იოვანე და მღვდელთმოძღურისა ძე და უდაბნოს აღზრდილი და ყოველთა მიერ სახელოანი (რამეთუ განვიდოდესო მისა ყოველი იერუსალჴში და ჰურიასტანი და ნათელს-ილებდეს და აღიარებდეს ცოდვათა თვსთა, და ჰყვა იგი ყოველსა ერსა, ვითარცა მოძღუარი; ხოლო ქრისტესთვის იტყოდეს: „არა ესე არსა ძე იოსებისი?“¹ და „აჴა კაცი მჭამელი და მსუმელი ღვინისაო“;² და შეურაცხად საგონებელს იყო უგუნურთა მათ მიერ), ამისთვის მათისა სიტყვსა და გულისსიტყვსაებრ თქუა თავი თვისი უმცირესად, ვითარმედ: რომელი-ესე თქუენ მიერ უმცირესს საგონებელს არს, უფროსს მისსა არს სასუფეველსა ცათასა, რამეთუ მეუფე არს და დამბადებელი მისი და ყოველთაჲვე.

თქუას ვინმე, ვითარმედ: რაჲ არს ესე სიტყუაჲ? და შემსგავსებითა იოვანესითა ხოლო არსა სიდიდეს მისი? ნუ იყოფინ! არცა იოვანე, იტყოდა რაჲ: „მოვალს უძლიერესი ჩემსა“,³ შემსგავსებასა იქმოდა მისსა თავისა თვისისა თანა; არცა პავლე, ოდეს მოსესთვის აწსენა და თქუა: „უმრავლესსა დიდებასა ესე ღირს იყო, ვიდრე მოსე“,⁴ შემსგავსებასა მათსა ჰყოფს, არამედ ესე წესს არს წერილთა შინა და მრავალგზის გულისწმისსაყოფელად უგულისწმითა იქმს შემსგავსებასა შეუმსგავსებელთასა, ვითარცა იტყვს: „არავინ არს მსგავსს შენდა ღმერთთა შორის, უფალო“;⁵ და კუალად: „არა არს ღმერთი, ვითარ ღმერთი ჩუენი“.⁶ არა თუ შემსგავსებასა იქმს კერპთასა ღმრთისა თანა, არამედ უგულისწმითათვის თქუა ესრეთ. ეგრეთვე აქა, ვინაჲთაგან დიდად შეერაცხა ყოველთა იოვანე, და მას ჟამსა კადნიერებით

¹ იოან. 6,42.

² მათ. 11,19.

³ მათ. 3,11.

⁴ ებრ. 3,3.

⁵ ფსალმ. 85,8.

⁶ ფსალმ. 76,14.

მხილება მანცა მეფისამან და შეყენებამან მისმან საპყრობილედ უმეტესად-
ლა აღაორძინა სახელი მისი, და ან უფალმანცა დიდი ესე ქება ნარმოთქუა
მისი, მერმე უძღურებისა მისთვის მსმენელთადასა თქუა ესრეთ, ვითარმედ:
უმცირესად შერაცხილი ესე თქუენ მიერ სასუფეველსა ცათასა უფროს
მისა ვარ. და ვითარ ეგებოდა თქუმად ერისა მიმართ უგულისწმოდსა და
უმეცრისა? ხოლო რად არს „სასუფეველსა ცათასა“? ესე იგი არს, ყოველ-
სავე სულიერსა და საღმრთოსა საქმესა შინა.

მრავალნი ამის სიტყვსათვსცა ამაოდ ცუდადმეტყუელებენ. რომელ-
ნიმე იტყვან: მოციქულთათვს თქუაო; სხუანი იტყვან: ანგელოზთათვსო;
რამეთუ ოდეს ერთგზის სამეუფოდსა გზისაგან ვინ შესცთეს, მრავალთა
უგზოთა ადგილთა შთავარდების. რამეთუ რომელი არს პირი ამის სიტ-
ყვსად, ანუ მოციქულთათვს თქუმად, ანუ ანგელოზთათვს? უკუეთუმცა
მოციქულთათვს იტყოდა, რად დაყენება იყო განცხადებულად თქუმად?
არამედ ცუდ არს სიტყუად ესე და ამაო. თავისა თვსისათვს თქუა უმეტე-
სობად, რომელი ჭეშმარიტად შეუმსგავსებელ არს ყოველთა მიერ.

და ესეცა სიტყუად, თუ: „ნაშობთაგანი დედათა“, თავსა თვსსა მოას-
ნავებდა განყოფად იოვანესგან და უმეტესობისა ჩუენებად. რამეთუ დალა-
ცათუ იგიცა დედაკაცისაგან შობილ იყო, გარნა არა ესრეთ, ვითარ იოვანე
და სხუანი კაცი. რამეთუ არა კაცი ლიტონი იყო, არცა წესითა მით სხუა-
თა კაცთა შობისადათა შობილი, არამედ უცხოდ იყო შობად მისი და საკვრვე-
ლი. უთესლოდ შევიდა საშოსა დედისასა და უხრწნელად იშვა და დედად
შემდგომად შობისა ქალწულადვე დაიცვა ჭეშმარიტად.

ს ა ხ ა რ ე ბ ა დ : „რამეთუ დღითგან იოვანე ნათლისმცემლისადათ ვიდ-
რე აქამომდე სასუფეველი ცათად იიძულების; და რომელნი იიძულებდენ,
მათ მოიტაცონ იგი. რამეთუ ყოველნი წინადასწარმეტყუელნი და შჯული
ვიდრე იოვანესამდე წინადასწარმეტყუელებდეს“ (11,12).

თ ა რ გ მ ა ნ ი : რად შეწყობილება აქუს ამას სიტყუასა ზემოსა მას
თანა? ჰე, ჭეშმარიტად ფრიადი აქუს ერთობად, რამეთუ ამათ სიტყუათა
მიერ ენამების იოვანეს მიერ თქუმულთა და მოიზიდავს მსმენელთა სარ-
წმუნოებად თვსად, ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: ამით საცნაურ იყავნ
თქუენდა, რამეთუ მე ვარ მომავალი იგი, რომელ ყოველნი წინადასწარ-
მეტყუელნი წინადასწარმეტყუელებდეს იოვანესამდე. ხოლო მო-რად-ვიდა
ესე წინაშე პირსა ჩემსა მოვლინებული წინადასწარმეტყუელი, დადუმნეს
ყოველნივე. ამისთვის დადუმნეს შჯული და წინადასწარმეტყუელნი, რამე-
თუ მოვედ მე, რომლისათვს იყო წინადასწარმეტყუელთა ქადაგებად. უკუე-
თუმცა არა მოსრულ ვიყავ, არამცა დაყენებულ იყო წინადასწარმეტყუე-
ლებად; ნურარას უკუე მოელით და ჰგონებთ სხუასა ქრისტესა მოსლვად
ჩემსა გარეშე, არამედ დადუმებისაგან წინადასწარმეტყუელთადასა და დღი-
თი-დღე მაიძულებელთა მათგან ბუნებისათა, რომელნი სარწმუნოებითა

ჩემითა მიიტაცებენ სასუფეველსა, ცანთ, ვითარმედ მე ვარ ქრისტე; რამეთუ ვინაფთგან ნათლისმცემელმან იოვანე იწყო ქადაგებად, მიერთგან სარწმუნოებად ჩემი განცხადებულ არს, რომელსაცა სასუფეველად ჭეშმარიტად ეწოდების, რამეთუ მომატყუებელი არს სასუფეველისა და ჯამაღლად იქადაგების და მოუწოდს ყოველთავე; რომელნიცა უკუე არა ამოებისა და წარმავალისა ამის განსუენებისა მოყუარენი არიან, არამედ მაიძულებელნი ბუნებისანი, იგინი შეინყნარებენ სარწმუნოებასა ჩემსა და მიიტაცებენ სასუფეველსა ცათასა. რამეთუ მცნებათა მათთვის მალალთა და სულიერთა ქადაგებისა მისისაფთა მაიძულებელად ბუნებისა სახელსდვა ქადაგებასა მას. ამისთვისცა იტყვს ლუკა: „სასუფეველი ღმრთისად ეხარებისო“,¹ რომელი ამან თქუა, თუ: „იძულების“.

ს ა ხ ა რ ე ბ ა : „და უკუეთუ გნებავს შეწყნარების, იგი არს ელია, რომელი მომავალ არს. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!“ (11,14-15).

თ ა რ გ მ ა ნ ი: წერილ არს: „მოგივლინო ელია თეზბიტელი, რომელმან მოაქცინეს გულნი მამათანი შვილთა მიმართ“.²

ან „უკუეთუ გნებავსო შეწყნარების, იგი არს ელია“. ნეფსითსა ეძიებს შეწყნარებასა ქადაგებისასა, ამისთვის იტყვს: „უკუეთუ გნებავს“; ესე იგი არს, არავის ვაიძულებო, არამედ ნეფსითსა ვეძიებ მოქცევასა; არამედ ამას ხოლო გაუნყებ, ვითარმედ ამათ ერთავე ერთი მიუღებებს მსახურებად, და ერთადავე წინამორბედებად მოცემულ არს: ერთი ესე წინამორბედ იქმნა აწინდელისა ამის მოსლვისა ჩემისა, და ერთი იგი მომავალ არს წინამორბედად მეორისა მის მოსლვისა. ამისთვისცა არა თქუა, თუ: იგი არს ელია, არამედ: „უკუეთუ გნებავს შეწყნარების, იგი არს ელია, რომელი მომავალ არს“. უკუეთუ გნებავს გულისჯმის-ყოფად და გულითა ღმობიერთთა შეწყნარებად თქუმულთაფ ამათ, შეინყნარეთ სიტყუად მისი, ვითარცა ელიაფსი, რამეთუ ძალითა მით და სულითა ელიაფსითა მოსრულ არს.³ ვითარცა იგი ქადაგად და წინამორბედად ჭეშმარიტად მეორედ მოსლვისა მომავალ არს, ეგრეთვე ესე ჭეშმარიტი ქადაგი და წინამორბედი მოვიდა ამის მოსლვისაფ. ესევეითარნი რაფ სიტყუანი გულისჯმის-ყოფისანი მიუთხრნა, მეყსეულად შესძინა: „რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!“ ესე თქუა, რაფთამცა მოიყვანნა იგინი გულისჯმის-ყოფად და კითხვად მისა განმარტებად სიტყუათა ამათ. არამედ მათ უგულისჯმოებისაგან არცა ჰკითხეს, არცა ისწავეს, თუ ვითარ იძულების სასუფეველი ცათაფ, ანუ ვითარ მიმსგავსებულ არს იოვანე ელიაფსა; არა თუ ეშინოდა კითხვად, რამეთუ მრავალგზის საქმეთათვს არად საჭიროთა ჰკითხიან, რომელი არს მცნებად პირველიო, და კუალად ქორწინებისათვს და განტევენისათვს ცოლისა და სხუათა ცუდთა საქმეთა. არა უფროფსად მის მიერ

¹ ლუკ. 16,16.

² მალ. 4,5-6.

³ შდრ. ლუკ. 1,17.

თქუმულთამცა განმარტებად ჯერ-იყო კითხვად, უკუეთუმცა სურვიელ იყვნეს სწავლად? ამისთვისცა მიხედნა იესუ გონებათა მათთა და თქუა:

სახარებად: „ან ვის გამსგავსო ნათესავი ესე? მსგავს არს ყრმათა, რომელნი სხენედ უბანთა და მოუნესედ მოყუასთა თვსთა და ეტყვედ მათ: გისტვენედით თქუენ, და არა ჰროკევდით; გიგოდებდით, და არა იტყებდით“ (11,16-17).

თარგმანი: კუალად საგონებელ არს სიტყუად ესე, თუ არა შეწყობილ არს პირველთქუმულთა მათ სიტყუათა ძალსა, გარნა ფრიადი აქუს ამასცა მათა მიმართ განუყოფელობად, რამეთუ მასვე პირსა განჰმარტებს, ვითარმედ ყოველივე სიტყუად და საქმე იოვანესი მისსა განგებულებასა ენამებოდა, დაღაცათუ საგონებელ იყო წინააღმდგომად; რამეთუ მრავლით კერძო და მრავალსახედ ისწრაფა უგუნურთა მათ ჰურიათა სარგებელი, დაღაცათუ მათ არა ინებეს. ამისთვის, ვითარცა-იგი იტყოდა წინადასწარმეტყუელისა მიერ, ვითარმედ: „რადღა ჯერ-იყო ქმნად სავენაჯისა მის, და არა ვქმენ?“¹ ეგრეთვე ან იტყვს ჭეშმარიტითა მით პირითა თვისითა:

სახარებად: „ვის გამსგავსო ნათესავი ესე? მსგავს არს ყრმათა, რომელნი სხენედ უბანთა და მოუნესედ მოყუასთა თვსთა და ეტყვედ მათ: გისტვენედით თქუენ, და არა ჰროკევდით; გიგოდებდით, და არა ეტყებდით. მოვიდა იოვანე, არცა ჭამდა, არცა სუმიდა, და იტყვან, ვითარმედ: ეშმაკეული არს. მოვიდა ძე კაცისაჲ, ჭამს და სუამს, და იტყვან: აჰა კაცი მჭამელი და ღვნისმსუმელი, მეგობარი მეზუერეთა და ცოდვილთაჲ“ (11,16-19).

თარგმანი: ხოლო განმარტებად სიტყვსად ამის ესრეთ არს: განყოფილი გზად და ურთიერთას წინააღმდგომი ვიპყართ მე და იოვანე, რადთამცა ანუ მით გზითა, ანუ ამით მოვინადირეთ ერი ესე განდგომილი; ვითარცა მონადირეთა ეგულებინ რად ნადირისა ძნად სანადიროდსა ნადირებად და სადარნოდსა მისისაგან გამოყვანებად, ერთმან ერთკერძოდ გზად იპყრის და ერთმან – ერთკერძოდ, – რომელმანმე ძნელოვანისა კერძი და რომელმანმე სიადვილისაჲ, – რადთა ერთისა ვისმე მიერ შეპყრობილ იქმნას.

ვინაფთგან უკუე ყოველნივე კაცნი სათნო არიან მოქალაქობასა ზედა მოლუანებისასა და მარხვისა იგი ფრიადი სიმაღლე საკურველად უჩნს სიფიცხისა და სიძნელისა მისისათვის, ამისთვის განგებულებით იქმნა პირველითგანვე ჰასაკით იოვანესით მარხვასა შინა ფრიადსა და მოლუანებასა წარმართებად მისი, რადთა სარწმუნო იყვნენ სიტყუანი მისნი. თქუას ვინმე, ვითარმედ: რად არა თავადმანცა იესუ ესევე იპყრა გზად? არამედ უწყოდენ, ვითარმედ თავადმანცა ესევეთარივე იპყრა გზად, ამისთვისცა ორმე-

¹ ესაია 5,4.

ოცი დღე იმარხა, და კუალად მიმოვიდოდა და არა აქუნდა ადგილი, სადა თავი მიიდრიკოს, და ყოველნი დღენი ქუეყანასა ზედა მოქალაქობისა მისისანი ესრეთ ინროებით და მოლუანებით აღასრულნა; გარნა ოდეს ჯერ-არნ და სამართალ, სარგებლისათჳს სხუათაჲსა და მოქცევისათჳს წარწყმედულთაჲსა, ჭამადისაცა მიღებაჲ არა უღირს-იჩინის და სახლად მრავალთა შვეიდის, ვითარცა ზაქესთჳს წერილ არს და მათესთჳს და სიმონისთჳს და სხუათა მრავალთა, რამეთუ ეძიებდა წარწყმედულთა პოვნად და ამისთჳს ყოველთა ადგილთა მივიდოდა, ყოველსავე იქმოდა ცხორებისა მათისათჳს.

ხოლო იოვანე ყოვლითურთ მარხვისა და მოლუანებისა გზად შეიკრძალა, რადთა ესრეთ წამებაჲ და ქადაგებაჲ მისი სარწმუნო იყოს. და კუალად მან არარაჲ ქმნა სხუაჲ, გარნა მოქალაქობაჲ ხოლო მოლუანებისა ფიცხლისაჲ, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „იოვანე სასწაული არაჲ ქმნა“;¹ ხოლო უფალსა სასწაულთა მათგან საკვრველებათა დიდი აქუნდა წამებაჲ, და ბრწყინვიდა სახელი მისი ყოველსა ქუეყანასა საქმეთა მათთჳს ცნობისა უაღრესთა. რამეთუ განანესა იოვანესი მარხვითა და მოლუანებითა ფრიადითა სახელოვნობაჲ, ხოლო თავადი კუალად სასწაულთა მიერცა განთქუმულ იყო და, სადა-იგი ჯერ-არნ, მეზუერეთაცა და ცოდვილთა თანა ჭამნ და სუამნ ცხორებისა მათისათჳს.

ხოლო უგუნურთა მათ ჰურიათა უკუეთუ მარხვაჲ და მოლუანებაჲ სთნდა და საკვრველად აქუნდა, უჭმდა სმენაჲ იოვანესი და შეწყნარებაჲ ქადაგებისა მისისაჲ, რომელი-იგი ქრისტეს შეაწყნარებდა მათ. კუალად, უკუეთუ მისი იგი მოლუანებაჲ მძიმე უჩნდა, უჭმდა შეწყნარებაჲ ქრისტეს სიტყუათაჲ და სარწმუნოებაჲ მისა მოსლვაჲ, რომელი სამეუფოსა და საშოალსა გზასა ვიდოდა მათისა ცხორებისათჳს. გარნა იგინი მიემსგავსნენ მვეცსა ველურსა, ორკერძოვე შემფრთხალსა. ამისთჳსცა ორსავე წინა-აღუდგებოდეს, რადთა არა მიიღონ ყოვლადვე კურნებაჲ, და აღესრულოს მათ ზედა სიტყუაჲ იგი წინაჲსწარმეტყუელისაჲ, რომელსა იტყჳს, ვითარმედ: „ვჰკურნებდით ბაბილონსა, და არა განიკურნა“;² რომლისათჳსცა იტყჳს უფალი: „მსგავს არს ნათესავი ესე ყრმათა, რომელნი სხენედ უბანთა და მოუწნესდ მოყუასთა თჳსთა და ეტყჳედ მათ: გისტკნევდით თქუენ, და არა ჰროკვედით; გიგოდებდით, და არა ეტყებდით“. ესე უკუე სიტყუაჲ ამას ნათესავსა ზედა აღესრულების.

„გისტკნევდით, და არა ჰროკვედით“. ესე იგი არს, წინაგყავ თქუენ მოქალაქობაჲ ნუგეშინის-ცემისაჲ, რადთამცა სიხარულით შემომიდეგით, და არა გრწმენა. „გიგოდებდით, და არა ეტყებდით“. ესე იგი არს, ვითარმედ: იოვანე გიჩუენა ცხორებაჲ ფიცხელი და მოლუანებაჲ უნუგეშინისცემოჲ, და არავე მიხედენით, არცა გრწმენა. ხოლო არა თქუა, თუ: მე ესე გიჩუენე და მან – იგი, არამედ ვინაჲთგან ორთავე საქმე ერთი იყო,

¹ იოან. 10,41.

² იერ. 51,9.

დალაცაოთუ სახე წინააღმდეგომ იყო, ამისთვის ერთად და ვითარცა ზოგად ქმნილსა იტყვს, რამეთუ ორივე ესე წესი საქმეთად მათისა სარგებელი-სათვს ქმნეს, რადთა არღარად აქუნდეს მიზეზი. ამისთვისცა შესძინა და თქუა:

სახარებაჲ: „და განმართლდა სიბრძნე შვილთაგან თვსთა“ (11,19).

თარგმანი: ესე იგი არს, დალაცაოთუ თქუენ არა გრწმენაო, არამედ მე, რადცა ჯერ-იყო ქმნად, ვქმენ, რადთა არცა ერთი რად გაქუნდეს მიზეზი, ვითარცა იტყვს წინაღმართმეტყუელი: „რადთა განჰმართლდე სიტყვთა შენითა და სძლო სჯასა შენსა“.¹ ესე იგი არს, ოდეს წარმოვდგეო წინაშე შენსა სჯად და გამოაცხადო, ვითარმედ ყოვლით კერძო შეცოდებულ ვარ და უსიტყუელ, მაშინ იპოოს შენისა მის სახიერებისა ძლევად ფრიადი, და მე გამოვჩნდე შეცოდებულად. ეგრეთვე ან იტყვს, ვითარმედ: საქმეთაგან ამათ სიბრძნე ჩემი განმართლდა, რამეთუ არარად დაუტევე, რომელი არა ვაჩუენე ცხორებისა მისთვის უმადლოთადას. ხოლო უკუეთუ იგავნი ესე უცხო არიან, ნუ გიკვრს, რამეთუ მრავალი ესევითარი უცხოებასე იგავი წერილთა შინა თქმულ არს უგულისწმობთა მათ მიმართ.

იხილეთ უკუე მათი იგი განდრეკილი გონებაჲ: იოვანე ფრიად მმარხველი იყო და იტყოდეს, ეშმაკეული არსო; იესუ არა ესრეთ ფიცხელ იყო, არამედ სახიერ და ტკბილ და ნუგეშინისმცემელ, და ჰგომობდესვე. ესრეთ ყოვლით კერძო წინააღმდეგომ იყვნეს ჭეშმარიტებისა. ამისთვის ლუკას თავსა შინა იტყვს უმეტესსა შესმენასა მათსა, ვითარმედ: „მეზუერეთა განმართლეს ღმერთი და ნათელ-იღეს ნათლის-ცემითა იოვანესითა; ხოლო ფარისეველთა და შჯულისაგანთა ზრახვად ღმერთისად შეურაცხ-ყვეს“.²

ვინადთაგან უკუე გამოაჩინა ესე ყოველი, და განმართლდა ჭეშმარიტად სიბრძნე მისი, და იპოვნეს უმადლონი იგი და უგულისწმონი დასჯილ, ამიერითაგან იწყო ყუედრებად მათდა, რომელთა არა ინებეს არცა მოძღურებისა მის სიტყუათადასა შეწყნარებად, არცა ბრწყინვალეებისა მის სასწაულთადასა ხილვად, ვითარცა იტყვს მახარებელი:

სახარებაჲ: „მაშინ იწყო იესუ ყუედრებად ქალაქებისა მის, სადა იგი იქმნეს უმრავლესნი ძალნი მისნი, რამეთუ არა შეინანეს: ვად შენდა, ქორაზინ, და ვად შენდა, ბეთსაიდა! რამეთუ ტვროსს თუმცა და სიდონს იქმნეს ძალნი, რომელნი იქმნეს თქუენ შორის, მაშინვე სამემცა ძაძითა ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს. ხოლო გეტყვ თქუენ, რამეთუ ტვროსი და სიდონი უმოლხინეს იყოს დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე თქუენ. ხოლო შენ, კაპერნაუმ, ნუ ცადმდე აჰმალდები, არამედ ჯოჯო-

¹ ფსალმ. 50,6.

² ლუკ. 7,29-30.

ხეთამდე შთაჰყვდე, ვითარმედ სოდომას თუმცა იქმნეს ძალნი, რომელნი იქმნეს შენ შორის, ჰგვიანმცა დღენდელად დღედმდე. ხოლო გეტყვ თქუნენ: ქუეყანად იგი სოდომისა და გომორისად უმოლხინეს იყოს დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე შენ“ (11,20-24).

თ ა რ გ მ ა ნ ი: რადთა სცნა, ვითარმედ ნებანი იყვნეს მათნი ბოროტნი და არა ბუნებანი, ამისთვის სახელებიცა თქუა ქალაქთად მათ, რომელთა შორის იყო ბეთსაიდაცა, რომლისაგან ხუთნი მოციქულნი გამოვიდეს, რამეთუ პეტრე და ანდრეა, იაკობ და იოვანე და ფილიპე მის ქალაქისანი იყვნეს. რად იყო უკუე დამაყენებელ მათცა ეგრეთვე რწმუნებად ქრისტესა, ვითარცა ამათ ჰრწმენა? არარად სხუად, გარნა ნებად. ამათ თანა იყო გონებად და ნებად კეთილი, და შეიყუარეს ქრისტე. იგინი უკეთურ იყვნეს გონებითა და ნებანი აქუნდეს ბოროტნი, ამისთვისცა დაადგრეს ურწმუნობასა შინა და მიემსგავსნეს, უფროდსლა უძკრეს იქმნეს სოდომელთადასა, რამეთუ თუალითა ხედვიდეს სასწაულთა უფლისათა და ყურითა ესმოდეს სწავლანი მისნი და არავე ჰრწმენა. ხოლო უფალი ნამებს, ვითარმედ სოდომელთა თუმცა ეხილვა დიდებულება მისი, მომცა-ქცეულ იყვნეს, და ტკრელთამცა და სიდონელთა შეენანა; ხოლო ქალაქთა ამათ უკეთურთა არა შეინანეს. ამას ებეკიელცა წინადასწარ აყუედრებდა იერუსალჴმსა და ეტყოდა, ვითარმედ: „განამართლენ ურჩულოებითა შენითა დანი შენნი, სოდომად და გომორად“.¹ ხოლო ესევეითარისა ამის უკეთურებისა მოქმედთა ეტყვის უფალი, ვითარმედ: უძკრესი სოდომელთასა შეემთხვოს დღესა მას სასჯელისასა და უბოროტეს ტკრელთასა იტანჯნენ.

სწავლად ლჳ

რადთა გუეშინოდის საუკუნოდსა სასჯელისაგან

ესე ყოველი ჩუენცა ყურად-ვილოთ, მორწმუნენო, რამეთუ არა ურწმუნოთათვს ხოლო, არამედ ჩუენთვს უძკრესი სოდომელთადასა განწესებულ არს სატანჯველი, უკუეთუ არა შევიწყნარებდეთ უცხოთა, უკუეთუ არა მივეგებვოდით მოციქულთა, ჩუენდა შემომავალთა, რომლისათვსცა უბრძანებთ მათდა განყრად მტუერსა ფერჯთა მათთასა ესევეითარისა მოქმედთა ზედა.

თქუას ვინმე, ვითარმედ: ოდეს მოვიდა ჩემდა მოციქული და არა შევიწყნარე? არამედ უკუეთუ გულისჯმა-ვყოთ, ვპოვნეთ თავნი ჩუენნი ესევეითარისა ამის საქმისა მოქმედად. რამეთუ რომელ-ესე დაუჴშავთ უცხოთა და გლახაკთა კარსა, არა ქრისტესა მიინევისა, რომელ-იგი უმეტეს არს

¹ შდრ. ეზეკ. 16,51.

ყოველთა, ვითარცა მეუფე და დამბადებელი? და არა ხოლო თუ კართა დაუწავთ, არამედ სასმენელთაცა; და არა ხოლო თუ გლახაკთა და უცხოთა წმასა არა ვისმენთ, არამედ არცა თუ მოციქულთასა. ამისთვისცა, ვინათგან მოციქულთასა არა ვისმენთ, არცა გლახაკთა მიუპყრობთ ყურსა. რამეთუ ოდეს იკითხებოდინ სიტყუანი პავლესნი და ყურსა არა მიუპყრობდე, ოდეს ქადაგებდეს იოვანე და შენ არად შეგერაცხოს, არა დაგიყოფიანა ყურნი სმენად წმასა მოციქულთასა? ვინათგან უკუე მოციქულთა წმასა ესრეთ შეურაცხ-ჰყოფ, შენ გლახაკთა წმად ოდეს გესმეს?

არამედ გვედრები, საყუარელნო, განვახუნეთ ყურნი ჩუენნი სმენად წმასა მოციქულთასა და კარნი ჩუენნი შეწყნარებად უცხოთა, რამეთუ ამისგან ვიეთმე რეცა არა უწყოდესო და ანგელოზნი ისტუმრნეს; შევიკრძალნეთ მცნებანი ქრისტესნი, რათა არა უძკრესი სოდომელთასა შეგუემთხვოს, ვითარცა ზემო ვთქუ, რამეთუ მათ დაღაცათუ ურჩულოებად დიდი ქმნეს, არამედ პირველ შჯულისა და პირველ სახარებისა იყვნეს; ხოლო ჩუენ ესოდენსა ამას მეცნიერებასა ზედა და შემდგომად ესოდენისა სწავლათა სმენისა უკუეთუ ცოდვასა შინაღა ვიპოვნეთ, რად-მე სიტყუად მიუგოთ, რომელი-მე მიზეზი დაედვათ? რამეთუ უკუეთუ რომელნი-იგი პირველ ქრისტეს მოსლვისა იყვნეს და სახელიცა საუკუნოთა სატანჯველთად არა ასმიოდა და აქავე იტანჯნეს, უკუეთუ იგინი მუნ იტანჯვიანვე, ვითარცა მოასწავა ტანჯვად მათი სიტყუთა მით, ვითარმედ: უმოლხინეს იყოს ქუეყანად სოდომისად და გომორისად მას დღესა, ვიდრელა ქალაქთა მათ, რომელთა არა ჰრწმენა მისი;¹ ვინათგან უკუე პირველ ქრისტეს მოსლვისა შეცოდებულნი ესრეთ ტანჯვად არიან მას საუკუნესა, უფროდლა აქავე ტანჯულნი, რავდენ უფროდს ჩუენ ტანჯვად ვართ, ესოდენსა მოძღურებასა და მეცნიერებასა შინა აღზრდილნი?

ამათ სიტყუათა ზედა შევლენ ვიეთნიმე ძიებასა და იტყვან, ვითარმედ: რად არს სამართალი ესე ამის საქმისად, რომელ პირველ ქრისტეს მოსლვისა იყვნეს და სახელიცა არა ასმიოდა გეჰენიისად, რათამცა გეჰენიასა შთაცვევს? არა აქუსა სიტყუად თქუმად, ვითარმედ: უკუეთუმცა გუასმიოდა, არამცა შთავრდომილ ვიყვენით? არამედ ისმინეთ ამის ჯერისათვის: ესე უწყით და გურნამს, ვითარმედ არა არს ღმრთისა თანა უსამართლოებად, არამედ ყოველსავე წესითა მიუთხრობელისა მის სიმართლისადთა იქმს. დაღაცათუ გულისწმის-ყოფად მისისა სიმართლისად ჩუენგან დაფარულ იყოს, არა ჯერ-არს დაფარულთა მათ ძიებად, არამედ სარწმუნოებით შეწყნარებად.

ხოლო წინამდებარე ესე საქმე არცა ფრიადისა ძიებისა ღირს არს, რამეთუ პირველ ქრისტეს მოსლვისა, ვინათგან არლა განთავისუფლებულ იყვნეს კაცნი მძლავრებისაგან ცოდვისა, არცა ესოდენი ასმიოდა სწავლად,

¹ შდრ. მათ. 11,24.

ამისთვის არცა იძიებოდა მათგან ესოდენი სათნოებისა სრულებად, არამედ ესე ხოლო, რაათა კერპთმსახურებისაგან მოიქცენ და იცნან მხოლოდ ღმერთი და მას ჰმსახურებდენ, და რაათა დიდთა მათ და გარდარეულთა ერიდნენ ცოდვათა, რომელთა თვთ ბუნებადცა და შინაგანი გონებად მარადის მამხილებელ იყო. რამეთუ არაოდეს დაუტევნა ღმერთმან კაცნი შეუწევნელად, არამედ მისცა მხილებად გონებისად მამხილებელად ბოროტთა. კმა იყო უკუე მათდა ესე, რაათა კერპთაგან მოიქცენ და ღმერთსა ჰმსახურებდენ და გარდარეულთა უმჯულოებათა ერიდნენ. ხოლო რომელთა საქმენიცა კეთილნი მოიგნეს ღმრთისმსახურებისა თანა, იგინი დიდად წარემატნეს.

ხოლო მოქმედთა ბოროტისათა დაღაცათუ სიტყუად ესე საუკუნეთა სატანჯველთად არა იცოდეს, გარნა ჴელისჴელნი სატანჯველნი მოინეოდეს მაშინ, ვითარცა წყლითრღუნად, ვითარცა სოდომელთა და გომორელთა ტანჯვად, ვითარცა ბაბილოვნელთა და მეგვბტელთად და სხუანი მრავალნი, რომელნი წიგნთა შინა წერილ არიან. უგუნურთა უკუე და ზრქელთა და პირუტყუებრივთა წინამდებარენი ჴელისჴელ სატანჯველნი უფროდსად ერგებიან, ვიდრე შემდგომად ჟამთა მრავალთა მოლოდებადნი; ხოლო რომელნი თუალთა წინაშე მყოფთაგან არა შეშინდებოდეს, მათ დაღაცათუმცა ექადაგა მომავალი იგი სასჯელი, არავემცა შეშინდეს. ან უკუე არარად შეემთხვა ყოვლადვე უსამართლოდ მათ, დაღაცათუ ცუდად იტყვან ვიეთნიმე, თუ: ჩუენ მრავალნი მოგუეცნეს სწავლანი, და შიში სატანჯველთად მათ წინადადებულ არს, და ამით ჯერითა ევნო პირველთა მათ, რამეთუ არად ესევეითარი ისწავლეს. არამედ ამო არს სიტყუად ესე; ერთად, ზემოთქუმულითა მით მიზეზითა, და მერმე, რომელ არა ერთი მოქალაქობად თანანადებ არს ჩუენდა და მათდა, არამედ ჩუენ ფრიად უმეტესი თანაგუაც. ხოლო რომელთა ზედა უმეტესი მოლუანებად განენესა, უმეტესისაცა შეწევნისა ღირს ვიყვენით მოღებად. ესე არს უკუე შეწევნად ჩუენი: განმრავლებად ესე ღმრთისმეცნიერებისად და შიში მომავალისა სასჯელისად.

და ვითარცა ჩუენდა განსაკრძალველად განწესებულ არს მეცნიერებად ესე მის საუკუნისად, ეგრეთვე მათ აქუნდა, უკუეთუმცა ენება, მაშინვე მომავალნი ბოროტისმოქმედთა ზედა სატანჯველნი, ამასვე ცხორებასა, ვითარცა ზემო ვაჴსენეთ, სოდომელთად და მსგავსთა მათთად.

ხოლო ამას ყოველსა ზედა სხუასაცა სიტყუასა იტყვან მრავალნი, ვითარმედ: სადა არს სამართალი ღმრთისად ამას ზედა, ოდეს ვინმე ცოდოს აქა, და იტანჯოს აქაცა და მას საუკუნესაცა? ან უკუე ამას პირსა ზედა თქუენ მიერვე თქუმულნი სიტყუანი მოგაჴსენნე, რაათა არლარა შრომად შემემთხუოდის განმარტებად ამის საძიებელისა.

უწინარეს ამათ დღეთა მესმა ვიეთგანვე, ვითარმედ ავაზაკი ვინმე ძკრისმოქმედი შეიპყრეს და სამმჯავროსა შინა თავი წარჴკუეთეს; და

თქუეს ვიეთმე თქუენთაგანთა: ეჭა საკკრველი! უმრავლეს ასისა კაცისა მოეკლა უშჯულოსა მას, და ან ერთი ხოლო სიკუდილი შეემთხვა მას; ვითარი არს ესე სამართალი? ან უკუე თქუენვე სწამებთ, ვითარმედ მრავალთა უშჯულობათა მისაგებელად ერთი ხოლო სიკუდილი არა კმა არს. ვითარ უკუე ან ვერ გულისწმა-ჰყოფთ? არამედ სხუათათჳს თუალუხუავნი ვართ მსაჯულნი იგი და თავთა თჳსთათჳს რად გუენებოს განკითხვისა ყოფად, თუალ-ღებით ვბჭობთ.

ხოლო უკუეთუ ჩუენთჳსცა თუალუხუავი ვყოთ სასჯელი, ვიპოვნეთ თავნი ჩუენნი არა ერთისა ხოლო და ორისა, არამედ ბევრეულთა სიკუდილთა ღირსნი და ბევრეულთა სატანჯველთა, აქაცა და მერმესაცა საუკუნესა.

და რადთა სხუათა მათ საქმეთა ჩუენთა თანანარგჳდევ, მოვიწყენოთ, რომელნი-ესე უღირსებით ვეზიარებით წმიდათა მათ ქრისტეს საიდუმლოთა. არა გკსნავიესა, ვითარმედ რომელნი უღირსად ეზიარებოდინ, თანამდებ არიან ჳორცსა და სისხლსა ქრისტესსა?¹ ან უკუე, კაცო, ოდეს კაცისმკლველსა განიკითხვიდე, თავიცა შენი განიკითხე. მან კაცი მოკლა, ხოლო შენ უღირსად თუ ეზიარებოდი, სისხლსა თანამდებ ხარ მეუფისა. იგი უმეცარი იყო და უსწავლელი, ხოლო შენ სწავლულ ხარ და მეცნიერ.

ეგრეთვე კუალად რომელნი დღითი-დღე ჳორცსა ძმათა თჳსთასა ჭამენ და გესლსა უკეთურებისასა მიჰფენენ მათ ზედა, ვითარისა სასჯელისა ღირს არიან? რომელნი სძურციან გლახაკთა და ჰჳუთვენ დავრდომილთა, რავდენთა ავაზაკთა უძკრეს არიან?

ან უკუე, მორწმუნენო, ესეცა გულისწმა-ვყოთ, ვითარმედ პირველ ქრისტეს მოსლვისაცა ყოფილნი უშჯულონი ტანჯვად არიან საშჯელითა სიმართლისადათა, თჳნიერ უმოლხინეს აწინდელთა უშჯულოთასა, რამეთუ არა არს ყოვლადვე საშჯელსა მას შინა ღმრთისასა უსამართლოებად. ამისთჳს განვეკრძალნეთ, რადთა არა ვიპოვნეთ ჩუენ გარდამავალ მცნებათა ქრისტესთა, არცა ვიქმნეთ მოქმედ უშჯულოებისა, რადთა არა ჩუენცა მივეცნეთ საშჯელსა სოდომელთასა, რადთა არა შეგუემთხვოს წარწყმედად გომორელთად, რადთა არა მოინინენ ჩუენ ზედაცა ბოროტნი იგი ტკრელთა და სიდონელთანი. უფროჲს ყოვლისა ესე ვთქუა, რადთა არა განვარისხოთ ქრისტე, რომელ-ესე ყოვლისა უმძიმეს არს და უსაშინელეს. რამეთუ დალაცათუ მრავალთა გეჰენიად იგი ცეცხლისად საშინელად ჰგონიეს, არამედ მე არა დავსცხრე მარადის ამას ღალადებად, ვითარმედ: ესე არს გეჰენიისა და ყოვლისავე სატანჯველისა უფიცხეს და უსაშინელეს – განრისხებად ქრისტესი და განვრდომად პირისა მისისაგან.

ამისგან შეძრწუნებულ ვარ მე, ამისგან ზარგანწდილ ვარ. და თქუენცა ეგრეთვე გვედრები, რადთა ამის განსაცდელისაგან გეშინოდის, რადთა ში-

¹ შდრ. 1 კორ. 11,27.

შითა ამით შევიკრძალნეთ თავნი ჩუენნი და გეჰენისაგანცა განვერნეთ და დიდებასა ქრისტესსა ღირს ვიქმნეთ ხილვად და საუკუნეთა მათ კეთილთა მკკდრ-ყოფად, რომელთა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხუევად მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისაჲ არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.



საკიეზელი

წინასიტყვაობა.....	5
წინასიტყუად.....	9
თავი ა ვსენებად წმიდისა მათე მახარებელისა.....	18
თავი ბ მათე 1,1	30
თავი გ 1,1-1,3	41
თავი დ 1,17-1,21.....	52
თავი ე 1,22-1,25	77
თავი ვ 2,1-2,3.....	92
თავი ზ 2,4-2,10	111
თავი თ 2,11-2,15	125
თავი თ 2,16-2,23	134
თავი ი 3,1-3,6	148
თავი ია 3,7-3,12	162
თავი იბ 3,13-3,17	177
თავი იგ 4,1-4,11	189
თავი იდ 4,12-4,25	205
თავი იე 5,1-5,16.....	215
თავი ივ 5,17-5,26	250
თავი იზ 5,27-5,37	272
თავი ით 5,38-5,48.....	287
თავი ით 6,1-6,15.....	299
თავი კ 6,16-6,23	323
თავი კა 6,24-6,27	335
თავი კბ 6,28-6,34.....	344
თავი კგ 7,1-7,20.....	360
თავი კდ 7,21-7,27.....	387
თავი კე 7,28-8,4.....	397
თავი კვ 8,5-8,13	405
თავი კზ 8,14-8,22	419

თანზი კფ	8,23-8,34.....	429
თანზი კთ	9,1-9,8	440
თანზი ლ	9,9-9,17	447
თანზი ლა	9,18-9,25.....	463
თანზი ლბ	9,27-10,15	473
თანზი ლგ	10,16-10,22.....	490
თანზი ლდ	10,23-10,33	501
თანზი ლე	10,34-10,42	514
თანზი ლვ	11,1-11,6.....	526
თანზი ლზ	11,7-11,24	535

